გრიგოლ ევტიხის ძე ჯანხოთელი

საერთაშორისო კერძო სამართალი

თბილისი 2003

პირობითი შეკოკლებანი

ასკ - არბიტრაჟის საპროცესო კოდექსი

ინს - ინტელექტუალური საკუთრების საქართველო

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქ. სკსკ - საქართველოს საერთაშორისო კერძო საქართველოს კანონი

სკსკ - საერთაშორისო კერძო საქართველოს კანონი

სკ - სამოქალაქო კოდექსი

საქ. სკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სსკსკ - საქართველოს საერთაშორისო კერძო საქართველოს კანონი

სსსკ - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

გრიგოლ ევტიხის ძე ჯანხოთელი

საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი, მრავალი საშეცნიერო შრომის და სახელმძღვანელოს ავტორი, ნაყოფიერ საშეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. არის საერთ. ინსტიტუტების დამფუძნებელი და რექტორი.

ყუძღუნი ჩემს პირველ შვილიშვილს,
პოპაკალ კოლეგას - ლელი ბესიკის ასულ ჯანხოთელს

ავტორისაგან

საერთაშორისო კერძო სამართალი წარმოადგენს როგორც სამართლის დამოუკიდებელ დარგს, აგრეთვე დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინას. მისი მნიშვნელობა განუხრელად იზრდება მსოფლიო საზოგადოებაში. ისტორიული განვითარების კანონზომიერებას წარმოადგენს ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება. იგი გადაზრდილია გლობალიზაციაში, - რომელიც გულისხმობს სახელმწიფოთა ურთიერთდაკავშირებას და ერთიან მსოფლიო ეკონომიკურ და საზოგადოებრივ სიტუაციად ჩამოყალიბებას.

მსოფლიო მეურნეობაში და სამოქალაქო საზოგადოებაში მთავარ მოქმედ პირებად გაჟღენილებიან ინდივიდები და მათი გაერთიანებები. მოსახლეობის ურთიერთკავშირი დღითიდღე უფრო დინამიური, ინტენსიური და მრავალფეროვანი ხდება.

საერთაშორისო კერძო სამართალი ცალკე დისციპლინის სახით XIXს. მეორე ნახევრიდან დამკვიდრდა. ამდენად, იგი სამართალმცოდნეობის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა დარგია.

ყოფილ საბჭოთა პერიოდში, საერთაშორისო კერძო სამართალი, ძირითადად, ისწავლებოდა სპეციალიზებულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. ისინი ამზადებდნენ კადრებს საგარეო საქმეთა სამინისტროს და საგარეო ეკონომიკური უწყების სისტემისათვის, აგრეთვე იმ სასწავლებლებისათვის, სადაც ძირითადად უცხოელი სტუდენტები სწავლობდნენ.

შემდგომში ყითარება ძირფესვიანად შეიცვალა. სამეურნეო საქმიანობის სფეროში, სამართალდამცავ ორგანოებში, განსაკუთრებით - სასამართლოში, ადვოკატურაში, ნოტარიატში მოუშავე იურისტი, რომელიც არ ფლობს ცოდნას საერთაშორისო კერძო სამართლის დარგში, სრულფასოვანი სპეციალისტი ვერ იქნება. წინამდებარე საგანს აქვს როგორც ზოგადი თეორიული, ასევე გამოყენებითი, პრაქტიკული მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, სტუდენმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა

მიაქციოს სახელმძღვანელოში მოყვანილ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლის მონაწილეც ჩვენი ქვეყანაა, აგრეთვე, პრაქტიკიდან აღებული ამ ნორმების გამოყენების ტიპიურ მაგალითებს.

მსოფლიო საზოგადოებისათვის საერთაშორისო კერძო სამართლის მზარდი მნიშვნელობა ხაზგასმულია გაეროს საპროგრამო დოკუმენტებში. ადამიანთა ურთიერთქმედება სცილდება ეროვნულ ფარგლებს. ამდენად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ნორმების არსებობა, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო ხასიათის კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს.

საერთაშორისო კერძო სამართლის სწავლების პრობლემას მიუძღვნა სპეციალური სესია სტრასბურგში 1997 წ. საერთაშორისო სამართლის ინსტიტუმა - ფრიად ავტორიტეტულმასაერთაშორისო ორგანიზაციამ.

რეზოლუციის ერ-ერთი პუნქტი იურიდიული განათლების წინაშე აყენებს აუცილებელ მოთხოვნას: არც ერთმა სტუდენტმა არ უნდა დააამთავროს იურიდიული ფაკულტეტი, თუ არ მოისმინა საერთაშორისო კერძო და საჯარო სამართლის ფუნდამენტური კურსები.

კერძო სამართლებრივი ურთიერთობები საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებსა, ერთი მხრივ, და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, მეორე მხრივ, განუწყვეტლივ ვითარდება და ფართოვდება. გარდა ამისა, საქართველოში საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები ცალკე კანონშია კოდიფიცირებული: 1998 წ. მიღებული იქნა საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ". იგი ძალაში შეეიდა 1998 წ. 1 ოქტომბრიდან. ამ დროიდან ჩვენი ქვეყნის სასამართლოებში განხილულია და საქმეა უცხოური ელემენტის მონაწილეობით შემოსული განსახილველად.

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ლექციების კურსს, რომელსაც ვკითხულობთ საქართველოს ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის საინჟინრო-ტექნოლოგიური და ჰუმანიტარული ინსტიტუტის და ბაკურციხის ინსტიტუტის

იურიდიულ ფაკულტეტებზე. გათვალისწინებულია სტრასბურგის სესიაზე მიღებული რეზოლუცია, რომელმაც განსაზღვრა ამ საგნის სწავლების საჭიროებულობა ყველა უმაღლესი სასწავლებლის იურიდიულ სპეციალობებზე.

სახელმძღვანელო შედგენილია „საერთაშორისო კერძო სამართლის“ კურსის სასწავლო პროგრამის შესაბამისად, რომელიც დაამტკიცა ზეციოთდასახელებული ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭომ.

ავტორი იმედოვნებს, რომ წიგნი სასარგებლო იქნება ნებისმიერი სასწავლებლის სტუდენტებისათვის, ასპირანტებისათვის, მასწავლებლებისათვის, მეწარმეთა და პრაქტიკოსი იურისტებისათვის.

ყოველგვარ საქმიან შენიშვნას ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს და გაითვალისწინებს წიგნის შემდგომი გამოცემის დროს.

გრიგოლ ეუტიხის ძე ჯანხოთელი

შინაარსი

ავტორისაგან 4
თავი I. საერთაშორისო კერძო სამართლის ცნება, საგანი, სისტემა 11
1.1 ეროვნული და საერთაშორისო სამართალი 11
1.2 საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროები . . . 14
1.3 კერძო და საჯარო სამართალს შორის თანაფარდობა . 20
1.4 საერთაშორისო კერძო სამართლის
მეცნიერება და სისტემა 24
1.5 საერთაშორისო კერძო სამართლის ისტორია
და განვითარების ტენდენციები 25
თავი II. პირები საერთაშორისო კერძო სამართალში . . 32
2.1 ფიზიკური პირები საერთაშორისო კერძო სამართალში 32
2.2 იურიდიული პირები საერთაშორისო კერძო სამართალში 40
2.3 უცხოური იურიდიული პირების სამართალსუბიექტად აღიარება 50
თავი III. კოლიზიური ნორმები საერთაშორისო
კერძო სამართალში 52
3.1 კოლიზიური ნორმის ცნება 52
3.2 უკუმითითება და მითითება მესამე ქვეყნის სამართალზე 54
3.3 კოლიზიური ნორმების სახეები 56
3.4 ნაცვალგება 58
3.5 საჯარო წესრიგი და საერთაშორისო კერძო
სამართლის ნორმები 60
3.6 ეროვნული რეჟიმი. უპირატესი ხელშეწყობის
რეჟიმი საერთაშორისო კერძო სამართალში 62
3.7 კერძო სამართლებრივი ხასიათის სხვაგვარი
კოლიზიური ნორმები 63
3.8 პიროვნებათშორისი სამართალი 65
3.9 დროითაშორისი სამართალი 66
თავი IV. გარიგება 68
4.1 საგარეო-ეკონომიკური გარიგებები 68
4.2 საგარეო-ეკონომიკური გარიგების საკოლიზიო საკითხები 70
4.3 ნების აუტონომია საერთაშორისო კერძო სამართალში 71

4.4 გარიგების ნამდვილობა, გარიგების ფორმა 76
თავი V. სანივთო სამართლის საკითხები საერთაშორისო კერძო სამართალში 78
5.1 სანივთო სამართლის ცნება 78
5.2 სანივთო სამართლის საკოლიზიო საკითხები . . . 80
თავი VI. ზიანის მიყენებით გამოწვეული ვალდებულებები 86
6.1 დელიქტური ვალდებულებების კოლიზიური საკითხები 86
6.2 ზიანის მიყენება საზღვარგარეთ 91
თავი VII. შემკვიდრეობის საკითხები საერთაშორისო კერძო სამართალში 101
7.1 შემკვიდრეობის ცნება და სახეები 101
7.2 შემკვიდრეობა ანდერძით 106
თავი VIII. საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი . . . 113
8.1 საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის ცნება . . . 113
8.2 საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია 115
8.2.1 განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია. შეთანხმებები სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაზე 120
8.2.2 საქართველოს სასამართლოებში სკ-ის საქმეთა განხილვის წესი 122
8.2.3 იურისდიქციის კონფლიქტი 123
თავი IX. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილების ცნობა 126
9.1 უცხოელთა საპროცესო სამართლებრივი მდგომარეობა 126
9.2 დიპლომატიური მისიის და საკონსულო წარმომადგენლობის წევრთა იმუნიტეტი 127
9.3 უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების არსის დადგენა . 128
9.4 შეამდგომლობა სამართლებრივი დახმარების შესახებ . 131
9.5 უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და მათი აღსრულების პირობები 135
თავი X. საერთაშორისო საარბიტრაჟო სამართალი . . 139
10.1 საარბიტრაჟო სამართლის ცნება 139
10.2 საარბიტრაჟო სასამართლოს გამიჯვნა სახელმწიფო სასამართლოსაგან 141

10.3 საარბიტრაჟო სასამართლო პროცესი. გასაჩივრების წესი 144
10.4 არბიტრაჟში ერთგვაროვანი საპროცესო წესების
შემოღების მიზანშეწონილობა 147
თავი XI. ბაზარზე და ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვები 149
11.1 საერთაშორისო გადაზიდვების ცნება 149
11.2 საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვები 150
11.3 საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები . . . 151
11.4 საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვები 152
11.5 საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვები 155
თავი XII. ინტელექტუალური საკუთრება
საერთაშორისო კერძო სამართალში 159
12.1 ინტელექტუალური საკუთრების ცნება 159
12.2 ინტელექტუალური საკუთრების წარმოშობისა
და განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა 161

განყოფილება I. 171
12.3 საავტორო სამართალი სკს-ში 171
12.3.1 საავტორო სამართლის საერთაშორისო
საქართველებრივი საფუძვლები 171
12.3.2 მომიჯნავე უფლებების საერთაშორისო
საქართველებრივი დაცვა 176
12.3.3 საავტორო და მომიჯნავე უფლებების
რეგიონალური საერთაშორისო საქართველებრივი დაცვა . . 180

განყოფილება II. 199
12.4 საპატენტო სამართალი 199
12.4.1 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა
გამოგონებათა დაპატენტება საზღვარგარეთ. 199
12.4.2 სამამულო გამოგონებათა დაპატენტება საზღვარგარეთ 201
12.4.3 გამოგონებაზე ლიცენზიები და „ნოუ-ჰაუ“ 203
12.4.4 გამოგონების, სამრეწველო ნიმუშების და სასაქონლო
ნიშნების დაცვის უფლებაზე საერთაშორისო შეთანხმებები . 209
12.4.5 საქართველოს საპატენტო სამართალი 212

განყოფილება III. 223
12.5 საავტორო საკუთრების უფლება სკს-ში 223
12.5.1 საავტორო საკუთრების ცნება სკს-ში 223
12.5.2 საავტორო საკუთრების საერთაშორისო
სამართლებრივი დაცვა 226
12.5.3 საავტორო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია 228

განყოფილება IV. 234
12.6 ლიტერატურული და ხელოვნური ნაწარმოების
საკუთრების უფლება სკს-ში (ბერნის კონვენცია) 234

თავი XIII. საოჯახო სამართალი 245
13.1 კოლიზიური საკითხები საოჯახო სამართალში. . . 245
13.2 ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი.
ქორწინების გაფორმება 250
13.3 რჩენის მოვალეობა 253
13.4 ქორწინების შეწყვეტა 255
13.5 შვილად აყვანა 259
13.6 ეშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის
მოაწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმები 263
13.7 მეურვეობა და მზრუნველობა 264
თავი XIV. შრომითი ურთიერთობები საერთაშორისო
კერძო სამართალში 267
14.1 კოლიზიური საკითხები საერთაშორისო შრომითი
ურთიერთობების სფეროში 267
14.2 უცხოელთა შრომის პირობების საერთაშორისო
სამართლებრივი რეგულირება 270
14.3 მიგრანტებისა და უცხოელების შრომითი უფლებები 274
14.4 მოქალაქეთა შრომითი უფლებები საზღვარგარეთ. . 277
14.5 სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების პერსონალის
შრომის სამართლებრივი რეგულირება. 278

თავი I. საერთაშორისო კერძო სამართლის ცნება, საგანი, სისტემა

1.1 ეროვნული და საერთაშორისო სამართალი

დასაბამიდან ადამიანთა ქცევის რეგულირება გარკვეული ნორმების საფუძველზე ხდება. ადამიანთა შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები წარმოადგენენ სოციალურ ნორმებს. მათ განეკუთვნებიან: მორალური ნორმები, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, სამართლებრივი ნორმები და ა.შ.

ადამიანის მოღვაწეობის მოსაწესრიგებლად სახელმწიფო შეიმუშაებს და იღებს სამართლის ნორმებს და უზრუნველყოფს ამ ნორმების შესრულებას შესაბამისი ღონისძიებებით. სხვა სოციალური ნორმების შეუშავებასა და დარეგვას სჭირდება წლები და ზოგჯერ საუკუნეებიც.

ერთი სახელმწიფოს ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები ქმნიან ეროვნულ სამართალს. ეროვნული სამართალი გულისხმობს ქვეყნის შიგნით წარმოშობილ კერძო და საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებას. მაგრამ სახელმწიფოში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ურთიერთობის გარდა, ყოველთვის წამოიჭრება სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის აუცილებლობა. გარდა ამისა, თვით ამ სახელმწიფოს ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე წამოიჭრება სხვა ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობების დამყარების აუცილებლობა

მეურნეობის გაძღოლის ებრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ საქართველოში შექმნა იმის აუცილებლობა, რომ ფიზიკური და იურიდიული პირების კავშირი უცხო ქვეყნის შესაბამის პირებთან განუსაზღვრელად გაფართოებულიყო.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში ძირითადი სუბიექტებია სუფერენული სახელმწიფოები და მათ მიერ შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციები. ურთიერთობის ეს სისტემა

წარმოადგენს საერთაშორისო საჯარო საქართველოს სფეროს. საერთაშორისო საჯარო საქართველოს წყაროებია საერთაშორისო ხელშეკრულებები და საერთაშორისო ჩვეულებები.

საერთაშორისო საქართველო იმ ნორმების, ანუ ქცევის წესების ერთობლიობაა, რომლებიც სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება და მათი შესრულება უზრუნველყოფილია თვით ამ სახელმწიფოების მიერ, ინდივიდუალურად და კოლექტიურად. გარდა სახელმწიფოებისა, ერთმანეთთან თანაშრომლობენ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები (ფიზიკური პირები) და საწარმოო-დაწესებულებები (იურიდიული პირები), სამინისტროები (სახელმწიფოს სახელით). მათი ერთმანეთთან ურთიერთობა წარმოადგენს საერთაშორისო კერძო საქართველოს სფეროს. ამ ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილე უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირია.

ამგვარად, საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ყოველთვის მონაწილეობს უცხოური ელემენტი: 1. საერთაშორისო ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილე უცხო ქვეყნის მოქალაქე ან იურიდიული პირია; 2. საერთაშორისო ურთიერთობის ობიექტია უცხოეთში მყოფი ნივთი; 3. სამოქალაქო ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას ადგილი ჰქონდა უცხოეთში.

საერთაშორისო ურთიერთობაში ერთდროულად თუ მონაწილეობს უცხოური ელემენტი და ეს ურთიერთობა რეგულირდება სამოქალაქო საქართველოთი (შრომის საქართველოთი, საკორპორაციო სამართლით და ა.შ.), საქმე გვაქვს საერთაშორისო კერძო საქართველებრივ ურთიერთობასთან.

მაგალითად: საქართველოს 2 ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს შორის დადებულია იჯარის ხელშეკრულება ნაგებობაზე (სასტუმრო). როგორც კი ასეთ საქართველებრივ ურთიერთობაში ერთ-ერთ მხარედ მოგვეყლინება უცხოელი მოქალაქე, ან იურიდიული პირი, ჩვენ საქმე გვექნება საერთაშორისო კერძო საქართველებრივ ურთიერთობასთან. როდესაც ერთ-ერთი მხარე დაარღვევს ვალდებულებას, წამოიჭრება საკითხი, რომელმა სასაქართველომ განიხილოს დავა და რომელი ქვეყნის კანონი იქნეს

გამოყენებული ამ დავის გადაჭრის დროს.

ისეთ ურთიერთობაში, სადაც უცხოური ელემენტი მონაწილეობს, ყოველთვის წამოიჭრება ე.წ. „კოლიზიური საკითხი“; რომელი ქვეყნის კანონი იქნეს გამოყენებული? საქართველოს კანონი, რომლის ტერიტორიაზე მდებარეობს საიჯარო ქონება და მისი იჯარით გაცემაც საქართველოს მოქალაქეა, თუ საფრანგეთის კანონი, რომლის მოქალაქეც სადავო ქონების მოიჯარეა.

საერთაშორისო კერძო სამართალი არის საკოლიზიო და საპროცესო ნორმების ერთობლიობა. ისინი განსაზღვრავენ, თუ რომელი ქვეყნის სამართალი იქნეს გამოყენებული საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, აგრეთვე, რა პირობებში და როგორი წესების დაცვით შეუძლია ერთვნულ სასამართლოს განიხილოს ასეთი კატეგორიის საქმეები.

საქართველოს კონსტიტუციაში ცნება „სამართალი“ თითქმის არ გვხვდება. კონსტიტუცია ვერ გასცდა კანონისა და კანონიერების ფარგლებს. სამართლებრივ წესრიგში კი იგულისხმება სამართალი ობიექტური გაგებით: პოზიტიური სამართალი, ბუნებითი სამართალი, ჩვეულებითი, იმპერატიული და დისპოზიციური, კერძო და საჯარო სამართალი.

ქართველი კანონმდებელი იყენებს ცნებას: „საქმის ფაქტიური გარემოება“. მასში იგულისხმება ცხოვრებისეული ფაქტების ერთიანობა, რომლებიც სამართლებრივად მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი არ არის შემადგენლობა. მათი ერთობანეთში არეკვა დაუშვებელია.

მაგალითი: A და B-ს შორის დადებული გარიგება გულისხმობდა A-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთის ყიდვას B-ს მიერ. ნაკვეთის ნიადაგი ნოყიერი იყო და მდებარეობდა 12 კმ-ზე დაშორებით თბილისიდან. გარიგება წერილობით არ შესრულებულა და, ბუნებრივია, ნოტარიულად არ დამოწმებულა. აი, ამ საქმის ფაქტიური გარემოება, რომელიც ნორმატიული შეფასების საგანი ხდება. მიწის ნაკვეთის თბილისიდან 12 კმ-ის დაშორებით მდებარეობა და ნოყიერი ნიადაგით გამორჩეულ სამართლებრივად არა არსებითია და იგი ნორმატიულ ჭრილში არ განიხილება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემადგენლობის არსებობის შემთხვევაში დგება კონკრეტული სამართლებრივი შედეგი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით - უძრავი ქონების შეძენისათვის აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს არ შესრულებულა, დაირღვა გარიგების ფორმა. იგივე კოდექსის 61-ე მუხლით გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა, რაც წარმოადგენს შემადგენლობას. საქართლებრივი შედეგი კი არის ის, რომ დაირღვა გარიგების ფორმა. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია. ამგვარად, საქმის ფაქტიური გარემოების ნორმატიული შეფასება აისახა შემადგენლობაში, ანუ კოდექსის 183 და 61 მუხლებით. ეს არის საქმის ფაქტიური გარემოებისა და შემადგენლობის ზოგადი, კერძო სამართლებრივი განსაზღვრება.

ორიოდ სიტყვით შევეხოთ საერთაშორისო კერძო სამართლებრივი საქმის ფაქტიურ გარემოებასა და შემადგენლობას. განხილულ შემთხვევაში წარმოვიდგინოთ, რომ მიწის ნაკვეთი თბილისიდან დაშორებულია არა 12 კმ-ით, არამედ 1200-ით და იგი მდებარეობს თურქეთში. თუ პირველ შემთხვევაში მიწის ნაკვეთის თბილისიდან დაშორება არა არსებითი, არა ნორმატიული ხასიათისა იყო, მეორე შემთხვევაში იგი ძალზე მნიშვნელოვანია. საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 29.1 და 32.1 მუხლებს: ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა, გადაცემა და შეწყვეტა წესრიგდება „იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება“. ეს არის საქმის ფაქტიური მდგომარეობის დაკავშირების საფუძველი კოლიზიურ სამართალთან, რაც იწვევს სამართლებრივ შედეგს შესაბამისი ქვეყნის სამართალში.

1.2 საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროები

ტრადიციულ იურისპრუდენციას სამართლის წყაროებად მიაჩნია ის ზოგადი ხასიათის ნორმატიული წარმონაქმნები, რომლებიც „კვებავენ“ სამართლის სხეულს. მათ განეკუთვნებიან: საკანონმდებლო ორგანოების მიერ დადგენილი ნორმატიული აქტები, საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიერ გამომუშავებული ჩვეულებითი ნორმები და დავის განმხილველი ორგანოების მიერ

მიღებული პრეცენდენტული ნორმები. პირველს უწოდებენ პოზიტიურ სამართალს, მეორეს-ჩვეულებით სამართალს, მესამეს-პრეცენდენტულ სამართალს. ისინი წარმოადგენენ სამართლის მკვებავ, მასაზრდოებელ წყაროს.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი ეფუძნება გერმანიის, შვეიცარიის და იტალიის კოლიზიური სამართლის საუკეთესო ტრადიციებს. აუცილებლად მიგვაჩნია, კონკრეტულად იმ წყაროების დასახელება, რომელთა გავლენასაც საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალი განიცდის:

1. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესაყალი კანონი - 1896 წ; 1994 წ. მდგომარეობით;

2. შვეიცარიის ფედერალური საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი (1987 წ.);

3. იტალიის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი (1995 წ.);

4. 1980 წ. ევროპის კონვენცია სახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ;

5. 1973 წ. ჰაგის კონვენცია რჩენის ვალდებულებებისას გამოსაყენებელი სამართლის შესახებ;

6. 1961 წ. ჰაგის კონვენცია მეპკვიდრეობისას გამოსაყენებელი სამართლის შესახებ;

7. 1968 წ. ბრიუსელის ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის კონვენცია სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებში სასამართლო კომპეტენციისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ.

საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითადი წყაროებია:

ა. საერთაშორისო ხელშეკრულებები;

ბ. შიდაკანონმდებლობა;

გ. სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკა;

დ. ჩვეულებები.

„საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმის გარეგნულად გამოხატვის ფორმაა, არამედ აქა თუ იქ სამართლის

სისტემის არსებობის მეთოდოლოგიური საფუძველიც"[1], წერს ლ. ჭანტურია.

საერთაშორისო კერძო სამართლის მნიშვნელოვანი წყაროა საერთაშორისო ხელშეკრულებები, რითაც ძირითადად, რეგულირდება შიდა კანონმდებლობით მოუწესრიგებელი საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობები.

უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენებაში მნიშვნელოვად გაიზარდა სასამართლო ხელისუფლების როლი. შეიქმნა საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენების სამართლებრივი ბაზა, გაიზარდა ეროვნული სასამართლოების როლი საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოყენების საქმეში.

კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის II პუნქტით „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ".

ქართული იურიდიულ ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული ბოლო პერიოდში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების აქტიური გამოყენების შესახებ.

საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში კონვენციების შემუშავებას ახორციელებს ჰაგის კონვენცია. მისი პირველი სესია მოწვეული იქნა 1893 წელს ჰააგაში ცნობილი ჰოლანდიელი იურისტის თომას ასერის ინიციატივით. სულ მოწვეულია 20 სესია. 1951 წ. მიღებული იქნა ჰაგის კონფერენციის მუდმივი სტატუტი საერთაშორისო კერძო სამართალში. ეს სტატუტი მოქმედებს 45 ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ ჰაგის 29 კონვენციიდან 10 საოჯახო სამართლის სფეროს შეეხება. მათ შორის არის კონვენციები: „ქორწინების და მისი ბათილობის შესახებ" (1978 წ.), „განქორწინების ცნობისა და მეუღლეთა სასამართლოს წესით განქორწინების შესახებ" (1970 წ.), „შვილებთან დაკავშირებული სააღიმენტო ვალდებულებების შესახებ" (1956 წ.) და სხვა.

1999 წ. 1 ივლისს ძალაში შევიდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის 1996 წ. 22 აპრილს დადებული შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. შეთანხმება ეშყარება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის, საერთაშორისო სამართლისა და საბაზრო ეკონომიკის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. მათ შორის, განათლების, ტრანსპორტის, ენერგეტიკის და უკანონო საქმიანობასთან ბრძოლის საკითხებს.

შიდაკანონმდებლობა საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითადი წყაროა. „არ არსებობს ერთიანი საერთაშორისო კერძო სამართალი, არამედ ის არის იმდენი, რამდენი სამართლებრივი წესრიგიცაა დედამიწის ზურგზე", - ამტკიცებს გერმანელი პროფესორი ფონ ბარი თავის სახელმძღვანელოში (1987 წ.).

საკუთარი საერთაშორისო კერძო სამართალი აქვს საფრანგეთის, დიდ ბრიტანეთს, გერმანიას, იტალიას, საქართველოს და ა.შ. ცალკეულ ქვეყნებში საერთაშორისო კერძო სამართლის-კოდიფიკაცია ძირითადად ორი გზითაა განხორციელებული:

ა. ავსტრიამ, გერმანიამ, შვეიცარიამ, იუგოსლავიამ, ჰოლანდიამ, თურქეთმა, საქართველომ მიიღეს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი, რომელიც შეიცავს საპროცესო ნორმებსაც.

ბ. ზოგიერთ ქვეყანაში კოლიზიური ნორმები ჩართულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და პროგნოზები და საერთაშორისო ხელშეკრულებები საქართველოში წარმოადგენენ მისი სამართლებრივი სისტემის შემადგენელ ნაწილს.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი მიღებულია 1998 წ 29 აპრილს. კანონში დაცულია კონტინენტური ევროპის სამართლის ტრადიციები, კერძოდ, გათვალისწინებულია შვეიცარიის, იტალიის, გერმანიის მაგალითები. კანონი ითვალისწინებს ევროკავშირის კონვენციებს.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი მოიცავს 10 თავსა და 74 მუხლს. კანონის IX თავში საპროცესო ნორმებია განხილული. იგი მოიცავს სასამართლო ხარჯების ანაზღაურების, გარანტიის მიცემის, დიპლომატიური მისიის

წევრებისა და საკონსულო წარმომადგენლობის იმუნიტეტის, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებების ცნობისა და აღიარების საკითხებს და სხვას.

კანონის X თავი განსაზღვრავს კანონის ამოქმედების დროს - 1998 წ. 1 ოქტომბერს. „საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი" იხილეთ წინამდებარე ნაშრომის გვ. 235.

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი მიიღეს რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის: ავსტრიამ (1978 წ.), უნგრეთმა (1979 წ.), რუმინეთმა (1992 წ.), შვეიცარიამ (1987 წ.), გფრ-მ (1987 წ.) და სხვ.

შვეიცარიაში საერთაშორისო კერძო სამართლის კანონზე მუშაობა გრძელდებოდა 15 წელი პროფ. ფ. ფიშერის ხელმძღვანელობით. კანონი შედგება 15 თავისა და 200 მუხლისაგან. სტრუქტურა გარკვეული თავისებურებით ხასიათდება: ყოველი ნაწილი შოიცავს პარაგრაფს, რომელშიც სამი ძირითადი საკითხია განხილული:

ა. იურისდიქცია;

ბ. გამოსაყენებელი სამართალი;

გ. უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და შესრულება.

კანონში მკაფიოდაა გამოხატული ნორმათა შინაარსი, რის გამოც ეს კანონი იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია გამოსაყენებლად ხელსაყრელ ნორმატიულ აქტად.

ავსტრიის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონისათვის დამახასიათებელია. კოლიზიურ ნორმათა შინაარსის მკაფიო გამოხატვა. კანონზე მუშაობა დაიწყო 1956 წელს საერთაშორისო კერძო სამართლის გამოჩენილი სპეციალისტის ფ. შვინდის მეთაურობით. კანონში მოცემულია: საოჯახო სამართალი, პიროვნული კანონი, საფინანსო სამართალი, ყალდებულებითი სამართალი, მატერიალური კეთილდღეობის სამართალი, შრომის სამართალი, უსაფუძვლო გარიგება, ზიანის მიყენებით გამოწვეული ვალდებულებები.

საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების დროს გამოიყენება ჩვეულებანი, რომელიც სამართლის უძველესი წყაროა. ყოველგვარი წესი არ წარმოადგენს ჩვეულებას. ჩვეულება ისეთი

წესია, რომელიც კონკრეტული სოციალური ჯგუფის მიერ არის აღიარებული, როგორც სავალდებულო შესასრულებელი. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ჩვეულების შესაბამისობა კანონის ნორმებთან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი , კანონთან ერთად, სამართლის წყაროდ ჩვეულებებსაც აღიარებს, თუ მათი გამოყენება არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და საოჯახო წესრიგს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 2).

ჩვეულებების გამოყენებას სასამართლოები მიმართავენ იმ დროს, როდესაც მოცემული ურთიერთობა სამართლებრივი რეგულირების გარეშეა დარჩენილი, ან არასრულადაა რეგულირებული.

საერთაშორისო საფაჭრო ურთიერთობაში ფართოდ არის დამკვიდრებული სავაჭრო ჩვეულებათა გამოყენება. ჩვეულებისაგან უნდა განვასხვავოთ სავაჭრო ტრადიციები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები. საერთაშორისო ვაჭრობის პალატის (მდებარეობს პარიზში) მიერ გამოცემულია სპეციალური კრებული ჩვეულებების შესახებ, რომელიც ფართოდ გამოიყენება სასამართლოების მიერ დავების გადაწყვეტის პროცესში.

საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს გააჩნიათ უპირატესობა შიდასახელმწიფოებრივი კოლიზიური ნორმების მიმართ, რაც ნათლად არის გამოხატული საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის მე-3 მუხლში.

საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროს, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, შიდა კანონმდებლობისა და ჩვეულებებისა, მთელ რიგ ქვეყნებში, წარმოადგენს სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკა. სასამართლო პრეცედენტების გამოყენება ინგლისსა და ამერიკაშია გავრცელებული. სასამართლოებს შესაძლებლობა ეძლევათ გამოიყენონ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელსაც სასამართლო მოცემული საკითხის გადასაწყვეტად მიიჩნევს საჭიროდ.

1.3 კერძო და საჯარო სამართლის შორის თანაფარდობა

საერთაშორისო ურთიერთობები არ არის შემოსაზღვრული კონკრეტული ქვეყნის ფარგლებით. ეს არის სხვადასხვა სახელმწიფოებსა და ამ სახელმწიფოთა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც საერთაშორისო საჯარო სამართლითა და საერთაშორისო კერძო სამართლით არის მოწესრიგებული. სამართლის ამ ორ დარგს ერთმანეთისაგან განსხვავებული მრავალი ნიშანი და საერთო ნიშნები ახასიათებთ. მათ შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ორივე არეგულირებს საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში წარმოშობილ საზოგადოებრივ მოვლენებს.

საერთაშორისო საჯარო სამართალი, ანუ საერთაშორისო სამართალი დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემაა, ხოლო **საერთაშორისო კერძო სამართალი ცალკეული ქვეყნების შიდასამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია.**

I განმასხვავებელი ნიშანი:

„საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი სუბიექტები სახელმწიფოებია. საერთაშორისო სამართლის სუბიექტი არა მარტო ფლობს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, არამედ ურთიერთობის სხვა მონაწილეებთან ერთად, თვითონ ქმნის ამ ნორმებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას. საერთაშორისო კერძო სამართლით კი რეგულირდება, ძირითადად, ქონებრივი ურთიერთობები. წარმოიშვება მასთან დაკავშირებული არაქონებრივი ურთიერთობები საავტორო სამართლის სფეროში, საპატენტო სამართალში და ა.შ. ისინი განეკუთვნებიან საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროს.

II განმასხვავებელი ნიშანი:

საერთაშორისო საჯარო სამართალი არეგულირებს სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს, ხოლო საერთაშორისო კერძო

საერთაშორისო სამართალი არეგულირებს სხვადასხვა სახელმწიფოების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ანუ მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს, შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

„ადამიანი იმყოფება საერთაშორისო სამართლის სრულყოფილი სუბიექტის თვისების მოპოვების გზაზე და ამ თვისების მოსაპოვებლად დარჩენილია დამამთავრებელი, დასკვნითი უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო სამართლებრივი აქტის მიღება,"- წერს ქართველი მეცნიერი ბ. საყანელი.[1]

საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითადი სუბიექტებია ფიზიკური და იურიდიული პირები; ასევე საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში სუბიექტების სახით სახელმწიფოც შეიძლება გამოვიდეს ისეთ ურთიერთობებში, რომელიც დაკავშირებულია სესხთან, ობლიგაციების გამოშვებასთან უცხოელებზე გასაყიდად, საზღვარგარეთ მშენებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში, საზღვარგარეთ მიწის არენდით აღებასთან ან საცხოვრებელი ბინის შეძენასთან და სხვა. შესაძლებელია სახელმწიფო გამოვიდეს ბეითალშანი ქონების მემკვიდრედ, ქონებისა, რომელიც ამ სახელმწიფოს გარდაცვლილ მოქალაქეს დარჩა საზღვარგარეთ, ან ანდერძის საფუძველზე ასეთი ქონების მესაკუთრედ.

ქონებრივი ურთიერთობების სფეროში სახელმწიფო განსაკუთრებული სუბიექტის როლში გადაიზრდება. „თვითონ სახელმწიფო განსაზღვრავს, რომელი წარმონაქმნი შეიძლება იყოს იურიდიული პირი, - წერს მ.მ. ბოგუსლავსკი. ხოლო იმისათვის, რომ სახელმწიფო აღიჭურვოს იურიდიული პირის უფლებამოსილებით, საჭიროა ზესახელმწიფოებრივი ორგანო, ან მსოფლიო მთავრობა, რომელიც არ არსებობს".[2]

სახელმწიფოთა კავშირი - ეს არის საერთაშორისო საჯარო სამართლის სფერო, ხოლო სხვადასხვა სახელმწიფოების იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის ურთიერთობები - საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროა.

1. ბიძინა საყანელი. სამართლის თეორია. თბ., 1997 წ. გვ. 193.
2. М.М. Богуславский. Международное частное право. Учебник. М., Юрист 1998 - 408 с.с. 28.

ამგვარად, როდესაც სახელმწიფოები დებენ ხელშეკრულებას ეკონომიკის, ვაჭრობისა და ზღვაოსნობის სფეროში, მათ შორის მყარდება საერთაშორისო საჯარო სამართლებრივი ურთიერთობები, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული ქვეყნის ვაჭრობისა და საშრეწველო ორგანიზაციები უცხოურ ფირმებთან დებენ საგარეო-ეკონომიკურ ხელშეკრულებებს, ყალიბდება საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობები.[1]

III სახის განსხვავება საერთაშორისო კერძო სამართალსა და საჯარო სამართალს შორის ვლინდება რეგულირების წყაროებში. საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებები. საერთაშორისო კერძო სამართლის მთავარ წყაროს, საერთა-შორისო ხელშეკრულებებთან ერთად, წარმოადგენს კონკრეტული ქვეყნის შიდა კანონმდებლობა, სასამართლო, საარბიტრაჟო პრაქტიკა და ჩვეულებები.

საერთაშორისო სამართლის საჯარო და კერძო სისტემები ერთმანეთისგან მკვეთრად მაინც არ არის გამიჯნული. სახელმწიფოთა შიერ საერთაშორისო კერძო სამართლის და საჯარო სამრთლის ნორმების გამოყენება მიმართულია ეკონომიკური, საშეცნიერო-ტექნიკური და კულტურული კავშირების სამართლებრივი რეგულირებისაკენ და ემსახურება საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. საჯარო სამართალში, ზემოთალნიშნულ ურთიერთობებთან ერთად, მთავარ ადგილს იკავებს პოლიტიკური ურთიერთობანი, საერთაშორისო კერძო სამართალში რეგულირდება პირადი, ქონებრივი, საოჯახო და შრომითი ურთიერთობები.

საერთაშორისო სამრთალზე, როგორც სამართლის დარგზე, არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ის არ არის კლასიკური სამართლის დარგი, რადგან არ გააჩნია ან არასრულფასოვანია იძულებითი აღსრულების მექანიზმი. არსებობდა და დღესაც არსებობს ამ მოსაზრების დამადასტურებელი პრინციპი: **„ძალის უპირატესობა სამართალთან.“** რამდენადაც

1 იქვე, გვ. 14.

სამართლებრივი აქტებით არ უნდა იყოს გაძლიერებული ესა თუ ის ნებელობითი აქტი, თუ არ არსებობს მისი იძულებითი აღსრულების რეალური ძალა, მთელი კაცობრიობის თვალწინ შეიძლება თავისუფლად დაირღვეს საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპი.[1]

ამ მხრივ, შეუძლებელია არ აღინიშნოს „აშა ქვეყნის ძლიერთა“ ორმაგი სტანდარტები „თაშაში“:

დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის პოზიცია იუგოსლავიის, ერაყისა და თურქეთის მიმართ, ერთის მხრივ, და რუსეთის პოლიტიკა კავკასიასა და მოლდოვაში, მეორეს მხრივ. ის, რაც დასავლელი მოკავშირეებისათვის ყოფილ იუგოსლავიაში, ან ერაყში დასაშვები იყო, რუსეთისათვის დაუშვებელია კავკასიაში, ჩრნეთსა და მოლდოვაში. ორივე მხარე მოქმედებდა საერთაშორისო სამართლის ნიღბით. დასავლელი მოკავშირეების მიერ ბელგრადის დაბომბვა მოხდა ბოსნიასა და კოსოვოში სერბთა აგრესიის გამო. ასეთივე აგრესია რუსეთის მხრიდან განხორციელდა სუვერენულ საქართველოში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, აზერბაიჯანსა (ყარაბახი) და მოლდოვაში (დნეპრისპირეთი), ეკონომიკურ სანქციებზედაც კი არ ყოფილა საუბარი რუსეთის, როგორც აგრესორის მიმართ, მოსკოვის დაბომბვაზე ფიქრიც კი არ გაუვლია ვინმეს გულში.

რუსეთი მხარს უჭერდა სეპარატისტული მოძრაობას საქართველოსა და აზერბაიჯანში. როგორც კი საქართველომ აღიდგინა ტერიტორიული მთლიანობა თითქმის ოთხის გაუსროლელად, აფხაზეთის მიმართ, მაშინვე ამუშაყდა რუსეთის საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე აგებული ბუტაფორიული სამხედრო-პოლიტიკური მანქანა, რომელმაც ჯერ-ჯერობით აფხაზეთი საქართველოს ჩამოაცილა. ჩეჩნეთის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლისმღვრელ ბრძოლას კი რუსეთის „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“ დაერქვა.

ნოემბერში სტამბულის სამიტზე რუსეთი აიძულეს დათმობებზე წასულიყო, რასაც არაყინ არ მოელოდა. სად არის აქ საერთაშორისო სამართლის ძალა? რატომ გახდა შესაძლებელი

1. სულხან გამყრელიძე. საერთაშორისო კერძო სამართლის შესავალი, თბ., 2000 წ. გვ. 41

1999 წ ნოემბერში რუსეთის შეიჭრევება ჩეჩნეთის ოპერაციისას და არა 1992-1993 წლებში იურიდიულად აღიარებული - საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ომისას?

ერთი კი ცხადია: შიდასახელმწიფოებრივ საქართველოთან შედარებით, საერთაშორისო სამართალს გააჩნია გარკვეული ნაკლოვანება: ფაქტობრივად არ არსებობს ძლიერ სახელმწიფოთა დასჯის რეალური მექანიზმი.

ერთიანი პოლიტიკური საქართველოებრივი საწყისის არ არსებობა არის აქილევსის ქუსლი საერთაშორისო სამართლის სრულფასოვანი გაგებისათვის.

1.4 საერთაშორისო კერძო სამართლის მეცნიერება და სისტემა

საერთაშორისო კერძო სამართლის საგანს კერძო სამართლებრივი ურთიერთობები შეადგენს. საერთაშორისო კერძო სამართლის საგანი განსაზღვრავს საერთაშორისო კერძო სამართლის, როგორც სასწავლო კურსის და მეცნიერების, დარგის სისტემას.

საერთაშორისო კერძო სამართალი შედგება ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილისაგან.ზოგადი ნაწილი აერთიანებს იმ ძირითად საკითხებს, რომელიც საერთოა საერთაშორისო კერძო სამართლისათვის. მისი შესწავლა აუცილებელია ცალკეული ნორმებისა და ინსტიტუტების ანალიზისათვის.

ზოგადი ნაწილი იხილავს საგანს, სისტემას, წყაროებს, კოლიზიერ ნორმებს, მათ მოქმედებას, განმარტებას და გამოყენებას, საერთაშორისო კერძო სამართლის რეგულირების მეთოდებს და სხვა.

განსაკუთრებულ ნაწილში განიხილება უცხო ელემენტების მქონე გარიგებანი, სანივთო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, სახელშეკრულებო ურთიერთობები, საოჯახო და საპატენტო სამართალი, სამემკვიდრეო სამართალი, საკრედიტო და საანგარიშსწორებო ურთიერთობანი, საავტორო და საპატენტო სამართალი, შრომითი ურთიერთობები.

საერთაშორისო კერძო სამართლის ბოლო თავი ეძღვნება საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესს, მასში შედის, აგრეთვე, საერთაშორისო საყაჭრო არბიტრაჟის საკითხები.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესწავლა საგაჭრო ოპერაციების ინტენსიურ განვითარებასთან იყო დაკავშირებული დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში XIII-XVI საუკუნეებში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, მოგვიანებით - იტალიასა და გერმანიაში. ინგლისსა და ამერიკაში საერთაშორისო კერძო სამართლით დაინტერესება XIX საუკუნიდან დაიწყო. ამავე პერიოდში გაჩნდა პირველი პუბლიკაციები რუსეთში საერთაშორისო კერძო სამართალში.

XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან საერთაშორისო კერძო სამართლის შესწავლა იწყება საბჭოთა კავშირში ი. პერეტერსკის, ს. რაევიჩის, ს. კრილოვის და სხვათა საინტერესო ნაშრომების გამოსვლით. საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში გამოიცა ლ. ლუნცის, ნ. სადიკოვის, ნ. შარიშვილის, კ. მატვეევის, ვ. პოზდნიაკოვის, მ. კუზნეცოვის, ე. ბოგუსლავსკის, ვ. ზვეკოვის და სხვათა ნაშრომები.

ქართველი მეცნიერებიდან თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს საერთაშორისო კერძო სამართლის ცალკეული საკითხების მეცნიერულ კვლევაში ლ. ალექსიძემ, ლ. ჭანტურიამ, კ. კორკელიამ, ბ. სავანელმა, ი. შატაქიძემ, ს. გამყრელიძემ.

1.5 საერთაშორისო კერძო სამართლის ისტორია და განვითარების ტენდენციები

საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარება სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს:

1. ანტიკური ხანა;
2. შუა საუკუნეები;
3. უახლესი პერიოდი.

საერთაშორისო კერძო სამართლის ისტორიული მიმოხილვა უფრო ნათლად წარმოაჩენს და განმარტავს ჩვენს წინაშე მდგარ

პრობლემებს, აადვილებს მათ აღქმას, რამდენადაც მხოლოდ თანამედროეობაზე დაყრდნობა ახლომხედველობაა. არსებობს მოვლენები, რომლებიც შორიდან უფრო ფასდება. ისევე, როგორც მხოლოდ შორიდან ხედვა ისეთივე საშიში სენია, როგორც ახლომხედველობა. უერთმანეთოდ ორივე სიბეცის ნიშანია.

წონასწორობის შესანარჩუნებლად ისტორიას უნდა მივცეთ ისეთი ადგილი, რომელიც თანშედროვეობას უკეთ დაგვანახებს და თანამედროვე თვალი წარსულს ჯანსაღად შეგვაფასებინებს.

ანტიკურ ხანაში (ძველი ბერძნული ან რომაული საზოგადოებრივი წყობა, ხელოვნება, კულტურა) უცხოელები უუფლებონი იყვნენ. კერძო სამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნებოდა ადგილობრივ სამართალს. როგორც სოკრატე ამტკიცებდა: „ბერძნებსა და ბარბაროსებს შორის ისეთივე განსხვავება არსებობს, როგორც ადამიანებს და ცხოველებს შორის.“ ანტიკურ ხანაში კერძო სამართლისათვის დამახასიათებელი იყო პიროვნების პრინციპი, რომლის მიხედვითაც პიროვნება ექვემდებარება იმ ადგილის სამართალს, სადაც ის დაიბადა - lex originis. სასამართლოები მიმართავდნენ საკუთარ სამართალს ე.წ. lex fori-ს (ტერიტორიულობის პრინციპი). სამართალი უცხოელებზე არ ვრცელდებოდა, რამდენადაც უცხოელი უცხო კერპებს ეთაყვანებოდა და არ შეიძლება ადგილობრივ კანონებს ექვემდებარებოდნენ.

ბერძნელ ქალაქში ყველა ბერძნის მიმართ მოქმედებდა ადგილის სამართალი - lex fori. უცხოელებთან მიმართებაში ჩამოყალიბდა ე.წ. სტუმარ-მასპინძლობის პრინციპი და მეორეს მხრივ ამ ურთიერთობებს სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებები აწესრიგებდა.

ბერძნული და არაბერძნული („ბარბაროსთა“) სამართალი ერთმანეთისგან გაყოფილი იყო. ეგვიპტესთან მიმართებაში არსებობდა როგორც ბერძნული, ისე ეგვიპტური სასამართლოები, ნოტარიუსები, ე.წ. „ენქორული“ სამართალი. ასე, მაგალითად, თუ ბერძნული სამართალი კრძალავდა და-ძის ქორწინებას, ეგვიპტეში სამართალი უშვებდა ამას.

დროთა განმავლობაში ეს ორი სამართალი შეერწყა ერთმანეთს. მეფის განკარგულება აწესრიგებდა თუ რომელი სასამართლო იყო კომპეტენტური კონკრეტულ საქმეზე, ბერძნული თუ ეგვიპტური. ბერძნულ ენაზე შედგენილი დოკუმენტის შემთხვევაში მოქმედებდა ბერძნული სამართალი, ხოლო იეროგლიფებით დაწერილ საქმეზე უპირატესობა ენიჭებოდა ენქორულ, ანუ ეგვიპტურ სამართალს.

ანტიკური რომის სამართალი დიდმა გერმანელმა იურისტმა, რუდოლფ ფონ იერინგმა, თაყის ცნობილ ნაშრომში „რომაული სამართლის გონი", ასე შეაფასა:

„რომმა სამგზის დალაშქრა მსოფლიო: პირველად - თავისი იარაღით, მეორედ - თავისი რელიგიით, მესამედ - სამართლით და სამივე შემთხვევაში გააერთიანა მსოფლიო: პირველ შემთხვევაში - ერთიანი სახელმწიფოს სახით, მეორე შემთხვევაში - ერთიანი აღმსარებლობით, მესამე შემთხვევაში კი - ერთიანი სამართლის მეშვეობით". ეს უკანასკნელი ლაშქრობა იყო ყველაზე უსისხლო და გამორჩეული იმ სამთა შორის.

თანამედროვე სამართლის სხვა სფეროებთან ერთად, საერთაშორისო კერძო სამართალიც დიდად არის დავალებული რომის სამართლისაგან. თაყის დროზე რომის სამართლის მიერ იყო ჩამოყალიბებული დღეს მოქმედი ძირითადი კოლიზიურსამართლებრივი პრინციპები. რომაელები თავის მოქალაქეებს („რომაელებს") რომაულ სამართალს უქმნიდნენ. რომის აღმოსავლურ პროვინციებში მოქმედებდა ბერძნული სამართალი.

ჩვ. წ. აღ-მდე რომის იმპერატორმა კარაკალლამ ყერ შესძლო რომის სამართლის გავრცელება სხვა ტერიტორიებზე და ხალხებზე. მხოლოდ იუსტინიანეს ხვდა წილად ერთიანი რომაული სამართლის ჩამოყალიბება.

რომში უცხოელს არაფითარი უფლება არ გააჩნდა. მხოლოდ სტუმარ-მასპინძლობის ადათი ითვალისწინებდა უცხოელთა დაცვას. მასპინძელი უფლებამოსილი იყო უცხოელის წარმოშადგენელი ყოფილიყო სასამართლოში. აქასთან, სტუმრის

საერთლეებრივი პრეტენზიები სასამართლოში მასპინძელს, როგორც საკუთარი, ისე უნდა წარედგინა. მეფობის დამხობის შემდეგ რომში დაიწყო ხელშეკრულებების დადება უცხო ქვეყნებთან, სადაც უცხოელთა დაცვა უშუალოდ იყო დაკავშირებული რომის სამართალთან.

ჩვ. წ. აღ-მდე 242 წლიდან რომის იმპერიის დაცემამდე (476 წ.) ფუნქციონირებდა უცხოელთა და რომაელთა დავების განმხილველი სასამართლო პალატა (pretor peregrinus). რომაელ მოქალაქეთა სამართლის jus civile-ს გვერდით ჩამოყალიბდა უცხოელთა სამართალი - jus gentium. ეს უკანასკნელი აწესრიგებდა არა მარტო უცხოელებს შორის ურთიერთობას, არამედ რომაელებსა და უცხოელებს შორისაც.

ასე, მაგალითად უცხოელსა და რომაელს შორის ქორწინება ნამდვილი იყო მაგი მშობლიურ სამართალზე დაყრდნობით. იმ შემთხვევაში, თუ მამას მიენიჭებოდა რომის მოქალაქეობა, მისი ვაჟიც რომაელად ითვლებოდა. უცხოელს ყოველთვის ჰქონდა უფლება მიემართა თავისი მშობლიური სამართლისათვის.

დელიქტური ნორმების შემთხვევაში წინა პლანზე იწევდა ტერიტორიული პრინციპი და უცხოელი ხვდებოდა რომის დელიქტური სამართლის დაქვემდებარებაში.

იტალიის ფარგლებს გარეთ, პროვინციებში, მოქმედებდა ადგილობრივი კერძო სამართალი. იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში გაბატონებული იყო ბერძნული სამართალი. რომის იმპერიის დაცემის წინ, რომის სამართალი ყრცელდებოდა მთელს იტალიაზე, გალიაზე, ესპანეთზე, ჩრდილოეთ აფრიკასა და დუნაის სახელმწიფოებზე.

ჰოლანდიელი იურისტის ი. ფიტის აზრით, ხალხთა შორის მშვიდობიანი ყაჭრობის განვითარებამ წარმოშვა მისი ორგანიზების აუცილებლობა. ამით საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარებაში ვაჭრობამ დიდი როლი შეასრულა.

გაიუსის, ციცერონის და ულპიანეს ნაშრომებში დასაბუთებული იყო ისეთი სამართლის შექმნის იდეა, რომლის ბაზაზეც შესაძლებელი გახდებოდა ხალხთა შორის კავშირურთიერთობის დამყარება.

დასაყლეთ ევროპაში საერთაშორისო კერძო სამართლის წარმოშობა უკავშირდება ჩრდილო იტალიის ქალაქებს (ბოლონია, ვენეცია, გენუა, პიზა და სხვა) შორის ფართო სავაჭრო კავშირურთიერთობის განვითარებას XIII-XV სს. ამ ქალაქებს ჰქონდათ ადგილობრივი ჩვეულებების საკუთარი კოდიფიკაციები, რომელთაც მიიღეს სტატუტის სახელწოდება. თავდაპირველად თითოეული ქალაქი საკუთარ სამართალს იყენებდა, მაგრამ სხვა ქალაქის მიმართ საკუთარი სამართლის გამოყენებამ ერთგვარი წინააღმდეგობა გამოიწვია. იმ დროის იურისტებმა დაიწყეს გამოსაყლის მოძებნა რომის სამართლის განმარტებით და მისი გამოყენება. ამ პერიოდიდან წარმოიშვა გლოსატორების თეორია (XIII ს.). (სიტყვა „გლოსსა“ ნიშნავდა მოკლე განმარტებას).

გლოსატორები იუსტინიანეს დიგესტებს უკეთებდნენ ხელნაწერ შენიშვნებს, გლოსებს, რომელიც შემდგომში სტატუტების თეორიის წარმოშობას დაედო საფუძვლად: I გლოსა ასეთი შინაარსისა იყო: „თუ ბოლონიის მცხოვრების მიმართ აღძრულია სარჩელი მოდენაში, ის არ შეიძლება გასამართლდეს მოდენის კანონით, რადგანაც ამ კანონს არ ექვემდებარება.“

ჯერ კიდევ XII საუკუნეში გლოსატორული სკოლის წარმომადგენელმა ალდრიკუსმა საფუძველი ჩაუყარა სამართლის არჩევის ავტონომიას.

XIV საუკუნიდან გლოსატორებს ცვლიან პოსტგლოსატორები. როგორც საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინის ფუძემდებლები, ისინი ახდენენ რომის სამართლის ტექსტების ფართო კომენტირებას.

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში ბართოლი (1314-1357 წ.წ) მიჩნეულია საერთაშორისო კერძო სამართლის კატეგორიების ჩამომყალიბებელ მეცნიერად.

ბართოლის მოწაფე ბალდი (1327-1400წ.წ.) საერთაშორისო კერძო სამართლის ბრწყინვალე წარმომადგენელია. იგი სტატუტების სამ კონკრეტულ სახეს გამოიყოფს:

1. statuta personalia - პიროვნებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები;

2. statuta realia - სტატუტი ერთ ქალაქ-სახელმწიფოს ტერიტორიაზე გავრცელებული ნორმებზე

3. statuta mixtra - ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები.

XVI საუკუნეში საფრანგეთში სამოქალაქო სამართლის არ არსებობის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამხარეო ხასიათის კოლიზიებს.

ამავე პერიოდში ფრანგმა იურისტმა შარლ დიუმლენმა (1500-1566 წ.წ.) ჩამოაყალიბა მხარეთა ნების ავტონომიის თეორია. ხელშეკრულების მონაწილეებს შეეძლოთ გამოეყენებინათ ურთიერთშეთანხმებებით შერჩეული კანონი.

XVII საუკუნის ჰოლანდიურმა სკოლამ საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარებაზე დიდი როლი შეასრულა. ამ სკოლის წარმომადგენელთა მოსაზრებით, ყველა სტატუტს ტერიტორიული ხასიათი აქვს და ის უნდა გავრცელდეს მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ ყველა პირის მიმართ. ჰოლანდიური სკოლის მოძღვრებაში ერთმანეთს დაუპირისპირდა ბუნებითი სამართლისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპები. მოძღვრება გულისხმობს უცხო ქვეყნის ისეთი კანონების გამოყენებას, რომელიც არ დააზარალებს ამ სახელმწიფოების სუვერენიტეტს და დაემყარება საერთაშორისო პატივისცემის პრინციპებს.

სტატუტების იტალიური მოძღვრება ფრანგებმა მეტად განავითარეს. გვიან შუა საუკუნეებში საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარება დაკავშირებულია ნიდერლანდებთან (ჰოლანდია), რომელზეც, თავის მხრივ საფრანგეთის იურიდიულმა აზროვნებამ მოახდინა გავლენა. არანაკლებ საინტერესოა გერმანელი, ინგლისელი და ამერიკელი მოაზროვნეები, რომელთა ძიერ ჩამოყალიბებული თეორიები დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალობას.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმების აღმოჩენა შუა საუკუნეების საქართველოს სამართლებრივ ძეგლებში.

XVII საუკუნეში ნიდერლანდელმა მკვლევარმა, სახელმწიფო სუვერენიტეტზე დაყრდნობით, ზოგადად, უარყვეს უცხო ქვეყნის

სამართლის გამოყენება. მაგრამ ისეთ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენება მოხდებოდა, მისი საფუძველი უნდა ყოფილიყო მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი თავაზიანობის (comitas) აქტი. ამრიგად, უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენება უნდა განხორციელებულიყო კონკრეტული ქვეყნის სახელმწიფო სუვერენიტეტის დაზიანების გარეშე.

ნიდერლანდური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ პაულ ფოეტი, მისი ყაყი იოჰანეს ფოეტი და ულრიხ ჰუბერი.

თავი II. პირები საერთაშორისო კერძო სამართალში.

2.1 ფიზიკური პირები საერთაშორისო კერძო სამარ-თალში (სკს)

საქართველოს სკს კანონის 21-ე მუხლის თანახმად უცხო ქვეყნის ფიზიკურ პირებს, აგრეთვე, მოქალაქეობის არმქონე პირებს, აქვთ ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, როგორიც საქართველოს მოქალაქეებს.

ამ პრინციპიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ საქართველოს ფიზიკურ პირთა მიმართ, მაგალითად, შვეიცარიაში, არსებობს კანონით განსაზღვრული ნორმა ამა თუ იმ უფლების შეზღუდვის შესახებ, კერძოდ, მემკვიდრეობის მიღებაში, მაშინ შვეიცარიის ფიზიკურ პირთა მიმართ საქართველოში შეიძლება გამოყენებული იქნეს ანალოგიური შეზღუდვები.

ადამიანის უფლებაუნარიანობა პირველად „ადამიანის უფლებათა შესახებ" 1948 წლის დეკლარაციაში განმტკიცდა. საერთაშორისო კერძო სამართალი ადგენს თუ რომელი სამართალით განისაზღვროს ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.

საერთაშორისო კერძო სამართლის მეორე მნიშვნელოვანი პრინციპია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპი, მაგალითად, გფრ-ში 1979 წლამდე განქორწინების შემთხვევაში გამოიყენებოდა მხოლოდ იმ ქვეყნის სამართალი, რომელი ქვეყნის მოქალაქეც იყო მამაკაცი. გერმანიის 1979 წლის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის თანახმად, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე მეუღლეთა განქორწინების შემთხვევაში გამოიყენება ორივე მეუღლის საერთო საცხოვრებელი ადგილის (ქვეყნის) სამართალი.

ადამიანთა უფლებები შეზღუდული იყო საბჭოთა კავშირში. ასე, მაგალითად, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 15 თებერვლის ბრძანებულების თანახმად, საბჭოთა მოქალაქესა და უცხოელებს შორის ქორწინება აკრძალული იყო. ამით იზღუდებოდა როგორც საბჭოთა მოქალაქის საქორწინო

უფლებაუნარიანობა, ასევე უცხოელის საოჯახო უფლებები ქვეყნის ტერიტორიაზე. მოგვიანებით ეს წესი შეიცვალა.

„მოქალაქეობრივი და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ" საერთაშორისო პაქტით [გაეროს გენერალური ასამბლეის 1966 წ. 16 დეკემბერს (ძალაში შეეყიდა 1976 წ. 23.03) იქნა მიღებული] საერთაშორისო თანამეგობრობაში შემავალმა ქვეყნებმა ვალდებულება აიღეს თავიანთი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე დაიცვან პაქტით აღიარებული ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები. წევრი სახელმწიფოების ვალდებულებები ვრცელდება მის ტერიტორიის ფარგლებში მყოფ ყველა პირზე, მიუხედავად მოქალაქეობისა.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1976 წ. 7 ნოემბერს მიღებულია „დეკლარაცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ". ქალის მიმართ დისკრიმინაცია გამოცხადდა ადამიანის ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად.

ისტორიულად ყველა ერის თანასწორუფლებიანობის პრინციპის აღიარებას ბიძგი მისცა საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ. მოხდა ზოგიერთი გამონაკლისის დაწესება უცხოელ ფიზიკურ პირთა გადაადგილების, მათ მიერ განსაზღვრული თანამდებობის დაკავების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული უფლებების და სხვა სახის შეზღუდვებში, რაც კანონმდებლობით უნდა დადგინდეს.

მოსახლეობაში შეიძლება გამოყოფილ სხვადასხვა კატეგორიის ერთმანეთისაგან განსხვავებული სუბიექტები:

ა) კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეები;

ბ) უცხოელი მოქალაქეები;

გ) მოქალაქეობის არმქონე პირები (აპატრიდები);

დ ორი მოქალაქეობის მქონე პირები (ბიპატრიდები);

ე) პირები, რომელთა მოქალაქეობა დაუდგენელია.

საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები ვრცელდება, აგრეთვე, გადაადგილებული პირების, დევნილების და იმ პირების მიმართ, რომელთაც პოლიტიკური თავშესაფარი ეკუთვნით.

საერთაშორისო მასშტაბით შეეუშავებულია მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებიც

მოსახლეობის ზემოთ აღნიშნულ კატეგორიებს შეეხებიან.

თანამედროვე პირობებში უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის მოაწესრიგებელი ნორმები არ ქმნის სამართლის დამოუკიდებელ დარგს.

გფრ-ში, აუსტრიაში დეტალურად რეგულირდება უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობა. „უცხოელების სამართალი" განიხილება როგორც ადმინისტრაციული სამართლის ქვედარგი.

XX საუკუნისათვის დამახასიათებელია უცხოელთა რიცხვის ზრდა გერმანიაში - 7 მილიონამდე, იტალიაში - 1 მილიონი. 1990 წლის მონაცემებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მუშა-ემიგრანტების რიცხვმა 12 მილიონი შეადგინა. **საქართველოდან ემიგრირებულ პირთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. არაოფიციალური მონაცემებით მათი რიცხვი 2 მლნ-ს აღწევს.** ემიგრანტთა ნაკადი საცხოვრებლად, ძირითადად, გადასულია რუსეთში, აშშ-ში, გფრ-ში, ისრაელში, საბერძნეთში.

„უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონის მოთხოვნა ეროვნული რეჟიმის მინიჭების შესახებ გულისხმობს: „საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციით და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა" (მუხლი 74).

საქართველოს კანონმდებლობით, უცხოელებს შეუძლიათ საკუთრებაში აქონდეთ ქონება, მემკვიდრეობით მიიღონ ან ანდერძით დატოვონ სამკვიდრო, ჰქონდეთ სამეცნიერო, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაშრომების, აღმოჩენის, გამოგონების, სამრეწველო ნიმუშების ავტორობის უფლება და სხვა.

უცხოელს უფლება არა აქვს მოითხოვოს პრივილეგიები, ან მის სასარგებლოდ საქართველოს საკანონმდებლო ნორმებთან რაიმე გამონაკლისის დაშვება.

კანონმდებლობით „უცხოელი მოქალაქეები საქართველოში თანასწორნი არიან კანონის წინაშე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, საქმიანობის სფეროს და სხვა გარემოებათა მიუხედავად"

(მუხლი 9, პუნქტი 3). თეთრკანიანებსა და შაყკანიანებს შორის ქორწინების აკრძალვას ჩვენთან ძალა არ გააჩნია.

სხვა სახელმწიფოების საკანონმდებლო აქტებში არსებული წესები, რომლებიც აწესებენ ქმრის ძალაუფლებას ცოლებზე, წყვეტენ მოქმედებას ამ ქვეყნის მოქალაქეებისათვის, როდესაც ისინი საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან. ცოლს ქმრის ნებართვის გარეშე შეუძლია მიეწყოს საშუშაოზე, განკარგოს თავისი ქონება, ბიმართოს სასამართლოს და სხვა.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპი საქართველოს კანონმდებლობისათვის ახალი არ არის, ეს პრინციპი საბჭოთა საქართველოს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი იყო. ზოგიერთ სახელმწიფოში ეს თანასწორობა არც თუ ისე ხანდაზმულია.

მაგალითად, **საფრანგეთში ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა 1985 წლის 25 დეკემბრის კანონით იქნა განმტკიცებული. ამ კანონის მიღებამდე ქმარი ითვლებოდა ოჯახის უფროსად. ქმარი ერთპიროვნულად განაგებდა მეუღლეთა საერთო ქონებას. ცოლის უფლებაუნარიანობა შეზღუდული იყო ავსტრიის სამოქალაქო სამართალშიც. ურთიერთდაქვემდებარება არსებობდა როგორც ქმარსა და ცოლს შორის, ასევე მამასა და შვილს შორის ურთიერთ-დამოკიდებულებაშიც. შვილებზე მშობლების უფლებების განხორციელება მამის კომპეტენციას შეადგენდა. ცოლის საცხოვრებლად ითვლებოდა ქმრის საცხოვრებელი ადგილი, რაც ზოგიერთ ქვეყანაში დღემდეა შენორჩენილი.**

უცხოელებს შეუძლიათ მუდმივად იცხოვრონ საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით გაცემული მუდმივად ცხოვრების ნებართვისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე.

საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვა უცხოელებზე გაიცემა: თუ უცხოელი წარმოშობით ქართველია ან საქართველოს მოქალაქის მშობელი, მეუღლე, 18 წლამდე ასაკის ან

სრულწლოვანი არაქმედუნარიანი შვილია, ან თუ უცხოელი საქართველოს მოქალაქის მეურყეობაში, ან მზრუნველობაში მყოფი პირია, ასევე თუ უცხოელი საქართველოს მოქალაქის მეურვე ან მზრუნველია (მუხლი 5).

უცხოელებისათვის საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ეს გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან. ამის შესახებ უნდა არსებობდეს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება.

საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს შეუძლიათ დაიკავონ ნებისმიერი თანამდებობა, ან ხელი მიჰყონ ნებისმიერ შრომით საქმიანობას, რომელიც არ იკრძალება საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს კანონმდებლობა იცავს იმ მოქალაქეობის არმქონე პირების სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას და სხვადასხვა სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში.

უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს კანონი, პატივი სცენ ქართულ კულტურას და ტრადიციებს.

უცხოელების დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობის მეთაურებსა და თანამშრომლებზე, აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, პრივილეგიებითა და იმუნიტეტით სარგებლობენ, არ ვრცელდება უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელი სპეციალური კანონის ნორმები, რადგან ეს პირები საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად თავისუფლდებიან საქართველოს განსჯადობისაგან.

არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა უცხოელების სამოქალაქო უფლებები შეიძლება შეიზღუდოს. საქართველოს კანონმდებლობით, სახელმწიფოს უფლება აქვს აკრძალოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა გაწევრიანება პოლიტიკურ გაერთიანებებში. ასევე, მათ უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ საქმიანობაში, ან დააფუძნონ პოლიტიკური გაერთიანებანი, აირჩიონ ან არჩეული

იქნენ სახელმწიფო ორგანოებში, მონაწილეობა მიიღონ საერთო-სახალხო რეფერენდუმში, არჩეული იქნენ გარკვეულ თანამდებობაზე. საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება არჩეული იქნეს საარჩევნო უფლების მქონე, დაბადებით საქართველოს მოქალაქე, ასევე მხოლოდ საქართველოს მოქალაქე შეიძლება იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით, ნებისმიერი ფიზიკური პირი შეიძლება იყოს კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. ყველა ადამიანს გააჩნია უფლებაუნარიანობა და არაფის არ შეიძლება წაერთვას ეს უფლება.

უფლებაუნარიანობა წარმოიშვება დაბადების მომენტიდან და გულისხმობს პირის უნარს, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (მუხლი 11, პუნქტი 2).

იმისათვის, რომ ფიზიკურმა პირმა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სამოქალაქო უფლებები პრაქტიკაში განახორციელოს, საჭიროა ქმედუნარიანობა.

„ქმედუნარიანობა არის პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები“ (მუხლი 12).

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი ადგენს, თუ რომელი სამართლით განისაზღვრება უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამოქალაქო სამართლებრივი და პროცესუალური უფლებები, აგრეთვე, იმ პირთა უფლებები, რომლებიც რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეა ან მოქალაქეობის დადგენა შეუძლებელია.

საქართველოში ეროვნული რეჟიმის მინიჭება უცხოელებისათვის შეიძლება ატარებდეს პირობით ხასიათს და ნაცვალგების პრინციპებიდან გამომდინარეობდეს, თუ სხვა ქვეყანაში შეიზღუდება საქართველოს ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. საქართველოს მიერ ადექვატური შეზღუდვების დაწესება ხორციელდება სათანადო სამართლებრივი ნორმების დადგენით.

„ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის საკანონმდებლო, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება (მუხლი 23), აცხადებს საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი (სსკსკ).

რამდენიმე ქვეყნის მოქალაქის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის საკანონმდებლო, სადაც პირს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ეწევა ძირითად საქმიანობას. მოქალაქეობის არ მქონე პირის და იმ პირის მიმართ რომლის მოქალაქეობის დადგენა შეუძლებელია, გამოიყენება ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის საკანონმდებლო ან იმ ქვეყნის საკანონმდებლო, სადაც ასეთი პირები ეწევიან ძირითად საქმიანობას (მუხლი 22).

საქართველოს კანონი ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევს ადგილს, რომელსაც ის ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. **საერთაშორისო კერძო სამართლის თანახმად „ჩვეულებრივ საცხოვრებლად" მიიჩნევა პირის ძირითადი, უმთავრესი ადგილსამყოფელი. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც პირის ფაქტობრივ ყოფნას მოცემულ ადგილზე, ასევე მის ნება-სურვილს, ამ ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი.**

უცხოელმა ჯერ უნდა მიიღოს ნებართვა სახელმწიფოსაგან ცხოვრების უფლების თაობაზე, სოლო შემდეგ აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.

პირის სახელის შეცვლა ხდება სახელმწიფო ორგანოს აქტის საფუძველზე. ასეთია მოქალაქეობის ორგანო ქვეყანაში.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით (სსკსკ) ფიზიკური პირის სახელთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის კანონით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება. (მუხლი 26).

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით სახელის ცნებაში შედის პირის გვარიც. ნებისმიერი მოქალაქე ვალდებულია სახელის შეცვლის შემთხვევაში აცნობოს ამის შესახებ დებიტორებსა და კრედიტორებს.

საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 22), ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გაყიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეებს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

უცხო სახელმწიფოში საქართველოდან გასული მოქალაქე ექცევა იმ სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ, მაგრამ ის ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

„საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეებს, განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა“ (საქ. კონსტიტუცია, მუხლი 13). ანალოგიური დებულებაა განმტკიცებული კანონით საქართველოს მოქალაქეობის შესახებ: „უცხოეთში საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, როგორც თავის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ, იცავს საქართველო“ (მუხლი 6).

საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობა ყალდებულია უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეების დაცვა და მფარველობა, რომელიც დადგენილია კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

საქართველოს საკონსულოები საზღვარგარეთ აწარმოებენ დაბადების, ქორწინების და განქორწინების, შვილად აყვანის, მამობის დადგენის, სახელის შეცვლის, გარდაცვალების რეგისტრაციას. ასევე, აწარმოებენ მოქალაქეობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ სხვა აქტებს. საკონსულოები ამოწმებენ გარიგებებს, იცავენ საძეძკვიდრეო ქონებას, გასცემენ მოწმობას მემკვიდრეობის შესახებ, ამოწმებენ დოკუმენტებზე ხელმოწერებს, იღებენ დეპოზიტზე ფულად თანხებს და სხვა ფასიან ქაღალდებს.

საქართველოს კანონმდებლობით ძირეულად განსხვავდება საბჭოთა წყობილების დროს არსებული საკუთრების უფლების შესახებ კანონმდებლობისაგან. დაშუებულია კერძო საკუთრება წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე, ე.შ. მიწაზე.

მესაკუთრის უფლების მოცულობა და შინაარსი განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, სადაც სიკვდილი იმყოფება. ამდენად, უცხოეთში საქართველოს მოქალაქეს და უცხოელს საქართველოში შეუძლია

განახორციელოს თავის ქონებასთან დაკავშირებული ყველანაირი უფლებამოსილება, რაც ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობით არის დადგენილი. უცხოეთში მყოფ ფიზიკურ პირთათვის ქონებრივი უფლებებით სარგებლობის შეზღუდვა ან საკუთრების უფლების ჩამორთმევა დაუშვებელია და განიხილება, როგორც დისკრიმინაცია მათ მიმართ.

2.2 იურიდიული პირები საერთაშორისო კერძო სამართალში

„იურიდიული პირი" გერმანული წარმოშობისაა. პირველად მისი გამოყენება უკავშირდება გუსტავ ჰუგოს სახელს. თანამედროვე მსოფლიოში გამოიყენება როგორც მორალური პირის persona morale (ავსტრია, უნგრეთი), ასევე იურიდიული პირის - juristische person (შვეიცარია, ჰოლანდია) ცნებები.

საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მისედვით, იურიდიული პირი არის ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია განცალკევებული ქონება, თავისი სახელით შეუძლია მოიპოვოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობები. იურიდიულ პირს შეუძლია იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, არბიტრაჟში ან სამედიატორო სასამართლოში.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით, **იურიდიული პირი არის საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი. იგი თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და იძენს უფლებებს და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ** (მუხლი 24).

საქართველოს კანონმდებლობა ცნობს როგორც კერძო, ისე საჯარო სახის იურიდიულ პირებს. კერძო სამართლის იურიდიული პირები იყოფა კომერციულ და არაკომერციულ იურიდიულ პირებად. **კომერციულ იურიდიულ პირებს განეკუთვნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგა-**

დოება და სხვა. არაკომერციული იურიდიული პირებია ფონდები და კავშირები.

საჯაროსამართლის იურიდიულ პირებს განეკუთვნება, უწინარეს ყოვლისა, ოყოთინ სახელმწიფო. იგი თავისი ორგანოების მეშვეობით გამოდის სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში; საჯარო სამართლებრივი კორპორაციები: მუნიციპალიტეტი, საქენერგო, საქგაზი, ეროვნული ბანკი და სხვა; საჯარო-სამართლებრივი დაწესებულებები: ტელე-რადიო, სახელმწიფო ბიბლიოთეკა და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა სხვადასხვა დროს წარმოიშობა; იურიდიული პირისა კი ორივე ერთდროულად აღმოცენდება. ეს მომენტები დაკავშირებულია იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის, ოფიციალურად წარმოშობასთან.**

უწინარეს ყოვლისა, კოკნკრეტული ქვეყნის სამართალი უნდა ცნობდეს იურიდიულ პირად ამ ორგანიზებულ წარმონაქმნს. ამის შემდეგ სამართალი აწესრიგებს იურიდიული პირის დაფუძნებასთან დაკავშირებულ პროცესებს: დამფუძნებელი დოკუმენტების შედგენას, მათ ხელისმოწერას, სანოტარო წესით დამოწმებას და ა.შ.

სხვადასხვა ქვეყნის სამართალი არაერთგვაროვნად წყვეტს იურიდიული პირის უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის საკითხებს. **გერმანული სამართლის წრის ქვეყნები: ავსტრია, გერმანია, შვეიცარია - აღიარებენ იურიდიული პირის ზოგადი უფლებაუნარიანობის პრინციპს. ანალოგიურადაა საქართველოშიც.**

ზოგადი უფლებაუნარიანობის თეორიის თანახმად, იურიდიულ პირებს უფლება აქვთ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, იურიდიული პირი შეიძლება იყოს როგორც ნივთების, ასევე უფლებებისა და მოთხოვნების მესაკუთრე, მეპკეიდრე, კომერციული იურიდიული პირის პარტნიორი და სხვა.

ფიზიკურ პირს არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაეთვალოს უფლებაუნარიანობა. იურიდიული პირისათვის ეს შესაძლებელია, თუ მისი მოქმედება ეწინააღმდეგებაკანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. განსხვავებით ფიზიკური პირისაგან, იურიდიული პირის მონაწილეობა საოჯახო ურთიერთობებში შეუძლებელია.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის (სსკსკ) 24-ე მუხლის საფუძველზე, იურიდიული პირის პირადულ კანონად ითვლება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი.

სსკს კანონმდებლობით, უცხოური იურიდიული პირები, ეროვნული რეჟიმის თანახმად სარგებლობენ საქართველოს იურიდიული პირების თანაბარი უფლებაუნარიანობით და ქმედუნარიანობით. გამონაკლისი, ამ მხრივ დაიშვება, თუ უცხო ქვეყანაში მოქმედებს საქართველოს იურიდიული პირების უფლებების შემზღუდველი ნორმები (მუხლი 21).

საკუთარი სახელი იურიდიულ პირს შესაძლებლობას აძლევს შეიძინოს უფლებები და იკისროს მოვალეობები, დადოს გარიგებები, იყოს მოსარჩელე, მოპასუხე და ა.შ. - იყოს ყველა იმ ურთიერთობის მონაწილე, რასაც სამოქალაქო კანონმდებლობა ანიჭებს.

სსკს ადგენს, თუ რომელი ქვეყნის სამართლით წესრიგდება იურიდიული პირის ფირმის სახელწოდების საკითხი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იურიდიული პირის ადმინისტრაციის ფაქტობრივ ადგილსამყოფელს.

იურიდიული პირის საქმიანობა, იურიდიული პირის შექმნა, რეორგანიზაცია (ლიკვიდაცია), უფლება-უნარიანობის მოცულობა და ა.შ. რეგულირდება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელსაც ეკუთვნის იურიდიული პირი, ანუ იურიდიული პირის პირადი კანონით.

იურიდიული პირის პირად სტატუსად აღიარებულია იურიდიული პირის მართვის ადმინისტრაციული ცენტრის ადგილმდებარეობა.

იურიდიული პირის ეროვნულობა განისაზღვრება იურიდიული პირის ადმინისტრაციული ცენტრის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით; სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ეს წესი გამოიყენება იურიდიული პირის ფილიალის მიმართაც.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, იურიდიული პირის საფირმო სახელწოდების საკითხი წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ადგილსამყოფელი. ეს წესი გამოიყენება იურიდიული პირის ფილიალის მიმართაც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლით განისაზღვრება კერძო სამართლის სუბიექტების წრე: კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო „საქართველოსა თუ სხვა ქვეყნების პირების მიმართ".

საქართველოში უცხოური იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

საქართველოში ადმინისტრაციის ადგილსამყოფელის მქონე უცხოური იურიდიული პირები უნდა დაემორჩილონ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამის ნორმებს.

სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობის მიზნით შექმნილი იურიდიული პირი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის მოთხოვნებს.

უცხოურ იურიდიულ პირებს უფლება აქვთ საქართველოს იურიდიულ პირებთან, ყოველგვარი სპეციალური ნებართვის გარეშე, დადონ სავაჭრო გარიგებები და განახორციელონ მასთან დაკავშირებული საანგარიშსწორებო, დაზღვევისა და სხვა ოპერაციები, დაიცვან თავიანთი კანონიერი ინტერესები სასამართლოში.

უცხოური იურიდიული პირებს შეუძლიათ შექმნან თავიანთი ფილიალები საქართველოს ტერიტორიაზე, განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა. მისი სუბიექტები შეიძლება იყვნენიურიდიული პირები, უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არ მქონე პირები.

სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად სახელმწიფო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს კერძო სამართლის იურიდიული პირების შესაბამისად. სახელმწიფო უფლებამოსილებებს ახორციელებენ მისი ორგანოები: სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები და ა.შ., ისე, რომ თვით ეს ორგანოები არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. სახელმწიფოს შეუძლია შექმნას სხვადასხვა შინაარსის მრავალი იურიდიული პირი განსაზღვრული ამოცანების სარეალიზაციოდ.

სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ კერძო სამართლის იურიდიული პირების ანალოგიურად. სახელმწიფოს მიერ შექმნილი იურიდიული პირები არ სარგებლობენ იმუნიტეტით, რომელიც სახელმწიფოს აქვს მინიჭებული.

საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს უშუალოდ მონაწილეობას მისი ორგანოების მეშვეობით, სახელმწიფოს აძლევს იმუნიტეტით სარგებლობის უფლებას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი თავისუფალია სხვა სახელმწიფოს იურისდიქციისაგან, ანუ მის მიმართ სხვა სახელმწიფოს სასამართლო თუ სხვა ორგანოების მხრივ იძულებითი ღონისძიებების გამოყენებისაგან. იმუნიტეტი ორგანულადაა დაკავშირებული სახელმწიფოს სუვერენიტეტთან. ყველა სახელმწიფო, როგორც სუვერენული, თანასწორია. საერთაშორრისო სამართლის ეს ფუნდამენტური პრინციპი გამოხატულია გამოთქმაში: „თანასწორს არა აქვს ძალაუფლება თანასწორზე" („Par in parem non habet imperium"), რაც იმას გულისხმობს, რომ „თანასწორს არა აქვს იურისდიქცია თანასწორზე" („Par in parem non habet jurisdictionem"). საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 61-ე მუხლის თანახმად

„საქართველოს სასამართლოების განსჯადობა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესების ან სამართლის სხვა ნორმების შესაბამისად თავისუფლდებიან საქართველოს განსჯადობისაგან.

აქედან გამომდინარე:

1. საქართველოს, როგორც საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეს, შეუძლია აღძრას სარჩელი ამ ურთიერთობის მონაწილე მეორე მხარის მიმართ, საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით დადგენილი წესების დაცვით;

2. საქართველოს სახელმწიფოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ურთიერთობებში, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო იურიდიული თუ ფიზიკური პირები;

3. საქართველოს წინააღმდეგ არ შეიძლება სარჩელის აღძვრა უცხო სახელმწიფოს სასამართლოში ან სხვა ორგანოში;

4. უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ არ შეიძლება აღიძრას სარჩელი სასამართლოში მისი წინასწარი თანხმობის გარეშე;

5. საქართველოს როგორც საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილის, წინააღმდეგ შეიძლება სარჩელის აღძვრა უცხო სახელმწიფოს სასამართლოში (არბიტრაჟში) მხოლოდ საქართველოს თანხმობით.

სახელმწიფო შეიძლება გამოვიდეს სუბიექტის სახით ისეთ ურთიერთობებში, რომელიც დაკავშირებულია სესხთან, ობლიგაციების გამოშვებასთან, რომლებიც უცხოელებზე გაიყიდება; საზღვარგარეთ მშენებლობასთან დაკავშირებულ საქართველებრივ ურთიერთობებში, მიწის არენდით აღებასთან ან ბინის დაქირავებასთან. ყველა შემთხვევაში ეს გარიგებები იდება სავაჭრო წარმომადგენლობების, ან საელჩოების მიერ სახელმწიფოს სახელით: შესაძლებელია სახელმწიფო გამოვიდეს ბეითალმანი ქონების მემკვიდრედ, რომელიც დარჩა ამ სახელმწიფოს გარდაცვლილ მოქალაქეს საზღვარგარეთ, ან მესაკუთრედ ანდერძის საფუძველზე.

სახელმწიფო, როგორც ხელისუფლების სუბიექტი, თავისი სუვერენიტეტის ძალით მოქმედებს. ხოლო მეორე შემთხვევაში,

გამოდის რა ქონებრივ ურთიერთობებში სუბიექტის სახით, თვითონვეა იურიდიული პირი. დასაყლეული ზოგიერთი ავტორის აზრით, სახელმწიფო არ არის იურიდიული პირი. ის ქონებრივ ურთიერთობებში გამოდის როგორც სამართლის განსაკუთრებული სუბიექტი. იურიდიული პირის კატეგორია, ეს არის სახელმწიფოს ეროვნული სამართლის კატეგორია. თვითონ სახელმწიფო განსაზღვრავს, რომელი ორგანიზებული წარმონაქმნი წარმოადგენს იურიდიულ პირს, ხოლო იმისათვის, რომ სახელმწიფო იქცეს იურიდიულ პირად, საჭიროა ზესახელმწიფოებრივი ორგანო, მსოფლიო მთავრობა, რომელიც არ არსებობს[1].

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს ხელისუფლებითი უფლებამოსილება არ ერთმევა, მაგრამ ეს კონსტიტუციური საქართველით და არა სამოქალაქო სამართლის ძალით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24 მუხლით, სახელმწიფო სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ისევე მონაწილეობს, როგორც ნებისმიერი კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი. იგი არაფრით განსხვავდება კერძო სამართლის სხვა იურიდიული პირებისაგან. ამასთან, სახელმწიფო, ერთის მხრივ, არის კანონმდებელიც, უზენაესი ხელისუფლების მატარებელი და მეორე მხრივ, ურთიერთობათა რიგითი მონაწილე[2].

იმ იურიდიულ პირთა რიცხვი, რომლებიც სხვა ქვეყნის ფარგლებში ეწევიან სამეურნეო თუ სხვა სახის საქმიანობას, 1980 წლისათვის 35 ათასამდე გაიზარდა, 170 ათასი საზღვარგარეთული ფილიალით.

საერთაშორისო მონოპოლიები ისეთი კორპორაციებია, რომელთა საწარმოო და სავაჭრო-გასაღებითი საქმიანობა თავისი სტრუქტურული ერთეულებით (ფილიალებით, შვილობილი თუ შვილიშვილი კომპანიებით), კონკრეტული ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებს სცილდება და აქტიურად იყენებს

1. М.М. Богуславский. Международное частное право. Учебник. 3-е изд., М. Юристъ 1998 - 408 с. с. 149-150.

2. ლ. ჟანტურია. შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში თბ., 1997 წ. გვ. 225.

შრომის საერთაშორისო დანაწილების ობიექტურ ტენდენციებსა და მსოფლიოს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებული პროცესებს:

ტრანსეროვნული კორპორაციების გარდა, გვხვდება გლობალური, საერთაშორისო, მულტიეროვნული, სუპერეროვნული, ეთნოცენტრული, პოლიცენტრული, გეოცენტრული, ტრანსნაციონალური და სხვა სახელწოდების კორპორაციები.

I ჯგუფი: კაპიტალით ერიოვნული, მაგრამ საერთაშორისო მასშტაბის ტრანსნაციონალური კორპორაციებია ამერიკის „ჯენერალ მოტორსი", „ფორდ მოტორსი", „ინტერნეშნლ ბიზნეს მეშინზი" და სხვა;

ევროპაში მსხვილი საერთაშორისო მონოპოლიური კორპორაციებია: „ფოლქსვაგენი", „სიმენსი" (გერმანია), „ფილიპსი" (ნიდერლანდები), „ნესტლე" (შვეიცარია);

II ჯგუფი: საერთაშორისო ორგანიზაციების ტრესტები და კონცერნები, რომელთაც ეკუთვნით რამდენიმე ქვეყნის კაპიტალი. ესენი განეკუთვნებიან: ინგლის-ჰოლანდიის ნავთობის კონცერნი „როიალ დაჩ/შელი", ინგლის-ამერიკა-კანადის ტრესტი „ინტერნეშნლ ნიკელ კომპანი ოფ კენედა". გერმანია-ბელგიის ტრესტი „ალფა-გეფერტი".

XX საუკუნეში მსოფლიო ნავთობის ინდუსტრიაში გაბატონდა უდიდესი საერთაშორისო ნავთობკომპანიები. (ე.წ. „შვიდი და").

ზემოთალნიშნული ორივე ჯგუფის მონოპოლიებს უცხო ქვეყანაში გააჩნიათ მრავალ რიცხოვანი ფილიალები, განყოფილებები, შვილობილი საწარმოები. ტრანსეროვნული კომპანიების ფილიალები თავიანთ საქმიანობას ეწევიან დედობილი იურიდიული პირის მიერ დამტკიცებული წესდების საფუძველზე.

საერთაშორისო იურიდიულ პირებად თანამედროვე საერთაშორისო დოქტრინა მიიჩნევს ისეთებს, რომლებიც უშუალოდ საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზეა შექმნილი (ასეთია, მაგალითად, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი), ან შექმნილია რამდენიმე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის საფუძველზე საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად (მაგ. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი).

„ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ“ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიღებულმა სახელმწიფოთა 1974 წლის ქარტიამ ყველა ქვეყანას უფლება მისცა, თავისი იურისდიქციის მოქმედების ფარგლებში, მოაწესრიგოს და გააკონტროლოს ტრანსეროვნული კორპორაციების საქმიანობა. ქარტიაში გამოხატულია განყოთარებული ქვეყნების მისწრაფება, დაიცვან თავიანთი ეკონომიკა ტრანსსაცეონალური კორპორაციების გავლენისაგან.

არის შემთხვევები როცა ერთ ქვეყანაში ორგანიზებული წარმონაქმნი მიჩნეულია იურიდიულ პირად, ხოლო სხვა ქვეყანაში იგი განიხილება, როგორც ფიზიკური პირების უბრალო ერთობლიობა. მაგალითად, ინგლისის სამართლით ინგლისური „პარტნერ შიპ“ („სრული ამხანაგობა“) არ ითვლება იურიდიულ პირად, მაშინ როცა საფრანგეთის კანონმდებლობით მსგავსი წარმონაქმნი იურიდიულ პირს წარმოადგენს.

იურიდიული პირის არსებობის მთავარი პირობაა მისი საკანონმდებლო ლეგიტიმაცია. მოქმედი კანონმდებლობა ამა თუ იმ წარმონაქმნს ამის შესაბამისად უნდა მიიჩნევდეს იურიდიულ პირად. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერ იქნება იურიდიული პირი.

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი ორგანიზებული წარმონაქმნის პიროვნულ კანონს განსაზღვრავს მისი სახელმწიფოებრივი კუთვნილების, მისი „ეროვნულობის“ საფუძველზე.

ტერმინი „ეროვნული“ იურიდიული პირის მიმართ განსხვავდება ფიზიკური პირის მიმართ გამოყენებული ანალოგიური ტერმინისაგან. იურიდიული პირის „პიროვნული კანონი“ იძლევა პასუხს კითხვაზე, წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის ორგანიზებული წარმონაქმნი იურიდიულ პირს. თუ ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ამხანაგობის „პიროვნული კანონი“ იქნება ინგლისის კანონი, ასეთი ამხანაგობა არ იქნება იურიდიული პირი, ხოლო წარმონაქმნის პიროვნულ კანონს თუ წარმოადგენს საფრანგეთის კანონი, მაშინ იგი მიჩნეული იქნება იურიდიულ პირად.

პიროვნული კანონით განისაზღვრება იურიდიული პირის უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მოცულობა, ლიკვიდაციის წესი და პირობები.

„ინკორპორაციის კანონის“ თანახმად, თუ იურიდიული პირი დიდ ბრიტანეთშია დაფუძნებული და მისი წესდება იქ არის რეგისტრირებული, ეს იურიდიული პირი ეკუთვნის ინგლისს.

დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში იურიდიული პირის ეროვნულობის განსაზღვრის კრიტერიუმად მიჩნეულია იურიდიული პირის მდებარეობის ადგილი, ანუ ადმინისტრაციის საპყოფელი ადგილი. ეს პრინციპი გამოიყენება საფრანგეთში, გერმანიაში, საქართველოში.

იურიდიული პირის ეროვნულობის განსაზღვრის მესამე კრიტერიუმია იურიდიული პირის საქმიანობის ადგილი. იტალიასთან ერთად, ამ კრიტერიუმმა გამოყენება ჰპოვა მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში.

კანონმდებლობასა და პრაქტიკაში იურიდიული პირის ეროვნულობის გადაწყვეტა ფორმალურად ხდება. კაპიტალის ფაქტიური კუთვნილების დადგენა შეუძლებელია ასეთ შემთხვევებში.

იურიდიული პირის კუთვნილების დასადგენად უნდა გავარკვიოთ ვინ აკონტროლებს მას, ვინ ფლობს საწესდებო კაპიტალის აქციათა უმრავლესობას (კონტროლის თეორია).

დაიმლერის საქმესთან დაკავშირებით, ეს საკითხი პირველად ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში წაპოიჭრა.

საალტეებით მოვაჭრე სააქციო საზოგადოება ინგლისში იყო დაფუძნებული. მისი კაპიტალი შეადგენდა 25 ათას აქციას. მაოგან ინგლისელს ეკუთვნოდა მხოლოდ 1 აქცია. დანარჩენს გერმანელები ფლობდნენ. კომპანია რეგისტრირებული იყო ინგლისის კანონით. ამ კანონის თანახმად, კომპანია ინგლისის იურიდიულ პირს წარმოადგენდა.

სასამართლო მიეიდა იმ დასკვნამდე, რომ დავის ეაღიასაწყვეტად აუცილებელი იყო იმის დადგენა, თუ ვინ აკონტროლებდა იურიდიულ პირს და აღნიშნულის გათვალისწინებით გადაწყვიტა იურიდიული პირის ფაქტიური კუთვნილების საკითხი (რა თქმა უნდა, იურიდიულ პირს აკონტროლებდა გერმანიის კანონი).

2.3 უცხოური იურიდიული პირების საქართველო-სუბიექტად აღიარება

იურიდიული პირი იქმნება კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე. მისი მოქმედების სფერო არ შემოიფარგლება ამ ქვეყნით. მან შეიძლება მოიცვას სხვა ქვეყნის ტერიტორია. იურიდიული პირების საერთაშორისო საქმიანობაში წარმოიშვება ადგილსამყოფელ ქვეყანაში უცხოური იურიდიული პირის საქართველოსუბიექტად ცნობისა და მისი სამოქმედოდ დაშვების საკითხი.

1996 წ. 12 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" - განსაზღვრავს ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების საქართველებრივ საფუძვლებს. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი (ინვესტორი) შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაცია. უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირის უფლებებსა და გარანტიებზე ნაკლები. საქართველოს საინვესტიციო ცენტრის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა ინვესტორთა მიმსახურება და სამეწარმეო საქმიანობაში ხელშეწყობა.

ცენტრი მოქმედებს საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროსთან. უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს დაგის გადასაჭრელად მიმართოს ნებისმიერ საერთაშორისო საარბიტრაჟო ორგანოს, რომელიც დაარსებულია გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის საარბიტრაჟო და საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წესების შესაბამისად.

უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის თანახმად, უცხოელები სარგებლობენ იმ უფლებების მაქსიმუმით, რომლითაც სარგებლობენ სხვა სახელმწიფოს პირები.

ეროვნული (ნაციონალური) რეჟიმის თანახმად, უცხო სახელმწიფოთა ფიზიკური და იურიდიული პირები ჩაყენებულია

მოცემული ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების თანაბარ სამართალებრივ მდგომარეობაში. ასევე, ეგალითად, საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის (სკსკ) 21-ე მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებს, აქვთ ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, როგორც საქართველოს მოქალაქეებს.

აქრიგად, განსხვავებით უპირატესი ხელშეწყობის პრინციპისა, ეროვნული რეჟიმი ქმნის უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიული პირებისათვის იგივე, პირობებს, როგორშიც იმყოფებიან საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირები. მათ ენიჭებათ ყველა ის უფლება და ეკისრებათ ყველა ის მოვალეობა, რაც საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

უცხოური იურიდიული პირის დაშვება სხვა ქვეყანაში, სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად, წარმოებს ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობით.

საერთო ბაზარში შემავალი ქვეყნების წესდებით, მსოფლიო მონოპოლიების ინტერესებიდან გამომდინარე, იურიდიულ პირებს შესაძლებლობა აქვთ სამეურნეო საქმიანობა განახორციელონ საერთო ბაზრის მთელ ტერიტორიაზე.

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში წარმოიშობა მოქალაქეების დიპლომატიური დაცვის აუცილებლობა, იურიდიული პირების სამართალებრივი დაცვის საჭიროება.

კონსულმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს იურიდიული პირების ყველა იმ უფლებით სარგებლობა, რასაც მათ ანიჭებს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობა, აგრეთვე, საერთაშორისო ხელშეკრულებები და ჩვეულებები, რომლის მონაწილეც არის საქართველო. ჩვენი ქვეყნის იურიდიული პირების უფლებების შელახვისთანავე, კონსულმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები დარღვეული უფლებების აღსადგენად.

თავი III. კოლიზიური ნორმები საერთაშორისო კერძო სამართალში

3.1 კოლიზიური ნორმის ცნება. კოლიზიური ნორმების სახეები.

კოლიზია ლათინური ტერმინია: collisio, რაც საპირისპირო შეხედულებათა, ინტერესთა, მისწრაფებათა შეჯახებას ნიშნავს.

საერთაშორისო კერძო სამართალში კოლიზიური ნორმების გამოყენებისა და შინაარსის სწორი განსაზღვრისათვის საჭიროა მათი განმარტება. საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითადი შინაარსი დაიყვანება კოლიზიური პრობლემის გამოვლენისა და მისი გადაწყვეტის გზების ძიებაში. ზოგადი სახით მისი აზრი შეიძლება გამოვხატოთ შემდეგი პირობითი მაგალითით:

წარმოვიდგინოთ, რომ A და Б სახელმწიფოების მოქალაქეებმა დადეს ხელშეკრულება B სახელმწიფოში საქონლის მიწოდებაზე, რომელიც კონტრაქტზე ხელის მოწერის მომენტში იყო Г სახელმწიფოში. მოცემულ შემთხვევაში რომელი სამართლით განისაზღვრება გარიგების მხარეთა უფლება-მოვალეობები და რომელი სამართლის სისტემით გადაწყდება მათ შორის დავა?

ამ მიზნით, პოტენციურად შეიძლება გამოყენებული იქნეს მითითებული ოთხივე სახელმწიფოს კანონმდებლობა. მაგრამ პრაქტიკულად ერთი მათგანი უნდა იქნეს არჩეული. მხოლოდ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება იყოს დამაკმაყოფილებელი და სამართლის ამ საფუძველზე იქნეს რეგულირებული.

საერთაშორისო კერძო სამართალში სამართლის სისტემათა „კონკურენცია" თავიდან შეიძლება იქნეს აცილებული კოლიზიური ნორმების დახმარებით. მის ქვეშ იგულისხმება ქცევის წესები, რომლებიც ადგენენ, რომელი სახელმწიფოს სამართალი იქნეს გამოყენებული მოცემული კონკრეტული შემთხვევისათვის. ამგვარად, ეს ნორმები წყვეტენ კოლიზიურ პრობლემას, რომლის საფუძველზეც აირჩევა სახელმწიფო, რომელთანაც დაკავშირებულია სამართალდამოკიდებულების ელემენტები.

კოლიზიური ნორმები მიუთითებენ მოცემული საკითხის გადაწყვეტის კომპეტენტურ მართლწესრიგზე. ამიტომ, კოლიზიური ნორმის პრაქტიკული გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მითითებული ქვეყნის სამართლის სისტემასთან ერთად.

ამგვარად, საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმის განმარტებისა და გამოყენების დროს, უპირველესად ყოველისა, მხედველობაშია მისაღები მისი მითითებითი ხასიათი. კოლიზიური ნორმა არსებითად კი არ წყვეტს საკითხს, არამედ უთითებს სამართლის სხვა სისტემაზე, მესამე ქვეყნის სამართალზეც კი.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით (სსკსკ): „სხვა ქვეყნის (იგულისხმება მესამე ქვეყანაც) სამართალზე მითითება გულისხმობს ამ ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის გამოყენებასაც, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ნორმების გამოყენებას" (მუხლი 4)

საქართველოში ფიზიკური პირის სახელთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლით. არასამეწარმეო იურიდიული პირის სამართლებრივ საკითხს არეგულირებს სსკ-ის 26-ე მუხლი. ხოლო სამეწარმეო იურიდიული პირის საკითხებს აწესრიგებს ამ კანონის მე-6 მუხლი, რომელიც 8 პუნქტისაგან შედგება.

კოლიზიური ნორმის განმარტების დროს საერთაშორისო კერძო სამართალში გამოყენებული ტერმინები არაერთგვაროვანი მნიშვნელობისაა სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითები: საცხოვრებელი ადგილი, ნივთის მდებარეობის ადგილი, იურიდიული პირის დაფუძნების ადგილი, ნივთზე საკუთრების უფლება, პასუხისმგებლობა სამართალდარღვევისათვის, ხანდახმულობა, ხელშეკრულების დადების ადგილი და სხვა ცნებები. განსაკუთრებული განსხვავება შეინიშნება ინგლის-ამერკის და კონტინენტური ევროპის ქვეყნების მატერიალურ-სამართლებრივი და სამოქალაქო პროცესის ტერმინოლოგიურ შინაარსში.

მაგალითად, ზოგან სამართალდარღვევის ჩადენის ადგილად ითვლება ზიანის მიყენების ადგილი, ზოგან კი - ზიანის მიყენების შედეგის ადგილი (მაგ., დაზარალებულის სიკვდილი); სასარჩელო ხანდაზმულობა საფრანგეთსა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში, განიხილება როგორც სამოქალაქო სამართლის ცნება, ხოლო ინგლის-ამერიკულ სამართალში, როგორც პროცესუალური სამართლის ცნება.

იურიდიული ცნებების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს კოლიზიური ნორმების გამოყენებამდე. თუ კოლიზიური ნორმის საფუძველზე უნდა გამოყიყენოთ უცხოური კანონი, ყველა შემდგომი კვალიფიკაცია უნდა მოხდეს იმ სამართლებრივი სისტემის საფუძველზე, საიდანაც უთითებს კოლიზიური ნორმა.

იმ შემთხვევაში, როცა უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების დადგენა უშედეგოა ან გაუმართლებელ ხარჯებთანაა დაკავშირებული, აგრეთვე, როცა პროცესის მონაწილე არც ერთ მხარეს არ შეუძლია ნორმის არსის დადგენა და მაინ გამოყენების დასაბუთება, სასამართლო გამოიყენებს საქართველოს სამართლის ნორმებს განსახილველი საქმის გადასაწყვეტად (სსკსკ მუხლი 3).

3.2 უკუმითითება და მითითება მესამე ქვეყნის სამართალზე

უცხოური სამართალი კონკრეტული ურთიერთობის დასარეგულირებლად შესაძლებელია ითვალისწინებდეს არა საკუთარი ქვეყნის სამართალს, არამედ სხვა ქვეყნის სამართლის გამოყენებას. ეს შეიძლება იყოს ის ქვეყანა, რომლის კოლიზიურმა ნორმამაც თავდაპირველად მიუთითა ამ სამართალზე, ან მესამე ქვეყანა. **პირველი შემთხვევა საერთაშორისო კერძო სამართალში იწოდება უკუმითითებად, მეორე კი მითითებად მესამე ქვეყნის სამართალზე.** კოლიზიური ნორმის უკუმითითების საკითხი გასული, მე-20 საუკუნის დასასრულს წარმოიშვა სასამართლოში უცხო ელემენტების მქონე საქმის განხილვის დროს.

მაგალითი: ბელგიაში მუდმივად მცხოვრებმა ინგლისელმა სამკვიდროს დამტოვებელმა შეადგინა ანდერძი, რომლითაც იგი საკმაოდ დიდ თანხას უტოვებდა გარკვეულ პირებს. ანდერძი საკუთარი ხელით დაწერილი და სოტარიულად დამოწმებული იყო. გარდაცვლილის მემკვიდრეებმა ეჭვქვეშ დააყენეს ანდერძის სამდვილობა, რამდენადაც იგი დაიწერა ინგლისის კანონმდებლობის წესების დაცვით და დაირღვა ბელგიის კანონმდებლობა, ანუ იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც მუდმივად ცხოვრობდა ანდერძის დამტოვებელი. იგლისის კოლიზიური ნორმების საფუძველზე ანდერძი უნდა შედგენილიყო პირის საცხოვრებელი ადგილის კანონის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ინგლისის სამართალი მიუთითებდა ბელგიის სამართალზე. ბელგიის კანონის გამოყენების შემთხვევაში ანდერძი ბათილად იქნებოდა, რადგან ის გამოდიოდა მოქალაქეების და არა საცხოვრებელი ადგილის პრინციპიდან. როგორც მაგალითიდან ჩანს, ბელგიის კანონი უარყოფს ამ საკითხის გადაწყვეტას, მიუთითებს რა ინგლისის სამართალზე. ინგლისის სამართალი კი, პირიქით ბელგიის სამართალზე.

თანამედროვე კოლიზიური სამართლის მოქნილი ტექნიკა საშუალებას იძლევა ადვილად გადაიჭრას საუკუნის წინ ღრმად ჩაფიქრებისა და განსჯის საბაბად ქცეული საქმეები. სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა და დოქტრინა სხვადასხვა პასუხს იძლევა უკუმითითებისა და მესამე ქვეყნის სამართალზე მითითების შესახებ.

პოლონეთის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი ორიგე სახის მითითებას იყენებს. ასევე, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონიც უშვებს როგორც უკუმითითებას, ასევე მითითებას მესამე ქვეყნის სამართალზე.

კოლიზიური ნორმის შესაბამისად, საქართველოში უცხოური კანონი გამოიყენება კანონით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში. მაგრამ თუ საქართველოს კანონი უთითებს უცხოურ კანონზე, უცხოური კანონი კი თვითონ უარყოფს ამ მითითებას, მაშინ მოცემულ შემთხვევაში უნდა გამოიყენოთ საქართველოს კანონი.

ქართულ სამართალზე უკუქმედების დროს გამოიყენება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ქართული საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, მუხლი 4).

ზოგიერთი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა და რიგი ნაშუალოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებები არ აღიარებს უკუქმედების დოქტრინას. მაგალითად, უკუქმედებას არ ითვალისწინებს რომის 1980 წლის კონვენცია „სახელშეკრულებო ვალდებულებებში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ". პირიქით, ჰაგის 1985 წლის კონვენცია „საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებებში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ" შეიცავს შესაბამისი ქვეყნის მატერიალურ სამართალზე მითითებას.

3.3 კოლიზიური ნორმების სახეები

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ კოლიზიური ნორმები, რომლებიც განმტკიცებულია შიდადარგობრივ სამართლებრივ სისტემასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში. მეორეში განმტკიცებული კოლიზიური ნორმების მოქმედების სფერო უფრო ფართოა ვიდრე დარგობრივ სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებული კოლიზიური ნორმებისა. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი კოლიზიური ნორმები გამოიყენება ამ ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფოს მიერ.

კოლიზიური ნორმები იყოფა დისპოზიტიურ და იმპერატიულ ნორმებად. დისპოზიტიურ ხასიათის ატარებს ყალდებულებით ურთიერთობებთან დაკავშირებული კოლიზიური ნორმები, ხოლო სხვა ურთიერთობები - იმპერატიული ხასიათისაა.

მითითებათა ნაწილის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, კოლიზიური ნორმები იყოფა ცალსახა (ერთნიშნა) და მრავალნიშნა ნორმებად. თუ კოლიზიური ნორმა შეიცავს მითითებას ერთ რომელიმე სამართლებრივ სისტემაზე, არის ცალსახა ხასიათის. ზოგჯერ კოლიზიური ნორმა შეიცავს ორ ან მეტ მითითებას

სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემაზე. ასეთ შემთხვევაში კოლიზიური ნორმა არის ალტერნატიული და კუმულატიური ხასიათის.

კოლიზიური ნორმის ალტერნატიული სახეები გამოიყენება მთელი რიგი ქვეყნების საერთაშორისო კერძო სამართალში. მაგალითად, უნგრეთის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით, დაზარალებულის არჩევით შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ ქვეყნის კანონი, სადაც ზიანი იქნა მიყენებული, ან სადაც სამართალდარღვევა მოხდა.

საქართველოში ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაექვემდებაროს დაზარალებულისათვის უფრო ხელსაყრელი ქვეყნის სამართალს, აგრეთვე, იმ ქვეყნის სამართალს, სადაც წარმოიშვა ზიანის ანაზღაურების საფუძველი, ან სამართლით დაცულ ინტერესს ზიანი მიადგა.

„საგზაო შემთხვევების დროს გამოსაყენებელი სამართლის" 1971 წ. კონვენციის შესაბამისად, ძირითადი პრინციპია შემთხვევის ჩადენის ადგილის კანონის გამოყენება. მაგრამ, თუ სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილეობს ერთი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც რეგისტრირებულია არა იქ, სადაც შემთხვევა მოხდა, არამედ სხვა სახელმწიფოში, მაშინ იმ ქვეყნის სამართალი, სადაც სატრანსპორტო საშუალებაა რეგისტრირებული. აქედან გამომდინარე, ეს სამართალი ხშირად გამოიყენება იმ დაზარალებული მგზავრების მიმართ, რომლებიც ჩვეულებრივ სხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ და არა იმ ქვეყნებში, სადაც შემთხვევა მოხდა.

საერთაშორისო კერძო სამართალში გამოიყენება ისეთი კოლიზიური ნორმები, რომლებიც იწოდება „საერთო" და „სპეციალური" ხასიათის ნორმებად. პირველი მიუთითებს იმ სამართალზე, რომელიც განსაზღვრავს დამატებითი საკითხების გადასაწყვეტად (გარიგების ფორმა, მხარეების უფლებუნარიანობა, გადაწყვეტილების უხრუნველყოფის საშუალებები, გადაწყვეტილების მიღების უფლება).

ზოგჯერ კოლიზიური ნორმა უფრო ზუსტად და ნათლად განსაზღვრავს ძირითად ნორმას.

კოლიზიურ ნორმებში ახალ სახეს წარმოადგენს დამატებითი, ანუ სუბსიდიალური ნორმები. ასეთ ნორმებს შეიცავს მთელი რიგი ქვეყნების საერთაშორისო კერძო სამართალი. მაგალითად, უნგრეთის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით, თუ ადრე დადგენილი კოლიზიური ნორმით შეუძლებელია გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა, ხელშეკრულება დაექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ხელშეკრულების შესრულებაზე ვალდებულ პირს აქვს საკუთარი საცხოვრებელი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ადგილსამყოფელი. თუ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა ასეთი გზითაც შეუძლებელია, მაშინ კომპეტენტურია ხელშეკრულების ელემენტებთან მჭიდროდ დაკავშირებული სხვა ქვეყნის სამართალი.

კოლიზიური ნორმების ახალი სახე პირდაპირ მიუთითებს საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებებზე. ასეთ კოლიზიურ ნორმებს შეიცავს შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი. აქ კანონის 118 პარაგრაფი მიუთითებს ჰაგის 1955 წ. კონვენციაზე: „ძოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის შესახებ“, 138 პარაგრაფი კი - ჰაგის 1971 წლის კონვენციაზე - „საგზაო შემთხვევების დროს გამოსაყენებელ სამართლის შესახებ“.

3.4. სავალგება

როგორც ცნობილია, ყერც ერთი ქვეყანა იზოლირებულად, საკუთარ ეროვნულ საზღვრებში ჩაკეტილი, ვერ განვითარდება. საქართველოს განვითარებისათვის აუცილებელია უცხო სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული და სხვა კავშირების გაფართოება. თითქმის ყველა ქვეყანა, თავისი ეკონომიკით, პოლიტიკით, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განყითარებით, მოსახლეობის ადათ-ჩვეულებით, ეროვნული ტრადიციებით და მრავალი სხვა ფაქტორით, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ასევე, მკვეთრად განსხვავდება ის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროს არეგულირებს ამ ქვეყნებში.

საქართველო ცნობს და აღიარებს უცხოური კანონმდებლობის საფუძველზე წარმოშობილ უფლებებს. ნაცვალგების პრობლემა უშუალოდაა დაკავშირებული თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოთა შორის ურთიერთდამოკიდებულებასთან.

ნაცვალგების პრინციპით, უცხო სახელმწიფოს იურიდიული და ფიზიკურ პირებს ეძლევათ განსაზღვრული უფლებები იმ პირობით, თუ ამ სახელმწიფოს იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ანალოგიურ უფლებებს მიანიჭებს ეს უცხო სახელმწიფო.

საერთაშორისო კერძო სამართალში ანსხვავებენ ორი სახის ნაცვალგებას: ნაცვალგებას „მატერიალური გაგებით“ და ნაცვალგებას „ფორმალური გაგებით“.

მატერიალური ნაცვალგებით უცხო სახელმწიფოს იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ენიჭებათ ისეთივე კონკრეტული უფლებები, როგორითაც სარგებლობენ ადგილობრივი მოქალაქეები მოცემულ უცხო სახელმწიფოში.

ფორმალური გაგებით, უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ენიჭებათ ადგილობრივი კანონიდან გამომდინარე უფლებამოსილებანი. საქართველოში უცხოელ მოქალაქეებს მიენიჭებათ საქართველოს მოქალაქეების უფლებები, მათ შორის ის უფლებები, როგორც უფლებებითაც ისინი არ სარგებლობენ თავიანთ ქვეყანაში. მეორე მხრივ, უცხოელებს არ შეუძლიათ მოითხოვონ იმაზე მეტი უფლებები, ვიდრე მათ აქვთ თავიანთ ქვეყანაში, თუ ასეთი უფლებებით სარგებლობას არც საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს.

თუ ერთი სახელმწიფო იღებს უსაფუძვლო დისკრიმინაციულ ზომებს მეორე სახელმწიფოს ან მისი მოქალაქის მიმართ, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია დააწესოს საპასუხო სახის შეზღუდვები, **ანუ რეტორსიის გამოყენების საკითხი.** საერთოდ, ასეთი სახის ზომების მიღების მიზანია შეზღუდვის დამწესებელი სახელმწიფოს აღსაშრეული მოქმედების ლიკვიდაცია.

ვენის 1961 წლის კონვენციაში დიპლომატიური კავშირის შესახებ - დისკრიმინაციად არ ჩაითვლება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს მიმართ საპასუხო სახის ღონისძიებების გატარება.

საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, გარდა კონსტიტუციით და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, საქართველოს მოქალაქეების თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ (მუხლი 74).

საქართველოს 1999 წლის კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" ითვალისწინებს რეტორსიის გამოყენების უფლებას იმ სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ, სადაც საქართველოს მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები განხრახ შეიზღუდება (მუხლი 9).

საქართველოს სკს კანონის 21-ე მუხლით: „უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, მოქალაქეობის არმქონე პირებს, ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა აქვთ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს. ამასთან, კანონი, ნაცვალგების პრინციპიდან გამომდინარე, ითვალისწინებს გამონაკლისის დაშვებას იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყანაში მოქმედებს საქართველოს იურიდიული და ფიზიკური პირების უფლების შემზღუდველი ნორმები.

3.5 საჯარო წესრიგი და საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები

უცხოური კანონის გამოყენება კოლიზიური ნორმების მოქმედებას ნიშნავს მოცემულ ქვეყანაში. იგი შეიძლება შეიზღუდოს, თუ მისი გამოყენება ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის საჯარო წესრიგის დებულებებს.

საჯარო წესრიგის ცნება შუა საუკუნეებიდან დამკვიდრდა საერთაშორისო კერძო სამართალში. საჯარო წესრიგის შესახებ დოქტრინის ჩანასახი გვხვდება გლოსატორების ძოძღვრებაში.

ბართოლი გამოყოფდა საჯარო წესრიგის სტატუტის (გამოყენების) ორ ტიპს: პირველი მოქმედებდა ამ სტატუტის გამომშვები ქალაქის ფარგლებში. მეორე ტიპის სტატუტს ჰქონდა

ექსტერიტორიალური ძალა. ის შეიძლება გამოყენებულიყო მისი გამომცემი ქალაქის ფარგლებს გარეთაც. მკაცრი ტერიტორიული ხასიათის გამო, პირველი შეიძლება მიყაკუთვნოთ თანამედროვე საჯარო სამართლის კატეგორიას.

გლოსატორების პერიოდში პროვინციათაშორისი კოლიზიური ნორმები არ ზღუდავდა უცხოური კანონის გამოყენებას. ამდენად, საჯარო წესრიგის დებულებებმა ფართო აღიარება ვერ მოიპოვეს.

ჰოლანდიელი პოსტგლოსატორის - ულრიკ გუბერის შეხედულებით, სამართალი, რომელიც ფუნქციონირებს კონკრეტული სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, ძალას ინარჩუნებს ყველგან, თუ ზიანს არ მიაყენებს სახელმწიფოს ხელისუფლებას და მის ქვეშევრდომთა უფლებებს.

საჯარო წესრიგის კონცეფციის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის საგინის. იგი ეროვნულ სამართალში გამოყოფდა ცალკეული პირების ინტერესებს და საჯარო ინტერესებს, ანუ იმპერატიული ნორმების ორ სახეს. საჯარო წესრიგის დებულებებით, ეროვნული თვითშეგნების განვითარება თანდათან შეამცირებს ცალკეულ შეზღუდვების დაწესებას. საგინი უცხოური კანონის გამოყენებას არ მიიჩნევდა ანიმალიურ შემთხვევად (წონასწორობიდან გადახვევად). მისი შეხედულებები ემსახურებოდა საჯარო წესრიგის დებულებების გაფართოება-განმტკიცებას. საგინი საჯარო წესრიგის კატეგორიას განიხილავდა მოქალაქეობის შესახებ კანონისა და ნების ავტონომიის პრინციპების გვერდით. ამ პრინციპებზე კი მთელი საერთაშორისო კერძო სამართლის შენობა აღიმართება.

ფრანგულ სამართალში განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა საჯარო წესრიგის დებულებებმა. „შიდა საჯარო წესრიგის სახელწოდებით" ცნობილი დებულების თანახმად, ქვეყნის საჯარო წესრიგი და კეთილი ზნე-ჩვეულებანი არ შეიძლება ხელყოფილი იქნეს კერძო შეთანხმებებით (მუხლი 8), ფიქსირებულია საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსში.

შემდგომში სხვა ქვეყნებმაც თავიანთ კანონმდებლობაში შეიტანეს უცხოური კანონების შემზღუდველი დებულებები საჯარო წესრიგით. იმ დროისათვის საჯარო წესრიგს უწოდეს

„საერთაშორისო საჯარო წესრიგი“, ხოლო თანამედროვე პერიოდში დამკვიდრდა „საგარეო საჯარო წესრიგი“.

უცხოური კანონი არ გამოიყენება მთელ რიგ ქვეყნებში, როცა მისი გამოყენება ეწინააღმდეგება ქვეყნის საჯარო წესრიგს. ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობით, „საქართველოში უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები არ გამოიყენება, თუ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს“ (მუხლი 5). აღნიშნული ნორმებით განმტკიცებულია ქვეყნის საჯარო დებულებებისა და იმპერატიული ნორმების დაცვის აუცილებლობა.

3.6 ეროვნული რეჟიმი და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი საერთაშორისო კერძო სამართალში.

ეროვნული რეჟიმის ძალით, უცხოელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ენიჭებათ იმ კონკრეტული ქვეყნის იურიდიული პირებისა და ფიზიკური პირების შესაბამისი უფლებები. შემოტანილი და ადგილობრივი პროდუქციის მიმართ წესდება ერთი და იგივე რეჟიმი, ასევე ინტელექტუალური საკუთრების, მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში.

საქართველოში ეროვნული რეჟიმი განმტკიცებულია მოქმედი კონსტიტუციით, „უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონით, საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით, სამოქალაქო კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით. ცალკეულ შემთხვევებში „ეროვნული რეჟიმი“ შეიძლება დადგენილი იქნეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი გულისხმობს პრიორიტეტირებული უფლებების მინიჭებას იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ. იგი ყოველთვის სახელშეკრულებო წესით არის დადგენილი. დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი არ მოითხოვს სახელშეკრულებო ფორმას, რადგანაც იგი სახელმწიფოების თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარეობს და ზოგადი ხასიათისაა. **ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე ესოფლიოს საყაჭრო სისტემის ფუნდამენტური პრინციპია.**

საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის დაწესება. ამ რეჟიმის ძალით, უცხოელები სარგებლობენ უპირატესობით და იმ უფლებების მაქსიმუმით, რომელიც მინიჭებული აქვს სხვა სახელმწიფოს იურიდიულ და ფიზიკურ პირებს. უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი თანაბარ სამართლებრივ მდგომარეობაში აყენებს უცხო სახელმწიფოს ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი განსხვავდება დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპისაგან. ეს უკანასკნელი გამომდინარეობს სახელმწიფოების სუვერენული თანასწორობის პრინციპიდან. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია დისკრიმინაცია როგორც სავაჭრო-ეკონომიკურ, ასევე უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობის საკითხებზე განსხვავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის გამო.

გაეროს გენერალური ასამბლეის „სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ" 1974 წლის ქარტიის თანახმად, ყველა სახელმწიფოს აქვს მონაწილეობის უფლება საერთაშორისო ვაჭრობასა და ეკონომიკურ თანამშრომლობაში, მიუხედავად მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემისა.

ცალკეულ სახელმწიფოს უფლება აქვს მოითხოვოს მეორე სახელმწიფოსაგან ისეთი პირობები, როგორითაც სარგებლობენ სხვა სახელმწიფოები და საერთოა ყველა ქვეყნისათვის.

3.7 კერძო სამართლებრივი ხასიათის სხვაგვარი კოლიზიური ნორმები

არსებობს დეცენტრალიზებული კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მქონე სახელმწიფოები. მათ განეკუთვნება აშშ, ესპანეთი, შვეიცარია და სხვ. ამ ქვეყნებში კერძო სამართალი ეფუძნება სახელმწიფოების ფედერალურ მოწყობას. ასეთი დეცენტრალიზაცია შეიძლება არსებობდეს ტერიტორიული ნიშნით, რასაც ევროპულ ლიტერატურაში ინტერლოკალურ

საქართველოს უწოდებენ, ქართულად - ადგილთშორისი საქართველო. პიროვნული ნიშნით არსებული საქართველო ინტერპერსონალური საქართველოა. ქართულად ეს შეესაბამება პიროვნებათშორისი საქართველო; ინტერტექსტორალური საქართველო უნდა დამკვიდრდეს „დროითაშორისი“ საქართველოს სახით.

ადგილთშორისი საქართველო

ადგილთშორის საქართველოში იგულისხმება სახელმწიფოს ტერიტორიული ერთეულების (ან ერთეულის) **პარტიკულარული (ტერიტორიული ნაწილის მისწრაფება განცალკევებისაკენ, საერთო ინტერესების საზიანოდ) საქართველო.** არსებობს ქვეყნები , რომელთაც ფედერალურ ან ცენტრალურ დონეზე გააჩნიათ საქართველოს ნორმები. ამით განსაზღვრულია თუ რა შემთხვევაში გამოიყენება ტერიტორიული ერთეულის პარტიკულარული საქართველო. ასეთ ქვეყნებს განეკუთვნება ესპანეთი, წარსულში - იუგოსლავია, ყოფილი საბჭოთა კავშირი.

არსებობს ქვეყნები, რომლის ტერიტორიული ერთეულების კერძო საქართველოს უშუალოდ გამოყენება ხდება. მათ განეკუთვნება აშშ, ავსტრალია, კანადა, დიდი ბრიტანეთი. მაგალითად, აშშ-ს შემთხვევაში ასეთ დროს მითითება კეთდება არა აშშ-ს საქართველოზე, ზოგადად არამედ კონკრეტული შტატის (მაგ. ნიუ-იორკის შტატის) საქართველოზე.

საქართველოს სკს კანონის მე-7 მუხლით დასაშვებია ადგილთშორისი საქართველოს გამოყენება. ავიღოთ ასეთი შემთხვევა: საქართველოს კოლიზიური საქართველო უთითებს ესპანეთის საქართველოს. საქმის ფაქტობრივი გარემოება კი დაკავშირებულია ქალაქ ბარსელონასთან. იგი წარმოადგენს ესპანეთის ერთ-ერთი ავტონომიური ერთეულის, კატალონიის, ცენტრალურ ქალაქს. ესპანეთის კოლიზიური საქართველო უშვებს თავისი ტერიტორიული ერთეულების (ჩვენი მაგალითისათვის - კატალონიის) მატერიალური საქართველოს გამოყენებას. ამგვარად, ქართული საქართველოს ესპანურზე მითითების შემდგომ, ესპანური საქართველო იძლევა კატალონიის საქართველოს გამოყენების შესაძლებლობას.

საქ. სკს კანონის მე-7 მუხლის მე-2 წინადადებაში ვკითხულობთ: „თუ ასეთი წესი არ არსებობს, გამოიყენება იმ ტერიტორიის სამართალი, რომელთანაც კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა ყველაზე მჭიდრო კავშირშია." ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ცალკეული ქვეყნის ტერიტორიული ერთეულებს გააჩნდეს თავიანთი კოლიზიური სამართლებრივი ნორმებიც. ამის ნათელი მაგალითი დავასახელეთ აშშ ნიუ-იორკის შტატის სამართლის სახით, რომელთანაც კონკრეტული საქმის ფაქტიური გარემოება „მჭიდრო კავშირში" იმყოფება.

დღეგანდელ ვითარებაში, როცა მითითება კეთდება საქართველოს სამართალზე, მაგრამ საქმე დაკავშირებულია ისეთ ავტონომიურ ერთეულთან, რომელიც დაუმორჩილებლობას უცხადებს ცენტრს, ან ფაქტიურად გამოსულია მისი იურისდიქციიდან, თუ რომელიმე უცხოურმაქვეყანამ ნამდვილად ჩათვალა ასეთი რეგიონის ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ეწინააღმდეგება, ან მათი სტატუსი არ შეთანხმებულა თბილისის ცენტრალურ ხელისუფლებასთან და მისი კანონმდებლობასთან, იქნება შეცდომა და საბოლოოდ გამოიწვევს შესაბამისი კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ბათილობას.

3.8 პიროვნებათშორისი სამართალი (ინტერპერსონალური სამართალი)

აზიასა და აფრიკაში მრავალი სახელმწიფოა, სადაც სამართლებრივი დაყოფა ხდება არა ტერიტორიულად, არამედ ინტერპერსონალური სამართლით. სხვადასხვა პიროვნებების ჯგუფები სხვადასხვა ფორმისა და რელიგიური აღმსარებლობისანი არიან. მათ გააჩნიათ უფლება გამოიყენონ საკუთარი კონფესიონალური სამართალი. ასეთი სახის სამართალს უწოდებენ პიროვნებათშორის სამართალს. იგი შეიძლება იყოს-როგორც დაწერილი, ისე დაუწერელი.

საქ. სკს კანონის მე-7 მუხლით: „იმ ქვეყნის სამართლის გამოყენებისას, სადაც მოქმედებს... განსხვავებული სამართლებრივი

სისტემა, გამოიყენება ის საერთლებრივი სისტემა, რომლის გამოყენებასაც მიცემულ შემთხვევაში ითვალისწინებს ამ ქვეყნის საერთალი." ამ შემთხვევაში „განსხვავებულ საერთლებრივ სისტემაში" იგულისხმება პიროვნებათშორისი საერთალი. თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაში ზოგჯერ ქვეყანა უთითებს არა მეორე ქვეყნის საერთალს, არამედ რელიგიურ საერთლებრივ ნორმებს, მაგალითად, - შარიათს. ასეთ შემთხვევაში მითითებული ქვეყნის საერთალი უნდა ითვალისწინებდეს პიროვნებათშორისი საერთლის გამოყენებას და, მეორეს მხრივ, არ ეწინააღმდეგებოდეს საერთლის გამომყენებელი ქვეყნის საჯარო წესრიგს. არის შემთხვევები, როცა პიროვნებათშორისი საერთლის გამოყენება შეუძლებელია, ან დაუშვებელია. მაშინ გამოიყენება პიროვნებასთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის საერთალი (საქ. სკს კანონის მე-7 მუხლის მე-2 წანადადება).

3.9 დროთაშორისი საერთალი

[ინტერტემპორალური საერთალი - „ტემპუს (ლათ.) - ნიშნავს დროს]

კოლიზიურ საერთალში უცხო ქვეყნის საერთლის მითითება წარმოებს ტერიტორიული და პიროვნული ნიშნის გათვალისწინებით. დროთაშორის საერთალში მნიშვნელოვანია - არის თუ არა კოლიზიური ნორმა ძალაში და რა პრინციპით გამოიყენება იგი დროში. თაყის ნაშრომში „დღეყანდელი რომაული საერთლის სისტემა" სავინი ერთმანეთისაგან ასხვავებს „საერთლებრივი წესების საერთლებრივ ურთიერთობებზე ბატონობის ტერიტორიულ ფარგლებსა" და „საერთლებრივი წესების საერთლებრივ ურთიერთობებზე ბატონობის დროით ფარგლებს".

ზოგადი პრინციპის თანახმად, ახალი კანონი აუქმებს ძველს და კანონს არა აქვს უკუქცევითი მოქმედების ძალა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, რაზეც აქ აღარ შეეჩერდებით. საქართველოს

სამოქალაქო კოდექსის დებულებები (1504-1520 მუხლები) აკონკრეტებენ საქართველოს კერძო სამართლის დროში მოქმედების საკითხს. კერძო სამართლის პრინციპის თანახმად, განგრძობითი სამართლებრივი ურთიერთობების არსებობისას (იჯარა, ქირაუნობა, სესხი, შენახვა და ა.შ.) მოქმედებს არა ის კანონი, რომელიც ამ ურთიერთობის ჩამოყალიბებისას არსებობდა, არამედ მოქმედებს ახალი. აღნიშნული პრინციპი ეცელდება საერთაშორისო კერძო სამართალზეც.

თავი IV. ბარიბება

4.1 საგარეო-ეკონომიკური გარიგებები

სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა ხდება იურიდიული ფაქტების საფუძველზე. იურიდიულ ფაქტებს სამოქალაქო სამართალი უკავშირებს ქონებრივ და მასთან დაკავშირებული პირადი არაქონებრივი უფლებების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას. იურიდიული ფაქტების კლასიფიკაციის ერთ-ერთი გავრცელებული საფუძველია სამართლის სუბიექტების ნება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) 50-ე მუხლის თანახმად, **გარიგება არის „ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.“**

გარიგების, ანუ ფიზიკური და იურიდიული პირების ნებელობითი მოქმედების, მიზანია სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა.

საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში გარიგებებს აერთიანებენ ერთი სახელწოდებით: „საგარეო-ეკონომიკური“ ან „საერთაშორისო კომერციული“ გარიგება.

თავისი იურიდიული ბუნებით, საგარეო-ეკონომიკური გარიგება არ განსხვავდება შინასახელმწიფოებრივი გარიგებისაგან, ანუ ისეთი გარიგებისაგან, რომლებიც იდება ერთი რომელიმე სახელმწიფოს შიგნით და ამ სახელმწიფოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის. განსხვავება: შინასახელმწიფოებრივი გარიგებების მიმართ გამოიყენება მხოლოდ შინასახელმწიფოებრივი სამართალი, ხოლო საგარეო-ეკონომიკური გარიგებების მიმართ ყოველთვის წამოიჭრება საკითხი, რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული.

გარიგებები შეიძლება იყოს ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი. ცალმხრივია ისეთი საგარეო-ეკონომიკური გარიგება, როგორიცაა მინდობილობა და ანდერძი, აგრეთვე, თამასუქი, ჩეკი. მრავალმხრივ ეკონომიკურ გარიგებაში

გამოხატულია ორზე მეტი შეთანხმებული პირის ნება.

საგარეო-ეკონომიკურ გარიგებებს განეკუთვნება საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება, ბარტერისა და საკომისიო ხელშეკრულებები, ლიზინგი, იჯარა, ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა), გადაზიდვა და ა.შ.

ზოგჯერ საერთაშორისო პრაქტიკაში სახელშეკრულებო ურთიერთობებში გამოყენებულია ტერმინები: „კონტრაქტი", „შეთანხმება", „ოქმი", და ა.შ. ყოველი მათგანი „ხელშეკრულების" სინონიმებია. საგარეო-ეკონომიკურ ხელშეკრულებებს შორის ყველაზე გავრცელებულია საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება. სხვა საგარეო-ეკონომიკური გარიგებები გარკვეულწილად დაკავშირებულია ნასყიდობის ხელშეკრულებასთან, ან მის სახესხვაობას წარმოადგენს. ასეთია, მაგალითად, ხელშეკრულება მომსახურების გაწევის შესახებ. საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები ხშირად გამოიყენება სხვა საგარეო-ეკონომიკური ხელშეკრულებების (კონტრაქტების) მიმართ. მაგალითად, საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ 1955 წ. 15 ივნისის კონვენციის პირველ მუხლში მითითებულია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებას უთანაბრდება საქონლის მიწოდების ხელშეკრულება.

საქართველოს სკ 477-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების განმარტებას საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს. „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ" გაეროს (ვენის) კონვენციის თანახმად (1980 წ.), ნასყიდობის ხელშეკრულება - ისეთ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებაა, რომელთა კომერციული საწარმოები სხვადასხვა სახელმწიფოებში იმყოფება.

ამგვარად: საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება არის სხვადასხვა სახელმწიფოში მდებარე კომერციული საწარმოების მქონე მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის ძალით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

ვენის კონვენციის შინაარსის მიხედვით, საქონელში იგულისხმება მატერიალური ნივთი და არა უფლება.

4.2 საგარეო-ეკონომიკური გარიგების საკოლიზიო საკითხები

გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი და საგარეო-ეკონომიკური გარიგებანი.

უშიშროების საბჭო უფლებამოსილია მიიღოს იურიდიულად სავალდებულო ღონისძიებანი ყველა სახელმწიფოსათვის. ასეთი ღონისძიებების მიღება დაკავშირებულია მშვიდობის დარღვევასთან, ან როცა მშვიდობას საფრთხე ემუქრება რომელიმე ქვეყნისაგან. ეკონომიკური სანქციების მიღება ხდება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მონაწილე ქვეყნის მიმართ. თვით უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში პირდაპირ ხდება მითითება იმისა, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან არა მატრო შეასრულონ ეს რეზოლუცია, არამედ თავისი ფიზიკური და იურიდიული პირებით უნდა უზრუნველყონ მაგი შესრულება. ამდენად, უშიშროების საბჭო ზემოქმედებას ახდენს საგარეო-ეკონომიკურ გარიგებებზე.

ასე, მაგალითად, უშიშროების საბჭოს 1990 წ. №678 რეზოლუციით წესდებოდა სანქციები ერაყის წინააღმდეგ კუვეიტის აგრესიასთან დაკავშირებით. სახელმწიფოები ვალდებულნი იყვნენ განეხორციელებინათ ეს ღონისძიებანი, მიუხედავად ნებისმიერი კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებებისა. მაშასადამე,

რეზოლუციის მიღებამდე დადებული კონტრაქტიც არ უნდა შესრულებულიყო, თუ მისი შესრულება ეწინააღმდეგებოდა დაწესებულ სანქციებს.

სანქციების შემოღების შემდეგ დადებული გარიგებები იურიდიულად უსაფუძვლოა. ისინი უფლებებსა და მოვალეობებს ვერ წარმოშობენ გარიგების მხარეებს შორის. მხარეები თავისი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხს არ აგებენ.

მაგალითად, 1993 წ. 4 იანვარს გაერთიანებულ საკომპენსაციო კომისიას მიმართა თხოვნით ამერიკის იურიდიულმა ფირმამ „უაიტ და კეისმა" ამერიკის საშინაო კომპანიისაგან 264,3 მლნ დოლარის ზარალის ანაზღაურების თაობაზე. კომპანიამ იზარალა ერაყში ობიექტის მშენებლობის იძულებით შეწყვეტასთან დაკავშირებით. მშენებლობა შეწყდა ერაყის კუვეიტში შეჭრის გამო. ზარალი მოიცავდა სამშენებლო პროექტის მომზადების წინასწარ ხარჯებს, განხორციელებული სამუშაოების ხარჯებს, კაპიტალდაბანდების გაკეთებას, პერსონალისა და მოწყობილობების გაფოტანის ღირებულებას, აგრეთვე, მოგებას, რომელიც დაიკარგა ერაყის თავდასხმის შედეგად კუვეიტზე.

4.3 ნების აუტონომია

საქართველოს სკს კანონი ნებას რთავს, ანუ უფლებას ანიჭებს მხარეებს საგარეო-ეკონომიკური გარიგებების დადებისას მოაწესრიგონ საკითხები იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც მათ აირჩიეს[1].

ამ კანონის 35-ე მუხლით, სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე, უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ, ხელშეკრულებათა განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, აგრეთვე, ბათილობის შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა, - წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით, - **„წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით".**

1. ალ. იოსელიანი, „ნების აუტონომია საერთაშორისო კერძო სამართალში", ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი", № 3, 1998 წ. გვ. 77.

„ნების ავტონომია“ გარიგების მხარეებს შესაძლებლობას აძლევს დაადგინონ გარიგების შინაარსი, მისი პირობები, სამართლით დადგენილ ფარგლებში. ეს შესაძლებლობა იძლევა სამართლის არჩევის ნებასაც, თუ გარიგებაში მონაწილეობს საზღვარგარეთული ელემენტი. აქის შედეგად „ნების ავტონომია“ გაშიდის მიმაგრების ფორმულის სახით (კოლიზიური პრინციპისა). მას უკავია უმთავრესი პოზიცია საგარეო-ეკონომიკურ ვალდებულებებში. „ნების ავტონომია“ მიმაგრების კოლიზიური ფორმულაა. მან ძიიღო კანონმდებლობაში თავის მიმაგრება საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში: ავსტრიაში, უნგრეთში, პოლონეთში, თურქეთში, გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, შვეიცარიაში, იუგოსლავიაში, ჩინეთში 1985 წ., ვიეტნამში და ა.შ.

„ნების ავტონომია“ გვეკვლინება სამართლის არჩევის საშუალებად. ნების ავტონომია მიმაგრებულია ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებასთან. ეს გახლავთ ბუსტამანტეს კოდექსი, ჰააგის კონვენცია სამართლის შესახებ, საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის თაობაზე 1955 წ. რომის კონვენცია სამართლის შესახებ 1980 წ., ამერიკის კონვენცია სამართალზე, რომელიც მიღებულია საერთაშორისო კონტრაქტების გამოყენებასთან დაკავშირებით 1994 წ. და სხვა. ყველა ისინი ადასტურებენ, რომ მხარეთა ნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მართლწესრიგის არჩევის დროს, რომელიც კომპეტენტურია განსაზღვროს გარიგების მხარეთა უფლებები და მოვალეობანი.

მხარეებმა თავიანთი ნება შეიძლება გამოხატონ წერილობითი ფორმით და ამის შესახებ მიუთითონ გარიგებაში ან ცალკე წერილობით დოკუმენტში. ასეთი ფორმით სამართლის არჩევას მხარეთა ნების პირდაპირ და აშკარა გამოხატვას უწოდებენ.

არსებობს, აგრეთვე, ასეთი ნების დუმილით (არაპირდაპირ) გამოხატვა. მაგალითად, „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“ 1955 წლის 15 იუნისის კონვენციის II მუხლით „ნასყიდობა რეგულირდება იმ ქვეყნის შინაგანი სამართლით, რომელიც მითითებულია ხელშეკვრელი

მხარეების მიერ. ასეთი მითითება პირდაპირ უნდა იყოს გამოხატული ან არაორაზროვნად უნდა მომდინარეობდეს ხელშეკრულების დებულებიდან."

საქართველოს სკს კანონით მხარეებს შეუძლიათ თვითონ აირჩიონ სამართლის ფორმა წერილობით ან ზეპირად.

დასკვნა: ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის არჩევის შესახებ მხარეთა შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით, ან იგი უნდა გამომდინარეობდეს თვით ხელშეკრულების შინაარსიდან.

35-ე მუხლის II ნაწილით: არჩეული ქვეყნის სამართალი მხოლოდ ისევ მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს. მხარეთა ნების ავტონომიით ისმება საკითხი: მხარეებს შეუძლიათ თუ არა აირჩიონ ნებისმიერი ქვეყნის სამართალი? საქართველოს კანონი არ ზღუდავს მხარეებს ამ მხრივ, ე.ი. **მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ ნებისმიერი ქვეყნის სამართალი.**

36-ე მუხლის თანახმად, თუ მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი, ხელშეკრულება დაექვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს.

საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მიხედვით, სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულვებელყოფს იმ იმპერატიულ ნორმებს, რომელიც მიღებულია მუშა-მოსამსახურეთა დისკრიმინაციისაგან დასაცავად.

მხარეთა შეთანხმებული ნებით არჩეული ქვეყნის სამართლით შეიძლება მოწესრიგდეს მხოლოდ შემდეგი საკითხები: ხელშეკრულებათა განმარტება, ხელშეკრულებათა შესრულება ან შეწყვეტა, ხელშეკრულების ბათილობის შედეგები, სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევა-როგორც წინასახელშეკრულებო, ისე ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით.

რომელი ქვეყნის სამართალი გამოიყენება გარიგებების მიმართ, როდესაც მხარეებს არ აურჩევიათ ამა თუ იმ ქვეყნის სამართალი, ან თუმცა აირჩიეს, მაგრამ ასეთი არჩევანი ბათილია კანონით გათვალისწინებული საფუძვლით?

ამ კითხვაზე პასუხობს 36-ე მუხლი: „თუ მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის საპარლამენტო, ხელშეკრულება დაექვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის საპარლამენტს“. ამ მუხლის თანახმად: „ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც მხარეს ხელშეკრულების დადებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია“.

ამგვარად, სახელშეკრულებო ურთიერთობის დასარეგულირებლად იმ ქვეყნის საპარლამენტო უნდა იქნეს გამოყენებული, სადაც ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი გამყიდველს ნასყიდობის დროს, გადამზიდველს - გადაზიდვების ხელშეკრულებაში, გამქირავებელს - ქირავნობის ხელშეკრულებაში და ა.შ.

სახელშეკრულებო ვალდებულების შემსრულებელმა მხარემ თუ შემდგომში შეიცვალა ადგილსამყოფელი ან რეზიდენცია, ეს ვერ მოახდენს გავლენას საკოლიზიო პრინციპზე: ყოველთვის გამოყენებული უნდა იქნეს ადგილსამყოფელი ქვეყნის საპარლამენტო (ხელშეკრულების დადების დროს).

„ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული“ ქვეყანა 36-ე მუხლით (მე-2 ნაწ.) დაკონკრეტებულია, თუ ხელშეკრულების საგანია მიწის ნაკვეთი, იყარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც არის მიწის ნაკვეთი.

ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებისას იყარაუდება, რომ „გადამზიდველს აქვს ადმინისტრაციის ძირითადი ადგილსამყოფელი, თუ ამ ქვეყანაშია დატვირთვის, გადმოტვირთვის ან გამგზავნის ძირითადი ადგილსამყოფელი“.

ამავე მუხლის IV პუნქტით „დაზღვევის ხელშეკრულებისას ივარაუდება, რომ იგი ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული, დასაზღვევი რისკის ძირითადი ნაწილი სადაც არსებობს.

36-ე მუხლში ხშირადაა მითითებული სიტყვა „ვარაუდი“. მას, როგორც პრეზუმფციას, აქვს ორგვარი შინაარსობა: ერთი, მისი მეშვეობით ხდება „ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის“

საქართველოს განსაზღვრა, რომელიც მხარეებმა უნდა გამოიყენონ რომელიმე ქვეყნის სამართლის აურჩევლობის შემთხვევაში, მეორე - ვარაუდი გვეყლინება მატერიალურ-საქართველოებრივ ნორმად. იგი მტკიცებულებითი ვარაუდებისაგან (პრეზუმფციებისაგან) განსხვავებით, არ შეიძლება უარყოფილი ან გაქარწყლებული იქნას საწინააღმდეგოს დამტკიცებით.

მაგალითად, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 150-ე მუხლიით: **„ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე". ეს არის მტკიცებულებითი ვარაუდი: თუ ვინმე აღძრავს ვინდიკაციურ სარჩელს ნივთის მფლობელის წინააღმდეგ ამ ნივთის გამოთხოვის შესახებ, მან უნდა დააამტკიცოს, რომ არის ამ ნივთის მესაკუთრე. ნივთის მფლობელი თავისუფლდება ნივთის მესაკუთრის დამტკიცების მოვალეობისაგან, რახან იგი ივარაუდება მესაკუთრედ.**

36-ე მუხლში მითითებული ვარაუდები განსხვავდება მტკიცებულებითი ვარაუდებისაგან: თუ მხარე დაადასტურებს, რომ მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, ხელშეკრულების დადებისას, იყო შეეცარია, ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული შეეცარიასთან და ვარაუდის გაქარწყლება (საწინააღმდეგოს დამტკიცება) არ შეიძლება.

ანალოგიურია, თუ მიწის ნაკვეთი, როგორც ხელშეკრულების საგანი, მდებარეობს გერმანიაში, იყარაუდება, რომ ხელშეკრულება მჭიდროდაა დაკავშირებული გერმანიასთან და ამ ვარაუდის გაქარწყლება არ შეიძლება. **ამიტომ ვუწოდებთ ჩვენ ასეთ ვარაუდებს მატერიალურ-საქართველებრივ ვარაუდებს, განსხვავებით მტკიცებულებითი ვარაუდებისა.**

4.4 გარიგების ნამდვილობა, გარიგების ფორმა

გარიგების ნამდვილობა ნიშნავს იმას, რომ იგი პასუხობს იურიდიული უფლებების და მოვალეობების წარმოსაშობად აუცილებელ მოთხოვნებს. მაგალითად, ნების გამოყენება მცირეწლოვანის ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მიერ, აქარწყლებს გარიგების ნამდვილობას. ასეთი პირების მიერ დადებული გარიგება ბათილია.

სკსკ 27 მუხლის თანახმად „გარიგების ნამდვილობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო გარიგების ნამდვილობისათვის".

იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი, მაშინ გარიგების ნამდვილობისათვის გამოიყენება ამ გარიგებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალი.

გარიგების ფორმა გარიგების ნამდვილობის ერთ-ერთი პირობაა. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 59-ე მუხლით „ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება".

რომელი ქვეყნის სამართლით განისაზღვრება გარიგების ფორმა, რიდესაც გარიგება დადებულია უცხო სახელმწიფოს ფიზიკური და იურიდიული პირის მონაწილეობით?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა 29-ე მუხლი, რომლის თანახმად, გარიგების ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც დაიდო ეს გარიგება, ან იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოიყენება გარიგების საგნის მიმართ. გარიგების ფორმა დაცულად ითვლება, თუ ხელშეკრულება შეესაბამება ერთ-ერთი ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს, თუ ხელშეკრულება დაიდო სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ პირებს შორის.

ზოგიერთი ქვეყნის სამართლის მიხედვით, გარიგება შეიძლება დაიდოს წერილობითი ფორმით. ასეთი ფორმის დაუცველობა იწვევს გარიგების ბათილობას. ამასთან, ყენის 1980 წლის

კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად, „აუცილებელი არ არის, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადებული ან დამტკიცებული იყოს წერილობითი ფორმით, ან ექვემდებარებოდეს სხვა მოთხოვნას ფორმასთან დაკავშირებით. იგი შეიძლება დამტკიცდეს ნებისმიერი საშუალებით, მოწმეთა ჩვენების ჩათვლით."

როგორც ვხედავთ, ეს მუხლი შეიძლება აღმოჩნდეს წინააღმდეგობაში იმ ქვეყნის სამართალთან, რომლებიც ნასყიდობის ხელშეკრულების საყალდებულო წერილობით ფორმას ითვალისწინებს.

ამდენად, ვენის კონვენციამ დაუშვა შესაძლებლობა, ამ კონვენციაზე მიერთების დროს სახელმწიფოებმა გააკეთონ დათქმა მე-11 მუხლის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ. ვენის კონვენციის 96-ე მუხლის თანახმად, „ხელშემკვრელი სახელმწიფოს, რომლის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება იდებოდეს, მტკიცდებოდეს წერილობითი ფორმით, ნებისმიერ დროს შეუძლია მე-12 მუხლის შესაბამისად განაცხადოს, რომ ამ კონვენციის მე-11, 29-ე ან 11 ნაწილის ნებისმიერი დებულება, რომელიც დასაშვებად მიჩნევს, ნასყიდობის ხელშეკრულება, მისი შეცვლა ან შეწყვეტა მხარეთა შეთანხმებით ან ოფერტა, აქცეპტი ან განზრახვის ნებისმიერი სხვა გამოხატულება ხდებოდეს არა წერილობით, არამედ ნებისმიერი სხვა ფორმით, არ გამოიყენება თუნდაც ერთ რომელიმე მხარეს თავისი კონკრეტული საწარმო ჰქონდეს ამ სახელმწიფოში".

ვენის კონვენციაზე მიერთებისას თუ სახელმწიფომ ასეთი დათქმა გააკეთა, მის მიმართ მე-11 მუხლის ნაცვლად მოქმედებს მე-12 მუხლი, რომელიც კრძალავს მე-11 მუხლის გამოყენების შესაძლებლობას. 1994 წ. 3 თებერვალს საქართველო შეუერთდა ვენის 1980 წ. კონვენციას, ყოველგვარი დათქმების გარეშე, რადგან მას ეს არ სჭირდებოდა: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს მოძრავი ნივთების ნასყიდობისათვის სავალდებულო წერილობით ფორმას.

სკს კანონის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, იმ გარიგებათა მიმართ, რომელთა საგანია მიწის ნაკვეთზე უფლება, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართლის იმპერატიული ნორმები გარიგების ფორმის შესახებ, სადაც არის მიწის ნაკვეთი.

თავი V. სანივთო სამართლის საკითხები საერთაშორისო კერძო სამართალში

5.1 სანივთო სამართლის ცნება

სხვადასხვა ქვეყნის სამართალი სხვადასხვანაირად აწესრიგებს სანივთო სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებს. მაგალითად, ზოგიერთი ქვეყნის სამართალი მფლობელობას სანივთო სამართლის დამოუკიდებელ ინსტიტუტად არ იცნობს და განიხილავს მას, როგორც მესაკუთრის ერთ-ერთ უფლებამოსილებას.

ამგვარად, **ასეთი ქვეყნების სამართალი არ იცნობს მფლობელობით (პოსესორული) სარჩელებს.** არაერთგვაროვანია გაგება, თუ რომელი ნიშნები განეკუთვნება უძრავს და რომელი მოძრავს. არაერთგვაროვნად განისაზღვრება მესაკუთრის უფლებათა წრე და შინაარსი, რომლებიც სანივთო სამართალს განეკუთვნება და ა.შ.

სანივთო სამართლის საკითხები სხვადასხვანაირად წესრიგდება სხვადასხვა ქვეყანაში. საკოლიზიო ნორმები მიუთითებენ, რომელიქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული საერთაშორისო ელემენტებით დატვირთული ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად.

საკოლიზიო საკითხების განხილვამდე მოკლედ შევეხოთ სანივთო სამართლის ზოგიერთ საკითხს.

სანივთო სამართლის ცნება:

სანივთო სამართალი წარმოადგენს ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებენ პირთა ურთიერთობას ნივთებთან. სანივთო სამართლის ასეთი განსაზღვრება არ გამორიცხავს პირთა შორის ურთიერთობებს. პირის ურთიერთობა ნივთთან წარმოადგენს სანივთო სამართლის სუბსტანციას[1].

1. ბ. ზოიძე. სანივთო სამართალი. თბ., 1999 წ. გვ. 1.

საკუთრების უფლების გვერდით, საქართველოს კოდექსი აწესრიგებს მფლობელობას, როგორც სანივთო სამართლის დამოუკიდებელ ინსტიტუტს. მფლობელობის არსებობა არაა დამოკიდებული საკუთრების უფლებაზე. მფლობელობითი დაცვის სფერო ვრცელდება როგორც უძრავ, ისე მოძრავ ნივთებზე.

მფლობელობის ცნება:

მფლობელობა არის ნივთის ფაქტობრივი ფლობა (პყრობა). აქედან გამომდინარე, მფლობელობა შეწყდება, თუ მფლობელი თმობს ნივთს სამუდამოდ, ან სხვა გზით კარგავს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას (სამოქალაქო კოდექსი 156-ე მუხლი).

ჯერ კიდევ რომის იურისტები კარგად ასხვავებდნენ ერთმანეთისაგან მფლობელობას საკუთრებისაგან: „მე მაქვს ნივთი," - ასე გამოხატავდნენ ისინი მფლობელობას, ხოლო საკუთრებას კი სიტყვებით: „მე მაქვს ნივთზე საკუთრების უფლება".

მფლობელობა (possessio) აღჭურვილი იყო დაცვის დამოუკიდებელი საშუალებით - პოსესორული სარჩელით.

თანამედროვე კანონმდებლობებში მფლობელობა განსაზღვრულია, როგორც ნივთის ფაქტობრივი ფლობა და არა უფლება. ტიტულიანი მფლობელის დაცვა გათვალისწინებული იყო და არის როგორც ადრე მოქმედი სამოქალაქო კოდექსით, ისე დღეს მოქმედი კოდექსითაც.

ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე (ს.კ. 158-ე მუხლი). ამიტომ, ნივთის გამოთხოვის შესახებ სარჩელში მფლობელმა მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ ის არის ნივთის მესაკუთრე.

მფლობელი მოპასუხე ვალდებულია ამ ფაქტის დამტკიცებისაგან, რადგან იგი იყარაუდება სადავო ნივთის მესაკუთრედ.

განსხვავებით ადრინდელისაგან, დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მფლობელობით (პოსესორულ) სარჩელს, როგორც მფლობელობის დაცვის დამოუკიდებელ საშუალებას (ს.კ. 160-ე მუხლი).

უფრო მეტიც, მფლობელს შეუძლია აღძრას სარჩელი ისე, როგორც ეს შეუძლია მესაკუთრეს ნეგატორული სარჩელით (ს.კ. 161-ე მუხლი).

სანივთო სამართლისა და ვალდებულებით სამართალს შორის არსებითი განსხვავებაა. აქიტომ, ზოგჯერ სარჩელების კონკურენცია შეიძლება წარმოიშვას სანივთო სამართალსა და ვალდებულებით სამართალს შორის.

სანივთო სამართალი არეგულირებს პირთა ურთიერთობას ნივთებთან, ხოლო ვალდებულებითი სამართალი არის პირთა ურთიერთობა ერთმანეთთან.

სანივთო უფლება აბსოლუტური უფლებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სანივთო უფლების მქონე პირის წინაშე ყველა სხვა პირი განუსაზღვრელად ვალდებულია არ დაარღვიოს ეს უფლება.

ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოიშვება შეფარდებითი უფლება. ეს ნიშნავს იმას, რომ შეფარდებითი უფლების მქონე პირის წინაშე ვალდებულია სრულიად განსაზღვრული პირი ან პირთა წრე.

სანივთო სამართალსა და ვალდებულებით სამართალს შორის ეს განსხვავება სავსებით საკმარისია საკოლიზიო საკითხების გადასაწყვეტად, კერძოდ, რომელი სარჩელი, - სანივთო თუ ვალდებულებითი, არის შიზანშეწონილი აღიძრას მოცემული კონკრეტული შემთხვევისათვის.

5.2. სანივთო სამართლის საკოლიზიო საკითხები

ნივთის ადგილსამყოფელის კანონი Lex rei sitae არის საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთი უძველესი და ურყევი კანონი. საქართველოს სკსკ-ის 32-ე მუხლის თანახმად „ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება. ამ ქვეყნის სანივთო-სამართლებრივი ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა ამ

კანონის მითითებითი (კოლიზიური) ნორმების მიხედვით სხვა ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული".

საქართველოს სკსკ აწესრიგებს სანივთო სამართლის საკოლიზიო საკითხებს და არა საკუთრების საკოლიზიო საკითხებს. ამიტომ, წამოიჭრება შემდეგი საკითხები:

1 რომელი უფლებები განეკუთვნება სანივთო სამართალს?

საქ. სამოქ. სამართლის მიხედვით, სანივთო უფლებათა წრეს განეკუთვნებიან: საკუთრება, აღნაგობა, სერვიტუტი, უზუფრუქტი, გირავნობა და იპოთეკა.

საქ. სკს კანონის ენაზე რომ ვთქვათ, ყველა ამ უფლების მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს იმ ქვეყნის სამართალი, სადაც იმყოფება მფლობელობის, საკუთრების, აღნაგობის, სერვიტუტის, უზუფრუქტის, გირავნობის თუ იპოთეკის ობიექტები.

მაგალითად, ავიღოთ გირავნობა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. მოძრავი ნივთი და ყველა არამატერიალური ქონებრივი სიკეთე შეიძლება გამოყენებული იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად. ამგვარად, ნივთი, რომელიც საქართველოშია, ანუ რომელსაც ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს, შეიძლება დაგირავებული იქნეს ნებისმიერ ქვეყანაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უძრავი ნივთი, რომლის ადგილსამყოფელი საქართველოშია, შეიძლება ნებისმიერ ქვეყანაში დაიტვირთოს სერვიტუტით ან იპოთეკით - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ა.შ.

2. რა არის სანივთო სამართლის ობიექტი, ანუ რა არის ქონება?

საქართველოს სკ 147-ე მუხლით **ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შესახებაც შეიძლება შეუზღუდავად, თუ კი ეს აკრძალული არ არის კანონით ან ეწინააღმ-დეგება ზნეობრივ ნორმებს.** საინტერესოა, რომელი ქვეყნის

სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც უცხოეთში ხდება საქართველოში მდებარე მიწის (უძრავი ქონება) ან ავტომანქანის (მოძრავი ნივთი) უფლების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა?

Lex rei sitac-ს მიხედვით, საქ. სკს კანონის 92-ე მუხლით, საქართველოს სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული. მიწის ნაკვეთის შესაძენად შეიძლება შეთანხმდნენ ნებისმიერ ქვეყანაში საქ. სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით განსაზღვრული წესის დაცვით: **უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შეძენის რეგისტრაცია.**

3. რა მნიშვნელობა აქვს ნივთების დაყოფას უძრავად და მოძრავად საკოლიზიო საკითხების გადაწყვეტისათვის?

სხვადასხვა ქვეყნის სამართალი სხვადასხვანაირად განსაზღვრავს უძრავ და მოძრავ ნივთებს. გარდა ამისა, სამართლებრივი რეჟიმი უძრავი და მოძრავი ნივთებისა სხვადასხვანაირია; ამდენად, საერთაშორისო კერძო სამართალში ნივთების უძრავად და მოძრავად დაყოფას გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

სსკ 149-ე მუხლის თანახმად „უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე".

მოძრავი ნივთების განსაზღვრებას სსკ არ შეიცავს. ლოგიკურად, ყველა ის ნივთი, რომელიც არ განეკუთვნება სსკ 149-ე მუხლით განსაზღვრული უძრავი ნივთების კატეგორიას, წარმოადგენენ მოძრავ ნივთებს.

სანივთო უფლება უძრავ ნივთებზე რეგულირდება კანონით ადგილსამყოფელის მიხედვით. ნივთების ადგილსამყოფელის ცნება უნდა გავიგოთ წმინდა ფიზიკური თვალსაზრისით - ნივთის ფიზიკური ადგილმდებარეობის თვალსაზრისით (Situs naturalis) და არა იურიდიულ-მატერიალური თვალსაზრისით (Situs civilis).

მოძრავი ნივთების მიმართ დიდი ხნის მანძილზე გამოიყენებოდა ამ ნივთების მფლობელის, მესაკუთრის საცხოვრებელი ადგილის კანონი. საშოქალაქო ბრუნვის ინტერესების თვალსაზრისით, ამ კანონმა არ მოიტანა სასურველი შედეგი. ამიტომ, ამჟამად მოძრავი ნივთების მიმართაც გამოიყენება ნივთის ადგილსამყოფელის პრინციპი.

პირის მიერ მართლზომიერად შეძენილი ნივთი რჩება მის მფლობელობაში (საკუთრებაში) შემდგომში ამ ნივთის ადგილმდებარეობის შეცვლის მიუხედავად.

სანიყთო უფლების (საკუთრების უფლების) მოცულობა იცვლება იმის და მიხედვით, რომელ ქვეყანაშიც გადაადგილდება ნივთი. სკს-ის კანონის 32-ე მუხლის თანახმად: „თუ სხვა ქვეყანაში აღმოჩნდა ნივთი, რომელზედაც წარმოიშვა უფლება, მაშინ ამ უფლების შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც გადაიტანეს ნივთი."

საილუსტრაციოთ მოყვიტანთ ასეთ მაგალითს: გერმანიის სამართლის მოთხოვნების დაცვით, ავტომანქანა შეძენილია - გერმანიაში, ვინაიდან ავტომანქანის ადგილსამყოფელი იქ იყო. შემძენმა ეს ავტომანქანა გადმოიყვანა საქართველოში. რა თქმა უნდა შემძენი ინარჩუნებს საკუთრების უფლებას ამ ავტომანქანაზე მაგრამ ამ საკუთრების უფლების შინაარსი განისაღვრება საქართველოს სამართლის მიხედვით.

4. სანიყთო უფლების წარმოშობა გზაში მყოფ ნიყთებზე

მხარეები დებენ გარიგებას ამ ნივთებზე საკუთრების გადასვლის შესახებ. რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული: იმ ქვეყნის სამართალი, სადაც უნდა ჩაყოდეს ნიყთი, თუ იმ ქვეყნისა, - სადაც გზაშია ეს ნიყთი?

საქართველოს სკს კანონის თანახმად, უფლებები მოძრავ ნიყთებზე, რომლებიც გზაშია, განისაზღვრება ამ ნივთების საბოლოო დანიშნულების ადგილის (ქვეყნის) სამართლის მიხედვით (33-ე

მუხლი). საჰაერო, წყლის და რკინიგზის სატრანსპორტო საშუალებებზე უფლებები ექვემდებარება იმ ქვეყნის საკანონმდებლო, რომელსაც ისინი ეკუთვნის (33-ე მუხლი, ნაწილი II).

5. შეძენითი ხანდაზმულობის ინსტიტუტი ნიშნავს იმას, რომ ნივთის გარკვეული დროის განმავლობაში მფლობელი პირი ძოიპოვებს ამ ნივთზე საკუთრების უფლებას.

მაგალითი: პირი მოძრავ ნაყთს ფლობს 5 წლის განმავლობაში უწყვეტად, როგორც საკუთარს. საქ. სამოქ. კოდექსის 165-ე მუხლის თანახმად, ასეთი პირი მოიპოვებს ნივთზე საკუთრების უფლებას. **მას ეწოდება საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით.**

ამავე კოდექსის 167-ე მუხლით განზოგადებულია უძრავ ნივთებზე საკუთრების ხანდაზმულობით შეძენის პირობები.

სსკს კანონის 32 მუხლის საფუძველზე **ხანდაზმულობით ნივთზე უფლების წარმოშობა განისაზღვრება იმ ქვეყნის საკანონმდებლით, სადაც იმყოფება ნივთი ხანდაზმულობის ვადის დამთავრების დროს.**

6. არამატერიალურ (უსხეულო) ნივთების კატეგორიას მიაკუთვნებენ მოძრავ ნივთებს. სამ. კოდექსის თანახმად: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე (152-ე მუხლი).

არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები ემორჩილებიან საკუთრების უფლების დამახასიათებელ ნიშნებს. მათი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ისეთ არის შესაძლებელი, როგორც სხეულებრივი საგნებისა[1].

1. ბ. ზოიძე. სანივთო სამართალი. თბ., 1999 წ. გვ. 31.

პირად არაქონებრივ უფლებებს განეკუთვნებიან: სახელის უფლება, პატივისა და ღირსების დაცვის უფლება, პირადი ხელშეუხებლობის უფლება, პირადი ცხოვრების საიდუმლოებების დაცვა, საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება, უფლება საკუთარ გამოსახულებაზე და სხვა (იხ. სამოქ. კ. მე-17 და მე-18 მუხლები). სკსკ-ის 34-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი უფლებები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ისინი უნდა იქნეს გამოყენებული.

მაგალითი: პირს აქვს უფლება - მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივსა და ღირსებას. სად შეიძლება წარმოიშვას ამ უფლების გამოყენების აუცილებლობა? ცხადია სადაც გავრცელდა პირის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები. თუ ასეთი ცნობები გავრცელდა საქართველოში, მაშინ ამ ცნობების უარყოფა შეიძლება საქართველოს კანონმდებლობის გამოყენებით. თუ ამ ცნობების გავრცელებას ადგილი ჰქონდა საფრანგეთში, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს საფრანგეთის კანონი. ანალოგიურად განიხილება სხვა არაქონებრივი უფლებებიც: გამოსახულების უფლება, სახელის უფლება, პირადი ცხოვრების საიდუმლოების უფლება და ა.შ.

თავი VI. ზიანის მიყენებით გაპოზვეული ვალდებულებები

6.1 დელიქტური ვალდებულებების კოლიზიური საკითხები

დელიქტი ლათინური სიტყვაა და სამართლის დარღვევას, დანაშაულს ნიშნავს. ა. შუშანაშვილის იურიდიული ლექსიკონით- დელიქტი იგივეა, რაც გადაცდომა. იგი გულისხმობს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, დისციპლინურ სამართალდარღვევას. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინს „დელიქტი“ საქართველოს კანონმდებლობა არ იყენებს, მეცნიერებაში კი ხშირად იხმარება.

სამართალდარღვევიდან ვალდებულების სფეროში კანონის ამორჩევას მივყავართ სამართლის დაწესებამდე, რომლითაც რეგულირდებიან დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძვლები. მას ჩვეულებრივად უწოდებენ დელიქტური ვალდებულების სტატუტს. ეს სტატუტი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ძირითად კოლიზიურ კრიტერიუმს ამ დარგში წარმოადგენს ზიანის მიყენების ადგილის კანონის პრინციპი (lex loci delicti). ამ პრინციპიდან მომდინარეობს კანონმდებლობა ისეთი ქვეყნებისა, როგორიცაა: იტალია, საბერძნეთი, თურქეთი, გერმანია, იაპონია და სხვა, აგრეთვე, საფრანგეთის, ბელგიის სასამართლო პრაქტიკა.

სხვადასხვა ქვეყანაში იყენებენ სხვადასხვა კრიტერიუმს - **„ადგილი, სადაც მოხდა დელიქტი“** - განსაზღვრისათვის. ეს ადგილი შეიძლება განისაზღვროს, როგორც **ადგილი, სადაც ჩადენილია ქმედება, რომელიც საფუძველია ზარალის ანაზღაურების მოთხოვნისათვის, ან როგორც ასეთი ქმედების შედეგის დადგომის ადგილი, ან როგორც მათი განსაზღვრული შერწყმა.** მოყიყვანთ ამ პრობლემის გადაწყვეტის ზოგიერთ მაგალითს:

გასული საუკუნის (XX) 60-იანი წლებიდან გავრცელდა კოლიზიური მიბმა სახელმწიფო სამართალთან, რომელთანაც

დაკავშირებულია დელიქტური ურთიერთობის მხარეები: საერთო მოქალაქეობა, საერთო მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და სხვა. ეს გახდა მრავალი ქვეყნისათვის დამახასიათებელი საერთო ტენდენცია რბილი კოლიზიური ნორმების შემუშავებისა.

კერძოდ, შვეიცარიის 1987 წ. საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 133-ე მუხლი ითვალისწინებს შემდეგ წესს: თუ ზარალის მიმყენებელს და დაზარალებულს აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ერთ და იმავე სახელმწიფოში, მაშინ პრეტენზიები ზარალის მიყენებაზე რეგულირდებიან ამ სახელმწიფოს სამართლით. იმ შემთხვევაში, თუ მათ არა აქვთ საერთო საცხოვრებელი ადგილი, გამოიყენება იმ სახელმწიფოს სამართალი, სადაც ადგილი ჰქონდა აკრძალულ (დაუშვებელ) ქმედებას. თუ ქმედების შედეგი დადგა სხვა სახელმწიფოში, მაშინ გამოიყენება ამ სახელმწიფოს სამართალი.

ზემოაღნიშნული კანონის 132-ე მუხლის თანახმად მხარეებს, დელიქტური მიმართებით ზიანის მიყენების შემდეგ, შეუძლიათ შეთანხმდნენ სასამართლო ქვეყნის სამართლის გამოყენებაზე (lex fori). ამავე კანონში გათვალისწინებულია წესები მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი სამართლის გამოყენებაზე.

ავსტრიის 1978 წ. საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის თანახმად, თუ მხარეებს დელიქტური მიმართებით ერთ და იმავე სახელმწიფოს სამართალთან აქვთ მჭიდრო კავშირი, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს ეს სამართალი.

უნგრეთის 1979 წ. საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი ადგენს შემდეგ წესებს: 1. ხელშეკრულების გარეშე მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა, თუ მოცემული კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს, გამოიყენება იმ დროს მოქმედი კანონი პირის ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული ზარალის განსაზღვრისათვის; 2. თუ დაზარალებულისთვის ეს უფრო ხელსაყრელია, მაშინ გამოიყენებული უნდა იქნეს იმ ქვეყნის კანონი, რომლის ტერიტორიაზეც დადგა ზიანი; 3. როცა ზიანის მიმყენებლის და დაზარალებულის საცხოვრებელი ადგილი ერთ და იმავე სახელმწიფოშია, გამოყენებული უნდა იქნეს ამ

სახელმწიფოს კანონი. 4. თუ ზიანის გამომწვევი პირის ქმედების ან უმოქმედობის ჩადენის ადგილის კანონით, პასუხისმგებლობის პირობად წარმოადგენს დანაშაული, დანაშაულებრივი ქმედობის უნარი შეიძლება დადგინდეს ან ზიანის მიმყენებლის პირადი კანონით, ან სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის კანონით.

სპეციალური კოლიზიური მიბმა დადგენილია უნგრეთის კანონში მართლსაწინააღმდეგო ქმედობის განსაზღვრისათვის. უნგრეთის სასამართლო, 1979 წ. 34 კანონის თანახმად, უფლებამოსილი არ არის დაადგინოს პასუხისმგებლობა ისეთი ქცევისათვის, რომელიც უნგრეთის კანონით არ წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგოს.

დელიქტურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მოქმედებს მართლსაწინააღმდეგო ქმედობის შემთხვევის ადგილის კანონი. თუ ზიანის მიმყენებელის ან დაზარალებულის მოქალაქეობა ემთხვევა, ან ისინი ერთ და იმავე სახელმწიფოში იმყოფებიან, შეიძლება გამოყენებული იქნეს მხარეთა მოქალაქეობის კანონი ან ადგილსამყოფელის კანონი. თუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ ჩადენილი ქმედობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონით არ განიხილება, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედობა, მაშინ იგი არ ჩაითვლება საფუძვლად დელიქტური ვალდებულებების წარმოშობისათვის (სამოქალაქო სამართლის ზოგადი დებულებების 146-ე მუხლი, 1986 წ.).

დელიქტურ ვალდებულებებთან დაკავშირებული საკოლიზიო საკითხების გადაწყვეტის დროს ხორციელდება არჩევა ორ ძირითად ვარიანტს შორის: **საზიანო ქმედობის ჩადენის ქვეყნის სამართლის გამოყენება, ან დაზარალებული პირის ქვეყნის სამართალი. ტრადიციულად გამოიყენება ზარალის მიყენების ადგილის კანონი, მაგრამ ამ პრინციპის გამოყენება რიგი ქვეყნების კანონმდებლობით კორექტირდება დაზარალებულის ქვეყნის სამართლის გამოყენების შესაძლებლობით, თუ იგი იძლევა ზარალის ანაზღაურების უკეთეს შესაძლებლობას.**

კიდევ უფრო რთული ვითარება წარმოიშობა ისეთ შემთხვევაში, **როდესაც ზიანის გამომწვევი ქმედობა ხდება ერთ სახელმწიფოში, ხოლო შედეგი დგება სხვა სახელმწიფოში**

გარემოს დაბინძურება, ავარია ატომურ ელექტროსადგურზე, თხევადი საქონლით დატვირთული ვაგონცისტერნის დაზიანება ერთ ქვეყანაში, ხოლო დაზიანებული ვაგონცისტერნიდან სითხის დაღვრა და ჭერჭლის დაცარიელება სხვა ქვეყანაში. სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ დაზარალებულ პირებს, საერთაშორისო შეთანხმების უქონლობის შემთხვევაში, რჩებათ მხოლოდ შესაძლებლობა სარჩელით მიმართონ თავისი ქვეყნის სასამართლოს ზარალის ანაზღაურების თაობაზე. რიგი მიზეზების გამო მისი რეალიზება შეუძლებელი ხდება - სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის შედეგად. მრავალმხრივი შეთანხმებები მომდინარეობენ იმ ქვეყნის სასამართლოების კომპეტენტურობის პრინციპიდან, რომელშიც მოხდა შესაბამისი მოქმედება. ამ დროს გამოყენებული უნდა იქნეს სასამართლო ქვეყნის სამართალი. ვენის 1969 წ. შეთანხმებაში უფრო მკაფიოდაა განსაზღვრული, რა ექვემდებარება სასამართლო ქვეყნის საქართლის გამოყენებას. სხვა სიტყვებით, გათვალისწინებულია სასამართლო ქვეყნის საქართალის კოლიზიური ნორმების გამოყენებას. ამ საკითხებზე არსებობს ცალკეული ორმხრივი შეთანხმებები. ასე, მაგალითად, გფრ-სა და შვეიცარიას შორის არსებული შეთანხმების მე-3 მუხლის თანახმად (1966 წ. 22 ოქტომბერი), მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობის შესახებ ატომური ენერგეტიკის დარგში, გათვალისწინებულია განსაკუთრებული განსჯადობა ასეთი სარჩელების განხილვისათვის ქვეყნის სასამართლოების მიერ ქმედების ჩადენის ადგილის მიხედვით.

მოვიყვანთ მაგალითს: ჰოლანდიის ყვავილების მომყვანი საწარმო, ძირითადად, იყენებს მდინარე რეინის წყალს. ელზასში შახტის მიერ ამოღებული წყალი დაბინძურებული აღმოჩნდა კალიუმით. სწორედ ამ წყლით აღმოჩნდა დაზიანებული ყვავილები. შახტი მდებარეობს მიულხაუზენში (საფრანგეთი).

ყვავილების წარმოების მფლობელმა ქ. როტერდამის სასამართლოში აღძრა სარჩელი შახტის მიმართ. 1975 წ. 12 მაისის გადაწყვეტილებით სასამართლომ ცნო, რომ დავა მისი

არაგანსჯადია და სარჩელი უნდა წარუდგინოს შესაბამის ფრანგულ სასამართლოში. ამ დროს როტერდამის სასამართლო იმოწმებს ევროპის 1976 წ. 27 თებერვლის შეთანხმების პარაგრაფ 3-ის მე-5 მუხლს სამოქალაქო და სავაჭრო საქმეების განსჯადობის და გადაწყვეტილების შესრულების თაობაზე.

შემდგომში საქმე განიხილებოდა ჰაიგის სასამართლოში, რომელმაც, თაყის მხრივ შეკითხვით მიმართა ევროპის სასამართლოს - განემარტა ევროპის შეთანხმების მითითებული მუხლი. კონკრეტულად, ევროპის სასამართლოს წინაშე დაისვა კითხვა: რა უნდა იქნეს გაგებული ადგილის ქვეშ, „სადაც დადგა ზიანის მომენტის შედეგი" (შეთანხმების პარაგრაფი 3, მე-5 მუხლი) - ადგილი, სადაც წარმოიშვა ზიანი, ან მიყენებული იქნა ზიანი, ან ადგილი, სადაც განხორციელდა ქმედობა, რომელმაც გამოიწვია ზიანის დადგომა (ადგილი, სადაც განხორციელდა ქმედობა ან სადაც ადგილი ჰქონდა ქმედობისაგან თავის შეკავებას)?

ევროპის სასამართლომ ცნო, რომ თანახმად შეთანხმების მე-3 პარაგრაფის მე-5 მუხლისა, იმ შემთხვევაში, როცა ქმედობის განხორციელების ადგილი, რომელსაც თან ახლავს ზიანის მიყენება, არ ემთხვევა ზიანის მომტანი შედეგის დადგომის ადგილს, მოსარჩელემ მოპასუხეს მიმართ სარჩელი შეიძლება წარუდგინოს როგორც იმ ქვეყნის სასამართლოს, სადაც მიყენებული იქნა ზიანი, ასევე იმ ქვეყნის სასამართლოში, სადაც განხორციელდა ზიანის გამომწვევი ქმედობები.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ პოლანდიელმა მეყვავილემ უნდა აირჩიოს სასამართლო მოპასუხის ქმედობით მიყენებული ზარალის (ზიანის) დადგენისათვის: საფრანგეთში, ან ნიდერლანდებში.

6.2 ზიანის მიყენება საზღვარგარეთ

სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, რომელიც წარმოიშვა ზიანის მიყენების შედეგად, განისაღვრებიან იმ ქვეყნის საკანონმდებლოთ, სადაც ადგილი ჰქონდა ქმედობას ან სხვა გარემოებას, რომელიც დაედო საფუძვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

ამასთან, უცხოეთის საკანონმდებლო არ გამოიყენება, თუ ქმედობა ან სხვა გარემოება, რომელიც ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის საფუძველია, ქვეყნის კანონმდებლობით არ წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგოს. ეს წესი აისახა სასამართლოთა პრაქტიკაში, როცა განიხილება საქმეები ზიანის მიყენების თაობაზე. ეს პრაქტიკა უცვლელად ამოქმედინარეობდა იქიდან, რომ ვალდებულებაზე მხარეთა სამართალურთიერთობა, თუ ზიანი მიყენებული იყო საბჭოთა ტერიტორიაზე, რეგულირდებოდნენ საბჭოთა კანონით, ზიანის მიმყენებლის და დაზარალებულის მოქალაქეობის მიუხედავად. ასე, მაგალითად, საბჭოთა მოქალაქე ნეჩიკოვა ჩამოვარდა ავტომანქანიდან „სიმკა" მოსკოვის ერთ-ერთ გარეუბანში. მანქანა ეკუთვნოდა ამერიკელ ტურისტს. ამ შემთხვევაში წარმოიშვა ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

დსთ-ის ქვეყნებს შორის საკანონმდებლოებრივ დახმარებაზე ორმხრივ ხელშეკრულებებში, აგრეთვე კონვენციაში სამართლებრივ დახმარებასა და სამართლებრივ ურთიერთობებზე სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით (1993 წ.) განიხილება როგორც ზოგადი დაკავშირება იმ ქვეყნის სამართალთან, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა ქმედობას, რომელიც საფუძველი გახდა ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნისათვის, ასევე მხარეთა დაკავშირება საერთო მოქალაქეობასთან დელიქტურ ურთიერთობებში.

მხარეთა საერთო მოქალაქეობის შემთხვევაში შესაძლებელია, აგრეთვე, იმ ქვეყნის კანონმდებლობასთან დაკავშირება, რომლის სასამართლოშიც შეტანილია განცხადება. აღნიშნულის ნათელ-

საყოფად იხილეთ, მაგალითად, რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების მე-40-ე მუხლი.

უცხოელი იურიდიული პირის მიმართ ზარალის ზღვევინების დროს, რომელმაც ზიანი მიაყენა რუს მოქალაქეებს, ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს არა ზიანის მიმყენებლის მიერ, არამედ სადაზღვეო ორგანიზაციის მიერ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების ძალით. ასეთი დაზღვევა ხორციელდება სააქციონერო საზოგადოების „სახელმწიფო დაზღვევა საზღვარგარეთ"-ის მიერ. მაგალითად, ეს ორგანიზაცია იყო საქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვეული მოსკოვში ერთ-ერთი საზღვარგარეთული გამოფენის მომწყობების. როცა გამოფენაზე ზიანი იქნა მიყენებული რუსეთის მოქალაქის ინვენრის შჩეკოვის ჯანმრთელობის მიმართ, დაზღვეულმა აანაზღაურა ზიანი, რომელიც წარმოიშვა დაზარალებულის ხელფასის ნაწილის დაკარგვის შედეგად, მისი ავადმყოფობის პერიოდში.

რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში უფლება ზარალის ანაზღაურებაზე აქვთ არაშრომისუნარიან პირებს, რომლებიც იყოფებიან მიცვალებულის კმაყოფაზე ან აქვთ მისი სიკვდილის დღისათვის სარჩოს მიღების უფლება, აგრეთვე, მიცვალებულის ბავშვს, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა.

მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

მოსკოვის საქალაქო სასამართლომ განიხილა აშშ-ს მოქალაქე ქალის მ. ლაადტის სარჩელი ქ. ვლადიმირის საწარმოს მიმართ მარჩენალის სიკვდილთან დაკავშირებით ზარალის ანაზღაურებაზე. მისი განსვენებული მეუღლე ვილიამ ლაადტი კრემლის კედლის კონოგადაღებას აწარმოებდა მოსკოვში, წითელ მოედანზე. ლაადტი იმყოფებოდა ავტოგაჩერებაზე. ამ დროს იგი გადააგდო ავტობუსმა, რომელიც ეკუთვნოდა ქ. ვლადიმირის საავტომობილო საწარმოს. სასამართლომ დააგინა, რომ ადგილი პქონდა დაზარალებულის უხეშ გაუფრთხილებლობას, რამაც გამოიწვია მისი სიკვდილი. საბჭოთა კანონმდებლობით დაზარალებულის დანაშაულის

მოცულობა 85%-ით განისაზღვრა. გარდაცვლილის ქვრივის ზარალი განისაზღვრა 15%-ით. მოსარჩელის მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე დადგინდა მისი ქმრის სიკვდილით მიყენებული ზარალი. სასამართლომ ავტოსაწარმოს დააკისრა გადაეხადა ერთდროული დახმარება; გარდა ამისა, საწარმომ ივალდებულა ყოველთვიურად გაუგზავნოს მ. ლაადტს, როგორც გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფს, განსაზღვრული თანხა.

ამგვარად, უცხოელები დელიქტური ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში იძენენ უფლებებსა და ასრულებენ მოვალეობებს, ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ასეთი უფლებები და მოვალეობები გათვალისწინებული არაა უცხოელების პირადი კანონით.

საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებში 1991 წლამდე არ უნაზღაურდებოდათ ე.წ. მორალური ზიანი, რამდენადაც მისი ანაზღაურება არ იყო გათვალისწინებული საბჭოთა კანონმდებლობით. სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. 1991 წლის შემდეგ ამ ქვეყნებში ამოქმედდა სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები. ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვით მიყენებული მორალური ზიანი, რაც გამოწვეულია მოქალაქის მიმართ არამართლზომიერი ქმედებით, ნაზღაურდება ზიანის მიმყენებლის მიერ ბრალეულის არსებობის შემთხვევაში.

მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება ფულადი ან მატერიალური ფორმით. სასამართლო განსაზღვრავს მის მოცულობას. ეს წესი სრულად ექვემდებარება საქართველოში უცხოელ მოქალაქეებზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ განხილული სარჩელები დელიქტებიდან, რომლებიც განხორციელდა საზღვარგარეთ, სასამართლოები უნდა მიმდინარეობდნენ ზოგადი დებულებიდან lex loci delicti ზიანის მიყენების ადგილის კანონმდებლობის გამოყენების გზით. ეს წესი ჩვეულებრივად დოქტრინად იყო აღიარებული და იგი შეესაბამება ზოგად კოლიზიურ ნორმას. ამავე დროს, საერთაშორისო კერძო სამართლის საბჭოთა დოქტრინა

განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებდა საზღვარგარეთ საბჭოთა მოქალაქის მიერ მიყენებული ზიანის შემთხვევებს საბჭოთა სახელმწიფოს, მისი ორგანიზაციების და სხვა საბჭოთა მოქალაქეების მიმართ. რუსეთის ფედერაციაში ამჟამად მოქმედი კანონით (საფუძვლების პარაგრაფი 2, მუხლი 167) ადგენს, რომ **„ვალდებულებებზე მხარეთა უფლებები და მოვალეობები, რომლებიც წარმოიშვა ზიანის მიყენების შედეგად საზღვარგარეთ, თუ მხარეებს წარმოადგენენ საბჭოთა მოქალაქეები და იურიდიული პირები, განისაზღვრებიან საბჭოთა საქართველოთ.“**

საზღვარგარეთ ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების მიმართ, როცა მხარეები წარმოადგენენ ერთი და იმავე ქვეყნის მოქალაქეებს ან იურიდიულ პირებს, გამოიყენება ამ ქვეყნის საქართველო. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ვალდებულების მხარეები არ წარმოადგენენ ერთი და იმავე ქვეყნის მოქალაქეებს, მაგრამ აქვთ საცხოვრებელი ერთ და იმავე ქვეყანაში, გამოიყენება ამ ქვეყნის საქართველო.

საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში განიხილებოდა ზიანის ანაზღაურების შემთხვევები, რაც საბჭოთა მოქალაქეებს მიაყენეს საზღვარგარეთ.

მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან:

1960 წელს რსფსრ უმაღლეს სასამართლოში საქმის განხილვის დროს წარმოიშვა უცხოური საწარმოს პასუხისმგებლობის საკითხი ზიანისათვის, რომელიც მან მიაყენა მუშაკის ჯანმრთელობას საზღვარგარეთ მივლინებაში ყოფნის დროს. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ უცხოური საწარმოების პასუხისმგებლობაზე სპეციალური შეთანხმების უქონლობის გამო საბჭოთა სპეციალისტებზე მომხდარი უბედური შემთხვევებისათვის პასუხისმგებელია საბჭოთა ორგანიზაცია.

მოცემულ საქმეზე წარმოიშვა კითხვა იმაზე, თუნ, რა პირობებზე და რა მოცულობით ატარებს პასუხისმგებლობას საზღვარგარეთ საბჭოთა სპეციალისტის სამუშაოდ მიყვანების დროს მასზე მიყენებული დასახარების ან სიკვდილის შემთხვევაში, თუ

საერთაშორისო შეთანხმება არ შეიცავს პირობებს პასუხისმგებლობაზე ასეთ შემთხვევებში.

არსებობს ამგვარი პრობლემის გადაწყვეტის ორი გზა: 1. მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის პირობები და მოცულობა განისაზღვრებიან დელიქტის ჩადენის ადგილის კანონებით (lex loci delikti). ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება ზიანის მიმყენებელ დამნაშაულ პირს. 2. შეიძლება ამოვიდეთ იქიდან, რომ დელიქტის განხორციელების ადგილის კანონის პრინციპი არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა საქმე ეხება პირის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რომელიც სამუშაოს ასრულებს შრომითი ხელშეკრულების მიხედვით საზღვარგარეთ მისი მივლინების დროს.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, სასამართლო მეორე გზით წავიდა. რუდნევის მიმართ აღიარებული იქნა უფლება, საბჭოთა საწარმოსაგან მიიღოს ანაზღაურება ზიანისათვის, რომელიც მას მიადგა საზღვარგარეთ საწარმოში მივლინებით მუშაობის დროს. რუსეთის ფედერაციაში 1964 წელს მიღებული წესებით გათვალისწინებული იქნა, რომ იმ მუშებისა და მოსამსახურეების მიმართ, რომლებმაც შრომითი დასახიჩრება მიიღეს საზღვარგარეთ მუშაობის პერიოდში, ზიანის ანაზღაურება ხორციელდება საზღვარგარეთ სამუშაოზე მათი გამგზავნი სამინისტროებისა და უწყებების მიერ.

ზიანის მიყენების ადგილის კანონმდებლობა არ გამოიყენება ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაშიც. რუსეთის ფედერაციის 1997 წ. საჰაერო კოდექსის თანახმად, პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რომელიც მიყენებულია მგზავრის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის მიმართ საჰაერო გადაყვანის დროს, განისაზღვრება არა მარტო სამოქალაქო კოდექსის ზოგადი წესებით, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებებით (პარაგრაფი 1 მუხლი 117).

ბარგის, ტვირთის დაკარგვის, დაზიანებისთვის, აგრეთვე მგზავრების ხელთ არსებული ნივთების საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების დროს, გადამზიდავს ეკისრება პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად (პარაგრაფი 3 მუხლი 119).

ვარშავის 1929 წ. კონვენციით და ჰაგის 1955 წ. ოქმის თანახმად, გადამზიდავის პასუხისმგებლობა მგზავრის, ბარგის, ტვირთის დაზიანებისათვის განსაზღვრულია თანხით, რომლის ოდენობა შეადგენს, მაგალითად, მგზავრის ზიანთან შეფარდებით 250 ათას ფრანკს.

რ.ფ. 1999 წ. საავჭრო ზღვაოსნობის კოდექსის 426-ე მუხლი გემთმფლობელის პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიმართებით ითვალისწინებს, რომ პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრის გემის ალმის სახელმწიფოს კანონით.

ნავთობით გემის გაჭუჭყიანებით ზიანის მიყენების შემთხვევაში საავჭრო ზღვაოსნობის კოდექსით დადგენილი წესები გამოიყენება: ნავთობით გაჭუჭყიანებული გემით მიყენებული ზიანის განსაზღვრისათვის რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, მათ შორის, ტერიტორიალურ ზღვაში და რუსეთის ფედერაციის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში; გამაფრთხილებელი ღონისძიებები ამ ზიანის თავიდან აცილების, ან შემცირების მიზნით, სადაც არ უნდა იქნეს მიღებული.

საშიში და მავნე ნივთიერებების საზღვაო გადაზიდვასთან დაკავშირებით, ზიანის მიყენების შემთხვევაში საავჭრო ზღვაოსნობის კოდექსით დადგენილი წესები გამოიყენება: ნებისმიერ ზიანთან მიმართებით, რომელიც მიყენებულია რუსეთის ტერიტორიაზე; გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებულ ზიანთან მიმართებით, რომელიც მიყენებულია რუსეთის ფედერაციის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში; რუსეთის ტერიტორიის გარეთ მიყენებულ ზიანთან მიმართებით, რომელიც მოხდა საშიში და მავნე ნივთიერებების გემით გადაზიდვის დროს; გამაფრთხილებელი ღონისძიებების მიმართებით, რომლის მიზანია ზიანის თავიდან აცილება ან შემცირება, სადაც არ უნდა იქნეს განხორციელებული.

შეგვიძლია მოვიყვანოთ ჰაგალითი საზღვაო საარბიტრაჟო კომისიის პრაქტიკიდან: 1979 წ. წარმოშობილი დავის მიხედვით, უცხოელმა მოსარჩელემ დასვა საკითხი საბჭოთა გემის მფლობელის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის ფინეთის მატერიალური სამართლის

გამოყენების თაობაზე, რამდენადაც დავა დაკავშირებული იყო გემების დაჯახებასთან ფინეთის ტერიტორიალურ წყლებში. ამასთან, მოსარჩელემ მიუთითა რსფსრ 1961 წ. სამოქალაქო კოდექსის 566[4] და სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 126[4] მუხლებზე, რომლებიც ითვალისწინებენ იმ ქვეყნის სამართლის გამოყენებას, სადაც ზიანის გამომწვევი ქმედება იქნა ჩადენილი.

საზღვაო საარბიტრაჟო კომისიამ უარყო ეს მოთხოვნა. მან მიუთითა იმაზე, რომ რუსეთის ფედერაციის სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსის მე-14 მუხლს პრიორიტეტი აქვს დასახელებულ საბჭოთა სამართლის ზოგად კოლიზიურ ნორმებთან შედარებით, რამდენადაც მე-14 მუხლი ეხება სპეციალურად საყაჭრო ზღვაოსნობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და არა ნებისმიერ ქონებრივ ურთიერთობას; მეორეც, - მუხლი შეძუშავებულია სპეციალურად გემის მფლობელის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის და არა ზოგადი ყალდებულებებისათვის, რომელიც წარმოიშობა ზიანის მიყენების შედეგად.

ზიანის მიყენების შედეგი განისაზღვრება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ადგილი ჰქონდა ქმედობას, რომელიც საფუძველი გახდა ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნისათვის.

მოვიყვანთ მაგალითს ამ წესის გამოყენების თაობაზე სასამართლო არბიტრაჟის ორგანოების პრაქტიკიდან.

რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო სასამართლოში მიმართეს სასარჩელო განცხადებით ბელორუსიის სააქციონერო საზოგადოებიდან ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც მიყენებული იქნა მსუბუქ აუტომობილზე სატყირთო მანქანის მიერ. იგი ეკუთვნოდა რუსეთის ერთ-ერთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა ბელორუსიის ტერიტორიაზე. აყარიაზე დაძნაშავედ აღიარებული იქნა რუსეთის შპს-ის კუთვნილი სატყირთო მანქანის მძღოლი.

მოსარჩელე მოითხოვდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებული აუტომობილის რემონტზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურებას.

საარბიტრაჟო სასამართლომ დაჟის გადაწყვეტის დროს გამოიყენა 1992 წ. საერთაშორისო ხელშეკრულების კოლიზიური ნორმა.

სასამართლოს მიერ გამოყენებული იქნა ბელორუსიის სამართალი, რამდენადაც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა ბელორუსიაში.

დსთ სახელმწიფოთა სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს დებულებებს არ მარტო ზიანის მიყენების შედეგად დაწესებულ ვალდებულებითი სამართლის გამოყენებას, არამედ პასუხისმგებლობას მომხმარებლის მიმართ მიყენებული ზიანისათვის. უკანასკნელ შემთხვევაში, მომხმარებლის არჩევანის მიხედვით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

1. მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის სამართალი;

2. მწარმოებლის ან მომსახურების გამწევი პირის ადგილსამყოფელი ან საცხოვრებელი ქვეყნის სამართალი;

3. იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მომხმარებელმა შეიძინა საქონელი, ან მას აღმოუჩინეს მომსახურება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) მესამე თავი ეძღვნება დელიქტურ ვალდებულებებს. 992-ე მუხლში მოცემულია დელიქტური ვალდებულების ცნება: „პირი, რომელიც სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.“

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 42-ე მუხლი განსაზღვრავს თუ რომელი ქვეყნის სამართალს ექვემდებარება ზიანით ანაზღაურების ვალდებულება. ამ მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ექვემდებარება „დაზარალებულისთვის უფრო ხელსაყრელი ქვეყნის სამართალს“.

რომელია ეს ქვეყნები?

იმავე 42-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ექვემდებარება „იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ადგილი ჰქონდა იმ მოქმედებას ან გარემოებას,

რომელიც საფუძვლად დაედო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას". ამგვარად, საკოლიზიო კრიტერიუმად აღიარებულია „ზიანის მიყენების ადგილის კანონის პრინციპი" (Lex Loci delicti commissi).

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, თუ რომელი ადგილი ითვლება ზიანის (დელიქტის) მიყენების ადგილად. ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, დელიქტის ჩადენის ადგილად ითვლება როგორც ზიანის მიმყენებელი მოქმედების ადგილი, ისე შედეგის დადგომის ადგილი. დაზარალებულს კი შეუძლია აირჩიოს ერთ-ერთი ქვეყნის სამართალი. ვის შეუძლია გააკეთოს არჩევანი - სასაქართლოს თუ დაზარალებულს?

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი ამის შესახებ არაფერს არ ამბობს. ჩვენი აზრით, მთავარია რომ არჩეული ქვეყნის სამართალი ზიანის ანაზღაურების საფუძველების თუ რაოდენობის განსაზღვრის თვალსაზრისით იყოს „დაზარალებულისთვის უფრო ხელსაყრელი".

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 42-ე მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს გამონაკლისებს დელიქტის ზოგადი საკოლიზიო პრინციპებიდან. ზოგიერთ შემთხვევაში ზოგადი საკოლიზიო პრინციპების ნაცვლად გამოიყენება „იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს და დაზარალებულს ზიანის მიყენებისას ჰქონდათ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი". (42-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პუნქტი).

დელიქტური ვალდებულებების საკოლიზიო პრინციპებიდან გამონაკლისს განსაზღვრავს, აგრეთვე, 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" პუნქტი, რომლის თანახმად „არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული მოთხოვნებისათვის გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომლის ბაზარზეც ასეთი კონკურენცია გავლენას ახდენს, თუ ეს კონკურენცია არ შემოიფარგლება ბაზრის სრული ან ნაწილობრივი ზიანის მიყენებით".

ამგვარად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომლის ბაზარზეც ასეთმა არაკეთილსინდისიერმა კონკურენციამ მოახდინა გავლენა, რის გამოც ზიანი მიადგა ამა თუ იმ კონკურენტს.

ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა საქართველოს ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა შეიძლება წაუყენონ არა მარტო უშუალოდ ზიანის მიმყენებელ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, არამედ პასუხისმგებლობის დამზღვევს, ერთი პირობით: „თუ ამას ითვალისწინებს იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც გამოიყენება ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობის მიმართ, ან იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც დაზღვევის ხელშეკრულება ექვემდებარება" (საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 42-ე მუხლის მესამე ნაწილი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1139-ე და 1410-ე მუხლების შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა გაათავისუფლოს დამზღვევი იმ ვალდებულებებისაგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო. მზღვეველი თავის ვალდებულებების ფარგლებში მოვალეა უშუალოდ აანაზღაუროს ზიანი, თუ პირი, რომელსაც ზიანი მიადგა, მას წარუდგენს მოთხოვნას.

საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ" კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. ამ კანონის მე-9 მუხლში მოცემულია არაკეთილსინდისიერი გამოვლინების შემთხვევათა ჩამონათვალი, ხოლო 29-ე მუხლის თანახმად ეკონომიკურ აგენტს, ანუ იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას, უფლება აქვთ უშუალოდ მიმართონ სასამართლოს, შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისა და ამის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების თაობაზე.

თავი VII. მემკვიდრეობის საკითხები საერთაშორისო კერძო სამართალში

7.1 მემკვიდრეობის ცნება და სახეები

მემკვიდრეობა არის გარდაცვლილი პირის ქონების გადასვლა მის მემკვიდრეებზე. ეს ხორციელდება კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას ან ანდერძით. შესაძლებელია ორივე საფუძველი ერთად არსებობდნენ.

იმ ნორმების ერთობლიობას, რომელიც მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს არეგულირებს, მემკვიდრეობის სამართალი ეწოდება. იგი სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. მემკვიდრეობის უფლება კი არის პირის შესაძლებლობა, აღიარებული იქნეს მემკვიდრედ და მიიღოს სამკვიდრო ქონება.

მემკვიდრეობითი **სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი სუბიექტები არიან მამკვიდრებელი და მემკვიდრე.** გარდაცვლილი პირის ქონების მიღება შეუძლია როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს. გამონაკლის შემთხვევაში, მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო - ხაზინის სახით.

საერთო წესის მიხედვით, მემკვიდრეებად შეიძლება აღიარებული იქნენ ის ფიზიკური პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში.

კანონით მემკვიდრეობა მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან ანდერძი თუ მოითხოვს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი.

ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა, ძირითადად, ერთგვარიანად აწესრიგებს მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ

საკითხებს, მაგრამ მნიშვნელოვანი განსხვავებაა ისეთ საკითხებში, როგორიცაა: მემკვიდრეთა წრე, ანდერძის ფორმისადმი წაყენებული მოთხოვნები, სამკვიდრო ქონების განაწილების წესი, უძრავი და მოძრავი ქონების მემკვიდრეობის თავისებურებები და ა.შ.

სკსკ-ის 55-ე მუხლით განისაღვრება სამემკვიდრეო ურთიერთობების საკოლიზიო პრინციპი. ამ მუხლის მიხედვით, მემკვიდრეობა როგორც უძრავი, ისე მოძრაკი ქონებისა, წყდება ერთგვაროვანი საკოლიზიო პრინციპით. კერძოდ, მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც განეკუთვნებოდა მამკვიდრებელი გარდაცვალებისას, ე.ი. იყო ამ ქვეყნის მოქალაქე.

აღნიშნულის ნათელსაყოფად: თუ მამკვიდრებელი ცხოვრობდა და გარდაიცვალა საფრანგეთში, მაგრამ გარდაცვალებისას იგი იყო საქართველოს მოქალაქე, მისი მემკვიდრეობითი ურთიერთობისას გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს სამართალი. თუ გარდაცვალების წინ საფრანგეთში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქემ მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა, გამოყენებული უნდა იქნეს საფრანგეთის კანონმდებლობა. ცხადია ისიც, რომ საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს მამკვიდრებელი მოქალაქის ქვეყნის სამართალი.

მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ გამოიყენება უკანასკნელი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალი, მაგრამ თუ მათ ასეთი ადგილი არ ჰქონდათ, გამოიყენება საქართველოს სამართალი.

საქართველოს სკ ითვალისწინებს მემკვიდრის უფლების ჩამორთმევას იმ პირისათვის, რომელიც ხელს უწყობს თავისი ან ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან მათი წილის გაზრდას. ასეთი პირი სასამართლოს მიერ მიჩნეული უნდა იქნეს უღირს მემკვიდრედ. არ შეიძლება კანონიერ მემკვიდრედ აღიარებულ იქნენ ის მშობლები, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება, აგრეთვე, ის პირები, რომლებიც ბოროტად

არიდებდნენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას - ერჩინათ მამკვიდრებელი და ეს გარემოება დადასტურებულია სასამართლო წესით. ულირსი მემკვიდრეობის ფაქტი თუ გამოვლინდა და დადასტურდა მამკვიდრებლის სიცოცხლეში, შესაძლებელია მან პატიოს კანონიერ მემკვიდრეს ასეთი საქციელი, ან ანდერძით მაინც ცნოს იგი თავის მემკვიდრედ. ანდერძში გამოხატული ნებიერების შეცვლა არ დაიშვება.

მემკვიდრეობის უფლებაჩამორთმეული პირის სამკვიდრო წილი გადადის დანარჩენ მემკვიდრეებზე და თანასწორად ნაწილდება მათ შორის.

სამკვიდრო ქონებაში შედის მამკვიდრებლის საკუდილის მომენტისათვის მისი ქონებრივი აქტივიცა და პასივიც, ანუ მოთხოვნის უფლებაც და გადახდის ვალდებულებაც. სამკვიდროში შედის მამკვიდრებლის წილი საერთო საკუთრებაში.

სამკვიდროში არ შედის მხოლოდ მამკვიდრებლის კუთვნილი პირადი ხასიათის ქონებრივი უფლებები, საგვარეულო წიგნები, ხელის მოსახსენიებელი და სხვა საკულტო საგნები და სხვ.

მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა იწყება, ანუ სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალების, ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად მისი გამოცხადების შედეგად.

სამკვიდროს გახსნის ადგილად მიიჩნევა უძრავი ქონების ადგილსამყოფელი, ხოლო მოძრავი ქონების შემთხვევაში, - მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი.

სამკვიდროს გაყოფა უნდა მოხდეს მისი ღირებულებიდან მამკვიდრებლის მოვლისა და უკანასკნელი ავადმყოფობის მკურნალობის, დაკრძალვის, სამკვიდროს დაცვისა და ხელფასის გასტუმრების, ანდერძის აღსრულების აუცილებელი ხარჯების გამოკლების შემდეგ.

თუ არც კანონითა და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, აგრეთვე თუ ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, გარდაცვლილის ქონება ჩაითვლება უმემკვიდროდ და იგი გადაეცემა სახელმწიფო ხაზინას. ასეთ შემთხვევაში კანონის

საფუძველზე მემკვიდრედ ჩაითვლება სახელმწიფო. არის შემთხვევები, როცა ბირი თავის ქონებას ანდერძით უტოვებს სახელმწიფოს.

მემკვიდრეობის ნებისმიერი სახის დროს, მემკვიდრე ვალდებულია გადაიხადოს მამკვიდრებლის ვალები მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულების ფარგლებში.

მემკვიდრეობის ერთ-ერთი სახეა კანონით მემკვიდრეობა. იგი მაშინ იხსნება, ანუ წარმოიშობა, როცა: მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ანდერძით მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნამდე ან უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე. ასეთ გარემოებებში სამკვიდრო უნდა გადაყიდეს კანონით აღიარებულ მემკვიდრეებზე. ფიზიკურ პირთა მოწვევას მემკვიდრეებად კანონი უკავშირებს მამკვიდრებელთან მათი ნათესაური სიახლოვის ხარისხს და ადგენს მათ ხუთ რიგს. თანასწორი წელის უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან:

I რიგში - გარდაცვლილის შვილი, მეუღლე და მშობლები. შვილიშვილები და მათი შვილები მხოლოდ მაშინ ჩაითვლებიან მემკვიდრეებად, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მამკვიდრებლის მემკვიდრედ მიჩნეული მათი მშობელი.

II რიგში - გარდაცვლილის დები და ძმები, მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები, მათი შვილები, მემკვიდრეები იქნებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მამკვიდრებლის მემკვიდრე მშობელი. ისინი შვილიშვილებისა და მათი შვილების მსგავსად, თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდათ.

III რიგში - ბებია და პაპა, აგრეთვე მათი მშობლები იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს გახსნის დროს ბებია ან პაპა ცოცხლები აღარ არიან. მნიშვნელობა არა აქვს ბებია ან პაპა დედის მხრით არიან თუ მამის.

IV რიგში - ბიძები, დეიდები და მამიდები.

V რიგში - ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები. რომელიმე მათგანის გარდაცვალების შემთხვევაში მისი შვილები

დაინაწილებენ მის კუთვნილ სამკვიდროს. (ქართული სამართლის საფუძვლები, გვ. 179).

სამკვიდროს გახსნის დროს წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას.

ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მემკვიდრეობის უფლება არ ეხება ქონების იმ ნაწილს, რომელიც მას მეუღლეთა თანასაკუთრებიდან ეკუთვნის. განქორწინებული მეუღლეები არ შეიძლება ერთმანეთის მემკვიდრეები იყვნენ გარდაცვალების შემდეგ.

სამკვიდროს გახსნის დროს თუ არც ერთი რიგის მემკვიდრე არ არის სახეზე, ან მათ უარი თქვეს მემკვიდრეობის მიღებაზე, მაშინ უმკვიდრო ანუ ბეითალმანი ქონება გადადის ხაზინის გამგებლობაში, ან იმ დაწესებულების საკუთრებაში, ვის კმაყოფაზეც იმყოფებოდა მამკვიდრებელი.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით მემკვიდრეთა წრე შეიძლება იყოს უფრო ფართო. მაგალითად, მემკვიდრედ აღიარებულია ძმისწული მაკვიდრებლისა; ზოგან კი უფრო ვიწრო წრე, სადაც მემკვიდრეები ჯგუფებად არაა დაყოფილი და ა.შ.

საფრანგეთში მემკვიდრეობის უფლებით I რიგში სარგებლობენ შვილები, შვილიშვილები და ე.წ. დაღმავალი ხაზით მემკვიდრეები. 1972 წ. 3.01 კანონის თანახმად ქორწინების გარეშე შეილების მოწვევა მემკვიდრეებად ხდება კანონიერ შვილებთან ერთად. II რიგში არიან მამკვიდრებლის მშობლები, ძმები და დები, მათი დაღმავალი ხაზით ნათესავები. III რიგს განეკუთვნება ყველა დანარჩენი, მშობლების გარდა (ბაბუები, ბებიები, პაპები და სხვ.) - აღმაყალი ხაზით ნათესავები, რომელთაც უტოლდებიან ნაშვილები ბავშვები, მამიბილი, დედობილი. IV რიგს განეკუთვნება ე.წ. გაერდისთი ნათესავები VI თაობის ჩათვლით: ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და სხვ.

7.2 მემკვიდრეობა ანდერძით

ანდერძი არის ცალმხრივი ნების გამოვლინება და სრულებითაც არ არის საჭირო მემკვიდრის თანხმობა. მემკვიდრემ შეიძლება არც იცოდეს ანდერძის არსებობის შესახებ.

ფიზიკურ პირს შეუძლია თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს-როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც, ორგანიზაციას ან სახელმწიფო ხაზინას.

ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძემ. იგი უნდა შეიცავდეს ერთი მამკვიდრებლის ნების გამოვლინებას.

ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივი ანდერძის შედგენა არ დაიშვება. მხოლოდ მეუღლეებს შეუძლიათ შეადგინონ ერთობლივი ანდერძი ურთიერთმემკვიდრეობის შესახებ. ასეთი ანდერძი გაუქმდება ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით მხოლოდ იმ პირობით, თუ მეორე მეუღლე ცოცხალია.

მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძით განსაზღვროს თითოეული მემკვიდრის წილი, ან მიუთითოს, თუ რომელი ქონება რომელ მემკვიდრეზე გადავა. თუ ქონების დანაწილება არ არის მითითებული ანდერძში, იგი თანაბრად ნაწილდება მემკვიდრეებს შორის.

თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეს შორის ერთი მათგანის წილია განსაზღვრული, დანარჩენ ქონებას სხვა მემკვიდრეები თანაბრად მიიღებენ. ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონება განაწილდება კანონით გათვალისწინებულ მემკვიდრეებზე, მიუხედავად იმისა, რომელიმე მათგანს უკვე ერგო ანდერძით ქონების ნაწილი, თუ არა.

იმ შემთხვევაში, როცა მთელი სამკვიდრო ქონება ანდერძით განაწილებული იყო რამდენიმე პირს შორის და ერთ-ერთი მათგანი სამკვიდროს გახსნის მომენტში ცოცხალი აღარ არის, მის წილ ქონებაზე კანონით მემკვიდრეობა არ წარმოიშობა და იგი თანაბრად განაწილდება სხვა მემკვიდრეებს შორის.

ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით. მისი ხეპირი ფორმა დაუშვებელია. წერილობითი ანდერძი შეიძლება იყოს სანოტარო წესით დამოწმებული, ან ამგვარი დამოწმების გარეშე. სანოტარო წესის თანახმად, ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილი უნდა იქნეს მოანდერძის, ხოლო დადასტურებული - ნოტარიუსის მიერ. დასაშვებია ანდერძი ჩაიწეროს ნოტარიუსმა ორი მოწმის თანდასწრებით. ანდერძის დადასტურებისას ნოტარიუსთან შეიძლება გათანაბრდნენ ისეთი პირები, როგორიცაა გემის კაპიტანი, ხომალდის მეთაური, ექსპედიციის უფროსი, მთავარი ექიმი და სხვ. თუ მოანდერძე რაიმე მიზეზით თვითონ ვერ მოაწერს ხელს, მისი თხოვნით ანდერძს შეიძლება ხელი მოაწეროს სხვა პირმა. ამის შესახებ უნდა აღინიშნოს ანდერძში.

ნოტარიუსთან მოწმეთა თანდასწრებით ანდერძს ადგენს ყრუ-მუნჯი და ბრმა პირი. საანდერძო განკარგულებას ხელს აწერენ მოწმეები და ადასტურებს ნოტარიუსი. მოანდერძის ნაცვლად ხელისმომწერმა პირებმა სამკვიდროს გახსნამდე არ უნდა გაამხილონ ცნობები ანდერძის შინაარსის, შედგენის, შეცვლის ან გაუქმების შესახებ.

ანდერძი დალუქული კონვერტით შესანახად გადაეცემა ნოტარიუსს მოწმეთა თანდასწრებით. ასეთი შინაურული ანდერძის შედგენას მოწმეები არ ესწრებიან და არ იციან შინაარსი.

დახურული ანდერძის შემთხვევაში მოწმეები მხოლოდ ესწრებიან ანდერძის შედგენას, მაგრამ არ იციან მისი შინაარსი და ადასტურებენ მას. ანდერძში მითითებულია მისი შედგენის თარიღი.

მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ, ნოტარიუსი დანიშნულ დღეს დაინტერესებულ პირებს გააცნობს ანდერძის შინაარსს. ანდერძის გაცნობის პროცედურა ფორმდება ოქმით.

ანდერძის თავისუფლება მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი პრინციპია. კანონით მემკვიდრეთა

განსაზღვრული წრისათვის მიკუთვნებულია სავალდებულო წილის უფლება. ასე, მაგალითად, **მამკვიდრებლის შვილებს, შშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა.**

სავალდებულო წილის მთლიანი მოცულობა განისაღვრება მთელი სამკვიდროდან იმ ქონების ჩათვლით, რომელიც გათვალისწინებულია საანდერძო დანაკისრის შესასრულებლად.

საანდერძო დანაკისრის ანუ ლეგატის საფუძველზე მოანდერძეს შეუძლია მემკვიდრეს დააკისროს პირთა სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების შესრულება სამკვიდროს ხარჯზე: ნივთის გადაცემა საკუთრებაში, რაიმე სამუშაოს შესრულება და სხვ.

საანდერძო დანაკისრის მიმღები პასუხს არ აგებს მამკვიდრებლის ვალებისათვის. სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირი საანდერძო დანაკისრის მიმღებიც არის - ლეგეტარია, შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილი, თუ უარს იტყვის საანდერძო დანაკისრის მიღებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას სავალდებულო წილზე საანდერძო დანაკისრის ღირებულების ფარგლებში. ფაქტობრივად, ამით ხდება საანდერძო დანაკისრის გარანტირებული შესრულების უზრუნველყოფა.[1]

კანონის გათვალისწინებით, მოანდერძეს ყოველთვის შეუძლია შეცვალოს ან მოშალოს ანდერძი. მას ასევე შეუძლია რამდენიმე ანდერძი შეადგინოს. ახალი ანდერძი აუქმებს ძველს. თუ ისინი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, შეიძლება რამდენიმე ანდერძი ერთდროულად იყოს ძალაში.

ზოგჯერ ქვეყანაში დაშვებულია ანდერძის შედგენა ე.წ. **ოლოგრაფიული ფორმით.** ანდერძი იწერება მამკვიდრებლის საკუთარი ხელით და არ მოითხოვს დამოწმებას. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით ანდერძით არ შეიძლება შეიზღუდოს მემკვიდრეთა უფლებები კატეგორიების მიხედვით.

1. ქართული სამართლის საფუძვლები. თბ., 2000 წ. გვ. 183.

სხვა ქვეყნებში ანდერძით უნდა იყოს დადგენილი მეპკვიდრეებისათვის რიგი პირობები სამკვიდროს მიღებისათვის.

მაგალითი: ინგლისელმა მოქალაქემ შეადგინა ანდერძი ინგლისში, ანდერძით მთელი ქონება თავის დას რჩებოდა, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა. პირობის თანახმად მეპკვიდრეს ქონება უნდა მიეღო ლონდონში არაუგვიანეს 10 წლისა მოანდერძის სიკვდილიდან.

როგორ გაიგოთ ეს პირობა? ქონების მისაღებად მეპკვიდრე ყალდებული იყო მუდმივ საცხოვრებლად წასულიყო ინგლისში, როგორც ამას ამტკიცებდნენ ინგლისელი იურისტები, თუ უბრალოდ, წასულიყო ინგლისში მცირე ვადით სამეპკვიდრეო ქონების მისაღებად? ეს საქმე იქნა განსჯის საგნად სასამართლოსი, რომელმაც დაადგინა, რომ მეპკვიდრე სამკვიდრო ქონების მისაღებად უნდა ჩასულიყო ინგლისში (და არა მუდმივად ცხოვრების შედეგად მიეღო სამკვიდრო ქონება).

მსგავსი პრობლემების გადაწყვეტის დროს წარმოიშვება საკითხი: ქონების ადგილმდებარეობის კანონის ან ანდერძის შედგენის ადგილის კანონის გამოყენების შესახებ და ა.შ. სახელმწიფოთა პრაქტიკა და კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად წყვეტენ ამ საკითხს. აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში უძრავი ქონების მეპკვიდრეობის შემთხვევაში გამოიყენება ადგილის მდებარეობის კანონი, ხოლო მოძრავი ქონების მემკვიდრეობისას - **მამკვიდრებლის უკანასკნელი დომიცილიის კანონი, ანუ მისი საცხოვრებელი ადგილის კანონი.**

დომიცილიის განსაზღვრის დროს უნდა გაირკვეს განსხვავება წარმოშობისა და დაბადების ადგილის დომიცილიებს შორის. საილუსტრაციოდ მოგვყავს მაგალითი:

დიდი რუსი ბალერინა ანა პავლოვა დაიბადა რუსეთში. მან 15 წელი დიდ ბრიტანეთში იცხოვრა. მისი სიკვდილის შემდეგ აღიძრა საქმე მეპკვიდრეობაზე ქ. ლონდონში. ბრიტანეთის ხელისუფლება მამკვიდრებელს განიხილავდნენ როგორც სსრკ-ში დომიცილირებულს, თუმცა 1917 წლის შემდეგ იგი არც ერთხელ არ ქოფილა სსრკ-ში.

სასამართლო ამოდიოდა პრეზუმფციიდან დაბადების ადგილის მიხედვით დომიციალიის სასარგებლოდ და თვლიდა, რომ არ არსებობს მტკიცებულება ა. პავლოვას ახალი დომიციალიის შეძენის სასარგებლოდ.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ქვეყანაში არსებული უძრავი ქონება ექვემდებარება საფრანგეთის კანონმდებლობას, ე.ი. მათი მდებარეობის ადგილსამყოფელ ქვეყანას. რაც შეეხება მოძრავ ქონებას, მათი მიმართებით სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება მაპკვიდრებლის პირადი კანონი, რომლის ქვეშაც უნდა გვესმოდეს **დომიციალიის კანონი.**[1]

მაგალითი: დიდი რუსი მომღერალი ფ. შალიაპინი გარდაიცვალა 1938 წელს საფრანგეთში, ყოფილი საბჭოთა მოქალაქე. სიკვდილის შემდეგ მას პირველი ქორწინებიდან დარჩა 5 ბავშვი და 3 ბავშვი ქორწინების გარეშე. მათი დედა შემდგომში გახდა ფ. შალიაპინის მეორე ცოლი.

ფ. შალიაპინის მემკვიდრეობაში შედიოდა, კერძოდ, მიწის ნაკვეთები საფრანგეთში. 1935 წელს მან შეადგინა ანდერძი, რომლის თანახმად ქონების 1/4-ის მემკვიდრე ხდებოდა მისი მეუღლე, ხოლო რვიდან ყოველი შვილი ხდებოდა 3/32-ის მემკვიდრე.

პარიზის სააპელაციო სასამართლოს თანახმად, 1938 წელს მოქმედი საბჭოთა კანონის მიხედვით, მაპკვიდრებელს შეეძლო გაეანაწილებინა მემკვიდრეობა შვილებს შორის თანაბარ წილად. მაგრამ მიწის ნაკვეთების მიმართებით უნდა გამოყენებულიყო ფრანგული სამართალი, რომლის თანახმად ქორწინების გარეშე დაბადებული შვილები ვერ იქნებოდნენ მემკვიდრეები არც კანონით და არც ანდერძით[2].

დიდი ბრიტანეთის, აშშ-სა და საფრანგეთის სისტემებისაგან განსხვავებით, გფრ-ში ამოსავალს წარმოადგენს სამემკვიდრეო ქონების ერთიანობის პრინციპი. როგორც მოძრავ, ისე უძრავი ქონების მიმართ გამოიყენება მაპკვიდრებლის მოქალაქეობის კანონი.

1. М.М. Богуславский. Международное частное право. М., 2001. с. 360.
2. М.М. Богуславский. Международное частное право. М., 2001. с. 360.

მაგრამ ქვეყნის შიგნით მყოფი უძრავი ქონებისათვის მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძში აირჩიოს გერმანიის სამართალი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მოძრაკი ქონების მიმართებით გამოყენებული უნდა იქნეს მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილის კანონი მისი სიკვდილის მომენტში, ხოლო უძრაკი ქონების მიმართებით ქონების ადგილსამყოფელის კანონი (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლი, 1986 წ.).

ვაშინგტონის დიპლომატიურ კონფერენციაზე 1973 წ. 26 ოქტომბერს მიღებული იქნა მრავალმხრივი კონვენცია საერთაშორისო ანდერძის ფორმის შესახებ.

ანდერძის ფორმის მიმართ, ძირითადად, გამოიყენება მემკვიდრეობითი სამართლის ანალოგიური საკოლიზიო პრინციპები.

5ნ-ე მუხლის თანახმად, ანდერძი ითვლება ფორმის დაცვით შედგენილად, თუ იგი შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც განეკუთვნებოდა მამკვიდრებელი გარდაცვალებისას.

არის შემთხვევები, როდესაც ანდერძის ფორმა დაცულია ერთი ქვეყნის, - ვთქვათ, საქართველოს სამართლის მიხედვით და ანდერძის შედგენის დროს მოანდერძე იყო ამ ქვეყნის მოქალაქე, მაგრამ შემდგომში მან შეიცვალა მოქალაქეობა და გახდა საფრანგეთის მოქალაქე, სადაც იგი გარდაიცვალა.

შეიძლება თუ არა ასეთ შემთხვევაში ანდერძი ჩაითვალოს ფორმის დაცვით შედგენილად? საქართველოს სკს კანონი არ შეიცავს პასუხს ამ კითხვაზე.

სსკსკ-ის 5ნ-ე მუხლი ანდერძს თვლის ფორმის დაცვით შედგენილად, თუ იგი პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილი სამი პირობიდან ერთ-ერთს, კერძოდ, თუ ანდერძის ფორმა შეეხება იმ ქვეყნის სამართალს:

1. რომელსაც განეკუთვნებოდა მამკვიდრებელი გარდაცვა-ლებისას. ზემოთ მოყვანილ მაგალითში მოანდერძე გარდაცვალებისას უკვე იყო საფრანგეთის მოქალაქე, ანდერძი კი მოანდერძემ შეადგინა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მაშინ, როცა იგი იყო საქართველოს მოქალაქე.

ამგვარად, 5ს-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ანდერძი არ შეიძლება ჩაითვალოს ფორმის დაცვით შედგენილად.

2. სადაც ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ჰ ქონდა მამკვიდრებელს გარდაცვალებისას. ზემოთ მოყვანილ მაგალითში მოანდერძე უკვე იყო საფრანგეთის მოქალაქე და ჩვეულებრივი ადგილსამყოფელიც იქ ჰქონდა. ანდერძი კი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით იყო შედგენილი, რადგანაც ანდერძის შედგენის დროს მოანდერძე იყო საქართველოს მოქალაქე.

მაშასადამე, 5ს-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, ანდერძი არ შეიძლება ჩაითვალოს ფორმის დაცვით შედგენილად.

3. სადაც იმყოფება ანდერძის ობიექტი - უძრავი ქონება. ანდერძი ითვლება ფორმის დაცვით შედგენილად, თუ იგი შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც იმყოფება უძრავი ქონება. ამიტომ თუ ანდერძი შეეხება საქართველოში მდებარე უძრავ ქონებას, იგი ჩაითვლება ფორმის დაცვით შედგენილად ჩვენს ძიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითში.

მაშასადამე, ანდერძის შედგენის შემდეგ მოქალაქეობის ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შედეგები არ არის გათვალისწინებული სსკსკ-ით.

ჩვენ მიგვაჩნია: მოქალაქეობის, ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შედგენილი ანდერძი უნდა ჩაითვალოს ფორმის დაცვით შედგენილად, თუ ეს ფორმა არსებითად არ ეწინააღმდეგება, ან ძირითადად შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალს, რომლის მოქალაქეც გარდაცვალების წინ გახდა მოანდერძე, ან სადაც მან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი გაიჩინა.

თავი VIII. საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი

8.1 საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის ცნება

საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი არის საერთაშორისო კერძო სამართლის შემადგენელი ნაწილი. ამ შეხედულებამ, სხვა ქვეყნებთან ერთად, თავისი პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვა შვეიცარიის კანონში საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ. იგი აწესრიგებს შვეიცარიის სასამართლოების კომპეტენციას, უცხო ქვეყნების სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღიარებასა და აღსრულებას, არბიტრაჟის იურისდიქციას და ა.შ.

საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის მიკუთვნება საერთაშორისო კერძო სამართლის დარგისადმი დღეს უკვე ფართოდაა აღიარებული, როგორც სამართლის ამ დარგის მეცნიერებაში, ისე სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში.

საქართველოს სკსკ, საკოლიზიო ნორმების გყერდით, განსაზღვრავენ, რომელი ქვეყნის სამართალი იქნეს გამოყენებული უცხოური ელემენტით დატვირთული კერძო სამართლებრივი ურთიერთობის დროს; გარდა ამისა, კანონი შეიცავს მითითებას საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციისა და სხვა საპროცესო საკითხის შესახებ.

როგორც ვიცით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღყრავს სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვის წესებს, სადაც მონაწილეობენ საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, არ წესრიგდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: უცხოური ელემენტით დატვირთული რომელი საქმე შეიძლება განიხილოს საქართველოს სასამართლოებმა, ანუ როგორია საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია, რა წესით ხდება უცხოეთის სასამართლოების შუამდგომლობებისა და დავალებების შესრულება, რომელი პირები სარგებლობენ იმუნიტეტით? და ა.შ.

საერთაშორისო კერძო სამართალსა და საერთაშორისო საპროცესო სამართალს შორის ორგანული კავშირია: **სამოქალაქო საპროცესო სამართალი ემსახურება მატერიალურ სამართალს, უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობათა წარმართვას იმ პირობებით, რაც მატერიალური სამართლითაა განსაზღვრული.** აქედან გამომდინარე, საპროცესო სამართალი უნდა მოერგოს მატერიალურ სამართალს, გაითვალისწინოს მისი თავისებურებანი.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი შეუძლებელია წარმოიდგინოთ მატერიალური სამოქალაქო სამართლის გარეშე, რადგანაც იგი ჰკარგავს ყოველგვარ აზრსა და დანიშნულებას.

საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების განხილვის თავისებურებით განპირობებული საპროცესო სამართლის ნორმები შეიძლება გათვალისწინებული იქნეს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით.

საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალი წარმოადგენს იმ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებენ საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების განხილვის წესებს.

როგორც განმარტება ცხადყოფს, საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი მოიცავს მხოლოდ საქმეთა განხილვის იმ წესებს, რომლებიც უცხოური ელემენტით დატვირთული საქმეების განხილვის სპეციფიკურობითაა განპირობებული.

საქართველოს სკსკ-ის შესაბამისად, ასეთი წესებია: საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და იურიდიული პირების საპროცესო უფლება-გარანტიები, სასამართლო ხარჯების ანაზღაურება, უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის დადგენა, იმუნიტეტი და ექსტერიტორიულობის სხვა შემთხვევები, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა, სამართლებრივი დახმარების გაწევა, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულება.

8.2 საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია

ერთიანული სამოქალაქო საპროცესო სამართალი იცნობს უწყებრივ (საქვეუწყებო) ქვემდებარეობას დ განსჯადობას. სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა პასუხობს კითხვაზე: განეკუთვნება თუ არა საქმე სასამართლო ორგანოებს, შედის თუ არა სასამართლო ორგანოების უფლებამოსილებაში საქმის განხილვა. **სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობაა, რომელთა ფარგლებში სასამართლოს შეუძლია მიიღოს და განიხილოს საქმეები. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ, რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს ეს საქმე? ამ საკითხზე პასუხს იძლევა სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეორე ინსტიტუტი, რომელსაც განსჯადობა ეწოდება.**

ამგვარად, განსჯადობა აწესრიგებს სასამართლოსადმი ქვემდებარე საქმეების განაწილებას ცალკეული სასამართლოების მიხედვით.

საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია, თავისი შინაარსითა და დანიშნულებით, არ განსხვავდება განსჯადობისაგან. განსხვავება მათ შორის მხოლოდ მასშტაბებშია: განსჯადობა განსაზღვრავს საქართველოს რომელმა (გურჯაანის, გორის, საგარეჯოს და ა.შ.) სასამართლომ უნდა განახორციელოს ეს საქმე. საერთაშორისო კომპეტენცია მოწოდებულია განსაზღვროს სასამართლოსადმი ქვემდებარე საერთაშორისო დავა რომელი ქვეყნის სასამართლომ უნდა განიხილოს. ამის შესაბამისად, საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია მოწოდებულია განსაზღვროს საერთაშორისო ელემენტით დატვირთული საქმე საქართველოს სასამართლოების განსჯადია თუ არა. ამის შემდეგ განსჯადობა პასუხობს, რომელმა რაიონულმა (საოლქო) სასამართლომ უნდა განიხილოს საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაში შემავალი საქმე.

საერთაშორისო კომპეტენცია ცალმხრივად (ცალსახად) განსაზღვრავს მხოლოდ საქართველოს სასამართლოების კომპეტენციას: რომელი კატეგორიის საქმეები განეკუთვნება საქართველოს სასამართლოების განსჯადობას.

როგორც ცალმხრივი საკოლიზიო ნორმა, საქართველოს სკსკ აწესრიგებს მხოლოდ საქართველოს სასამართლოების კომპეტენციას (განსჯადობას).

სასამართლო კომპეტენციის განსაზღვრისათვის იყენებენ შემდეგ სამ ძირითად კრიტერიუმს:

I. ტერიტორიული, ანუ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსჯადობა. ზოგჯერ ამას უწოდებენ განსჯადობის გერმანულ სისტემას.

II. მოდავე მხარეთა მოქალაქეობა. ზოგჯერ ასეთ განსჯადობას უწოდებენ ლათინურ (რომანულ) სისტემას;

III. მოპასუხის ფაქტიური ყოფნა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რათა შეიძლებოდეს მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება. ასეთ განსჯადობას, სხვაგვარად, უწოდებენ „საერთო სამართლის" (Common Low) სისტემის განსჯადობას (ინგლისი, აშშ, კანადა, ავსტრალია და ა.შ.).

საქართველოს სკსკ იზიარებს საერთაშორისო კომპეტენციის გერმანულ სისტემას. სსკსკ-ის VIII მუხლის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი".

ამ ძირითად პრინციპს აკონკრეტებს კანონის IX მუხლი, რომლის მიხედვით საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

თუ მოპასუხე, როგორც ფიზიკური პირი, ცხოვრობს საქართველოში, ან აქ არ ცხოვრობს, მაგრამ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს, VIII მუხლის თანახმად,

მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი საქართველოს სასამართლომ უნდა განიხილოს.

ვინ ითვლება საქართველოში მცხოვრებად, ან ისეთ პირად, რომელსაც საქართველოში აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი?

ასეთად ითვლება საქართველოში მუდმივ მცხოვრებად რეგისტრირებული პირი, აგრეთვე, ისეთი პირი, რომელიც, მართალია, აქ არ ცხოვრობს მუდმივად, მაგრამ აქვს საკუთარი საცხოვრებელი ბინა (სახლი) ან ბინა ქირავნობის ხელშეკრულებით და თავისი საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით ხანგრძლივი დროით ცხოვრობს საქართველოში.

საქმის საქართველოში განხილვისათვის საკმარისია რამდენიმე მოპასუხე პირიდან მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი ცხოვრობდეს ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ჰქონდეს საქართველოში.

მსგავსად ამისა, იურიდიული პირის რეზიდენცია ამ იურიდიული პირის იურიდიული მისამართია. სკ-ის 27-ე მუხლის თანახმად, იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).

საქართველოში ადგილსამყოფელის მქონე იურიდიული პირის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი საქართველოს სასამართლოების კომპეტენციაშია.

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა. მაგრამ როგორ მოყიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ადგილი განსაზღვრული არ არის ხელშეკრულებით? საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლის თანახმად, თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, საგნის მიწოდება შემდეგნაირად უნდა მოხდეს:

1. ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში - იმ ადგილას, სადაც საგანი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა;

2. გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში - იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო; თუ ასეთი არ არის, მაშინ მისი საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით.

სკ-ის 362 მუხლის კრიტერიუმით თუ აღმოჩნდება, რომ ვალდებულების შესრულების ადგილი საქართველოა, საქმე საქართველოს სასამართლოების კომპეტენციაში შედის.

ბ) სარჩელი ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა.

სკ-ის კანონის IX მუხლის „ბ" პუნქტის თანახმად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვა შედის საქართველოს სასამართლოების კომპეტენციაში, თუ ზიანის გამომწვევი ქმედება საქართველოში მოხდა, თვითონ ზიანი შეიძლება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დადგა, ან თუ ზიანი საქართველოში დადგა, ზიანის გამომწვევი ქმედება კი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი, ან თუ ქმედებასაც და ზიანსაც საქართველოში ჰქონდა ადგილი.

დ) დავა ეხება იმ საწარმოს ფილიალს, რომლის რეზიდენციაც საქართველოშია.

ფილიალი არ არის იურიდიული პირი. იგი საქმიანობს იურიდიული პირის მიერ დამტკიცებული აქტის საფუძველზე. ფილიალი მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ: იგულისხმება როგორც იმ ქვეყნის შიგნით, სადაც იურიდიული პირის ადგილსამყოფელია, ისე აქ ქვეყნის გარეთ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე. აქრიგად, სარჩელი, რომელიც აღძრულია ისეთი იურიდიული პირის ფილიალის წინააღმდეგ, რომლის ადგილსამყოფელიც საქართველოშია, შედის საქართველოს სასამართლოების კომპეტენციაში, დამოუკიდებლად იმისა, სად იმყოფება თვითონ ეს იურიდიული პირი.

ე) მამობის დადგენის ან ალიმენტის გადახდის საქმეებზე ბავშვის ან ალიმენტის მიმღების საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია.

მამობის დადგენა შედის საქართველოს სასამართლოების კომპეტენციაში, თუ ბავშვი, რომლის მამობის დადგენასაც

მოითხოვენ, ცხოვრობს საქართველოში ან მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია.

იგივე წესი მოქმედებს ალიმენტის გადახდის საქმეებზე. თუ ალიმენტის მიმღების ადგილსამყოფელი ან საცხოვრებელი ადგილი საქართველოშია, ალიმენტის გადახდის შესახებაც საქმეები შედის საქართველოს სასამართლოების კომპეტენციაში.

3) თუ სარჩელი აღძრულია სამეკვიდრეო უფლების დადგენის შესახებ ან სამკვიდრო ქონების გაყოფის შესახებ, ასეთი სარჩელების განხილვა შედის საქართველოს სასამართლოების კომპეტენციაში, ოღონდ ერთი პირობით: მამკვიდრებელს გარდაცვალებისას საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან საკვიდრო ქონება საქართველოში ჰქონდა.

ამრიგად, სკს-ის კანონის თანახმად, საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის მთავარი განმსაზღვრელი პრინციპია მოპასუხის (ფიზიკური თუ იურიდიული პირი) საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია (იურიდიული მისამართი) ან ჩვეულებრივი ადგილ-სამყოფელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სარჩელის აღძვრა საქართველოს სასამართლოში გამორიცხულია.

სკს-ის კანონით გათვალისწინებულია საერთაშორისო კომპეტენციის ისეთი კრიტერიუმებიც, როგორიცაა მოქალაქეობა (მე-11, მე-17 მუხლები). ამ კრიტერიუმით განიხილება მოქალაქის უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება, ქორწინებასთან დაკავშირებული საქმეები, მშობლებსა და ბავშვებს შორის ურთიერთობები, შვილად აყვანა, ქმედუნარიანობის შეზღუდვა, მეურვეობა და მზრუნველობა და მრავალი სხვა.

§21 განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია. შეთანხმებები სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაზე.

სკს-ის კანონის X მუხლის მიხედვით: საქართველოს სასამართლოებს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მთელი რიგი კატეგორიის საქმეებზე, როგორიცაა: ქონების შესახებ აღძრული დავები, თუ ეს ქონება საქართველოშია; იურიდიული პირის ან მისი ორგანოს გადაწყვეტილების ნაძდყილობა. ან შეწყვეტა, როცა ამ იურიდიული პირის ან მისი ორგანოს რეზიდენცია საქართველოშია; საქართველოს სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ იურიდიული პირების რეგისტრაცია, პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაცია; იძულებითი აღსრულების ღონისძიებები, როცა ასეთი მოთხოვნა, ან განხორციელება საქართველოში მოხდა.

განსაკუთრებული განსჯადობა უშვებს სარჩელის აღძვრას ერთი რომელიმე ქვეყნის სასამართლოში. სკსკ-ის X მუხლით გათვალისწინებულ სარჩელებზე საქართველოს სასამართლოებს აქვთ განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კატეგორიის საქმეები შეუძლიათ მიიღონ და განიხილონ მხოლოდ საქართველოს სასამართლოებმა.

სკს-ის კანონის მე-18 მუხლი განსაზღვრავს მხარეთა შეთანხმებას საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაზე და მხარეთა შეთანხმებას უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე. მხარეთა შეთანხმებით (ხელშეკრულებით) განსჯადობას ითვალისწინებს, აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (სსსკ) 21 მუხლი: თუ ერთმნიშვნელოვნად არ არის დადგენილი განსჯადი სასამართლო, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა. მაგალითად, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ მათ, შორის წამოჭრილი დაყა განიხილოს არა სიღნაღის, რომლის განსჯადიც ეს დავა იქნება, არამედ ყვარლის სასამართლომ.

მხარეთა შეთანხმება შეიძლება შეეხოს მთლიანად რომელიმე ქვეყნის (საქართველოს, საფრანგეთის, ჰოლანდიას და ა.შ.) სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციას.

საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე მხარეთა შეთანხმებას, რომლითაც ხდება განსჯადი სასამართლოს არჩევა, - უწოდებენ პროროგაციულ შეთანხმებას.

სკს-ის კანონის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე იმ შემთხვევაშიც, როცა იგი კომპეტენტური არ არის ასეთი კატეგორიის საქმეების განხილვაზე.

მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე იმ შემთხვევაშიც, როცა იგი კომპეტენტური არ არის ასეთი კატეგორის საქმეების განხილვაზე.

მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორრისო კომპეტენციაზე, თუ ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი უცხო ქვეყანაში აქვს.

ფაქტობრივად, განსჯადობაზე (კომპეტენციაზე) მოპასუხის დუმილით თანხმობაა გამოხატული სკს-ის კანონის მე-18 მუხლის II ნაწილით. საქართველოს და უცხო ქვეყნის სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხე წინააღმდეგი არ არის ამ ქვეყნის სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში ორი პირობის დაცვით: 1 - მოპასუხე წარმოდგენილია ადვოკატით; 2 - მოსამართლემ განუმარტა მოპასუხეს იმის შესახებ, რომ მას შეუძლია განაცხადოს პროტესტი საქმის ამ სასამართლოში განხილვის წინააღმდეგ, რაც დაფიქსირებულია საქმის წარმოების ოქმში.

სსსკ-ის 21-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე წინააღმდეგი არ არის საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ამასთან, მოპასუხე წარმოდგენილი იქნება ადვოკატით

ან შეცემა განმარტება სასამართლოს არაგანსჯადობის და მისი შედეგების შესახებ, გარდა ამისა, მას განემარტება, რომ უფლება აქვს წამოაყენოს შესაგებელი (პროტესტი) არაგანსჯადობის წინააღმდეგ, რაც უნდა აღინიშნოს სასამართლოს ოქმში.

მხარეები შეზღუდულნი არიან სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე იმის გამო რომ: ა) ერთ-ერთ მხარეს ადგილსამყოფელი უნდა ჰქონდეს უცხოეთში; ბ) მხარეთა შეთანხმებით არ შეიძლება განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენციიდან გადახვევა; გ) არ შეიძლება სკს-ის კანონის მე-11-16 მუხლებით დადგენილი კომპეტენციიდან გადახვევა.

მხარეთა მიერ სასამართლოების შესახებ პროროგაციული შეთანხმება არღვევს ზემოთაღნიშნულ წესს, მას არ გააჩნია იურიდიული ძალმოსილება. იგი ბათილია.

8.2.2 საქართველოს სასამართლოებში სკს-ის საქმეთა განხილვის წესი

საერთაშორისო კერძო სამართალი განსაზღვრავს, თუ რომელი ქვეყნის სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა.

საქართველოს სასამართლოები განიხილავენ მათ საერთაშორისო კომპეტენციაში შემავალ საქმეებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

ამგვარად, როდესაც საქართველოს სასამართლოში შედის საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობიდან გამომდინარე სარჩელი, უნდა გადაწყდეს ორი საკითხი: **I - შედის თუ არა ეს საქმე საქართველოს სასამართლოების საერთა-შორისო კომპეტენციაში.** თუ ეს საკითხი სასამართლომ უარყოფითად გადაწყვეტს, ის მიიღებს სარჩელს, გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ. ასეთ შემთხვევაში შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის III ნაწილის თანახმად. ეს განჩინება დასაბუთდეს სსკ-ის 186-ე მუხლის I ნაწილის „ე“

პუნქტით: **საქმე არ შედის საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაში (განსჯადობაში).**

თუ სარჩელი საქართველოს სასამართლოების განსჯადია, წარმოიშვება II საკითხი: ამ სასამართლოს განსჯადია თუ არა ეს სარჩელი? სასამართლომ ამ საკითხის გადაწყვეტისათვის უნდა იხელმძღვანელოს საქართველოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით: საქმე თუ საქართველოს სასამართლოების განსჯადია, მაგრამ არა ამ სასამართლოს განსჯადი, სასამართლო თავის განჩინებაში მიუთითებს, თუ რომელ სასამართლოს მიმართოს მოსარჩელემ (სამოქ. საპროც. კოდექსის 107-ე მუხლი).

დასკვნა ასეთია: მათ საერთაშორისო კომპეტენციაში შემავალ საქმეებს საქართველოს სასამართლოები განიხილავენ სამ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ამ საქმეების გადაწყვეტისას ისინი იყენებენ იმ ქვეყნის მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებს, რომლებზედაც მიუთითებენ მატერიალურ-სამართლებრივი საკოლიზიო ნორმები.

8.2.3 იურისდიქციის კონფლიქტი

სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრისათვის ხელმძღვანელობენ სამი ძირითადი სისტემით:

1. ლათინური სისტემა, ანუ მოქალაქეობის კრიტერიუმი (საფრანგეთი, ალჟირი);
2. გერმანული სისტემა, ანუ მოპასუხის ადგილსამყოფელი;
3. „საერთო სამართლის“ სისტემა, ანუ მოპასუხის ფაქტიური ყოფნა (ინგლისი, ამერიკა).

სხვადასხვა სისტემის გამოყენებამ რეალურად ერთი და იგივე საქმე სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოს განსჯადი შეიძლება გახადოს. შესაბამისად, ერთი და იგივე საქმე შეიძლება აღმოჩნდეს როგორც საქართველოს, ისე ინგლისის ან საფრანგეთის სასამართლოების განსჯადი.

როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?

საქართველოს სკს-ის კანონის მე-19 მუხლი: **„საქართველოწარმოება ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში“**, ამ სიკითხის გადაწყვეტის ზუსტ პასუხს იძლევა. ეს მუხლის თანახმად, თუ ერთი და იმავე სარჩელის თაობაზე ერთსა და იმავე მხარეებს შორის მიმდინარეობს საქართველოწარმოება საქართველოსა და უცხო ქვეყანაში და ეს სარჩელი პირველად უცხო ქვეყნის სასამართლოს ექვემდებარებოდა, საქართველოს სასამართლო აჩერებს საქმის წარმოებას.

საქმის წარმოება არ შეჩერდება, თუ არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოშესაბამის ვადაში გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ან საქართველოში ასეთი გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება.

ამავე მუხლის II ნაწილის მიხედვით, საქართველოს სასამართლო არ მიიღებს საქმეს წარმოებაში, თუ არსებობს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება ცნობილი იქნეს საქართველოში.

დასკვნები ასეთია:

1. თუ სარჩელი უფრო ადრე იქნა აღძრული და განსახილველად მიღებული საქართველოს სასამართლოს მიერ სკს-ის კანონით დადგენილი საერთაშორისო კომპეტენციის ფარგლებში, საქმეს განიხილავს და გადაწყვეტს საქართველოს სასამართლო;

2. თუ უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ სარჩელი უფრო ადრე იქნა აღძრული და მიღებული განსახილველად და მხოლოდ ამის შემდეგ შემოვიდა საქართველოს სასამართლოში საერთაშორისო კომპეტენციის წესების დაცვით, მაშინ საქართველოს სასამართლო იღებს სარჩელს, მაგრამ განჩინებით შეაჩერებს მის განხილვას იმ მოტივით, რომ ეს სარჩელი უფრო ადრე აღიძრა და განსახილველად მიიღო უცხო ქვეყნის სასამართლომ.

იგივე სარჩელის აღძვრის ფაქტი უცხო ქვეყნის სასამართლოში იწვევს ამ სარჩელზე საქმის წარმოების შეჩერებას.

3. სარჩელი უცხო ქვეყნის სასამართლოში უფრო ადრე აღიძრა, მაგრამ საქართველოს სასამართლო არ შეაჩერებს საქმის

წარმოებას და განიხილავს მას: ა) თუ უცხო ქვეყნის სასამართლო გააჭიანურებს, ან საჭირო ვადებში გადაწყვეტილებას არ მიიღებს საქალაქო საქმის განხილვის პრაქტიკიდან ამ ქვეყანაში; ბ) თუ საქართველოში ასეთი გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება (სკს კანონის 58-ე მუხლი).

4. საქმის წარმოებაში მიღებაზე უარისთქმის შესახებ საქართველოს სასამართლო გამოიტანს განაჩენს, თუ არსებობს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება ცნობილი იქნეს საქართველოში.

როდესაც უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება ცნობილი იქნეს საქართველოში, სასამართლო მიიღებს და განიხილავს საქმეს.

თავი IX. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა

9.1 უცხოელთა საპროცესო სამართლებრივი მდგომარეობა

უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აქვთ ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, როგორც საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა, აგრეთვე, მოქალაქეობის არმქონე პირთა, უფლებების დაცვის სრულ შესაძლებლობას.

სკსკ-ის 57-ე მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები, აგრეთვე, მოქალაქეობის არმქონე პირები, სამოქალაქო პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი გარანტიებით, როგორითაც საქართველოს მოქალაქეები და იურიდიული პირები. უცხოელებს შეუძლიათ აღძრან სარჩელი სასამართლოში თავიანთი უფლებების დასაცავად - იყენენ მოსარჩელე და მოპასუხე პროცესში, ჩაებან პროცესში მესამე პირებად და ა.შ. პროცესში უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, განაცხადონ აცილებანი, გადაიღონ ასლები, წარადგინონ მტკიცებულებანი, განაცხადონ სასამართლოს წინაშე სხვადასხვა სახის შუამდგომლობები, გაასაჩივრონ სასამართლოს განჩინებანი და გადაწყვეტილებანი და ა.შ.

დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მათ უფლება აქვთ უარი თქვან სარჩელზე, ცნონ სარჩელი და საქმე დაამთავრონ მორიგებით.

უცხოელებს საქართველოში მინიჭებული აქვთ ნაციონალური რეჟიმი თავიანთი უფლებების და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. სკს კანონის 58-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლო ხარჯების ანაზღაურების გარანტიის მიცემას შემდეგი პირობების არსებობისას:

1. თუ უცხოელ მოსარჩელეს საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვს საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან რეზიდენცია.

2. თუ მოპასუხე სასამართლოს წინაშე შუამდგომლობს ასეთი გარანტიის მიცემაზე. როდესაც უცხოელი მოსარჩელე წააგებს პროცესს და სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს დაეკისრება მოპასუხის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების ანაზღაურება. დავების განხილვის პრაქტიკაში სასამართლო ხარჯების ანაზღაურების გარანტიად გამოიყენება გირაო. ამ მიზნით დასაშვებია გარკვეული ფულადი თანხის შეტანა სასამართლო დეპოზიტში.

გარანტიის თაობაზე მოპასუხის შუამდგომლობას შეიძლება ეთქვას უარი შემდეგ შემთხვევებში:

1. ქვეყანა, რომლის მოქალაქეცაა მოსარჩელე, საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირისაგან გარანტიებს არ ითხოვს;

2. მოპასუხე ვერ ასაბუთებს თავის მოთხოვნას გარანტიის მიცემის თაობაზე.

9.2 დიპლომატიური მისიისა და საკონსულო წარმომადგენლობის წევრთა იმუნიტეტი

1993 წლის 12 ივლისს საქართველო შეუერთდა ვენის 1961 წლის კონვენციებს: „დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ" და „საკონსულო ურთიერთობათა შესახებ". ამ კონვენციების შესაბამისად, საქართველოს სკსკ-ის 59-ე მუხლით დამკვიდრდა დიპლომატიური მისიის წევრთა იმუნიტეტი. კერძოდ, საქართველოში მოქმედი დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე, ამ მისიების მომსახურე პერსონალი, თავისუფლდებიან საქართველოს სასამართლოების განსჯადობისაგან. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა მოძვლინებული ქვეყანა ამ კონვენციის მონაწილე მხარე არ არის.

იგივე პრინციპი ვრცელდება საქართველოში მოქმედი საკონსულო წარმომადგენლობების თანამდებობების პირებსა და საკონსულოს მოსამსახურეების მიმართ სკს კანონის მე-60 მუხლის თანახმად.

ვენის 1961 წლის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ შეიცავს რიგ სარჩელებს, რომელთა აღძვრის შემთხვევაში დიპლომატიური იმუნიტეტი არ გამოიყენება. ასეთებია, კერძოდ, სარჩელები, რომლებიც ეხება უძრავ ნივთებს იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც აკრედიტირებულია დიპლომატიური აგენტი და იგი ფლობს ამ ქონებას. წარმომადგენლობის მიზნებისათვის; სარჩელები მემკვიდრეობაზე, თუ დიპლომატიური აგენტი ანდერძის აღმასრულებელი ან სამკვიდრო ქონების მმართველია და იგი ამ მოვალეობას ასრულებს, როგორც კერძო პირი და არა როგორც აკრედიტირებული ქვეყნის წარმომადგენელი; სარჩელები დიპლომატიური აგენტის პროფესიულ თუ კომერციულ საქმიანობაზე, რომელიც ხორციელდება თავისი ოფიციალური ფუნქციის ფარგლებს გარეთ.

ზემოთ დასახელებული პირების გარდა, საქართველოს სასამართლოების განსჯადობა არ ვრცელდება სამსახურებრივი მოწყვეთ მყოფ უცხო ქვეყნების წარმომადგენლებზე და მათ თანმხლებ პირებზე, აგრეთვე პირებზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესების, ან სამართლის სხვა ნორმების შესაბამისად, თავისუფლდებიან საქართველოს განსჯადობისაგან.

9.3 უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების არსის დადგენა

საკოლიზიო ნორმა კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის გადაწყვეტისათვის ზოგჯერ მიუთითებს უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის გამოყენების აუცილებლობაზე. სასამართლომ უნდა გამოიყენოს ეს ნორმა. ამასთან, სასამართლომ უნდა იცოდეს ამ ნორმის შინაარსი. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლის ნორმის გამოყენება შეუძლებელია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოიჭრება ისეთი საკითხი, რომლის განმარტებაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, სასამართლოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა.

უცხო ქვეყნის სამართლის ნორმა საქმის განმხილველი სასამართლოსათვის უნდა დადგინდეს ისე, როგორც ხდება დადგენა კერძო საერთაშორისო ურთიერთობებიდან წარმოშობილი კონფლიქტების სასამართლოში განხილვის დროს.

ფაქტების დამტკიცების ტვირთი, ანუ დამტკიცების მოყალეობა თვითონ მხარეებს ეკისრებათ. ამის ნათელსაყოფად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი მიუთითებს: „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს". ამავე კოდექსის 103-ე მუხლის I ნაწილის თანახმად: მტკიცებულებებს სასამართლოებს წარუდგენენ მხარეები. სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები".

ამგვარად, უცხო ქვეყნის სამართლის ნორმა არის არა სამართლის, არამედ ფაქტის საკითხი. აქედან შეიძლება ასეთი დასკვნა გაკეთდეს: უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის დადგენა უნდა მოხდეს იმ მხარის მიერ, რომელიც ამ ნორმაზე აყენებს თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს.

ასეთ კონცეფციას იზიარებენ „საერთო სამართლის" ქვეყნები: ინგლისი, აშშ, ავსტრალია და სხვ. უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის დადგენა უნდა მოხდეს სასამართლოში მტკიცებულებების წარმოდგენის საშუალებით თვითონ მხარეების მიერ, როგორც ეს ხდება ჩვეულებრივი ფაქტების დადგენის დროს.

როდესაც მხარე სასამართლოს ყურ წარმოუდგენს საკმაო მტკიცებულებებს უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის დასადასტურებლად, ამ შემთხვევაში ინგლისში, აშშ-ში მიღებული პრაქტიკის თანახმად, სასამართლომ უნდა გამოიყენოს თავისი ქვეყნის სამართლებრივი ნორმა თუ პრეცედენტი.

„უცხო ქვეყნის სამართლის იგივეობის პრეზუმფციის“ თანახმად, ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში კანონები და საერთაშორისო ნორმები, ძირითადად, ერთგვაროვანია, - მათი შინაარსი ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომ ზემოაღნიშნული შემთხვევაში მართებული იქნება სასამართლომ გამოიყენოს თავისი ქვეყნის საერთაშორისო ნორმები.

ფრანგული დოქტრინის თანახმად, შეცდომა უცხო ქვეყნის საერთაშორისო გამოყენებაში არ უნდა გახდეს საკასაციო გადასინჯვის საბაბი.

რამდენადაც მხარეებმა სათანადოდ ვერ შეასრულეს მტკიცებულებითი საქმიანობა, მაშინვე იწყება გადახვევა ამ წესებიდან და იყენებენ თავისი ქვეყნის სამართალს.

ფართოდაა გავრცელებული კიდევ ერთი კონცეფცია, რომლის თანახმად უცხო ქვეყნის სამართალი არის არა ფაქტის, არამედ სამართლის საკითხი. აქედან გამომდინარე, ფაქტის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს მოვალეობაა და არა მხარეთა. სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით (ex officio), როგორც სამართალშემფარდებელი ორგანო, დაადგინოს უცხო ქვეყნის სამართლებრივი ნორმის შინაარსი. ამ კონცეფციას ემყარება ევროპის ქვეყნების უმრავლესობა.

საქართველოს სკს კანონის მე-9 მუხლის თანახმად:

„1. უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენებისას, საქართველოს სასამართლო იღებს საჭირო ზომებს მისი ნორმების არსის დასადგენად, შესაბამის ქვეყანაში მათი ოფიციალური განმარტების, გამოყენების პრაქტიკისა და დოქტრინის გათვალისწინებით.

2. თუ უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების არსის დადგენა, ამ მუხლის I პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების მიუხედავად, უშედეგოა ან მოითხოვს გაუმართლებელ ხარჯებს, სოლო პროცესის არცერთ მხარეს არ შეუძლია ნორმების არსის დადგენა და მათი გამოყენების დასაბუთება, სასამართლო იყენებს საქართველოს სამართალს“.

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო (საკასაციო) წესით. სკს კანონის 79-ე მუხლის თანახმად: „პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ამ

თავის დებულებათა შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები) ექვემდებარება გასაჩივრებას კანონმდებლობით დადგენილი წესით".

9.4 შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების შესახებ

უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე სამართლებრივი საპროცესო მოქმედების შესასრულებლად მრავალი საერთაშორისო კონვენცია იქნა მიღებული; მათ შორის აღსანიშნავია ჰაგის 1954 წლის კონვენცია სამოქალაქო პროცესის საკითხებზე. იგი საკმაოდ დეტალურად აწესრიგებს სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების ჩაბარებას, სასამართლო დავალებების მიცემას და სხვა საკითხებს.

1965 წლის 15 ნოემბერს იმავე ჰაგის კონფერენციის ფარგლებში მიღებული იქნა დამატებითი კონვენცია სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების ჩაბარების (გადაცემის) შესახებ; 1970 წლის 18 მარტის კონვენცია საზღვარგარეთ საყაჭრო და სამოქალაქო საქმეებზე მტკიცებულებათა მიღების შესახებ; 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენცია მართლმსაჯულების საერთაშორისო ხელმისაწვდომობის შესახებ.

კონვენციებში მითითებულია, თუ რა წესით უნდა მიმართონ საქართველოს სასამართლოებმა უცხო ქვეყნის სასამართლოებს საზღვარგარეთ მყოფ პირებისათვის დოკუმენტების, მ.შ. სასამართლო უწყების გადაცემის მიზნით; აგრეთვე, მოწმეთა დაკითხვის, თუ სხვა საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის.

უცხო ქვეყნის სასამართლოსათვის მიმართვა, სასამართლო დავალების შესრულების მიზნით, შესაძლებელია როგორც დიპლომატიური არხებით, ისე უშუალოდ უცხო ქვეყნის სასამართლოსათვის. საერთაშორისო კონვენციებში ჩამოყალიბებულმა დებულებებმა თავისი ასახვა ჰპოვა საქართველოს კანონში საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ.

სკს კანონის 62-ე მუხლი შეიცავს იმ მოქმედებათა სასიმუშო ჩამონათვალს, რომელთა შესასრულებლად საქართველოს სასამართლოებს შეუძლიათ მიმართონ უცხო ქვეყნის სასამართლოებს. ასეთ საპროცესო მოქმედებათა მიზანია: 1. სასამართლოში განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რისთვისაც საჭირო შეიძლება გახდეს მოწმის დაკითხვა, ადგილზე დათვალიერება, ექსპერტის დანიშვნა, ნიუთიერი მტკიცებულებების შეგროვება და მრავალი სხვ.; 2. სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის დოკუმენტების გადაცემა საზღვარგარეთ მყოფი პირისათვის: სასამართლო უწყების ჩაბარება, შეტყობინება მემკვიდრეობის გახსნის შესახებ, სარჩელისა და მასზე თანდართული დოკუმენტების პირების ჩაბარება და ა.შ. დოკუმენტების ჩაბარება - გადაცემა უნდა მოხდეს ოფიციალურად იმ ნორმების დაცვით, რომლებიც დადგენილია საპროცესო მოქმედებების შემსრულებელი სასამართლოს სახელმწიფოს კანონმდებლობით.

როგორ უნდა აღიძრას შუამდგომლობები უცხო ქვეყნის სასამართლოების მიმართ, როგორ და რა წესით მივმართოთ მათ?

საქართველოს სკს კანონი ითვალისწინებს უცხო ქვეყნის სასამართლოებისათვის სასამართლო დავალებების გადაცემის შემდეგ მექანიზმებს:

1. შუამდგომლობის აღძვრა „უცხო ქვეყნის სათანადო დაწესებულების მიმართ“ (62-ე მუხლის ნაწილი I). „სათანადო დაწესებულებად“, ტრადიციულად, მიიჩნევა იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა, იუსტიციის სხვა ცენტრალური ორგანოები უცხო ქვეყანაში.

საქართველოს კანონში საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საუბარია არა სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოზე, არამედ „სათანადო დაწესებულებაზე“. 1965 წლის 15 ნოემბრის კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, კონვენციის თითოეული ხელმომწერი სახელმწიფო ნიშნავს ცენტრალურ ორგანოს, რომელიც ვალდებულია მიიღოს შუამდგომლობები საპროცესო

მოქმედებების შესასრულებლად და სათანადო წესის დაცვით გადასცეს უშუალოდ შემსრულებელ ორგანოს. თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია ცენტრალური ორგანოს დამატებით დანიშნოს, აგრეთვე, ხელისუფლების სხვა დამატებითი ორგანოები და განსაზღვროს მათი კომპეტენცია.

2. „საქართველოს დიპლომატიური მისიის ან საკონსულოს წარმომადგენლობის მეშვეობით" შუამდგომლობების აღძვრა (62-ე მუხლის ნაწ. 2). ეს მექანიზმი გულისხმობს: შუამდგომლობით მიმართვას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი, რომელიც, თავის მხრივ მიმართავს თავის საელჩოს ან საკონსულოს იმ ქვეყანაში რომელი ქვეყნის სასამართლომაც უნდა შეასრულოს შუამდგომლობა"ში მითითებული საპროცესო მოქმედებები. საელჩო (საკონსულო) თავის მხრივ მიმართავს იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც შუამდგომლობას (სასამართლო დაყალებას) გადაუგზავნის თავისი ქვეყნის სასამართლოს.

3. საპროცესო მოქმედების შესრულებაზე, კერძოდ, დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა. საქართველოს სკს კანონის 66-ე მუხლის თანახმად, თუ ერთ-ერთ მხარეს საცხოვრებელი ადგილი ან რეზიდენცია საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვს და არ ჰყავს საქართველოში მცხოვრები წარმომადგენელი, მას შეიძლება სასამართლოს განჩინებით დაევალოს განსაზღვრულ ვადაში დანიშნოს დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილი პირი - საქართველო"ში მცხოვრები.

4. ჰაგის კონვენციები უშვებენ, ხოლო საქართველოს სკს კანონი არ გამორიცხავს უშუალოდ უცხო ქვეყნის სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას.

საქართველოს სკს კანონი განსაზღვრავს არამარტო საქართველოს სასამართლოების შუამდგომლობების უცხო ქვეყნის სასამართლობებისათვის გადაცემის და შესრულების წესებს, არამედ უცხო ქვეყნის სასამართლოთა შუამდგომლობების მიღებისა და შესრულების წესებსაც: „საქართველოს სასამართლოები

აკმაყოფილებენ უცხო ქვეყნის სასამართლოების შუამდგომლობებს სამართლებრივი დახმარების შესახებ" (სკს კანონის 63-ე მუხლის I ნაწ).

შეიძლება თუ არა უარი ეთქვას უცხო ქვეყნის სასამართლოს სამართლებრივი დახმარების გაწევაზე?

უარყოფითი პასუხი ორ შემთხვევაშია: 1. თუ ასეთი შუამდგომლობის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს; 2. თუ შუამდგომლობით გათვალისწინებული მოქმედება არ განეკუთვნება საქართველოს სასამართლოების კომპეტენციას (სკს კანონის 64-ე მუხლი).

აღნიშნული სამართლებრივი დებულების ნათელსაყოფად შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: უცხო ქვეყნის სასამართლო შუამდგომლობს საქართველოს სასამართლოს წინაშე მოწმის სახით დაკითხოს აქ მცხოვრები საქართველოს მოქალაქე სასულიერო პირი, იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მან გაანდო აღსარების დროს, ან კიდეკ, რომელიც იყო წარმომადგენელი სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმეებზე - ისეთ გარემოებასთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა წარმომადგენლის (დამცველის) მოვალეობის შესრულების დროს.

უცხო ქვეყნის სასამართლოს ასეთი შუამდგომლობის (დავალების) შესრულებაზე საქართველოს სასამართლოს შეუძლია უარი უთხრას, რადგან ასეთ საკითხებზე სასულიერო პირის დაკითხვა ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლით: „მოწმედ ყველა შემთხვევაში არ შეიძლება გამოძახებულ და დაკითხულ იქნეს: . . . ბ) სასულიერო პირი - იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მას გაანდვეს აღსარების დროს; გ) წარმომადგენლები სამოქალაქო საქმეებსა და დამცველები სისხლის სამართლის საქმეებზე - ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა მათ მიერ წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებისას".

უცხო ქვეყნის სასამართლოების შუამდგომლობების გადაცემა საქართველოს სასამართლოებისათვის ხორციელდება იგივე მექანიზმებითა და წესით, რა წესითაც ხორციელდება საქართველოს სასამართლოების შუამდგომლობების გადაცემა უცხო ქვეყნის სასამართლოებისათვის (63-67-ე მუხლები).

95 უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და მათი აღსრულების პირობები.

სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობა, თუ მისი აღსრულებადობა, შემოფარგლულია იმ ქვეყნის ტერიტორიით, რომელ ქვეყანასაც ეკუთვნის ამ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო.

ზოგჯერ საჭიროა უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა (აღიარება) და იძულებით აღსრულება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. თავისი ძალმოსილებით და სამართლებრივი შედეგებით უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება უთანაბრდება იმ სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომელმაც ცნო ეს გადაწყვეტილება.

აქვე აღიძვრება ორი მნიშვნელოვანი საკითხი: პირველი - რა პირობებია დაწესებული ქვეყანაში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისათვის; მეორე - როგორია ასეთ გადაწყვეტილებათა აღსრულების პირობები.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების პიპრობები ყველა ქვეყანაში ძირითადად ერთიმანეთს ემთხვევა. მაგალითად, საფრანგეთში უცხო სახელმწიფოს გადაწყვეტილებათა ცნობისათვის შეიძლება მისი არსებითი სისწორის შემოწმება, თუ ეს გადაწყვეტილება საფრანგეთის მოქალაქეებს შეეხება; სხვა ქვეყანაში კი საკმარისია მისი მხოლოდ ფორმალური სისწორის შემოწმება.

საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ამკვიდრებს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებასა და ცნობას: „საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის

კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს" (სკს კანონის 68-ე მუხლი).

ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქართველოში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება, თუ:

1. საქმე განეკუთვნება საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას.

სკს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს აქვთ განსაკუთრებული კომპეტენცია მხოლოდ ამ მუხლში მითითებულ სარჩელებზე: ამ კატეგორიის საქმეები განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნან საქართველოს სასამართლოების მიერ. თუ უცხო ქვეყნის სასამართლომ რომელიმე ამ კატეგორიის საქმეთაგან განიხილა, ამ სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა საქართველოში ვერ მოხდება.

2. გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, უწყების ჩაბარების გზით მხარე არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე, ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, მხარეებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის დრო და ადგილი. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ბ" პუნქტის თანახმად, საქმის განხილვა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც კანონით დადგენილი წესით არ მიუღია შეტყობინება, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

3. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საქართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილი იქნა საქართველოში.

სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმავე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის მიღების ან

მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ (საქ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ" პუნქტი). ამაყე კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მხარეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე.

4. უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება.

სკს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, შვილად აყვანის საქმეებზე ყერ მოხდება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, რადგან ასეთი საქმეები საქართველოს კომპეტენციას განეკუთვნება.

5. უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

აქ გარკვეული თვალსაზრისით განმტკიცებულია ნაცვალგების პრინციპი: ასეთ შემთხვევაში არც საქართველომ უნდა ცნოს ამ ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებები.

6. ერთსა და იმავე მხარეებს შორის, ერთსა და იმავე საკითხებზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის შესახებ თუ დაისვა საკითხი, რომელზეც საქართველოში მიმდინარეობს პროცესი, სანამ არ დამთავრდება საქმის განხილვა საქართველოში, მანამ არ მოხდება ამ გადაწყვეტილების ცნობა (სკს კანონის 68-ე მუხლის IV ნაწილი).

7. გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპს.

სამართლის ნორმა, რომელსაც ემყარება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპს. მაგრამ როცა ეწინააღმდეგება, მისი ცნობა და აღსრულება არ მოხდება.

უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი პალატა,

რომლის გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა (69-ე მუხლის II ნაწილი). უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების აღსრულების აუცილებელ პირობას. იგულისხმება რომ გადაწყვეტილება გამოტანილია მიკუთვნებითი სარჩელების მიმართ. აღიარებითი სარჩელები არ საჭიროებენ იძულებით აღსრულებას.

სკს კანონის 70-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, მიკუთვნებით სარჩელზე გამოტანილი უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება რომ აღსრულდეს, აუცილებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი დადგენილება.

საერთაშორისო კს კანონის თანახმად, გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურა

ა) უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ მხარის წერილობითი შუამდგომლობის აღძვრის შედეგად;

ბ) ასეთი შუამდგომლობის განხილვასა და მასზე გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მისი შესაბამისი საკასაციო პალატის სახით;

გ) აღსრულების შესახებ მხარის შუამდგომლობას თან უნდა ერთვოდეს: 1. სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი; 2. ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ქართული თარგმანი; 3. ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესულობისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ;

მხარის შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ უნდა გადაეცეს მოწინააღმდეგე მხარეს, რომელსაც განემარტება საქმის ზეპირი განხილვის შესაძლებლობის თაობაზე.

თავი X. საერთაშორისო საარბიტრაჟო საქმართალი

10.1 საარბიტრაჟო საქმართლის ცნება.

თანამედროვე სახელმწიფოებრივი სასამართლოს სათავეები კერძო არბიტრაჟშია საძებარი. დღევანდელი კერძო სამართალი დაკავშირებულია გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობებთან. იგი წარმოდგენილია საერთაშორისო საარბიტრაჟო სამართლის გარეშე.

საერთაშორისო არბიტრაჟი ხშირად აღიქმება, როგორც ნეიტრალური, მესამე პირი, რომელსაც ყოველგვარი ერთვნული მიკერძოების გარეშე შეუძლია გადაწყვიტოს წამოჭრილი სადავო საკითხი. ეს ისე არ უნდა გაიგოთ, თითქოს ჩვეულებრივმა სასამართლო ინსტიტუტმა თავისი დრო მოჭამა და ახლა გზა კერძო არბიტრაჟს უნდა დაუთმოთ. არავითარ შემთხვევაში. კერძო არბიტრაჟი შეიძლება იყოს დაყების გადაწყვეტის დამატებითი საშუალება და არა შემცვლელი[1].

საარბიტრაჟო სასამართლო ჩვეულებრივი სამედიატორო, საშომრიგებლო სასამართლოსთან ახლოს დგას, მაგრამ მათი ერთმანეთში არევა არასგზით არ შეიძლება. საარბიტრაჟო სასამართლოს ფუნქციებში შეიძლება შედიოდეს მხარეთა მორიგება, მაგრამ მოურიგებლობის შემთხვევაში მის გადაწყვეტილებებს ისეთივე ძალა აქვს, როგორიც ჩვეულებრივი სახელმწიფო სასამართლოს აქტებს. საშომრიგებლო სასამართლოს მიზანი კი მხოლოდ მხარეთა მორიგებაა. გარდა ამისა, საარბიტრაჟო დავის სავანი შეიძლება იყოს მხოლოდ ქონებრივ საქმართლებრივი დავა. საშომრიგებლო სასამართლოს ნებისმიერი დავის გარჩევა, ანუ მხარეთა მორიგება შეუძლია.

საქართველოში მოქმედებს კერძო არბიტრაჟის კანონი, რომელიც 1987 წ. 17 აპრილისაა მიღებული. იგი ვერ ჩაითვლება კანონშემოქმედებითი მოღვაწეობის ნიმუშად. გარდა ამისა,

1. რ. კსიპერი. საარბიტრაჟო სასამართლოსა და სახელმწიფო საქმართალწარმოების შედარება; ქართული საქმართლის მიმოხილვა. პირველი კვარტალი, 1998 წ.

არსებობს კერძო არბიტრაჟის კანონის ახალი პროექტი, რომელიც ძალაში არ არის. ამიტომ არსებული ნორმატიული მასალას, რადგან ის შესაცვლელია, - ასევე პროექტს, რადგან ეს უკანასკნელი ჯერ არ მოქმედებს, განუხილველად დაგტოვებთ.

საარბიტრაჟო სასამართლო კერძო სასამართლოა. ის მოქმედებს სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. საარბიტრაჟო სასამართლო წარმოება წარმოადგენს სასამართლო პროცესის ნაწილს.

არბიტრაჟი საერთაშორისოა, თუ პროცესის ერთ-ერთი მხარე უცხოელია. „უცხოელში" იგულისხმება, როდესაც პირს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი იმ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გააჩნია, სადაც საარბიტრაჟო სასამართლო მდებარეობს. საარბიტრაჟო სამართალზე ვრცელდება საპროცესო სამართალში გაბატონებული ისეთი პრინციპები, როგორიცაა მაგალითად, დისპოზიციურობის, მოსამართლის დამოუკიდებლობის, უფლების სასამართლო წესით დაცვის პრინციპი და ა.შ.

საარბიტრაჟო სასამართლოს სახეები.

ერთი კონკრეტული დავის განსახილველად მხარეების მიერ იქმნება ერთჯერადი საარბიტრაჟო სასამართლო. მხარეების თანხმობით არბიტრებსა და დავის განხილვის პროცედურას განსაზღვრავს მესამე პირი. ასეთ დროს მხარეები თვითონ ქმნიან პროცესს კონკრეტულ საპროცესო სამართალზე დაყრდნობით.

მყარი და მუდმივი ორგანიზაციული ფორმის მქონე საარბიტრაჟო სასამართლოებს უწოდებენ ინსტიტუციურ საარბიტრაჟო სასამართლოებს. მათ განეკუთვნება 'მიდასახელმწიფოებრივი ან საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოები; მათ გააჩნიათ მუდმივი სამდივნო. მისი მეშვეობით ისინი უზრუნველყოფენ პროცესის ჩატარებას. ისინი მხარეებს სთავაზობენ მათ მიერ შემუშავებული პროცესის რეგლამენტს. სამდივნო აგვარებს პროცესის ჩატარებასთან დაკავშირებულ ფორმალურ საქმეებს: მხარეებს ასარჩევად წარუდგენენ არბიტრთა სიას და სხვ.

10.2 საარბიტრაჟო სასამართლოს გამიჯვნა სახელმწიფო სასამართლოსაგან

საარბიტრაჟო განსჯადობას გააჩნია სახელმწიფო სასამართლო სისტემისაგან განსხვავებული სპეციფიკური მხარეები:

ა) სახელმწიფო სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში მხარეებს არავინ ეკითხება პიროვნულად ვინ გაარჩევს მათ შორის დავას, მაშინ, როცა საარბიტრაჟო სასამართლოში არბიტრები მხარეთა შეთანხმებით არიან შერჩეულნი. არბიტრი აუცილებელი არ არის იურისტი იყოს. სადავო საკითხის გადაწყვეტა შეიძლება მიენდოს ტექნიკოსებს, მეწარმეებს, ინფორმატიკოსებს და ა.შ;

ბ) საარბიტრაჟო სამართლის თანახმად, მხარეები ირჩევენ გამოსაყენებელ სამართალს და სამართალწარმოების ენას. ასე, მაგალითად: ქართულ და პოლონურ მხარეებს შორის დავის შემთხვევაში მათ შეუძლიათ აირჩიონ მესამე ქვეყნის სამართალი - გერმანული, ასევე მესამე მხარის ენა, მაგალითად, ფრანგული;

გ) სახელმწიფო სასამართლო პროცესისაგან განსხვავებით, საარბიტრაჟო სასამართლო პროცესი უფრო სწრაფად მთავრდება და არსებული გადაწყვეტილების გასაჩივრება ძალზე იშვიათად ხდება;

დ) საარბიტრაჟო სასამართლოს პროცესი გაცილებით ადვილად მიმდინარეობს სახელმწიფო სასამართლოს პროცესთან შედარებით. დოკუმენტების გადაცემა სახელმწიფო სასამართლოებს შორის დაკავშირებულია მთელი რიგ ფორმალურ სირთულეებთან; საარბიტრაჟო სასამართლო პროცესში კი დოკუმენტი შეიძლება გადაეცეს ფაქსის, ტელეფონის, ტელეფაქსის ან სხვაგვარი კომუნიკაციური საშუალებებით. მოწმეთა დაკითხვა ხორციელდება ყოველგვარი ოფიციალური სახელმწიფო ორგანოს ჩარევის გარეშე;

ე) საარბიტრაჟო პროცესი, სახელმწიფო სასამართლო პროცესთან შედარებით, იაფი ჯდება, რადგან სახელმწიფო სასამართლო სისტემა ითვალისწინებს გასაჩივრების უფრო მეტ შესაძლებლობას, ვიდრე არბიტრაჟი;

ვ) საარბიტრაჟო პროცესის პირობებში, კონფიდენციალობის დაცვის პრინციპი უფრო შეტად ხორციელდება, ვიდრე სახელმწიფო სასამართლო პროცესისას; საარბიტრაჟო პროცესის დროს საჯაროობის პრინციპის დაცვის ყალდებულება არ არსებობს;

ზ) გაადვილებულია საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება სახელმწიფოს შიგნით, - უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებათა ცნობასთან შედარებით.

უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების გარანტად გვევლინება ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ"; ამ კონვენციას საქართველო შეუერთდა 1994 წლის 9 თებერვალს[1].

გაეროს შესაბამისმა კომისიამ, კერძოდ, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიამ (იუსიტრალი) 1985 წლის 21 ივნისს მიიღო სანიმუშო კანონი „საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ". იუსიტრალი შეიცავს ყველასათვის მისაღებ დებულებებს. გაერომ ივლისის 1985 წლის 11 დეკემბრის 40/72 რეზოლუციით რეკომენდაცია მისცა ყველა ქვეყანას გაითვალისწინონ იუსიტრალის სანიმუშო კანონი, რაც უზრუნველყოფს არბიტრაჟის პროცედურის შესახებ კანონების ერთგვაროვნებას.

საქართველოს საარბიტრაჟო კანონმდებლობა ჩამოყალიბების პროცესშია. მან მოშავალში უნდა გაითვალისწინოს ზოგიერთი მნიშვნელოვანი მიმენტი საარბიტრაჟო სამართლისათვის:

1. საერთაშორისო საარბიტრაჟო განსჯადობაში იგულისხმება: არბიტრაჟის რეზიდენცია საქართველოშია და საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთ მხარეს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვს.

1. საქართველოს კანონები ადამიანის უფლებათა შესახებ. საერთაშორისო აქტები და კონვენციები. თბ., 1998 წ. გვ. 367.

2. საარბიტრაჟო სასამართლო პროცესის საგანი აუცილებლად უნდა იყოს ქონებრივსამართლებრივი დავა. იმ შემთხვევაში, როცა შეთანხმება სახელმწიფო სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენტურობაზე არ დაიშვება, ასევე დაუშვებელია საარბიტრაჟო სასამართლო პროცესის წარმართვა.

ქონებრივსამართლებრივი პრეტენზია უნდა ეფუძნებოდეს ისეთ სამართალურთიერთობას, რომელიც ერთ-ერთი მონაწილე მხარისათვის მაინც ფულადი ღირებულებით განისაზღვრება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოდავე მხარეთა შორის ერთ-ერთი სახელმწიფო საწარმოა, მას არ შეუძლია საკუთარ სამართალზე მითითებით შეცვალოს საარბიტრაჟო შეთანხმების საგანი[1].

3. საარბიტრაჟო შეთანხმება საარბიტრაჟო პროცესის საფუძველს წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეები კომპეტენტურ სახელმწიფო სასამართლოს ცვლიან და გამორიცხავენ მის კომპეტენტურობას.

საარბიტრაჟო შეთანხმება ზოგადი ცნებაა. ის ბრაქტიკაში გვხვდება საარბიტრაჟო ხელშეკრულების ან საარბიტრაჟო დათქმის სახით. საარბიტრაჟო ხელშეკრულება იდება იმწამიერად წარმოშობილი დავისას, მხარეთა შეთანხმებით. მხარეები თანხმდებიან, რომ მათი დავა განიხილოს საარბიტრაჟო სასამართლომ.

საარბიტრაჟო დათქმა არის კონკრეტული ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც მომავალი დავის შემთხვევაში მხარეებს აძლევს დავის საარბიტრაჟო სასამართლოსათვის დაქვემდებარების შესაძლებლობას.

დაუშვებელია შემდეგი შინაარსის საარბიტრაჟო დათქმის გაკეთება: „ჩვენი მომავალი საქმიანობიდან წარმოშობილი დავა დაექვემდებაროს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს“. უფრო მართებული იქნებოდა : „ურთიერთობებს ამ ხელშეკრულების განმარტებასა და შესრულებაზე წყვეტს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო“.

1. ეს პრინციპი დაფიქსირებულია შეკიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 177.2 მუხლში.

საარბიტრაჟო შეთანხმება ისეთი ხელშეკრულებაა, რომელსაც საპროცესო სამართლებრივი შინაარსი გააჩნია. სწორედ ამიტომ საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმისათვის უპირატესობა ეძლევა lex fori-ს, ანუ ადგილის სამართალს.

4. მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ გამოსაყენებელი საპროცესო სამართალი (საკუთარი ან უცხო ქვეყნის);

5. საარბიტრაჟო სასამართლო ისე, როგორც სხვა ნებისმიერი სასამართლო, იყენებს მატერიალურ სამართალს. იმ შემთხვევაში, თუ მატერიალური სამართალი არჩეული არ არის, გამოიყენება კონკრეტულ საქმესთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალი. სამართლის პირდაპირი არჩევა გულისხმობს მატერიალური სამართლის (მაგალითად, საფრანგეთის სამართლის არჩევისას - საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი) და არა კოლიზიური სამართლის არჩევას.

კოლიზიური სამართლის ბუნებისათვის დამახასიათებელია სხვა ქვეყნის სამართლებრივ ნორმებზე მითითება. ამდენად, კოლიზიური სამართალი ვერ გახდება სამართლის პირდაპირი არჩევის საფუძველი. იგი წინააღმდეგობაში მოვა საარბიტრაჟო შეთანხმებასთან. იგი გულისხმობს კონკრეტული ქვეყნის სამართლის გამოყენებას და არა სამართალურთიერთობის მესამე ქვეყნის სამართლის ნორმებზე დაქვემდებარებას.

10.3 საარბიტრაჟო სასამართლო პროცესი. გასაჩივრების წესი.

მხარეების ურთიერთ შეთანხმებით ინიშნებიან საარბიტრაჟო სასამართლოს წევრები. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეების მიმართვით სახელმწიფო მოსამართლეს შეუძლია ამ საქმის მოგვარება. სახელმწიფო სასამართლოს მოსამართლე ხელმძღვანელობს ადგილობრივი საარბიტრაჟო სამართლით, რომელიც ითვალისწინებს არბიტრთა დანიშვნის ადგილობრივ წესებს.

საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეს ერთ-ერთი მხარის, ან მხარეთა მოთხოვნით შეიძლება მიეცეს აცილება შემდეგი საფუძვლით: თუ არბიტრი არ პასუხობს მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს. მაგალითად, პროფესიული თვალსაზრისით არბიტრი უნდა ყოფილიყო ეკონომისტი, მაგრამ ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით დაინიშნა მათემატიკოსი; თუ ეჭვქვეშ დგება არბიტრის დამოუკიდებლობა და ობიექტურობა; საპროცესო სამართლის მიხედვით არსებობს აცილების საფუძველი.

არბიტრის აცილება, უმრავლეს ქვეყნებში, ხდება სახელმწიფო სასამართლოს მეშვეობით. შესაძლებელია ეს მოხდეს რეგლამენტით - საარბიტრაჟო სასამართლომ თავისივე პროცედურით მიიღოს გადაწყვეტილება. **აცილების საკითხი საბოლოოა და იგი გასაჩივრებას არ ექვემდებარება.** საქმის წარმოების პროცესში, სახელმწიფო სასამართლოსგან განსხვავებით, საარბიტრაჟო სასამართლო ექვემდებარება ნებაყოფლობის პრინციპს. მხარეები თვითონ - ნებაყოფლობით წარმოადგენენ აუცილებელ მტკიცებულებებს სადავო საკითხის გადასაწყვეტად. თუ მოწმე, რომლის დაკითხვა აუცილებელია საარბიტრაჟო პროცესისათვის, არ ცხადდება და არ იძლევა ჩვენებას, საარბიტრაჟო სასამართლო თხოვნით მიმართავს სახელმწიფო სასამართლოს, რომელიც თავის საპროცესო სამართალზე დაყრდნობით იყენებს იძულების ღონისძიებებს. გარდა ამისა, დახმარების სახით საარბიტრაჟო სასამართლოს შეიძლება გაუგრძელდეს მოქმედების ვადა; უცხო ქვეყნის სამართალზე ინფორმაციის მოწოდება, სარჩელის უზრუნველყოფისათვის ღონისძიებების განხორციელება და ა.შ.

საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება, ზოგადად, არ ხდება. ის საბოლოოა. მაგრამ, არის გამონაკლისები, როდესაც მისი გასაჩივრება დაიშვება. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში ეს უნდა იყოს ერთი და საბოლოო ინსტანცია. საქართველოში გასაჩივრება უმჯობესი იქნებოდა უზენაეს სასამართლოს კომპეტენციაში ყოფილიყო.

გასაჩივრების საფუძველი შეიძლება გახდეს არბიტრთა არასწორი დანიშვნა, ან საქმის წარმოების არასწორად წარმართვა; გადაწყვეტილების მიღება ისეთ საკითხებზე, რომლებზეც საარბიტრაჟო განსჯადობა არ ვრცელდება; საპროცესო სამართლებრივი პრინციპების დარღვევა; შეუთავსებლობა საჯარო წესრიგთან.

გადაწყვეტილების გასაჩივრება ზოგიერთ ქვეყანაში მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხულია. ასე, მაგალითად, შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 192-ე მუხლის მიხედვით, მოდავე მხარეთა შორის თუ არც ერთს საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან რეზიდენცია შვეიცარიაში არა აქვთ, შეუძლიათ გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარი თქვან. გასაჩივრება შეიძლება გამოირიცხოს სრულიად ან გარკვეული შემთხვევების გათვალისწინებით. მიუხედავად გასაჩივრების უარყოფისა, არის შემთხვევები გადაწყვეტილების გადახედვისა. ეს ეხება გადაწყვეტილებას, რომელიც უნდა აღსრულდეს შვეიცარიაში. ამას ადასტურებს ნიუ-იორკის 1958 წლის 10 ივნისის უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების კონვენცია, რომლის „სულისკვეთება", თვით გასაჩივრების შემთხვევაშიც კი, გულისხმობს გადაწყვეტილების გადასინჯვას. ამა თუ იმ უცხოური ნორმის ინპლემენტაცია ქართულ საქართველოში უნდა შეესაბამებოდეს ქართულ სინამდვილეს, საზოგადოების მზადყოფნას იმისათვის, რომ არ მოხდეს უფლების ბოროტად გამოყენება.

უცხოურად ითვლება სქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება. უცხო ქვეყნის ჩვეულებრივი სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისაგან განსხვავებით, მას შემდეგ, როცა საქართველო ცნობს უცხოურ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებას, მისი გასაჩივრება აღარ ხდება. ნიუ-იორკის 1958 წლის 10 ივნისის კონვენციის V მუხლი განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევებს, რომელთა არსებობისას სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებების ცნობაზე და აღსრულებაზე. ამის საფუძველი შეიძლება იყოს შემდეგი:

საარბიტრაჟო შეთანხმების ძალადაკარგულობა;

საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს გადაცილება;

საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება ან ძალაში შეუსვლელობა;

საარბიტრაჟო სასამართლოს დაკომპლექტების ან საარბიტრაჟო პროცესის ნორმების დარღვევა;

როცა დაყის საგანი არ არის საარბიტრაჟო სასამართლოს განსჯადი;

როცა აშკარადაა დარღვეული საჯარო წესრიგი (როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლებრივი).

10.4 არბიტრაჟში ერთგვაროვანი საპროცესო წესების შემოღების მიზანშეწონილობა

იუნსიტრალის სანიმუშო კანონის რეცეფციისათვის არსებობს ორი გზა: ერთი - სანიმუშო კანონი შეიძლება გადმოღებული იქნეს მხოლოდ როგორც საერთაშორისო სავაჭრო იურისდიქციის სპეციალური კანონი. ასეთი გზის არჩევის შემთხვევაში საჭირო გახდება მეორე კანონის მიღება ეროვნული საარბიტრაჟო (სამედიატორო) სასამართლოსათვის, რომელიც ფაქტობრივად საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის კანონის იდენტური იქნება.

მეორე გზის არჩევის რეკომენდაციას გვაძლევს გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის 1988 წლის 11-12 აპრილის სესიის მასალები, რომლის თანახმად:

მეორე გზა - სანიმუშო კანონი შეიძლება გადმოღებული იქნეს ისე, რომ მან მოაწესრიგოს როგორც საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის, ისე ეროვნული არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვის პროცედურა. არბიტრაჟის შესახებ კანონების განახლებისა და სრულყოფის მოთხოვნილებები შეიძლება წარმოიშვას ქვეყანაში შინასახელმწიფოებრივი საქმეების მიმართ. იგი შეიძლება განხორციელდეს ორივე კატეგორიის საქმეებისათვის მისაღები სანიმუშო კანონმდებლობის მიღებით. მხედველობაში გვაქვს როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კერძო სამართლებრივი

ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების განხილვა საერთაშორისო და ეროვნული არბიტრაჟების მიერ.

საქართველოს რეჟიმის სახელმწიფო კომისიამ უპირატესობა მისცა მეორე გზას, რადგან იგი აგვაცდენს ორი, ფაქტობრივად, იგივეობრივი კანონის მიღების აუცილებლობას. ეს არ იქნებოდა მიზანშეწონილი საკანონმდებლო ტექნიკის და არც სხვა რაიმე თვალსაზრისით.

„კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი ჯერ კიდევ 1996 წელს წარედგინა საქართველოს მთავრობას. იგი შემუშავებულია გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის სანიმუშო (მოდელური) კანონის საფუძველზე და გათვალისწინებულია როგორც საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის, ისე შინასახელმწიფოებრივი, ეროვნული ანუ საშედიატორო სასამართლოს საქმიანობის მოსაწესრიგებლად.

თავი XI. ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვა და ეგზავრების გადაყვანა

11.1 საერთაშორისო გადაზიდვების ცნება

გამოყენებულ ტრანსპორტზე დამოკიდებულებით, განასხვავებენ საერთაშორისო სარკინიგზო, საერთაშორისო საავტომობილო, საერთაშორისო საჰაერო და საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვებს. საერთაშორისო გადაზიდვები ხორციელდება ორ და მეტ ქვეყანას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე. ამ სფეროში სამართლებრივი რეგულირების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ გადაზიდვების ძირითადი საკითხები საერთაშორისო შეთანხმებებში (სატრანსპორტო კონვენციებში), შეიცავენ უნიფიცირებულ ნორმებს; ისინი ერთგვაროვნად განსაზღვრავენ საერთაშორისო გადაზიდვების პირობებს.

ასეთი შეთანხმებები, ჩვეულებრივად, შეიცავენ გადასატან დოკუმენტაციაზე წაყენებულ მოთხოვნებს, განსაზღვრავენ ტვირთის ძიღებისა და დანიშნულების პუნქტში მისი გაცემის წესებს, გადამზიდაველის პასუხისმგებლობის პირობებს და მის მიმართ პრეტენზიის და სარჩელის წაყენების პროცედურას. ერთგვაროვანი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების უქონლობის შემთხვევაში მიმართავენ ეროვნული საკანონმდებლობის ნორმებს სატრანსპორტო კონვენციის ან ეროვნული კანონმდებლობის კოლიზიური ნორმების შესაბამისად.

მრავალმა სახელმწიფომ მიიღო სპეციალური სამართლებრივი აქტები საერთაშორისო გადაზიდვებზე, რომლებიც, ჩვეულებრივ, ეფუძნებიან სატრანსპორტო კონვენციების დებულებებს და აყენებენ მათ.

გარკვეული სპეციფიკით ხასიათდებიან ტვირთების გადაზიდვები შერეული (სარკინიგზო-წყლის) გადაცემით, კონტეინერული და სატრანზიტო ტვირთების გადაზიდვები[1].

1. ტრანზიტი ნიშნავს ტვირთის გადაზიდვას ან მგზავრთა გადაყვანას ერთი პუნქტიდან მეორეში გზაზე მდებარე პუნქტების გაფლით, ან ერთი ქვეყნიდან მეორეში მესამე სახელმწიფოს გაფლით. სხვაგვარად, ტრანზიტი გულისხმობს ტვირთის გადაზიდვას შუალედურ პუნქტებში გადატვირთვის გარეშე.

1980 წ. 24 მაისს ხელმოწერილი იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტვირთების საერთაშორისო შერეულ გადაზიდვებზე, ხოლო 1990 წ. 1 თებერვალს - კონვენცია სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე იმ ზარალისათვის, რომელიც მიყენებულია საავტომობილო, სარკინიგზო და შიდა წყლის ტრანსპორტით საშიში ტვირთების გადაზიდვის დროს. 1991 წ. 15 აპრილს მიღებული იქნა გაეროს კონვენცია საერთაშორისო ვაჭრობაში სატრანსპორტო ტერმინალების ოპერატორების პასუხისმგებლობის შესახებ.

11.2 საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვები

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმებები სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში იყვნენ ბერნის კონვენციები ტვირთების სარკინიგზო გადაზიდვისა და მგზავრების სარკინიგზო გადაყვანაზე. 1966 წელს დაიდო დამატებითი შეთანხმება მგზავრების გადაყვანისას რკინიგზის პასუხისმგებლობაზე. 1980 წელს კონფერენციაზე მოხდა ბერნის კონვენციების გადასინჯვა. მიღებული იქნა ახალი შეთანხმება საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების შესახებ. მასში მონაწილეობენ ევროპის ქვეყნების უმეტესობა, აზიის და ჩრდილო აფრიკის რიგი ქვეყნები.

გადაზიდვის ფულადი გადასახდელის განაკვეთები განისაზღვრებიან ერთვნული და საერთაშორისო ტარიფებით. გათვალისწინებულია ტვირთის მიზიდვის ზღვრული ვადები. საერთაშორისო რკინიგზის გადაზიდვების (КОТИФ) წესების მიხედვით მაღალი სიჩქარის ტვირთების მიზიდვის საერთო ვადები შეადგენს 400 კმ-ს, ხოლო დაბალი სიჩქარის ტვირთებისათვის - 900 კმ-ს დღე-ღამეში.

გადასაზიდი ტვირთის დაუცველობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ზღვრული მოცულობა საერთაშორისო რკინიგზის გადაზიდვების წესებით, განსაზღვრულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის საანგარიშო ერთეულებში 17 СПЗ, ან 51 ძველი ოქროს ფრანკი 1 კგ ბრუტო წონაზე.

КОТИФ-ის წესების თანახმად, ტვირთის გადაზიდვის გადაგადაცილების შემთხვევაში ტვირთის მფლობელს ზარალი უნდა აუანაზღაურდეს გადაზიდვის ფულადი ანაზღაურების სამმაგი მოცულობით.

საგარეო ვაჭრობის ტვირთები შეთანხმებაში მონაწილე ქვეყნებში იგზავნება საერთაშორისო ზედნადებით, რომელიც შედგენილია ტვირთის გამგზავნ ქვეყანაში მოქმედი წესებით. მაგრამ ტვირთების საერთაშორისო გადაცემის შეთანხმების თანახმად, დამატებით ხდება ტვირთების მარკირება და სატრანსპორტო დოკუმენტების გაფორმება. დანიშნულების ქვეყანაში ტვირთი გადაეცემა ამ ქვეყნის ეროვნული წესების შესაბამისად. ამ შემთხვევაშიც რიგი დამატებითი წესები სრულდება, კერძოდ, კომერციული აქტის შედგენის წესი ტვირთის დაზიანების გამოყენების დროს.

გადაზიდვის საფასური ანაზღაურდება ეროვნული ტარიფებით და ეროვნული ვალუტით: ტვირთის გამგზავნის მიერ - მისი გამგზავრების პერიოდში, ხოლო დანიშნულების გზებზე - ტვირთის მიმღების მიერ.

სატრანზიტო ქვეყნების რკინიგზით ტვირთების გაგზავნის გადასახადი ტვირთის მიწოდების ხელშეკრულების პირობებზე დამოკიდებულებით შეიტანება ტვირთის გამგზავნის ან მიმღების მიერ საერთაშორისო სატრანზიტო ტარიფის განაკვეთის შესაბამისად, რომლის ვალუტას წარმოადგენს შვეიცარიული ფრანკი.

11.3 საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები

საგზაო მოძრაობის წესები მოძრაობაზე, საგზაო ნიშნებსა და სიგნალებზე დადგენილია 1949 წ. 19 სექტემბერს მიღებული კონვენციით (მოქმედებს 1968 წ. რედაქცია, რომელიც ძალაში შეიდა 1977 წ.). მოქმედებს, აგრეთვე 1959 წ. მიღებული საბაჟო კონვენცია ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვებზე (1978 წ. ძალაში შევიდა ახალი რედაქცია).

ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების ხელშეკრულების პირობები ევროპის ქვეყნებს შორის განსაზღვრება ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვის ხელშეკრულებაზე კონვენციით. იგი მიღებული იქნა 1956 წ. 19 მაისს. ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა ამ კონვენციის მონაწილეა.

კონვენცია განსაზღვრავს ტვირთის მფლობელისა და გადამზიდავის ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს საავტომობილო გადაზიდვების დროს, აგრეთვე, გადასაზიდად ტვირთის მიღებისა და დანიშნულების პუნქტში მისი გაცემის წესებს; კონვენციით დადგენილია, აგრეთვე, რომ გადამზიდავის პასუხისმგებლობის ზღვარი ტვირთის დაუცველობის დროს შეადგენს 25 ოქროს ფრანკს ბრუტო წონის 1 კგ-ზე.

საავტომობილო გადაზიდვების დროს არსებითი მნიშვნელობა აქვს მესამე პირის მიმართ გარანტიების შექმნას მომეტებული საშიშროების წყაროთი ზიანის მიყენებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების თვალსაზრისით. ამის მიღწევა შესაძლებელი ხდება სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემოღების შედეგად. იგი გათვალისწინებულია, როგორც სახელმწიფოთა შინაგანი კანონმდებლობით, ისე რიგი საერთაშორისო შეთანხმებებით.

ასე, მაგალითად, რიგ ქვეყნებთან გაფორმებულ ორმხრივ შეთანხმებებში სატვირთო საავტომობილო კავშირის ორგანიზაციაზე გათვალისწინებულია სამოქალაქო პასუხისმგებლობის აუცილებელი დაზღვევა საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების დროს.

11.4 საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვები

საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების ცნებით განიხილება გადაზიდვა, რომლის დროსაც საჰაერო ტრანსპორტის დაჯდომის (დაშვების) პუნქტებიდან თუნდაც ერთი მაინც წარმოადგენს მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ პუნქტს (საჰაერო კოდექსის 101 მუხლი).

ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის საჰაერო პირობები განისაზღვრება ყარშავის კონვენციით. იგი ეხება საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების ზოგიერთი წესების უნიფიკაციას.

კონვენცია მიღებულია 1929 წელს. იგი შეივსო ჰაგის 1933 წელს მიღებული ოქმით. კონვენციაში მონაწილეობს 100-ზე მეტი სახელმწიფო. კონვენციაში განსაზღვრულია გადასაზიდ ტვირთზე შედგენილი დოკუმენტების მიმართ წაყენებული ძირითადი მოთხოვნები, ტვირთის გამგზავნის უფლებები გზაზე, დანიშნულების პუნქტში ტვირთის გაცემის წესი, ტვირთის გადამტანისა და მგზავრების გადამყვანის პასუხისმგებლობა მგზავრებისა და ტვირთის მფლობელის წინაშე. პასუხისმგებლობა დგება გადამზიდავის ბრალეულობის დამტკიცებისაგან დამოუკიდებლად.

ვარშავის კონვენციის თანახმად, საჰაერო გადამზიდავის ზღვრული პასუხისმგებლობა შეადგენს 250 ფრანკს 1 კგ. წონაზე. კონვენცია გადატანილი ტვირთის დაუცველობაზე წასაყენებელ პრეტენზიის ყადად განსაზღვრავს 14 დღეს ტვირთის მიღებიდან. ტვირთის საშვი სასამართლოში მიმართვის უფლებას კარგავს. სასარჩელო ხანდაზმულობა გადამზიდავის მიმართ 2 წელია.

ყარშავის კონვენციამ ღიად დატოვა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის საკითხი (დადგენილი მისი მაქსიმუმის საზღვრებში), აგრეთვე, იმ პირთა წრე, რომელთაც აქვთ უფლება ანაზღაურებაზე მგზავრთა დაღუპვის შემთხვევაში; გადაწყვეტილება ასეთ შემთხვევაში მიიღება ყოველი სახელმწიფოს სასამართლოში ეროვნული კანონმდებლობის და პრაქტიკის შესაბამისად; ეს საკითხები შეიძლება გადაწყდეს სასამართლოს კანონის, გადამზიდავის კანონის, გადაზიდვაზე ხელშეკრულების დადების ადგილის კანონის საფუძველზე.

საარბიტრაჟო სასამართლო იყენებს ვარშავის კონვენციის ნორმებს, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით. მოვიყვანთ მაგალითს საარბიტრაჟო სასამართლო ორგანოების პრაქტიკიდან:

დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებამ მიმართა სანკტ-პეტერბურგის საარბიტრაჟო სასამართლოს ჰელსინკის ავიაკომპანიის მიმართ აღძრული სარჩელით 1289,0 აშშ-ის $ ზღვევინების თაობაზე, რომელიც გამოწყვეული იყო 6,6 კგ. ტვირთის დანაკლისით. ავიაკომპანიის წარმომადგენლობა სანკტ-პეტერბურგშია.

ვარშავის კონვენციის 22-ე მუხლის საფუძველზე (იგი ეხება საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვებს, 1929 წ.), ჰაგის 1955 წ. ოქმის ცვლილებებით და დამატებებით, სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა მოთხოვნილი თანხის მოცულობით. შემდგომში მოხდა გადაწყვეტილების გადასინჯვა ფედერალურ საარბიტრაჟო საოლქო სასამართლოში. რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებაში, ამ საქმესთან დაკავშირებით, ყურადღება იყო გამახვილებული შემდეგ გარემოებებზე:

როგორც კომერციული აქტიდან ირკვევა, ტვირთის დანაკარგი გამოწვეული იყო შეფუთვის სიძველის გამო, რომელმაც ვერ უზრუნველყოფა ტვირთის სათანადოდ დაცვა გადაზიდვის დროს.

კონვენციის 1 და 2 პარაგრაფის მე-10 მუხლის თანახმად, ტვირთის გადამზიდი პასუხს აგებს დაზიანებისათვის, რომელიც მოხდა რეგისტრირებული ბარგის ან საქონლის განადგურების, დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, თუ ზიანის გამომწვევი შემთხვევა მოხდა საჰაერო გადაზიდვის დროს.

კონვენციის 2, 4 და 5 პარაგრაფის 22-ე მუხლის შესაბამისად, რეგისტრირებული ბარგის გადამზიდის პასუხისმგებლობა განისაზღვრება 250 ფრანკით 1 კგ. ტვირთზე. ჰაგის 1955 წლის ოქმის მე-5 პარაგრაფის 11-ე მუხლის მიხედვით, თანხის გადაყვანა ეროვნულ ვალუტაში სასამართლო განხილვის დროს წარმოებს ასეთი ვალუტის ოქროს ღირებულების შესაბამისად სასამართლო გადაწყვეტილების თარიღისათვის.

სარჩელის წარდგენისას მოსარჩელემ ტვირთის დანაკლისით გამოწვეული ზარალი გაიანგარიშა ამერიკულ დოლარებში. ეს გაანგარიშება ეწინააღმდეგება საერთაშორისო პრაქტიკას, - 250

ოქროს თრანკის ეროვნული ვალუტაში გადაყვანის თაობაზე, რაც ფიქსირებულია საერთაშორისო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის №3 და №4 ოქმებში (ძონრეალი, 1975 წ.).

ამ გარემოებამ გამოიწვია სასარჩელო თანხის არამართლზომიერი გადიდება 20 $-დან 1 კგ-ზე (საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული პასუხისმგებლობის ზღვარი) 1389,9 აშშ $-მდე.

ტყვირთის გადაშზიდი ქყეყანა, რომლის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული მოცემულ შემთხვევაში, ფინეთია. კერძოდ, საერთაშორისო გადაზიდვების ხელშეკრულებაში გადაშზიდს წარმოადგენდა „ფინნეირ"-ის ავიაკომპანია.

ფინეთის კანონმდებლობის მიხედვით, გადაშზიდის პასუხისმგებლობის საკითხი და ვარშავის კონყენციის გამოყენება რეგულირდება 1977 წ. 14 იანვარის „ავიატრანსპორტით გადაზიდვებზე ხელშეკრულების" კანონით, - 1980 წლის 11 აპრილის ცვლილებებით. მის პარაგრაფ 29-ში განსაზღვრულია, რომ რეგისტრირებული ბარგის და საქონლის გადაზიდვის დროს გადაშზიდის პასუხისმგებლობა განსაზღვრულია 17 СДР თანხით, ან 23,0 აშშ $ 1 კგ ძასაზე (რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება №4707/96, 1997 წ. 25 თებერვალი).

11.5 საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვები

ყველაზე რთული სამართლებრივი საკითხები წარმოიშვება საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების დროს. ეს აიხსნება ამ დარგში როგორც ურთიერთობათა მრავალფეროვნებით, ისე სამართლებრიყი რეგულირების წყაროს სხვადასხვა ხასიათით. კონვენციის ნორმებთან და შინაგან კანონმდებლობასთან ერთად ფართოდ გამოიყენება ეროვნული და საერთაშორისო საზღვაო ჩვეეები.

მრაყალი სახელმწიფოს კანონმდებლობაში ჩვეულებრივად არ შედის კოლიზიური ნორმები, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს,

რომელი ქვეყნის საკანონმდებლო ექვემდებარება გამოყენებას ტვირთების საზღვაო გადაზიდვასთან მიმართებით. ეს საკითხი წყდება სასამართლო პრაქტიკით. დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის სასამართლოებში (საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად) გამოიყენება გემის ალმის კანონი, ხოლო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სასამართლოებში უპირატესობა ეძლევა ტვირთის დანიშნულების ადგილის კანონს. პოლონეთის კანონის თანახმად, გამოიყენება მხარეების მიერ არჩეული კანონი. არჩევის უქონლობის შემთხვევაში გამოიყენება გადამზიდის ადგილსამყოფელის კანონი.

ტვირთის საზღვაო გადაზიდვები შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა პირობებში. თუ ასეთი გადაზიდვა ხორციელდება გადამზიდის მიერ მთელი გემის, ან მისი ნაწილის აღჭურვის გარეშე, მაშინ გადაზიდვის მონაწილეთა შორის ურთიერთობა ფორმდება კონოსამენტით.

კონოსამენტი საზღვაო საერთაშორისო ტვირთის განმკარგავი დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებას და გადამზიდავის მიერ ტვირთის მიღებას ან დატვირთვას. კონოსამენტის წერდგენისას გადამზიდავი ვალდებულია გასცეს ტვირთი. კონოსამენტში აღინიშნება ტვირთის საერთო მახასიათებლები, გარეგნული სახე, გამგზავნის დასახელება და კანონით გათვალისწინებული სხვა რეკვიზიტები.

1924 წელს ბრიუსელში მიღებული იქნა კონვენცია ზოგიერთი წესის უნიფიკაციის კონოსამენტზე. **პრაქტიკულად საგარეო სავაჭრო ტვირთების საზღვაო გადაზიდვების პირობები განისაზღვრება დაფრახტვის ხელშეკრულებით ან ჩარტერით.**

ეს ხელშეკრულება ფორმდება გემთმფლობელსა და ტვირთის საზღვაო გადამზიდს შორის მთელი გემის ან მისი ნაწილის იჯარით აღების შესახებ გარკვეული ვადით, ან გარკვეულ რეისზე.

ტვირთის დაზიანების შემთხვევაში გადამზიდი პასუხს აგებს დანაშაულისათვის. გადამზიდის მიმართ სარჩელის ან პრეტენზიის წარდგენისათვის დაწესებულია ხანდაზმულობის 1 წლის ვადა. კონოსამენტით ტვირთების გადაზიდვის დროს აუცილებელია

ტვირთის ღირებულების ჩვენება. გადამზიდი პასუხს არ აგებს ე.წ. სანავიგაციო შეცდომისათვის. მასში იგულისხმება კაპიტნის, მატროსის, ლოცმანის შეცდომა გეების მართვის დროს.

1970 წლის მარტში, ჰამბურგში, კონფერენციაზე მიღებული იქნა გაეროს კონვენცია ტვირთების საზღვაო გადაზიდვაზე, რომელსაც ძირითადად უნდა შეეცვალა ბრიუსელის 1924 წლის კონვენცია. ახალ კონვენციას გააჩნია მოქმედების უფრო დიდი სფერო. იგი ვრცელდება ცხოველების და საგემბანო ტვირთის გადაზიდვაზეც. კონვენციაში გათვალისწინებულია ახალი მნიშვნელოვანი ცვლილებები. კერძოდ, შეცვლილია წესი, რომლითაც საზღვაო გადამზიდი გათავის-უფლებულია ნავიგაციის შეცდომისაგან, რამდენადმე გაზრდილია მისი პასუხისმგებლობის ზღვარი ტვირთის დაუცველობაზე, უფრო ზუსტადაა განსაზღვრული გადამზიდზე წარსადგენი მოთხოვნები (სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა 2 წელია).

საზღვაო ხაზების უმრავლესობის ექსპლუატაცია ამჟამად ხდება მსხვილ გემთმფლობელ კომპანიებს შორის არსებული შეთანხმებების ჩარჩოებში. ისინი ქმნიან გადამზიდების ჯგუფებს, რომლებმაც მიიღეს სახაზო კონფერენციების სახელწოდება. მათში გადამწყვეტი გავლენა აქვთ წამყვანი სახელმწიფოების კომპანიებს. ისინი ისწრაფვიან მიიღონ მაქსიმალური მოგება მაღალი საფრახტო განაკვეთების დაწესებით, ან სხვა შეღავათიანი პირობებით.

სახაზო კონფერენციების საქმიანობაში დისკრიმინაციული ელემენტების თავიდან აცილების მიზნით 1974 წელს გაეროს ჩარჩოებში განვითარებადი ქვეყნების ინიციატივით დაიდო მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმება - კონვენცია სახაზო კონფერენციების ქცევის კოდექსზე. კონვენცია მოიცავს რიგ დებულებებს, რომლებიც მიმართულია სახაზო კონფერენციების მუშაობის განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქცევის შემოღებაზე. იგი გამორიცხავს დისკრიმინაციას და აბალანსებს გადამზიდისა და ტვირთის მფლობელთა ინტერესებს.

ზღვაზე მგზავრების გადაყვანა რეგულირდება რიგი საერთაშორისო შეთანხმებებით. მათგან უნდა აღინიშნოს ათენის

1974 წ. 13 დეკემბრის კონვენცია ზღვით მგზავრების გადაყვანისა და მათი ბარგის გადატანის შესახებ.

გადამზიდის ბრალით ზღვრული პასუხისმგებლობა მგზავრების ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენების შემთხვევაში 700 ათასი ფრანკითაა განსაზღვრული, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა - 2 წელი.

საზღვაო გადაზიდვები ხორციელდება, აგრეთვე, ჩარტერით. ასეთ შემთხვევაში ტვირთის გადასაზიდად წარდგება მთლიანი გემი, მისი ნაწილი ან განსაზღვრული სათავსები. ჩვეულებრივად, პრაქტიკაში გამოყენებულია ჩარტერების პროფორმები, რომლებიც შეიმუშავეს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციებმა და გემების მფლობელთა ეროვნულმა გაერთიანებებმა. ჩარტერები შემუშავებულია ტვირთების სახეების მიხედვით (ნახშირი, ნავთობი, ხე-ტყე და ა.შ.).

თავისი შინაარსით საზღვაო ჩარტერი წარმოადგენს რთულ ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს 60-ზდე სხვადასხვა პირობას (ტვირთის წარდგენა, მისი მიწოდების წესი, გაანგარიშებები ფრახტით და ა.შ.). პასუხისმგებლობის მიმართებით, ჩვეულებრივად, კეთდება მითითება კონვენციის პირობებზე წესების უნიფიკაციის თაობაზე.

თავი XII. ინტელექტუალური საკუთრება საერთაშორისო კერძო სამართალში

12.1 ინტელექტუალური საკუთრების ცნება

საერთაშორისო კერძო სამართალში „ინტელექტუალური საკუთრება" მიღებულ ტერმინად იქცა 1967 წლის 14 ივლისს ხელმოწერილი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დაფუძნების კონვენციის ძალით. მისი მე-2 მუხლით დადგინდა:

„ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს უფლებებს, რომლებიც განეკუთვნება: ლიტერატურულ, მხატვრულ და სამეცნიერო ხასიათის ნაწარმოებებს; მსახიობთა საშემსრულებლო მოღვაწეობას, ხმის ჩაწერას, რადიო და ტელეგადაცემას; გამოგონებებს ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში; სამეცნიერო აღმოჩენებს; საპრეწველო ნიმუშებს; სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, საფირმო სახელწოდებებსა და კომერციულ აღნიშვნებს; არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვას, აგრეთვე, ყველა სხვა უფლებას, რომლებიც დაკავშირებულია სამეწარმეო, სამეცნიერო, ლიტერატურულ და მხატვრულ შემოქმედება-საქმიანობის სფეროსთან".

ჩამონათვალი საკუთრების ობიექტებს განსაზღვრავს. მათ დაცვას უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების საქართველო. იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის მიხედვით, ინტელექტუალური საკუთრების საქართველო ორ შტოდაა გაყოფილი:

საავტორო საქართველო;

საპრეწველო საკუთრების საქართველო.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი იქმნება ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად. იგი შეიძლება გამოიხატოს ლიტერატურული, მხატვრული ან სამეცნიერო ნაწარმოების შექმნით, რაც საავტორო უფლებებს წარმოშობს. შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია, აგრეთვე, მხატვრული ნაწარმოების შესრულება ან ტელე-რადიოგადაცემის შექმნა და ჩაწერა. იგი

მრავალჯერ შეიძლება იქნეს გამოყენებული. ასეთი სახის ობიექტები წარმოშობს მოძიებულ უფლებებს. როგორც საავტორო, ისე მოძიებულ უფლებების ობიექტები ყოველთვის უსხეულო, ანუ არამატერიალურ ობიექტს წარმოადგენს. თუ მეცნიერული აღმოჩენა გამოქვეყნდა, მაშინ ნაშრომი საავტორო სამართლით იქნება დაცული. აღნიშნულისაგან განსხვავებით, გამოგონება ან საშრეწველო ნიმუში შეიძლება იქნეს მატერიალიზებული რაიმე კონკრეტულ ნივთად. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი იცავს არა კონკრეტულ ნიყთს, რაც სანიყთო სამართლის სფეროა, არამედ „ადამიანის შემოქმედების შედეგს", - მოცემულ შემთხვევაში, გამოგონებას, სამრეწველო ნიმუშს ან სასარგებლო მოდელს. ამ ობიექტების რეალიზება შეიძლება მოხდეს განუსაზღვრელი რაოდენობის ნივთის სახით და დაცული უნდა იქნეს ის „საგამოგონებლო იდეა", რომელიც მზად არის კონკრეტული ნივთის შესაქმნელად. იგივე ეხება მცენარის ან ცხოველის ახალ ჯიშს. სასაქონლო ან მომსახურების ნიშნები ნივთად ვერასდროს იქცეყიან, თუმცა, გამოგონების მსგავსად, სამრეწველო საკუთრების დაცვის საგანს წარმოადგენენ.

სამრეწველო საკუთრებას მიკუთვნებულია, აგრეთვე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა იმ ნაწილში, რაც შეწარმეობისათვის განკუთვნილ ობიექტებს უკავშირდება. ყველაზე ხშირად ეს კავშირი განმასხვავებელ აღნიშვნებთან ან ნოუ-ჰაუსთან იჩენს თავს. ნოუ-ჰაუ, თავის მხრივ, სამრეწველო საკუთრების ობიექტია, თუ ის სამეწარმეო დანიშნულების ობიექტს წარმოადგენს. ნებისმიერი ხასიათის სიდუმლოება, ფართო გაგებით, ნოუ-ჰაუს წარმოადგენს. ამას ნოუ-ჰაუს მფლობელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ამრიგად, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები არამატერიალური ობიექტებია. ზოგ შემთხვევაში მათი მატერიალიზება შესაძლებელია: გამოგონება, სამრეწველო ნიმუში, სასარგებლო მოდელი, ნოუ-ჰაუ, მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიში და სხვ. ზოგ შემთხვევაში ინტელექტუალური შემოქმედების შედეგი უსხეულო ობიექტად რჩება: ლექსი, სიმღერა, ცეკვა და ა.შ.

ძრეწველობასთან დაკავშირებულ ობიექტებს საძრეწველო საკუთრების საამართალი ან სპეციალური კანონმდებლობა იცავს, ხოლო იმ ობიექტებს, რომლებიც ძრეწველობასთან არ არის დაკავშირებული, ძირითადად, საავტორო საამართალი იცავს.

საძრეწველო საკუთრების საამართალი მოიცავს საპატენტო საამართალს და კომერციული აღნიშვნების საამართალს. საპატენტო საამართლის დაცვის ობიექტებია გამოგონება, საძრეწველო ნიმუში და სასარგებლო ნიმუში. კომერციული აღნიშვნების საამართალი ვრცელდება სასაქონლო და ფირმასახელების ნიშნებზე, გეოგრაფიულ აღნიშვნებზე, საფირმო სახელწოდებებზე.

12.2 ინტელექტუალური საკუთრების წარმოშობისა და განვითარების ისტორიული მიმოხილვა

ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში ცნობილი იყო ავტორთა უფლებების დაცვა პლაგიატისაგან. იგი განიხილებოდა როგორც უპატიოსნო ქმედება და საზოგადოებისაგან გაკიცხვას იმსახურებდა.

„საავტორო საამართალი“ ინგლისურ-ამერიკული სამართლებრივი ოჯახის ქვეყნებში დღესაც ყურ იქცა საკანონმდებლო ტერმინად. ევროპის ქვეყნებში აუტორია უფლებების დაცვას უკავშირებენ გერმანიაში იოჰან გუტენბერგის მიერ მოძრავი ლიტერებით წიგნების ბეჭდვის ახალი ტექნიკური საშუალების გამოყენებას. ამ ფაქტმა დააჩქარა და მნიშვნელოვნად გააადვილა წიგნების უკონტროლო გამოცემისა და გავრცელების პროცესი. შესაძლებელი გახდა წიგნებისა და სხვა სახის საბეჭდი პროდუქციის ასლების გაძრავლება დიდი ოდენობით, რასაც მოჰქონდა მნიშვნელოვანი შემოსავალი. ინგლისში განვითარდა წიგნებით ვაჭრობა. შეიქმნა გაერთიანებები, რომლებმაც დაიწყეს საკუთარი უფლებებისათვის მიზანმიმართული ბრძოლა. ისინი ავტორისაგან იძენდნენ ხელნაწერ ნაწარმოებებს, ბეჭდავდნენ და საკუთარი რისკის ფასად ასაღებდნენ. წარმატებული ნაწარმოები

მეკობრეთა ყურადღების განსაკუთრებული ობიექტი ხდებოდა. აღნიშნული მოვლენები გავრცელდა XV საკუნის ინგლისში. ინგლისურენოვან ქვეყნებში იოლი იყო გასაღების ბაზრის გაფართოება. იგივე ხდებოდა საფრანგეთშიც. მეკობრეები დაუმსახურებელ დივიდენდებს იმკიდნენ.

ცნობილია ეშილ ზოლას ნაწარმოებ „ხაფანგთან" დაკავშირებული, გასმაურებული ამბავი. იგი ავტორის ნებართვის გარეშე ბელგიაში უფრო ადრე გამოქვეყნდა და გავრცელდა, ვიდრე საფრანგეთში. 1852 წელს საფრანგეთსა და ბელგიას შორის დადებულმა ხელშეკრულებამ ვაჭრობის შესახებ, გაითვალისწინა სპეციალური მოთხოვნები საავტორო უფლებათა მფლობელების დაცვის შესახებ.

გამომცემლობები ცდილობდნენ ავტორებისაგან შეძენილი უფლებები გაევრცელებინათ კოპირებაზე - მესამე პირების მიერ ნაწარმოებების უნებართვო გამრავლების საწინააღმდეგოდ.

1556 წ. დედოფალმა მარიამ ტიუდორმა გამომცემელთა კომპანიას, ზედამხედველობის გარდა, მისცა უფლება გამოეცლინათ და გაესადგურებინათ უნებართვოდ დაბეჭდილი წიგნები.

1710 წელს მიღებული იქნა დედოფალ ანას სტატუტი, რომელიც საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში პირველ კანონად ითვლება. უფლებების მოქმედება დროში განისაზღვრება 14 წლით - გამოცემის დღიდან, ხოლო თუ ავტორი კვლავ ცოცხალი იყო, მომდევნო 14 წლით შეიძლებოდა გაგრძელება.

დედოფალ ანას სტატუტით მინიჭებული „კოპირაიტის" უფლებათა მოცულობა და საერთო საკართლით დაცვადი „კოპირაიტის" მოცულობა საბოლოოდ გაიმიჯნა საკოსაკართლო საკართლით. 1774 წელს „დონალდსონი ბეკეტის წინააღმდეგ" საქმის განხილვის შედეგად დაწესდა, რომ საერთო საკართლის მიხედვით ავტორს გააჩნია უფლება მხოლოდ წიგნის დაბეჭდვასა და გამოცემაზე. **თუ წიგნი გამოიცა, მაშინ ავტორთა უფლებების მოწესრიგება შეიძლებოდა 1710 წლის სტატუტის მიხედვით. ეს ვითარება ინგლისში გრძელდებოდა 1911 წელს მიღებული კანონის (Copyrights Act) ძალაში შესვლამდე, რის**

შემდეგაც ყველა უფლების რეგულირება ხდება აღნიშნული კანონით.

1798 და 1814 წწ. შემოღებული იქნა მოქანდაკეთა შემოქმედების შედეგების დაცვა, რომელიც 1862 წლიდან გადაიქცა სახვითი ხელოვნების შედეგების დაცვის აქტად. კანონმა გაითვალისწინა მხატვართა ნაწარმოებების, ფოტოგრაფიებისა და ნახაზების დაცვა. დაცვის ხანგრძლივობა 42 წლამდე გაიზარდა - გამოქვეყნების დღიდან, ან ავტორის სიცოცხლეს, პლუს 7 წელი. 1833 წელს მიღებულმა კანონმა დააწესა მსახიობ-შემსრულებელთა უფლებების დაცვა.. 1842 წელს დაცვა გავრცელდა მუსიკალურ სფეროში მოღვაწე შემსრულებლებზე.

ტერმინი „საავტორო უფლება“ ინგლისში დღესაც არაა გამოყენებული. ავტორთა და შემსრულებელთა უფლებების დაცვის აღსანიშნავად დღესაც ინგლისი ხმარობს ტერმინს - „კოპირაიტ“-ს.

საერანგეთში 1791 და 1793 წწ. საკონსტიტუციო ასამბლეამ მიიღო ორი დეკრეტი, რომლებმაც უარყვეს პრივილეგიები და ჩაუყარეს საფუძველი საავტორო უფლებათა დაცვის თანამედროვე კანონმდებლობას. ამ დეკრეტებმა აღიარეს განსაკუთრებული უფლებები ნაწარმოებების გამოყენებასა და მათ კულავწარმოებაზე. ავტორთა უფლებები დაცული იყო ნაწარმოების საჯარო შესრულებაზე ავტორის სიცოცხლის მანძილზე, პლუს 5 წელიწადი. 1793 წლის დეკრეტმა ავტორებს უბოძა უფლება ნაწარმოების კულავწარმოებაზე. **საფრანგეთში პირველად იქნა შემოღებული ცნება „საავტორო სამართალი“ მაშინ, როდესაც საერთო სამართალი და ინგლისში მოქმედი სტატუტები ცნობდნენ მხოლოდ „კოპირაიტ“-ს.**

გერმანიაში ერთიანი კანონის მიღებას წინ უსწრებდა ავტორთა უფლებების დაცვის შემოღება ცალკეულ მიწებზე. მაგალითად, საქსონიის 1686 წლის მეფის ბრძანებულებამ ავტორებს უბოძა მათი ნაწარმოებების უნებართვოდ გამოყენების აკრძალვის უფლება. გამომცემელსაც ნაწარმოების გამოცემის უფლება უნდა შეეძინა ავტორისაგან. პრუსიის სამოქალაქო კანონმდებლობით, თუ ავტორს ნებართვა მიღებული ჰქონდა მეფისგან წიგნის

გამოქვეყნებაზე, მაშინ აღარავის აღარ შეეძლო ავტორის თანხმობის გარეშე გამოეცა წიგნი. საბაზისო კანონი ჩრდილოეთ გერმანიის ფედერაციის არსებობის ხანაში იქნა მიღებული 1845 წელს, რომელიც შემდგომში გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს (რაიხის) კანონად გადაიზარდა.

„მორალური" უფლებების დაცვას საფუძველი ჩაუყარა ემანუილ კანტის შეხედულებებმა. მისი აზრით, ავტორიდა ნაწარმოები განუყრელ ერთიანობას წარმოადგენს, რადგან ნაწარმოების შექმნისას ავტორი საკუთარ პიროვნულ გამოხატულებას აქსოვს მასში, ნაწარმოები სწორედ მისი სულიერი სიმდიდრით სულდგმულობს.

აშშ-ში 1790 წელის მიღებული კანონის ძალით აუტორთა უფლებების დაცვა დაეფუძნა ინგლისის მეფე ანას სტატუტს. დაცვის ობიექტს წარმოადგენდნენ წიგნები, რუკები და სქემები. აუტორთა უფლებები დაცული იყო 14 წელიწადი - ნაწარმოების გამოქვეყნების დღიდან. დაშვებული იყო ვადის გაგრძელება კიდევ ერთი 14 წლიანი პერიოდით, თუ ავტორი ცოცხალი იყო.

დანიასა და ნორვეგიაში 1814 წლამდე მოქმედებდა 1741 წელს მიღებული მეფის დეკრეტი, რომელიც ავტორთა ქონებრივ უფლებებს იცავდა მათი სიცოცხლის მანძილზე. 1762 წელს ესპანეთში მიღებული კანონით წიგნის გამოცემის უფლება მხოლოდ ავტორთანაა დაკავშირებული.

რუსეთის იმპერიაში ავტორთა უფლებების დაცვა შემოღებული იქნა 1830 წელს სპეციალური კანონით. იგი არ ითვალისწინებდა ავტორის უფლებას მისი ნებართვის გარეშე თარგმანის გაკეთების აკრძალვაზე. დაცვას ექვემდებარებოდა ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებები. აუტორთა უფლებები დაცული იყო მისი სიცოცხლის მანძილზე, პლუს 50 წელიწადი ნაწარმოების შექმნის ფაქტიდან. რეგისტრაციის ან სხვა სახის პროცედურა დაწესებული არ იყო. წიგნის გამოცემა მკაცრ ცენზურას ექვემდებარებოდა.

საბჭოთა კანონმდებლობამ ავტორებს ჩამოართვა ქონებრივი უფლებები და დაუტოვა მხოლოდ უფლება დადგენილი განაკვეთის საავტორო ჰონორარის მიღებაზე. 1973 წლიდან შეიქმნა სპეციალური ორგანიზაცია - „საავტორო უფლებათა საკავშირო

ნაავენტო". იგი ახორციელებდა კონტროლს საავტორო უფლებებსა და ნაწარმოების გაყრცელებაზე, განსაკუთრებით - საზღვარგარეთ.

1997 წლამდე სამოქალაქო კოდექსის მეოთხე კარი, სათაურით „საავტორო საქართველი" ავტორთა უფლებების დაცვას ითვალისწინებდა საქართველოში - 1965 წლიდან.

ამჟამად, საქართველოს საავტორო სამართალი წარმოდგენილია სამოქალაქო კოდექსით და 1999 წელს მიღებული კანონით - საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.

მოკლედ შეეხებით სამრეწველო საკუთრების სამართლის ისტორიას საპატენტო სამართლისა და სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონმდებლობის განვითარების მაგალითზე:

რაც უფრო განვითარებული ხდება კაცობრიობა, მით უფრო იზრდება ინტერესი სიახლეთა შექმნისადმი და მასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობათა მოწესრიგებისადმი.

ადრინდელი შუა საუკუნეების პერიოდშივე სახელმწიფოებს შემოაქვთ ე.წ. „პრივილეგიების" ინსტიტუტი. პრივილეგია იძლეოდა გამოგონებაზე განსაკუთრებულ უფლებას დროის შემოფარგვლით ან განუსაზღვრელი ვადითაც კი სახელმწიფოს საზღვრებში. ასე, მაგალითად, ინგლისის მეფემ ჰენრიხ III-მ 1236 წლის მარტში ბონიფუსუს დე სანტა კოლუმბას სახელზე 15 წლის ვადით გასცა პრივილეგია სხვადასხვა ფერის ტანსაცმლის გამოშვებაზე. ასეთივე პრივილეგიებს გასცემდა იერუსალიმის სამეფო და სიცილია XII საუკუნეში, ხოლო იტალია, გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია, ავსტრია, პოლონეთი, შვეიცარიის ცალკეული კანონები XIII-XV საუკუნეებში.

შუა საუკუნეების ინგლისის პრაქტიკიდან ჩამოყალიბდა შეხედულებები საპატენტო სისტემაზე. იმ პირებს, რომლებიც ცდილობდნენ მრეწველობის ახალი დარგების ჩამოყალიბებას და იმპორტული ტექნოლოგიების შემომტანთ ენიჭებოდათ განსაკუთრებული უფლებები იმ ხანგრძლივობით, რაც საჭირო იყო ახალი ტექნოლოგიების ათვისებისათვის. **დროით შემოფარგლული უფლებები დასტურდებოდა „LETTERS PATENT" დოკუმენტის გაცემით, რაც „ღია სიგელს" ნიშნავდა.**

საპატენტო დაცვების ერთ-ერთ პირველ მაგალითს წარმოადგენს 165 წელს განხილული „იფსვიჩელ მემაუდეთა საქმე“. სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურდა იმ ადამიანისათვის განსაკუთრებული უფლების გაცემის აუცილებლობა, რომელმაც საკუთარი რისკის ფასად სახელმწიფოს შესძინა ახალი გამოგონება, აღმოჩენა ან ხელობა.

სულ უფრო ხშირი იყო დარღვევები სიახლეთა გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც 1620 წელს **ელიზაბედ I-ის მიერ მონოპოლიათა შესახებ სტატუტის მიღების მიზეზი გახდა;** დღეს იგი პირველი საპატენტო კანონად ითვლება. სტატუტით საპატენტო სიგელი ეძლეოდა პირველ გამომგონებელს. იგი 14 წელს მოქმედებდა.

ინგლისის შემდეგ, 1790 წელს აშშ-ში მიღებული იქნა პირველი კანონი, რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე ამერიკულ საპატენტო კანონს. კანონის თანახმად, სახელმწიფო იცავდა ნამდვილ გამომგონებელთა უფლებებს 17 წლის ვადით. ეს ვადა დღემდე უცვლელია.

1791 წელს მიღებული იქნა პირველი ფრანგული საპატენტო კანონი, რომელმაც დააფუძნა ფრანგული საპატენტო-სამართლებრივი სისტემა. XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის ყველა განყოთარებულ ქვეყანაში მოქმედებდა საპატენტო კანონმდებლობა.

საპატენტო სამართლის განყოთარებისათვის მნიშვნელოვან ძიღწეყად უნდა ჩაითვალოს **გერმანიის მიერ 1877 წელს მიღებული საპატენტო კანონი.** ბევრმა ქვეყანამ გაითავისა კანონში გადმოცემული პრინციპები და საკუთარი კანონმდებლობა ააგო გერმანიის საპატენტო-სამართლებრივ სისტემაზე დაყრდნობით.

საქართველოში 1999 წელს იქნა მიღებული საპატენტო კანონი. მანამდე მოქმედებდა როგორც რევოლუციამდელი რუსეთის პატენტი, ასევე სსსრ კავშირის მიერ შემოღებული დამცავი დოკუმენტის ნაირსახეობა **საავტორო მოწმობა.**

რევოლუციის შემდეგ კერძო საკუთრების განდევნამ გავლენა მოახდინა საგამომცემლო საქმიანობის სფეროზეც. 1919 წელს ლენინის მიერ ხელმოწერილმა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტმა „სახალხო კომისართა დებულება გამოგონებების შესახებ", - სხვასთან ერთად, სახელმწიფოს გადასცა სამრეწველო საკუთრებაც. პრაქტიკაში შემოიღა საავტორო მოწმობა - დამცავი დოკუმენტი; მან დაადასტურა საბჭოთა რუსეთის სახელმწიფოსათვის გამოგონებებზე საკუთრების უფლების გაცემა. გამოგონება იდეოლოგიურადაც აღიარებული იქნა სახელმწიფო კუთვნილებად.

საავტორო მოწმობამ პირადი არაქონებრივი უფლებები მიაკუთვნა გამომგონებელს, ხოლო ქონებრივი გადაეცა სახელმწიფოს.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის ამოქმედდა პატენტიც. საავტორო მოწმობა არ კრძალავდა გამოგონების გამოყენებას სსრ კავშირის იურისდიქციას დაქვემდებარებულ მოქალაქეთა (საწარმოთა) მიმართ. რადგან ქონებრივი უფლებები საბჭოთა კავშირში სახელმწიფოს ეკუთვნოდა, უცხოელთათვის საავტორო მოწმობის მოქმედების ვადა განისაზღვრებოდა 15 წლით. საბჭოთა მოქალაქეთათვის ვადას მნიშვნელობა არ ჰქონდა. სახელმწიფოს ნებართვის გარეშე გამოგონების გამოყენება არ შეეძლო უცხოეთის რომელიმე ქვეყნის საწარმოს საბჭოთა ტერიტორიაზე. **საავტორო მოწმობა საბჭოთა კავშირში სახელმწიფოს პატენტი იყო.**

საავტორო მოწმობის მფლობელი გამომგონებლის „ქონებრივი უფლება" ძალზე შეკვეცილი იყო. საავტორო გასამრჯელო შეადგენდა გამოგონების ეფექტიანობის 2%-ს, ანუ არა უმეტეს 20 ათას საბჭოთა მანეთს. სახელმწიფო ვალდებული იყო ეზრუნა გამოგონების პრაქტიკულ ათვისებაზე მოქმედი კონსტიტუციის 47-ე მუხლის თანახმად. მთელმა სოციალისტურმა ბანაკმა "შემოიღო გამოგონებების საავტორო მოწმობით დაცვის პრაქტიკა. **ამაკაცად ყველა ქვეყანამ უარყო საავტორო მოწმობა და დაუბრუნდა ტრადიციულ პატენტს.**

სსრ კავშირის ბოლოდროინდელმა პრაქტიკამ 1991 წლის კანონით აურყო საავტორო მოწმობა. საქართველომ პირველმა შემოიღო

საპატენტო დაცვა. 1992 წ. 16 მარტს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №302 და №309 დადგენილებებით დამტკიცდა დებულებები გამოგონების და საძრეწველო ნიმუშის შესახებ. დაწესდა პატენტის გაცემა.

ბუნებითი საკუთრების თეორიის მიხედვით პატენტის გაცემა მიჩნეული იყო მხოლოდ გამოგონებლის ბუნებითი უფლების დასტურად. საძრეწველო საკუთრების თეორიის მიხედვით პატენტი, მიუხედავად იმისა, რომ უსხეულო ნიყთზეა გაცემული, განიხილება მატერიალურ ობიექტთა რიგში. ამგვარად იგი განეკუთვნება საკუთრების უფლების ობიექტებს.

იოზეფ კოლერის მატერიალური თეორიის თანახმად, გამოგონებელთა უფლება, სანიყთო საკუთრების უფლებისაგან განსხვავებით, წარმოადგენს პირადი ქონებრივი და არაქონებრიყი უფლებების კომბინაციას. ედმონ პიკარდის მიერ არის დამკყიდრებული ცნება „ინტელექტუალური საკუთრება" იურისპრუდენციაში. პიკარდის თეორიის თანახმად, უფლება ადამიანის ინტელექტუალურ-შემოქმედებით შედეგებზე წარმოიქმნება შექმნის ფაქტით და არა იურიდიული დამოკიდებულებით.

სახელშეკრულებო თეორიის თანახმად სახელმწიფო იღებს ვალდებულებას დაიცვას უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე; ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის შემქმნელი ვალდებულია საჯაროდ გამოაქვეყნოს ნაწარმოები ან გამოგონება და სხვა.

სასაქონლო ნიშანს კაცობრიობა უძყელესი დროიდან იყენებდა. ცნობილია, რომ 3000 წლის წინათ ინდოელ ხელოსნებს დაპქონდათ საკუთარი ხელმოწერა მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებებზე. ჩინელი მეწარმეები აუცილებლად ადებდნენ ნიშნებს თაყიანთ ნაწარმს 2000 წლის წინ. ამაყე პერიოდში რომის იმპერიაში ნაწარმოებზე ფარულად გამოიყენებოდა განმასხვავებელი აღნიშვნები. ძველ დროს გამოყენებული ეს აღნიშვნები დამღებს წარმოადგენდა. ისინი აღიბეჭდებოდა თიხის ნაწარმზე. დამღირება პირუტყყის განმასხვავებელი მონიშვნის გამოყენების პრიმიტიული შაგალითია.

რაც უფრო ინტენსიური ხდება წარმოება, მით უფრო მეტი ყურადღება ექცევა განმასხვავებელ აღნიშვნებს. შუა საუკუნეებიდან გამოიყენებოდა აღნიშვნები ცალკეული ასოებისა და სახელების სახით. ასოები, როგორც წესი, ინიციალების მნიშვნება იყო. საქონელზე სპეციალური დამღის დასმა ფართოდ გამოიყენებოდა XV-XVI საუკუნეებიდან მეწარმეების (ხელოსნების) მიერ. დამღა ასრულებდა საქონლის ხარისხის გარანტის ფუნქციას: რომ წარმოებული პროდუქცია დადგენილი წესების მიხედვითაა დამზადებული და მასზე კონტროლია დაწესებული ხელოსანთა გაერთიანების მიერ. წესების დამრღვევ პირს სჯიდა საამქრო მის მიერვე დადგენილი წესით. ასეთივე ფუნქციას ასრულებდა დამღა ვაჭართა გაერთიანებებში - გილდიებში. ხსენებული ტიპის აღნიშვნები აღიბეჭდებოდა, აგრეთვე, ტყავზე, საბრძოლო იარაღზე, წიგნებზე, საშხარეულო დანიშნულების საგნებზე და ა.შ.

საქონელმიმოცვლის დიდი ტემპებით განვითარებამ საჭირო გახადა პროდუქციის ამოცნობის უნივერსალური საშუალების მოძებნა და გამოყენება. სასაქონლო ნიშანი უკავშირდება მეწარმეს და მისით მონიშნულ საქონელს განუმტკიცებს შესაბამის ხარისხს. ინგლისი ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც პოზიტიური საკანონმდებლო ნორმებით დაიწყო სხვისი სასაქონლო ნიშნით მოსარგებლე პირების დასჯა.

სხვისი რეპუტაციის გამოყენება იკრძალებოდა და მას სპეციალური ტერმინიც მოეძებნა: „Passing off". მიუხედავად სპეციალური კანონის არ არსებობისა, ინგლისურ-ამერიკული საკანონმდებლო სხვა ქვეყნებშიც საერთო საკანონმდებლო სხვისი სახელით (ნიშნით) სარგებლობა.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებიდან, საფრანგეთმა პირველმა შემოიღო სპეციალური კანონი 1857 წელს სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ. საკუთარი კანონმდებლობა ააშენეს: იტალიამ 1868 წელს, ბელგიამ 1879 წელს, აშშ-მა 1879 წელს, გერმანიამ - 1874 წელს, რუსეთმა 1896 წელს.

საქართველომ ეროვნული საკანონმდებლო აქტი ძალაში შეიყვანა 1992 წ. 1 მაისს, მაშინდელი მინისტრთა კაბინეტის 1992 წ. 16 მარტის №304 დადგენილებით დამტკიცებული სასაქონლო ნიშნების შესახებ დებულების სახით.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ კანონმდებლობა ყველაზე დინამიურ განყოფილებად სამართლებრივ აქტების რიცხვს განეკუთვნება; ხშირია მისი გადასინჯვა და დამატებითი ნორმების მიღების შემთხვევები. ამ მხრივ უნდა გამოვყოთ X საუკუნე და დღევანდელი პერიოდი. ყაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ამჟამად მიმდინარეობს კანონების გადასინჯვა მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში.

საქართველოში 1999 წელს მიღებული იქნა კანონები საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, სასაქონლო ნიშნების შესახებ, საქართველოს საპატენტო კანონი, გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ და სხვა. როგორც აღვნიშნეთ სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის და ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციების ეგიდით **დაფუძნდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (ისმო).** საქართველო მისი აქტიური წევრია. გარდა ამისა, საქართველო საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების და ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულების მონაწილეა.

განყოფილება I.

12.3 საავტორო სამართალი საერთაშორისო კერძო სამართალში

12.3.1 საავტორო სამართლის საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები

კულტურის და სამეცნიერო სფეროებში საერთაშორისო კონტაქტების მუდმივი განყოთარება და ხალხათა ინტენსიური თანამშრომლობა ცივილიზაციის მნიშვნელოვანი მიღწევაა. ასეთი თანამშორომლობა ემსახურება სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა სულიერ გამდიდრებას და მშვიდობის განმტკიცებას. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ფ.ფ. მარტენსი წერდა: „აზრთა ურთიერთგაცვლა მუდმივად მიმდინარეობს ცივილიზებულ ხალხთა შორის; მიღწევები მეცნიერების დარგში ყველას კუთვნილება ხდება. მეცნიერება არ ცნობს ტერიტორიულ საზღვრებს და მას არა აქვს ეროვნულობა. იგი შეიძლება შევიწროვდეს თავის განვითარებაში მხოლოდ ხელისუფლების მიერ აღმართული პოლიტიკური საგუშაგოებით"[2].

ყოველი სახელმწიფო დაინტერესებულია გამოიყენოს უცხოელი ავტორების საუკეთესო ნაწარმოებები მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების დარგებში. უცხოელ ავტორებთან და გამომცემლობებთან ურთიერთობა ხორციელდება სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის და ეროვნული თავისებურებების პატივისცემის პრინციპზე.

მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებთა უფლებები, სხვა უფლებებისგან განსხვავებით, ატარებენ მკაცრ ტერიტორიულ ხასიათს. ასე, მაგალითად, თუ საქართველოს ორგანიზაციას საზღვარგარეთ გააქვს რაღაც ქონება და ამ ქონებაზე უფლება წარმოიშვა მოცემულ ორგანიზაციასთან ერთად ჩვენი კანონებით, საქონლით საზღვრის გადაკვეთა არ ართმევს საკუთრების უფლებას მის მეპატრონეს.

2. Мартенс Ф.Ф.Современное международное право цивилизованных народов /Под ред. Л.Н. Шестакова/. Т. 2. М., 1996. с. 94.

სრულიად საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე საავტორო და საპატენტო უფლების დარგში. იგი აიხსნება ისტორიული ხასიათის მიზეზებით. ჯერ კიდევ ფეოდალიზმის ეპოქაში საავტორო უფლების აღიარება ხდებოდა სუვერენის ხელისუფლების აქტით. მისი მოქმედება შემოიფარგლებოდა ამ სახელმწიფოს ტერიტორიით.

თუ ლიტერატურულ ნაწარმოებზე უფლება წარმოიშვა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც ნაწარმოები შეიქმნა, ამ უფლების მოქმედება შემოიფარგლება მოცემული სახელმწიფოს საზღვრებით. საერთაშორისო შეთანხმების უქონლობის შემთხვევაში, სხვა სახელმწიფოში ეს უფლება აღიარებული არ იქნება. ამიტომ იქმნება შესაძლებლობა რომელიმე ქვეყანაში გამოქვეყნებული ლიტერატურული ნაწარმოები გადაითარგმნოს და გამოიცეს სხვა სახელმწიფოში ავტორთან შეუთანხმებლად და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე. წიგნის პირველი გამომშვები გამომცემლობა და ავტორი, ასეთ პირობებში, ვერ გამოხატავენ თავის უარყოფით დამოკიდებულებას ასეთი ქმედების მიმართ.

რომელიმე სახელმწიფოს კანონმდებლობით სალიტერატურო ნაწარმოებზე წარმოშობილი უფლება რომ ამოქმედდეს სხვა სახელმწიფოში, აუცილებელია ამ ორ სახელმწიფოს შორის დაიდოს შეთანხმება შესაბამისი უფლების ურთიერთ აღიარებასა და დაცვაზე.

XX საუკუნეში საერთაშორისო კერძო სამართალში საავტორო და საპატენტო უფლებების ობიექტები გაერთიანდნენ ერთ საერთო ჯგუფში და მიიღეს სახელწოდება „ინტელექტუალური საკუთრება“. ეს მოხდა 1967 წ. 14 ივლისს სტოკჰოლმის კონვენციის დადებასთან დაკავშირებით, რომელმაც დააფუძნა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია „ისმო“. მის შემადგენლობაში ირიცხება 175 სახელმწიფო. კონვენციის მეორე მუხლის მიხედვით, ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს უფლებებს ლიტერატურულ, მხატვრულ და სამეცნიერო ნაწარმოებებზე

შსახიობების, ხმის ჩამწერების, რადიო და სატელევიზიო გადაცემების მსახიობთა საშემსრულებლო მოღვაწეობას; გამოგონებებს, სამეცნიერო აღმოჩენებს ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში; სამრეწველო ნიმუშებს; სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, საფირმო დასახელებებს, კომერციულ ნიშნებს.

90-იან წლებში დადებულ მრავალმხრივ შეთანხმებებს შორის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ყველაზე ფართო მომცველობით გამოირჩევა ურუგვაის 1993 წ. 15 დეკემბრის შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა შესახებ. იგი ძალაში შეიდა 1995 წლის 1 იანვრიდან.

შეთანხმება სავალდებულოა საერთაშორისო ვაჭრობის ყველა წევრისათვის. მასში 141 სახელმწიფო მონაწილეობს. მათ შორისაა: საქართველო, ყირგიზეთი, ლატვია, ესტონეთი. შეთანხმების საგანს წარმოადგენს: სააუტორო და მომიჯნავე უფლებები, სასაქონლო ნიშნები, სამრეწველო ნიმუშები და მოდელები, საქონლის წარმოშობის მაჩვენებლები, გამოგონებები, საწარმოო საიდუმლოებათა დაცვა.

ეროვნულთან შედარებით, საავტორო უფლებათა საერთაშორისო დაცვა ხასიათდება რიგი თავისებურებებით:

ა) გარდა კონკრეტულ სახელმწიფოთა ავტორი - მოქალაქეებისა, საერთაშორისო დაცვის სუბიექტებს წარმოადგენენ უცხოელები, მოქალაქეობის არმქონე პირები, ლტოლვილები; აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციები: გაერო, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, იუნესკო და გაეროს სხვა სპეციალიზირებული ორგანიზაციები;

ბ) ნაწარმოებთა ფართო წრე, რომლებიც წარმოადგენენ საავტორო უფლების ობიექტებს. ისინი ჩამოთვლილია სტოკჰოლმის კონვენციის მეორე მუხლში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სახით (ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ, 1967 წ.); მასვე შეიძლება მიეკუთვნოს „ინტერნეტის" გლობალური კომპიუტერული ქსელი, კომპიუტერული პროგრამები, საინფორმაციო, საკომუნიკაციო და სხვა ტექნოლოგიები;

გ) საავტორო უფლებათა საერთაშორისო დაცვა ხორციელდება არა მარტო ეროვნული საავტორო სამართლის ნორმების დახმარებით, არამედ, აგრეთვე, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიერთების გზით; სახელმწიფოთა შესყლით იუნესკოში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. ისინი ახორციელებენ უცხოელი ავტორების დაცვას;

დ) საავტორო უფლებათა ფლობის სხვადასხვა ვადები. რიგ ქვეყნებში ისინი გამოითვლება ნაწარმოების დღის სინათლეზე გამოსყლის პირველი დღიდან (პირველი გამოქვეყნებიდან): ბრაზილიაში დაწესებულია 60 წელი, გფრ-ში - 70 წელი, ესპანეთში - 80 წელი, აშშ-ში - 75 წელი და ა.შ. სხვა ქვეყნებში, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, ეს ვადები მოქმედებენ ავტორის სიცოცხლის განმავლობაში, პლუს 25 ან 50 წელი - ავტორის სიკვდილის შემდეგ;

ე) საავტორო უფლების წარმოშობა, შენახვა, დაცვა, გადაცემა და შეწყვეტა განისაზღვრება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც პირველად გამოქვეყნდა ნაწარმოები. ამ სახელმწიფოში საავტორო უფლების მიღება ავტომატურად არ ნიშნავს მის აღიარებას სხვა სახელმწიფოში.

ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოების საავტორო უფლების დაცვის თაობაზე დიდი რიცხვი შეასრულა ბერნის 1886 წ. კონვენციამ. იგი მზადდებოდა ორავალრიცხოვან საერთაშორისო ფორუმებზე, დაახლოებით 90 წლის განმავლობაში. კონვენციაში 120 სახელმწიფო მონაწილეობს. მათ შექმნეს ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კავშირი. მის ადმინისტრაციულ ფუნქციას ასრულებს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია - „ᲛᲡᲛᲘ". (უფრო ვრცლად ბერნის კონვენციის შესახებ იხილეთ მე-12 თავის IV განყოფილება).

1952 წელს ჟენევაში მიღებული იქნა მსოფლიო კონვენცია საავტორო უფლებაზე. კონვენციაში 90 სახელმწიფო მონაწილეობს. იგი უფრო უნივერსალურია ბერნის კონვენციასთან შედარებით. ჟენევის კონვენციით განყოფარებადი ქვეყნებისათვის დაწესებულია რიგი შეღავათები: ნაწარმოების გამოსყლიდან 10 წლის შემდეგ ნებადართულია მისი თავისუფალი თარგმნა; გამოშვებული

ნაწარმოებების თავისუფალი გამოყენება სასწავლო და სამეცნიერო მიზნებისათვის; რადიო და სატელევიზიო გადაცემების თავისუფლება; გათავალისწინებულია სახელმწიფომ გასცეს იძულებითი ლიცენზიები ნაწარმოებთა თარგმნაზე ეროვნული მეცნიერების, კულტურის და განათლების განვითარების მიზნით; ავტორის სიკვდილის შემდეგ 25 წლამდეა შემცირებული საავტორო უფლების მოქმედების ვადა.

კონვენციის მიზნებისათვის, ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია თავისი კანონმდებლობით საკუთარ მოქალაქეებს გაუთანაბროს მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მის ტერიტორიაზე ე.წ. დომიცილირებული პირები.

დადგენილი ვადის ფარგლებში ავტორს აქვს განსაკუთრებული უფლება თარგმნოს ან ხელმეორედ გამოსცეს თავისი ნაწარმოები. აკრძალულია ნაწარმოების პირველი გამომცემლის ნებართვის გარეშე და ავტორის ჰონორარის გადაუხდელად სხვა ქვეყანაში მისი გამოცემა. ეს წესი ვრცელდება წიგნის ხელმეორედ გამოცემაზეც, რამდენადაც საავტორო უფლების მოქმედება არ შემოიფარგლება ერთი სახელმწიფოს ტერიტორიით, არამედ ვრცელდება ხელშეკრულებაში მონაწილე ყველა ქვეყანაზე.

ჟენევის მსოფლიო კონვენციით დადგენილია საავტორო უფლების დაცვის სპეციალური ნიშანი (copyright - საავტორო უფლება) © სიმბოლოს სახით, საავტორო უფლების მფლობელთა აღნიშნვა და ნაწარმოების პირველი გამოშვების წელი, თუ წიგნზე, ან სხვა ნაწარმოებზე ასეთი ნიშანი არ არის, მაშინ მსოფლიო კონვენციაში მონაწილე ქვეყნებში ისინი არ არიან დაცული. დაცვის ასეთ ნიშნიანი ნაწარმოებების ხელმეორედ გამოცემის დროს დაინტერესებულმა პირებმა ნებართვისათვის უნდა მიმართონ გამომცემლობას ან ავტორს, რომლებიც აღნიშნულია © ნიშნის გვერდით.

1886 წელს ჟენევაში დიპლომატიურ კონფერენციაზე ხელი მოაწერეს უნიკერსალურ ხელშეკრულებაზე - ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საავტორო უფლებაზე. მან ახალ დონეზე აიყვანა მეცნიერების, ლიტერატურის და

ხელოვნების ნაწარმოებია საავტორო უფლებრივი დაცვა თანაშედროული მოთხოვნების გათვალისწინებით.

პრეამბულაში საავტორო უფლებების საავტორო დაცვა პირდაპირაა დაკავშირებული ლიტერატურული და მხატვრული შემოქმედების სტიმულირებასთან. ამასთან, პირველადაა მითითებული, რომ საავტორო უფლებრივი დაცვა ვრცელდება მხოლოდ ნაწარმოების გამოსახვის ფორმაზე და არა იდეაზე, პროცესებზე, ფუნქციონირების მეთოდებზე, როგორც ასეთებზე (მუხლი 2). დაცვის საგნებს შორის დასახელებულია კომპიუტერული პროგრამები, მონაცემების კომპილაციები ან სხვა ინფორმაციები ინტელექტუალური შემოქმედების შედეგებზე და სხვ.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სპეციალური ასამბლეის და საერთაშორისო ბიუროს შექმნა, რომელიც შეასრულებს ადმინისტრაციულ ფუნქციას ამ ხელშეკრულების ნორმების შესრულებაზე.

12.3.2 მომიჯნავე უფლებების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვა.

საავტორო სამართლის მომიჯნავე, ანუ „ანალოგიური", „მონათესავე", „სხვა მეზობელი" სამართლის გამიჯვნა დაკავშირებულია კაცობრიობის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან XX საუკუნეში. მან, თავის მხრივ, გაკვლენა მოახდინა სახელმწიფოთა თანამშრომლობაზე კულტურის დარგში. თუ ადრე მსახიობთა მიერ შესრულებული მუსიკალური ან სხვა ნაწარმოებები შეიძლებოდა ენახა პირთა შეზღუდულ წრეს კონცერტზე, ან სპექტაკლზე, ფიქსაციის და ინფორმაციის გავრცელების ტექნიკური საშუალებების გამოჩენამ მიგვიყვანა მსახიობთა შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგების გამოყოფასთან - ფონოგრამებზე ფიქსირებული ინფორმაციის თვალსაზრისით.

რადიო და ტელევიზიაუწყებლობის საშუალებები შესაძლებლობას იძლევიან ნებისმიერ დროს მივიტანოთ ინფორმაცია მილიონობით

მსმენელთან და მაყურებელთან. აქედან, მსახიობი - შემსრულებლები უკვე ვერ აკონტროლებენ თავიანთი ნაწარმოებების გავრცელებას და ვერ ღებულობენ მათი გამოყენებისათვის საავტორო გასამრჯელოს. მსახიობთა ფიზიკური დასწრება და თვალყურის დევნება კონტროლის თვალსაზრისით მინიმუმამდე დაყიდა. წარმოიშვა მსახიობთა დასაქმების პრობლემა.

იმაყდროულად წარმოიშვნენ ორგანიზაციები, რომლებიც დიდძალ მოგებას იხვეჭდნენ ასეთ ნაწარმოებთა მეორადი გამოყენებით ავტორებთან და შემსრულებლებთან შეუთანხმებლად. ზარალს განიცდიდნენ ფონოგრამების მწარმოებლები. ისინი არ იყვნენ დაცული კანონით. ფონოგრამებიდან უკონტროლოდ იღებდნენ ასლებს და მათი რეალიზაციით ხელს უწყობდნენ ინტელექტუალური ყაჩაღობის გაფურჩქვნა-აყვავებას. სპეციალისტთა შეფასებით, ყოველწლიურად მსოფლიოში არასანქცირებული სახით მზადდება დაახლოებით 1 მლრდ. აშშ $ ღირებულების ჩანაწერები[1].

წარმოიშვა მრავალი პრობლემა მაუწყებელი ორგანიზაციების ინტერესთა დაცვის სფეროში. ამ ორგანიზაციების თანხმობის გარეშე მათ მიერ შექმნილი რადიო-ტელეგადაცემების გამოყენების დიდძალი ფაქტები ხდებოდა.

ამგვარად, მომიჯნავე უფლებების მატარებელი სუბიექტები გახდნენ მსახიობი - შემსრულებლები, ფონოგრამების მწარმოებლები და მაუწყებელი ორგანიზაციები. მათი ეროვნულ-სამართლებრივი დაცვა ძირითადად შემდეგზე დაიყვანება:

1. მსახიობ-შემსრულებლის უფლება ნება დართოს ან არდართოს ნება ჩაწეროს და პირდაპირ გადასცეს სცენური და საკონცერტო შესრულება მაყურებელს, ან მსმენელს მისი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგები.

2. ფონოგრამების მწარმოებელთა უფლება-ნება დართონ ან აკრძალონ მათი ფონოგრამების პირდაპირი ან არაპირდაპირი კვლავწარმოება, აგრეთვე, ფონოგრამების სანქციონირებული დუპლიკატების იმპორტი და გავრცელება;

1. Интелектуальная собственность. Основные материалы. Новосибирск, 1993 с. 206.

9. სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლება-ნება დართონ ან აკრძალონ მათი პროგრამების ხელმეორედ გადაცემა სხვა საშუალებით, აგრეთვე, ამ პროგრამების ჩაწერა და გავრცელება.

დანიაში, საფრანგეთში, შვეიცარია და სხვა ქვეყნებში დადგენილია პასუხისმგებლობა თავის ტერიტორიაზე, ან თავისი ტერიტორიიდან თანამგზავრით მიღებული პროგრამის მატარებელი ნებისმიერი სიგნალის უკანონო გავრცელებისათვის.

მომიჯნავე უფლებების დაცვის აუცილებლობამ დასაწყისში მიიღო საერთაშორისო ხასიათი, რადგან ფიქსაციის და დასაცავი ნაწარმოებების გადაცემის ტექნიკურმა დონემ საზღვრები არ იცის. ზემოთ აღნიშნული სუბიექტების უფლებათა ეფექტური დაცვა შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს მხოლოდ ორმაგალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების ჩარჩოებში.

მათ შორის, პირველი იყო კონვენცია მსახიობ-შემსრულებელთა, ფონოგრამების მწარმოებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციების ინტერესების დაცვის თაობაზე 1961 წელს. იგი რომის კონვენციის სახელწოდებითაა ცნობილი. მის მონაწილეებს წარმოადგენენ 40-მდე სახელმწიფო. ისინი, ამავე დროს, სააუტორო საქართველოს ბერნის ან მსოფლიო კონვენციის წევრები არიან.

მომიჯნავე უფლებების დაცვის მინიმალური ვადა კონვენციით შეადგენს 20 წელს. მე-11 მუხლით გათვალისწინებულია წესი, რომლითაც ყველა გამოშვებული ან გასაყიდად განკუთვნილი ფონოგრამების ეგზემპლარებს ან მათ შეფუთვას უნდა ჰქონდეს სიმბოლო Ⓟ პირველი პუბლიკაციის თარიღის ჩვენებით. ის ისე უნდა იყოს განთავსებული, რომ ადვილად იყოს გასარჩევი. თუ ეგზემპლარზე ან ფუტლარზე არ არის სახელი, სასაქონლო ნიშანი და სხვა შესაბამისი სიმბოლოები, მაშინ Ⓟ ნიშანში უნდა ჩაირთოს ფონოგრამის დამზადებაზე უფლების მფლობელის სახელი.

კონვენცია საფუძვლიანად მოექცა ეროპის კავშირის რადიომაუწყებლობის და სხვა ქვეყნების კრიტიკის ქვეშ, რამდენადაც იგი დახურულია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც არ არიან ბერნის და მსოფლიო კონვენციის წევრები.

რომის კონვენცია არ იცავს ცირკის და ესტრადის მსახიობების უფლებებს, მოითხოვს გასამრჯელოს გადახდას გრამჩანაწერების საჯაროდ დაკვრისათვის, მათ შორის, რადიოთი და ტელევიზიით და ა.შ.

1971 წელს გრამჩანაწერების საერთაშორისო ფედერაციის ინიციატივით მიღებული იქნა ჟენევის კონვენცია ფონოგრამების მწარმოებელთა ინტერესების დაცვაზე - მათი ფონოგრამების უკანონო კვლავწარმოების თაობაზე. 1974 წელს ბრიუსელში ხელი მოაწერეს კონვენციას სიგნალების დაცვაზე, რომელსაც ატარებენ თანამგზავრიდან გადაცემული რადიო და ტელეპროგრამები. ამის პრეამბულაში ხაზგასმულია კონვენციის მიზნები: ისეთი საერთაშორისო-სამართლებრივი სისტემის გამომუშავება, რომელიც ხელს შეუწყობდა, ერთის მხრივ, თანამგზავრის დახმარებით კავშირის გამოყენებას, მეორეს მხრივ, დაიცავდა მომიჯნავე უფლებების ავტორებსა და სუბიექტებს. რომის კონვენციისაგან განსხვავებით, ბრიუსელის კონვენცია ღიაა გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის.

1996 წელს ჟენევაში საავტორო უფლებისა და მომიჯნავე უფლებების საკითხებზე დიპლომატიურმა კონფერენციამ მიიღო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ახალი ხელშეკრულება შემსრულებლობასა და ფონოგრამების შესახებ. იგი ღიაა მისაერთებლად მხოლოდ „WSPO" წევრი სახელმწიფოებისათვის. შემსრულებელთა და ფონოგრამების მწარმოებელთა უფლების დაცვის ვადა ხელშეკრულებაში 20-დან 50 წლამდეა გაზრდილი. მნიშვნელოვნადაა გაფართოებული მათი ექსკლუზიურ უფლებათა წრე.

ხელშეკრულების მე-4 მუხლი ადგენს დაცვის ეროვნულ რეჟიმს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების მონაწილე ყოველი ქვეყანა აღჭურავს სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებს იგივე რეჟიმით, როგორითაც აღჭურავენ ისინი თავის საკუთარ მოქალაქეებს, შემსრულებელთა და ფონოგრამების მწარმოებელთა განსაკუთრებული უფლებების მიმართებით, აგრეთვე უფლებები გასამრჯელოს თაობაზე.

12.3.3 საავტორო და მომიჯნავე უფლებების რეგიონალური საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვა

თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელია ინტეგრაციული პროცესები არა მარტო პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ დარგებში, არამედ ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგების სამართლებრივი დაცვის სფეროშიც. ეს განპირობებულია იმით, რომ ზემოთგანხილული მრავალმხრივი ხელშეკრულებები სრული ზომით ვერ აღწევენ თავის ეფექტიანობას. ამიტომ მათ პარალელურად მუდმივად სრულყოფილნი ხდებიან რეგიონალური საავტორო უფლებათა საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმები.

1946 წელს მიღებული იქნა ამერიკის ქვეყნების კონვენცია საავტორო უფლებათა დაცვის შესახებ. მაგრამ ყველაზე მეტი გამოცდილება ამ მხრივ აქვთ ევროპის კავშირის ქვეყნებს. აქ წარმატებით მიმდინარეობს ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის უნიფიკაციის პროცესები ევროპის კავშირის საბჭოს მიერ მიღებული რეგლამენტების და დირექტივების დახმარებით.

რეგლამენტებისაგან განსხვავებით დირექტივას აქვს სავალდებულო ძალა მხოლოდ იმ სახელმწიფოსათვის, რომელსაც ის გაეგზავნა ევროპის კავშირის საბჭოს მიერ, და მხოლოდ გარკვეული შედეგის მიღწევის მიზნით. მაგალითებად შეიძლება დასახელდნენ ევროპის კავშირის საბჭოს დირექტივები კომპიუტერული პროგრამების სამართლებრივ დაცვაზე 1991 წ.; საავტორო უფლების და მომიჯნავე უფლებათა ზოგიერთი ნორმების კოორდინაციის შესახებ, მათი თანამგზავრით მაუწყებლობის და კაბელური რეტრანსლაციის გამოყენების დროს 1993 წ.; მონაცემების ბაზების სამართლებრივი დაცვის შესახებ 1996 წ.

ინტელექტუალური საკუთრების ურთიერთ დაცვისათვის, სხვადასხვა ქვეყანაში იქმნება ეროვნული საავტორო-სამართლებრივი ორგანიზაციები. ისინი ერთმანეთს შორის ხშირად

დებენ სპეციალურ შეთანხმებებს თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის IV წიგნი ერთმანეთისაგან მიჯნავს საავტორო და სამრეწველო საკუთრების სამართალსმათი დაცვის ობიექტების შესაბამისად. ამგვარად, საავტორო სამართალი არ ვრცელდება იმ ობიექტებზე, რომლებიც სამრეწველო საკუთრების სამართლით არის დაცული. მათ განეკუთვნება: გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში, სასაქონლო და მომსახურების ნიშნები, საფირმო სახელწოდებები და ა.შ.

საავტორო სამართლის ობიექტები პირობითად შეიძლება ოთხ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

1. ლიტერატურის, მეცნიერების ნაწარმოებები: წიგნი, ბროშურა, სტატია, კომპიუტერული პროგრამა და ა.შ.;

2. ხელოვნების ნაწარმოებები: დრამატული, მუსიკალურ-დრამატული ქორეოგრაფიის, პანტომიმის და სხვა სასცენო; მუსიკალური, ტექსტით თუ უტექსტო; აუდიოვიზუალური; სკულპტურის, ფერწერის, გრაფიკის, ლიტოგრაფიის, სახვითი ხელოვნების და სხვა მსგავსი; ფოტოგრაფიული ან ფოტოგრაფიის მსგავსი საშუალებით შექმნილი და სხვ.; დეკორატიულ-გამოყენებითი და მონუმენტური ხელოვნების, თეატრალურ-დეკორატიული;

3. გადამუშავებული და შედგენილი ნაწარმოებები: თარგმანი; ადაპტაცია; მუსიკალური არანჟირება: კრებული (ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა) და სხვა შედგენილი ნაწარმოები; მიმოხილვა; ინსცენირება; კომპილაცია; მხატვრული ნაწარმოების პწკარედი; მეცნიერების და ხელოვნების ნაწარმოებთა სხვაგვარი გადამუშავება;

4. სხვა სახის ნაწარმოებები: არქიტექტურის, ქალაქმშენებლობისა და საბაღე-საპარკო ხელოვნების; რუკა, გეგმა, ესკიზი ილუსტრაცია და სხვა მსგავსი, რომლებიც მიეკუთვნება გეორგაფიას, კარტოგრაფიას.

საავტორო საქართველოს მიხედვით, დაცვას ექვემდებარება ნებისმიერი ლიტერატურული და ხელოვნების ნაწარმოები ყოველგვარი ფორმალობების გარეშე. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების, მ.შ. საავტორო საქართველოს ობიექტების დაცვის ძირეული პრინციპია: **ნაწარმოები დაცვადია, თუ ის ინტელექტუალურ ქმნილებას წარმოადგენს.**

საქართველოს საავტორო საქართველოს V მუხლით: „საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენენ ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს“.

ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის დონის განსაზღვრა-გადაწყვეტა სასამართლოს კომპეტენციაა.

ნაწარმოების დაცვისათვის, მეორე აუცილებელ კრიტერიუმად, დადგენილია ორიგინალობა.

ინტელექტუალური ქმნილება დაცვის საგანს წარმოადგენს, როცა მისი შემქმნელი საჯაროდ ხელმისაწვდომს გახდის მას. თუ ეს პირობა დაცულია, სახელმწიფო ყალდებულია დაიცვას ავტორის უფლებები. სასამ ნაწარმოები მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომი არ არის, ავტორმა თვითონ უნდა იზრუნოს საკუთარი ქმნილების დაცვაზე. ნაწარმოების ტირაჟირებით ან სხვაგვარი გავრცელებით, იგი საავტორო დაცვის საგანი ხდება.

აღსიარებულია, რომ საავტორო სამართლით დაცვას არ ექვემდებარება ნაწარმოებში გამოხატული იდეები. მაგალითად, ვერ აიკრძალება რაიმე კონკრეტული მოწყობილობის, ტექნოლოგიის ან ნივთიერების და ა.შ. პრაქტიკული განხორციელება. საავტორო სამართლის ზოგადი პრინციპია: **ნაწარმოების შინაარსი დაცვას არ ექვემდებარება.**

საერთაშორისო კერძო სამართალი ეროვნულ კანონმდებლობას უტოვებს უფლებას დაადგინოს ოფიციალური ტექსტების და მათი თარგმანების საავტორო დაცვის უფლება.

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის თანახმად, **საავტორო უფლება არ ვრცელდება შემდეგ ნაწარმოებებზე:**

ოფიციალურ დოკუმენტებზე (კანონი, სასამართლო გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის სხვა ტექსტები), აგრეთვე მათ ოფიციალურ თარგმანებზე;

სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე (დროშა, გერბი, ჰიმნი, ჯილდო, ფულის ნიშნები, სახელმწიფოს სხვა ოფიციალური ნიშნები და სიმბოლოები);

მოვლენებისა და ფაქტების შესახებ ინფორმაციაზე.

აღნიშნულ ობიექტებზე საავტორო უფლების დაცვა არ ვრცელდება იმის გამო, რომ კანონმდებლობა საჭიროდ თვლის საზოგადოებრივი ინტერესების სწრაფად და ობიექტური ფორმით დაკმაყოფილებას.

საქართველოს საავტორო საძარცალი საავტორო უფლებათა წარმოშობასა და დაცვას არ უკავშირებს რაიმე ფორმალობების შესრულებას. მაგალითად, იგი არ მოითხოვს ნაწარმოების სავალდებულო რეგისტრაციას, რადგან ასეთ შემთხვევაში ავტორთა უფლებები დაკავშირებული იქნებოდა რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს ნების გამოყენებაზე, რასაც თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართალი დაუშვებლად მიიჩნევს. ანალოგიურად სხვა ქვეყნებისა, საქართველოშიც ავტორებს საკუთარი უფლებების დეკლარირების მიზნით შეუძლიათ, მაგრამ ვალდებულნი არ არიან, გამოიყენონ საავტორო უფლების დაცვის საერთაშორისო ნიშანი ©: როგორც ვხედავთ, ასო c ძოთავსებულია წრეწირში. გარდა ამ ნიშნისა, დასახელებულია განსაკუთრებული უფლების მფლობელი და ნაწარმოების პირველად გამოცემის წელი.

საავტორო უფლებათა სუბიექტების განსაზღვრის ინგლისურ-ამერიკული პრინციპი უფლებათა მფლობელად აღიარებს აუტორს - ფიზიკურ პირს, ასევე იურიდიულ პირს.

მეორე პრინციპი დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის სამართალისათვის, რომლის თანახმად საავტორო უფლებათა მფლობელი მხოლოდ ავტორი შეიძლება იყოს: აუტორი საკუთარ სულ აქსოვს ქმნილებაში და ამიტომ მხოლოდ ცალკეული პიროვნება (ფიზიკური პირი) არის აღიარებული შემოქმედად.

საქართველოს საავტორო სამართალი ევროპის სამართლის პრინციპებზეა აგებული: **ავტორად მხოლოდ ის ფიზიკური პირი მიიჩნევა, ვინც შექმნა ნაწარმოები. აქასთან, მნიშვნელობა არა აქვს - ქმედუნარიანი იქნება თუ არა აღნიშნული პირი; ავტორად ნებისმიერი ასაკის პირი შეიძლება იყოს - ბავშვიც კი.**

საავტორო უფლებათა სუბიექტი შეიძლება იყოს იურიდიული პირი. საავტორო უფლებათა ნაწილი - უფლება გამოყენებაზე, დასაბამიდანვე ეკუთვნის გამომცემელს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში იურიდიული პირია. მასვე ეკუთვნის ავტორობის უფლების გამოცხადება - აღნიშნოს ნაწარმოებზე საკუთარი სახელი ან მოითხოვოს ასეთი აღნიშვნა. გარდა ამისა იურიდიულ პირს საავტორო უფლება შეიძლება ეკუთვნოდეს ისეთ შემთხვევაში, როცა ნაწარმოები დამქირავებლის (დამკვეთის) პირდაპირი დავალებით შექმნა კოლექტივმა და ვერ ირკვევა კონკრეტულად იმ პირის, ან პირთა ვინაობა, რომლებიც შეიძლება იყვნენ ავტორად აღიარებული.

საავტორო უფლებები მოიცავს:

პირად არაქონებრივ (მორალურ) და ქონებრივ უფლებებს.

მორალური უფლებების დაცვა, როგორც აღინიშნა, კონტინენტური ევროპის სამართალმა დაამკვიდრა. მორალური უფლებების დაცვას საერთაშორისო სამართალიც იზიარებს. პირადი არაქონებრივი უფლებები ნაწარმოების ავტორის კუთვნილებას წარმოადგენს და შეიძლება განხორციელდეს მას შემდეგაც, როცა საავტორო ქონებრივი უფლებები ამოწურულია, ან ავტორი გარდაიცვალა.

პირად არაქონებრივ უფლებებს განეკუთვნება: ავტორობის უფლება; სახელის უფლება; ნაწარმოების პირველად გამოქვეყნების უფლება; ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება; რეპუტაციის პიტიეისცემის უფლება, უფლება - მისცეს ნებართვა თავისი ნაწარმოებისათვის სხვა ავტორთა ნაწარმოების დართვისა (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და ა.შ.); ნაწარმოების გამოხმობის უფლება ანუ უფლება - მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა.

ქონებრივი უფლებები განსაკუთრებული უფლებებია და აბსოლუტური ხასიათისაა. ავტორს ან უფლებების სხვა მფლობელს შემდეგი განსაკუთრებული უფლებები გააჩნია: რეპროდუცირების უფლება; გავრცელების უფლება; იმპორტის უფლება; საჯარო ჩვენების უფლება; საჯარო შესრულების უფლება; საჯარო გადაცემის უფლება; თარგმანის უფლება; გადამუშაყების უფლება; ავტორის განსაკუთრებული უფლება ნაწარმოების გაქირავებით გავრცელებაზე, ავტორის განსაკუთრებული უფლება არქიტექტურული პროექტის პრაქტიკულ რეალიზაციაზე.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, ნაწარმოების პირველად გასხვისების შემდეგ ავტორს უფლება აქვს ნაწარმოების ხელახლა საჯაროდ გაყიდვის შემთხვევაში მოითხოვოს დადგენილი ოდენობის ჰონორარი. **ამ უფლებას უცხოურ ლიტერატურაში ფრანგული ტერმინით droit de suite მოიხსენიებენ. ქართულად - „ნაწარმოების თან მიდევნების უფლება“.**

ნაწარმოების გამოყენებად იგულისხმება მისი პირველად გამოცემა, მათ შორის: ელექტრონულ სისტემებში ჩართვა; კოპირება (ასლების სახით ნაწარმოების გაძრავლება; ნაწარმოების საჯაროდ შესრულება; ნაწარმოების ხმოვანი ჩანაწერის გაკეთება; ნაწარმოების თარგმნა; ნაწარმოების გაქირავება და ა.შ.

ნაწარმოების რეპროდუცირება ნიშნავს ნაწარმოების კვლავწარმოებას (ლათინურიდან: RE-ხელახლა, PRODUCIO-ვაწარმოებ). **ნაწარმოების გამოცემა და კვლავწარმოება რეპროდუცირებას წარმოადგენს.** სურათის, ნახატის, ნაბეჭდი ტექსტის და ა.შ. ხელახალი ასლების გადაღება და გაძრავლება ფოტოგრაფიული ან პოლიგრაფიული საშუალებებით - რეპროდუცირების ერთ-ერთი გამოვლენაა.

ნაწარმოების გავრცელების განსაკუთრებული უფლება ავტორს აძლევს შესაძლებლობას კონტროლი გაუწიოს (აკრძალვის ჩათვლით) რეპროდუცირებული ნაწარმოების გავრცელებას. უნდა აღინიშნოს რომ ნაწარმოები თუ ერთხელ

გავრცელდა მართლზომიერად, შემდეგი მისი გარცელება საავტორო უფლებათა მფლობელის მიერ ყველარ აიკრძალება.

უფლებათა ეს შეზღუდვის პრინციპი „უფლებათამოწურვის პრინციპად“ არის ცნობილი.

იმპორტის განხორციელების ხდება ნაწარმოების გავრცელების მიზნით. იგი უშუალოდ არის დაკავშირებული გავრცელების უფლების მქონე პირის ნებასურვილზე. საავტორო განსაკუთრებულ უფლებათა მფლობელი ხელშეკრულებას დებს მეორე მხარესთან ქვეყანაში, შემოსატან ეგზემპლარების ოდენობის აღნიშვნით. უნდა მიექცეს ყურადღება ერთ საკითხს. ვრცელდება თუ არა ავტორის განსაკუთრებული უფლება იმპორტის აკრძალვაზე, როდესაც ნაწარმოების გავრცელების უფლება ერთ პირზეა გაცემული, ხოლო იმპორტს სხვა პირი ახორციელებს. ნაწარმოების საერთო ბაზრის რომელიმე ქვეყანაში გავრცელების შემთხვევაში, საავტორო უფლებათა მფლობელი ვერარ აკრძალავს ნაწარმოების გავრცელებას - იმპორტის ჩათვლით. განსაკუთრებულ უფლებათა ასეთი შეზღუდვა „უფლებათა ამოწურვის პრინციპის“ შედეგია.

ნაწარმოების საჯარო ჩვენების უფლება მოიცავს ორიგინალის ან მისი ასლის დემონტრაციას უშუალოდ, ან ეკრანზე - ფირის, სლაიდის ან სხვა საშუალებით. აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო ჩვენებად ჩაითვლება ვიდეოგრამის ცალკეული გამოსახულებების ჩვენება.

უფლება ნაწარმოების საჯარო შესრულებაზე ვრცელდება ნაწარმოების წარმოდგენაზე, რომელიც სრულდება სიმღერის, ცეკვის, თამაშობის, დეკლამაციის (ნაწარმოების გამომეტ-ყველებითი კითხვა) სახით. ამასთან, წარმოდგენილი შეიძლება იყოს მხატვრული ნაწარმოები, ვიდეოგრამა, ფონოგრამა, შესრულება, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა.

ნაწარმოების საჯარო გადაცემის უფლება მოიცავს ეთერში ან კაბელით ნაწარმოების გადაცემასთან დაკავშირებულ უფლებებს. საჯარო გადაცემა ხორციელდება საზოგადოებისათვის ნაწარმოების საყოველთაოდ გაცნობის მიზნით. საჯარო გადაცემის უფლება ვრცელდება ისეთ გადაცემაზე, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს (გამოსახულება და ხმა ცალ-

ცალკე ან ერთად). ეთერში გადაცემისა და კაბელით გადაცემის უფლება საჯარო გადაცემის უფლების კერძო შემთხვევებია და ისინი შინაარსობრივად არც კი განსხვავდებიან.

ორიგინალური ნაწარმოების ავტორს აქვს თარგმანის განსაკუთრებული უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ მას შეუძლია დართოს ნება მისი ნაწარმოების თარგმნაზე ან აკრძალოს უნებართვო თარგმნა. ამ უფლებით ავტორი ირჩევს მისთვის სასურველ პირობებს, რომელიც შეასრულებს თარგმანს.

თარგმანი დამოუკიდებელ ნაწარმოებად განიხილება. აქედან, საავტორო საქართველო მთარგმნელსაც ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებებს მის მიერ შექმნილ ქმნილებაზე. მთარგმნელის საავტორო უფლებით ყურ აიკრძალება თარგმნილი ნაწარმოების ხელახალი თარგმანი. ხოლო პწკარედის შემსრულებელ პირს განსაკუთრებული უფლება გააჩნია მის მიერ სიტყვასიტყვით თარგმნილ ნაწარმოებზე. თარგმანი დაცვით სარგებლობს, მიუხედავად იმისა, სარგებლობს თუ არა დაცვით ორიგინალური ნაწარმოები.

ამგვარად, თარგმნილი ნაწარმოების გამომ-ცემელს, ნებართვა უნდა გააჩნდეს როგორც ორიგინალური ნაწარმოების ავტორის, ისე მთარგმნელის.

ნაწარმოების გადამუშავების უფლება ისეთ ნაწარმოებებზე ვრცელდება, რომელიც თარგმანთან ერთად წარმოებულ ნაწარმოებებს განეკუთვნება. გადამუშავებული ნაწარმოებებია: არანჟირება, ადაპტაცია, კომპილაცია და სხვ. გადამუშავებული ნაწარმოები დამოუკიდებელ ნაწარმოებს წარმოადგენს და მისი დაცვაც ორიგინალური ნაწარმოებისაგან დამოუკიდებელია. გადამუშავებული ნაწარმოების შესაქმნელად ორიგინალური ნაწარმოები უნდა გადაკეთდეს, ან უნდა შეიქმნას მისი ადაპტაცია, ან არანჟირება - მუსიკალური ნაწარმოების შემთხვევაში, - ორიგინალური ნაწარმოების ნებართვით. მას ეკუთვნის გადამუშავების განსაკუთრებული უფლება.

გადამუშავებული ნაწარმოების ავტორს წარმოექმნება საკუთარი უფლებები. გამომცემლობა ან ყიდეოგრამის თუ ფონოგრამის დამამზადებელმა უნდა იქონიოს ორივეს, - ორიგინალის ავტორის და გადამუშაყებული ნაწარმოების ავტორის, ნებართვა.

კრებულის შემდგენლის უფლებები

საქართველოს საავტორო სამართალი ცალკე განიხილავს კრებულის ავტორის უფლებებს. კრებულში შესული მასალის შერჩევასა და განლაგებაზე კრებულის შემდგენლის საავტორო უფლება აქვს. ამასთან, შემდგენელი ყალდებულია დაიცვას კრებულში მოთავსებული ნაწარმოებთა ყველა ავტორის უფლება.

კრებულში განლაგებული ნაწარმოებების ავტორებს უფლება რჩებათ თაყიანთა ნაწარმოების დამოუკიდებლად გამოყენებაზე. თუ ნაწარმოები სპეციალურად კრებულისთვის შეიქმნა და ხელშეკრულებით ავტორმა იკისრა ყალდებულება სხვაგყარად არ გამოიყენოს ნაწარმოები, ავტორს ნაწარმოების დამოუკიდებლად გამოყენების უფლება შეიძლება არ გააჩნდეს.

გამომცემლის განსაკუთრებული უფლება

როგორც ზემოთ აღინიშნა, საავტორო უფლებები შეიძლება ეკუთვნოდეს ნაწარმოების ავტორს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში - იურიდიულ პირს, გამომცემელს.

გამომცემელს აქვს უფლება - მის მიერ გამოცემული ნაწარმოების ნებისმიერი გამოყენების შემთხვევაში თავად მიუთითოს, ან სხვისგან მოითხოვოს თავისი სახელის მითითება. მაგალითად, ენციკლოპედია წარმოადგენს შედგენილი ნაწარმოების გარკვეულ ანალოგიას და იმავდროულად ატარებს გადამუშავებული ნაწარმოების ნიშანთვისებებსაც. სხვაგვარად, - ენციკლოპედია შედგენილ-გადამუშავებული ნაწარმოებია. გამომცემელი შეარჩევს და განსაზღვრავს ენციკლოპედიის შინაარსს, მხატვრულ გაფორმებას და ა.შ. იგივე ითქმის ენციკლოპედიურ ლექსიკონებსა, თუ მეცნიერული შრომების

კრებულებზე, ჟურნალ-გაზეთებსა თუ სხვა პერიოდული ნაწარმოებებზე. ამდენად, გამომცემელი თითქმის ავტორს უთანაბრდება და საავტორო უფლებაც მისთვის არის მიკუთვნებული. ამიტომ, კანონი ამომწურავად ჩამოთვლის იმ ნაწარმოებებს, რომლებზეც გამომცემლის განსაკუთრებული უფლებებია გავრცელებული.

აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა ნაწილი განსაკუთრებული უფლებების დაცვას ეხება, ხოლო მომიჯნავე უფლებების ნაწილი ვიდეოგრამაზე განსაკუთრებული უფლებების დაცვას. აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორთა რიცხვშია დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, მუსიკალური ნაწარმოების ავტორი, დიალოგის ავტორი. **აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელი, ანუ პროდიუსერი ის ფიზიკური ან იურიდიული პირია, რომელიც თავისთავზე იღებს ინიციატივას და კისრულობს პასუხისმგებლობას აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამზადებისათვის.** დამამზადებელთან ავტორების (თანაავტორების) მიერ ხელშეკრულების დადება იწყევს თანაავტორთა მიერ განსაკუთრებული უფლებების გადაცემას.

თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართალი გაქირავების უფლების დაწესებას მოითხოვს საავტორო საქართლის ისეთ ნაწარმოებებზე, როგორიცაა: კომპიუტერული პროგრამა, მონაცემთა ან ინფორმაციის კომპილაცია.

საავტორო სამართალში საერთაშორისო ნორმად არის აღიარებული პრინციპი: გაქირავების განსაკუთრებული უფლება დამოკიდებული არ არის მოცემული ნაწარმოების ორიგინალის ან ეგზემპლარის მესაკუთრის უფლებებზე.

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი აუტორებს ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელებს განსაკუთრებულ უფლებას ანიჭებს არქიტექტურულ პროექტებს.

კანონი სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორებს ქონებრივ უფლებასთან ერთად დამატებით ანიჭებს ორ მნიშვნელოვან უფლებას: **I** უფლება „**დაშვების**“

უფლებად არის ცნობილი. ავტორს შეუძლია ნებისმიერ დროს განახორციელოს თავისი ნაწარმოების რეპროდუცირება, როდესაც ავტორმა გაასხვისა ნაწარმოები და ის სხვა პირის საკუთრებას წარმოადგენს. მესაკუთრეს არა აქვს უფლება ავტორს აუკრძალოს მისი ნაწარმოების რეპროდუცირება, ანუ უნდა დაუშვას ავტორი საკუთარ ნაწარმოებთან.

მეორე უფლება (droit de suite) ავტორს აძლევს ნაწარმოების საჯაროდ გაყიდვის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მიიღოს გასამრჯელო გასაყიდი ფასის 5% ოდენობით. ამ უფლებას შეიძლება ეწოდოს ნაწარმოების თან მიდევნების უფლება ავტორის გარდაცვალების შემდეგ ეს უფლება მემკვიდრეებზე გადადის საავტორო უფლების მოქმედების ყადაში. ამ უფლების გადაცემა ავტორის სიცოცხლეში დაუშვებელია, თუმცა მისი განხორციელება შეიძლება სხვა პირს დაეკისროს.

საავტორო უფლებითა მომიჯნავე უფლებების დაცვის დამკვიდრება შესაძლებელს გახდის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და პრინციპების გამოყენებით ნაწარმოების სწრაფ გავრცელებასა და მომხმარებლისათვის მიწოდებას. ამგვარად, ფუნქციონირებს ავტორსა და მომხმარებელს შორის შუამავალი სუბიექტები, რომლებიც ავტორს ათავისუფლებენ ნაწარმოების გავრცელებაზე ზრუნვისაგან. მათ განეკუთვნებიან ნაწარმოების შემსრულებელი, ფონოგრამის დამამზადებელი და მაუწყებლობის ორგანიზაციები. მომიჯნავე უფლებების ყველა აღნიშნული სუბიექტს წარმოექმნება გარკვეული უფლებები მათი საქმიანობის შედეგებთან დაკავშირებით.

საავტორო საქმართლის პრინციპებთან სრულ შესაბამისობაშია საქართველოს საკანონმდებლო ნორმა, რომლის თანახმადაც ფონოგრამის, ვიდეოგრამის დამამზადებლები და მაუწყებლობის ორგანიზაციები თავიანთ უფლებებს ახორციელებენ იმ ფარგლებში, რაც დადგენილია შემსრულებელსა, ავტორსა და მათ შორის არსებული ხელშეკრულებით. თავის მხრივ, შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას მის მიერ შესრულებული ნაწარმოების ავტორის უფლებები.

მომიჯნავე უფლებათა სუბიექტებია:

შემსრულებელი - მსახიობი, მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე ან სხვა პირი, რომელიც თამაშობს როლს, მღერის, კითხულობს, უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, ახდენს დეკლამირებას, საცირკო, საესტრადო ნომრის შემსრულებელი; სპექტაკლის დამდგმელი **რეჟისორი და დირიჟორი.**

დამამზადებლად მიიჩნევა ის პირი, რომელიც სათანადო წესით არის აღნიშნული ფონოგრამასა ან ვიდეოგრამაზე, ან მათ ფუტლარზე.

მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემად მიჩნეულია საეთერო ან საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ, ან მისი შეკვეთით უშუალოდ შექმნილი გადაცემა.

მისი საქმიანობის შეთქმედებითი ხასიათიდან გამომდინარე, შემსრულებელი ახლო დგას ავტორთან. ამდენად, მომიჯნავე უფლების სხვა სუბიექტებთან შედარებით, მას უფლებათა უფრო ფართო სპექტრი გააჩნია. შემსრულებლის განსაკუთრებული უფლებებია: შესრულების ჩანაწერის რეპროდუცირება; ჩაუწერავი შესრულების ჩაწერა; შესრულების გადაცემა ეთერში ან კაბელით, ან სხვაგვარი საჯარო გადაცემა; შესრულების ჩანაწერის გადაცემა ეთერში ან კაბელით, თუ ამ შესრულების პირველი ჩაწერა არ იყო განსორციელებული მოგების მიღების მიზნით; შესრულების შემცველი გამოქვეყნებული ვიდეოგრამის ან ფონოგრამის გაქირავება.

მაუწყებლობის ორგანიზაციის განსაკუთრებულ უფლებებს განეკუთვნება: გადაცემის ჩაწერა; გადაცემის ჩანაწერის რეპროდუცირება; გადაცემის ერთდროული გადაცემა ეთერში ან კაბელით; გადაცემის ეთერში ან კაბელით გადაცემა, აგრეთვე საჯარო გადაცემა იმ ადგილებში, სადაც შესვლა ფასიანია; გადაცემის ჩანაწერის გავრცელება გაყიდვის, გაქირავების ან სხვა გზით.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების მოქმედების ფარგლები

ინტელექტუალური საკუთრება ნიუთზე საკუთრებისაგან იმით განსხვავდება, რომ ქონებრივი უფლებები ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით შეზღუდულია დროსა და სივრცეში.

სივრცით ავტორებისა და მომიჯნავე უფლებების სუბიექტების უფლებები შეზღუდულია იმ ქვეყნით, სადაც წარმოიშვა ნაწარმოები ან შედგა შესრულება და ა.შ. ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ავტორს ანიჭებს მის მიერ შექმნილი ობიექტის გამოყენების განსაკუთრებულ უფლებებს გარკვეული ვადით. დადგენილი ვადის გასულის შემდეგ ნაწარმოები ან სხვა ობიექტი შეიძლებაგამოყენებული იქნეს თავისუფლად, ნებისმიერი პირის მიერ.

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი საავტორო უფლებების მოქმედების ვადას განსაზღვრავს 70 წლით post mortem autoris.

თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებზე განსაკუთ-რებული უფლებები იწურება უკანასკნელი ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგ.

თუ ნაწარმოები ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნდა, მაშინ განსაკუთრებული უფლებების მოქმედება აითვლება ამ ნაწარმოების გამოქვეყნებიდან და გრძელდება 70 წლის განმავლობაში.

ფსევდონიმით ან ანონიმურად გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე საავტორო უფლებების მოქმედების ვადა აითვლება გამოქვეყნების თარიღიდან. ხოლო, თუ ავტორი გააგზავნებს თავის ვინაობას, ან ფსევდონიმით დასახელებული ავტორის ვინაობა ეჭვს არ იწვევს, მაშინ საავტორო უფლებების მოქმედების ვადა ჩვეულებრივი წესით აითვლება.

ისეთ ობიექტებზე, როგორიცაა ენციკლოპედია, ენციკლო-პედიური ლექსიკონი, მეცნიერული ნაშრომების კრებული, გაზეთი,

ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემა, - განსაკუთრებული უფლება მოქმედებს მათი გამოქვეყნების თარიღიდან და გრძელდება 70 წლის მანძილზე.

პროდიუსერის განსაკუთრებული უფლება მოქმედებს 70 წელს აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოქვეყნების თარიღიდან, გამოუქვეყნებლობის შემთხვევაში - შექმნის თარიღიდან.

მომიჯნავე განსაკუთრებული უფლებები მოქმედებენ 50 წლის განმავლობაში:

შემსრულებლისათვის - პირველი შესრულებიდან;

ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლისათვის - მათი პირველი ჩაწერიდან, თუ მოხდა ფონოგრამის ან ვიდეოგრამის მართლზომიერი გამოცემა ან საჯარო გადაცემა, მაშინ გამოცემის ან გადაცემის თარიღიდან;

მაუწყებლობის ორგანიზაციისათვის - გადაცემის პირველად განხორციელებიდან.

მომიჯნაყე უფლებების მოქმედება შეზღუდულია შესრულების ან დამზადების ქვეყნის ტერიტორიით.

ძირეული საავტორო პირადი არაქონებრივი უფლებები - ავტორობის უფლება, სახელის უფლება და ნაწარმოებისხელშეუხებლობის უფლება გადაცემას არ ექვემდებარება მემკვიდრეობითაც. ასეთივე წესი მოქმედებს მომიჯნავე პირადი უფლებებისათვისაც, რომლებიც შესრულებელს გააჩნია - უფლება სახელზე, რეპუტაციის პატიჟისცემის უფლება.

ზოგიერთი პირადი ქონებრივი უფლება ისეთად ახლო კავშირშია არაქონებრივ უფლებებთან, რომ დასაშვებია მათი გადაცემა კანონით ან მემკვიდრეობის წესით. ეს უფლებებია: უფლება - მისცეს ნებართვა ნაწარმოებისათვის სხვა აუტორთა ნაწარმოებების (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და ა.შ.) დართვისა; უფლება - გამოაქვეყნოს გამოუქვეყნებელი ნაწარმოები. ორივე უფლება მემკვიდრეობით გადადის. ავტორს შეუძლია სხვა პირს დააკისროს მოცემულ უფლებათა განხორციელების კონტროლი. მას არ შეუძლია

გაასხვისოს ისინი, რადგან **პირადი არაქონებრივი უფლებები განუსხვისებელი უფლებებია.**

თავისი ქონებრივი ხასიათის გამო, საავტორო ან მომიჯნავე უფლებათა გამოყენების განსაკუთრებული უფლება შეიძლება გასხვისდეს ნებისმიერი სახით, გადაეცეს მემკვიდრეობით - კანონით ან ანდერძით, ან მესამე პირს გადაეცეს ხელშეკრულების ძალით.

განსაკუთრებული უფლებების მფლობელს შეუძლია ნებისმიერ პირს მისცეს ნებართვა ნაწარმოების გამოყენებაზე. ასეთი ნებართვის გაცემას ლიცენზია ეწოდება. იგი ფორმდება საავტორო სალიცენზიო ხელშეკრულების სახით, წერილობით.

საავტორო სამართალში ცნობილია ჩვეულებრივი და განსაკუთრებული ლიცენზია. ჩვეულებრივი ლიცენზიის შემძენი ყერ კრძალავს ნაწარმოების გამოყენებას აავტორის მიერ, მათ შორის, იმავე პირობებით სხვა პირისათვის ლიცენზიის მიცემას. ლიცენზიის გამცემი (ლიცენზიარი) ყალდებულია თავად განახორციელოს უფლებათა დარღვევაზე თვალდევნება და დარღვეული უფლებების დაცვა. ლიცენზიის მიმღები (ლიცენზიატი) ვალდებულია ხელი შეუწყოს განსაკუთრებული უფლებების დარღვევის გამოაყლენას და გამოვიდეს სასამართლოში ლიცენზიარის მხარეზე.

ლიცენზიატს არა აქვს უფლება თავად გასცეს ლიცენზია სხვა პირზე (სუბლიცენზია).

განსაკუთრებულ ლიცენზიას ლიცენზიარი მხოლოდ ერთ კონკრეტულ პირს აძლევს, რაც ნიშნავს ნაწარმოების გამოყენების უფლებას განსაკუთრებული საშუალებებითა და პირობებით. ლიცენზიატს შეუძლია ნებისმიერ პირს აუკრძალოს ნაწარმოების გამოყენება ხელშეკრულებაში აღნიშნული საშუალებებითა და პირობებით. ნაწარმოების გამოყენება ლიცენზიარსაც ეკრძალება. აქედან გამომდინარე, ლიცენზიატი თაყად არის ყალდებული აღკვეთოს განსაკუთრებული უფლებების დარღვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლიცენზიარს აქვს უფლება თავად განახორციელოს განსაკუთრებული უფლებების დაცვა.

კანონი აწესებს სალიცენზიო ხელშეკრულების წერილობით დადების იმპერატიულ მოთხოვნას. პერიოდულ გამოცემებში ნაწარმოების გამოყენების ლიცენზია შეიძლება გაიცეს ზეპირადაც: ასევე, ზეპირად შეიძლება დაიდოს ლიცენზია ნაწარმოების ტელევიზიით ან რადიოთი ერთჯერადი გადაცემის თაობაზე.

სალიცენზიო ხელშეკრულებაში ზუსტად უნდა აღიწეროს ნაწარმოები: მისი მოცულობა, ჟანრი, სახელწოდება; დასახელდეს ნაწარმოების გამოყენების ტერიტორიული ფარგლები და ხელშეკრულების მოქმედების ვადა, გასამრჯელოს (ჰონორარი) ოდენობა და განსაზღვრის წესი, გასამრჯელოს გადახდის წესი და ვადა.

კანონის მიხედვით დაშვებულია ავტორისა ან შემსრულებლის თანხმობის გარეშე ნაწარმოების, შესრულების ან გადაცემის გამოყენება კომერციული მიზნებით. ამ შემთხვევაში მოსარგებლე პირი ვალდებულია გადაიხადოს ჰონორარი. **მოცემული წესი ფაქტობრივად უფლებათა იძულებით გადაცემის შინაარსს ატარებს, რასაც ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო იძულებით ლიცენზიას უწოდებს.** კანონი ავტორისათვის ჰონორარის აუცილებლად გადახდის პირობას აწესებს. იძულებითი ლიცენზიით შეუძლია ისარგებლოს, აგრეთვე, ნებისმიერმა პირმა, რომელსაც სურს განახორციელოს ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი შესრულების საჯარო შესრულება ეთერში ან კაბელით გადაცემა.

მას შემდეგ, რაც გაჩნდა რადიო, ფონოგრამა, ვიდეოკასეტა, ჩაწერისა და დეშიფრირების ვიდეომაუწყებლობა და ა.შ., ავტორს და შემსრულებელს პრაქტიკულად აღარ ძალუძთ გამოავლინონ მათი უფლებების უამრავი დარღვევა. ამდენად, აუცილებელი გახდა სპეციალიზირებული ორგანიზაციების არსებობა, რომლებიც მართავენ ავტორთა, შემსრულებელთა, გამომცემელთა, დამამზადებელთა და სხვ. ქონებრივ უფლებებს. ნებისმიერ ქვეყანაში არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ კოლეგიური მართვის საფუძველზე. ისინი ქონებრივი უფლებების გამოყენების

კონტროლის გარდა, კრეფენ პინორარს და მიღებულ თანხას ანაწილებენ. თვითონ ორგანიზაცია მხოლოდ საკუთარი საქმიანობისათვის საჭირო თანხებს იტოვებს.

კოლექტიური მართვის ორგანიზაცია ხელს უწყობს ქვეყნის კულტურული პოტენციალის გამოყენებას, შენარჩუნებასა და აშალლებას.

საავტორო ან მომიჯნავე უფლებათა მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ განხორციელებული ქმედობა აღკვეთას ექვემდებარება. კერძოდ, თუ წიგნის ავტორი ყინმეს უსარჩუქრებსამ ნაწარმოების ეგზემპლარს, ცხადია ის ამ ეგზემპლარის მესაკუთრე ველარ იქნება. მაგრამ, იმავდროულად პირი, რომელმაც საჩუქარი მიიღო, საავტორო უფლების მფლობელი ვერ გახდება, თუ მას ავტორმა რომელიმე განსაკუთრებული უფლება არ დაუთმო. ამდენად, თუ ასეთი პირი გააქრავლებს და გააკრცელებს აღნიშნული წიგნის ეგზემპლარს, ის დაარღვევს ავტორის განსაკუთრებულ უფლებებს. იგივე ითქმის ვიდეოკასეტაზე ან ფონოგრამაზე და ა.შ.

საავტორო სამართალი იცნობს შემდეგი სახის უფლებათა დარღვევებს: პლაგიატობას, კონტრაფაქციას, მეკობრეობას (პირატობა) და ბუთლეგერობას.

პლაგიატის ყველაზე მარტივი მაგალითია სხვისი ნაწარმოების საკუთარი სახელით გამოქვეყნება. თუ პირი ააგებს შენობას არქიტექტურული პროექტის მიხედვით, რომელზეც საავტორო უფლება სხვას ეკუთვნის და თავს ამ არქიტექტორული ობიექტის ავტორად წარმოადგენს, სახეზე იქნება პლაგიატი.

პლაგიატი იქნება, თუ რომელიმე პირიუნებართვოდ ააგებს ახალ სპორტის სასახლეს ქართველი არქიტექტორების ლ. ალექსი-მესხიშვილისა და ი. კასრაძის პროექტის მიხედვით და თავს ამ ობიექტის ავტორად გამოაცხადებს.

კონტრაფაქციად ითვლება საავტორო ან მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტის არასანქციონირებული გამოყენება კომერციული მიზნებით. სხვაგვარად, კონტრაფაქცია წარმოადგენს განსაკუთრებულ უფლებათა მფლობელის უფლებების ხელყოფას.

ასეთი ქმედების შედეგად დამზადებულ ან გამოყენებულ ობიექტს – ნაწარმოებს, ფონოგრამას ან ვიდეოგრამას კონტრაფაქციული ეგზემპლარი ეწოდება.

კონტრაფაქტორთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს კონტრაფაქციული ნაწარმის ჩამორთმევა და განადგურება. კონტრაფაქცია მოიცავს ისეთი სახის დარღვევებსაც, რომლებიც მეკობრეობას ან ბუთლეგერობას წარმოადგენს.

მეკობრეობა წარმოადგენს საავტორო უფლებათა მფლობელის ნებართვის გარეშე ნაწარმოების ეგზემპლარის კომერციული მიზნებით რეპროდუცირებისა და ამ ეგზემპლარებით უნებართვო ვაჭრობის აქტს. მეკობრეობა მომიჯნავე უფლებების სფეროშიც ძალზედ ფართოდ არის გავრცელებული.

ბუთლეგერობა წარმოადგენს ცოცხალი შესრულების უნებართვო ჩაწერას, რეპროდუცირებას და ვაჭრობას. მეკობრე სხვისი შრომის ხარჯზე მდიდრდება. იგი ძალზე იაფად ამზადებს ასლებს, ქმნის კონტრაფაქციული პროდუქციის გასაღების ქსელებს და აწარმოებს სარფიან რეალიზაციას გაცილებით დაბალ ფასებში, საავტორო უფლებათა ნებართვით გავრცელებულ პროდუქციასთანშედარებით. ყოველ სუბიექტს მეკობრეობის შედეგად მნიშვნელოვნად უმცირდება შემოსავალი. გარეგნულად მეკობრე შეღავათს უწევს მომხმარებელს, მაგრამ ეს შეღავათი ეფემერულია.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში ქრესტომატიულ მაგალითად არის ცნობილი ანტონ პილერის საქმესთან დაკავშირებული პრეცედენტი. მან მსოფლიო გავრცელება ჰპოვა. იგი აისახა როგორც საერთო სამართლის ქვეყნების სამართალში, ასევე რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნების კანონებში.

საქმის არსებითი მხარე ასეთია: 1976 წელს ინგლისის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე ANTON PILLER K.G. V MANUFACTURING PROCESSES LTD. პირველად დაერთო ნება მოსარჩელეს - მოეწყო მოპასუხის

შენობების დათვალიერება, სადაც ეჭვით მზადდებოდა კონტრაფაქციური პროდუქცია. ეს პრეცედენტი მოპასუხეს უმცირებს მტკიცებულებათა განადგურების შანსს. გარდა ამისა, დროებით იქნა დაყადაღებული მოპასუხის ქონება, რაც ჭეშმარიტების დადგენას უწყობდა ხელს.

ქონებრივი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ნაწარმოების ან ფონოგრამისა და ვიდეოგრამების კონტრაფაქციული ეგზემპლარების ჩაშორთმევის შესაძლებლობა, მათ განადგურების ჩათვლით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს საავტორო და მოიჯნავე უფლებების დარღვევის სანქციებს. კოდექსი ავტორობის მითვისების მცდელობისა და ქონებრივი უფლებების დარღვევისას ჯარიმასთან ერთად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.

საავტორო უფლებათა დარღვევები წარმოადგენს საოლქო სასამართლოების განსჯადობის საგანს.

განყოფილება II
საპატენტო საქართველო
12.4.1 საერთაშორისო საეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა. გამოგონებათა დაპატენტება საზღვარგარეთ

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებამ და მსოფლიოში მიმდინარე მძაფრმა სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ გამოიწვია გამოგონებათა რიცხვის მკვეთრი ზრდა. ამასთან, ეს გამოგონებები დაპატენტებულია სხვადასხვა სახელმწიფოში. ყოველწლიურად ყველა ქვეყანაში მიეწოდება დაახლოებით 800 ათასი განაცხადი.

გამოგონებათა დაცვა ხორციელდება საპატენტო საქართველოს ნორმების საფუძველზე. გამოგონების მიმართებით შესაბამის უფლებათა ტერიტორიული ხასიათი ყლინდება კიდეე მკვეთრად, ვიდრე ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებთა მიმართ. ტექნიკური მიღწეევების აღიარება ხდება გამოგონებათა სახით მხოლოდ სახელმწიფო ორგანოს (საპატენტო უწყების) მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად. გამოგონებაზე უფლება წარმოიშვება მხოლოდ რომელიმე პირზე დამცავი დოკუმენტის, ანუ პატენტის გაცემის შემთხვევაში. ასეთი დოკუმენტი მოქმედებს მხოლოდ მისი გამცემი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამიტომ, სხვა სახელმწიფოში ამ გამოგონებაზე უფლების მოპოვებისათვის საჭიროა განაცხადის მიცემა და პატენტის ან სხვა დამცავი დოკუმენტის დამოუკიდებელი გაცემა ამ უცხო სახელმწიფოში. აშგვარად, საქმე ეხება არა გამოგონებაზე სუბიექტური უფლების აღიარებას, რომელიც ადრე წარმოიშვა სხვა სახელმწიფოში, არამედ ახალ სუბიექტურ უფლების წარმოშობას მოცემულ სახელმწიფოში.

ბუნებრივია, რომ გამოგონების აღიარება და მასზე პატენტის გაცემა განხორციელდება ყოველ სახელმწიფოში მისი შინაგანი კანონმდებლობის საფუძველზე. გამოგონებას წაყენება მოითხოვნა სიახლეზე, ხოლო რიგ ქვეყნებში - მოთხოვნა სარგებლიანობაზე.

შეთავაზებული გადაწყვეტილება ახალი უნდა იყოს, ანუ მანამდე უცნობი - მთელ მსოფლიოში, რასაც მსოფლიო სიახლე ეწოდება, - ან მოცემულ ქვეყანაში უნდა იყოს სიახლე (ლოკალური სიახლე). სიახლე დგინდება სპეციალური ექსპერტიზის ჩატარებით სიახლეზე (უწინარეს ყოვლისა, საპატენტო და საშეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თვალთახედვით).

გამოგონების დაცვის ფორმა მთლიანად განისაზღვრება შინაგანი კანონმდებლობით. უმეტეს ქვეყნებში დაცვა ხორციელდება გამოგონებაზე პატენტის გაცემის გზით. ჩვეულებრივ პატენტის გაცემის შემთხვევაში გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლება ეძლევა პატენტის მფლობელს, რომლის სახით ყველაზე ხშირად გამოდიან მსხვილი ფირმები. პატენტის მფლობელმა შეიძლება გადაწყვიტოს ვინმეს ასარგებლოს ეს გამოგონება, ისარგებლოს თვითონ, ან საერთოდ, არავის არ მისცეს გამოსაყენებლად. პატენტის მფლობელის თანხმობის გარეშე არავის არ შეუძლია გამოიყენოს გამოგონება. თუ ვინმე ამას გააკეთებს, ანუ დაარღვევს პატენტს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამრღვევს უნდა გადაეხდეყინოს ზარალი, რაც დაკავშირებულია პატენტის დარღვევასთან და ყადაღა დაედოს პატენტის გამოყენებით შექმნილ ნაწარმს ქვეყანაში მისი შეტანის დროს.

ქვეყნიდან გატანილი საქონელი რომ არ არღვევდეს მესამე პირთა პატენტებს, ისინი უნდა ფლობდნენ ე.წ. პატენტურ სიწმინდეს. ექსპონატის გამოფენაზე წაღების წინ, ან საზღვარგარეთ გატანამდე პროექტის ან ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემის წინ უნდა შემოწმდეს ფლობს თუ არა ნაწარმი პატენტურ სიწმინდეს, ე.ი. ხომ არ ექცევა ნაწარმი მესამე პირების პატენტთა მოქმედების ქვეშ. ეს დგინდება პატენტურ სიწმინდეზე ექსპერტიზის ჩატარების გზით. თუ დადგინდა, რომ ნაწარმი არ ფლობს პატენტურ სიწმინდეს, უარი უნდა ითქვას ნაწარმის მოწოდებაზე, ან შეიცვალოს შესაბამისი ტექნიკური გადაწყვეტილებები, ან შესყიდული იქნეს ლიცენზია პატენტის მფლობელისაგან, ანუ მიღებული იქნეს ნებართვა გამოგონების გამოყენებაზე.

საერთაშორისო ურთიერთობებში ფართოდაა გავრცელებული ტერმინი „სამრეწველო საკუთრება“. პარიზის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებს წარმოადგენენ პატენტები გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელებზე, სამრეწველო ნიმუშებზე, სასაქონლო ნიშნებზე, მომსახურების ნიშნებზე, საფირმო სახელწოდებებზე და წარმოშობის მაჩვენებლებზე ან წარმოშობის ადგილის დასახელებაზე, აგრეთვე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთაზე. საქართველოს საპატენტო კანონი ცნობს გამოგონების პატენტს, სასარგებლო მოდელის პატენტს და სამრეწველო ნიმუშის პატენტს.

12.4.2 საშაშულო გამოგონებათა დაპატენტება საზღვარგარეთ

გამოგონებათასამართლებრივი დაცვა (დაპატენტება), აგრეთვე სასარგებლო მოდელების და ნიმუშების დაცვა საზღვარგარეთ წარმოებს ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით საზღვარგარეთ. დაპატენტების ერთ-ერთი მთავარი მიზანია სამრეწველო ექსპორტის უზრუნყელყოფა, ე.ი. ექსპორტის დაცვა საშაშულო სამრეწველო საქონლის გატანის, საზღვარგარეთ მოწყობილობების მიწოდების, ჩვენი დოკუმენტაციის საფუძველზე საწარმოების მშენებლობის დროს.

საზღვარგარეთ დაპატენტების სხვა მიზანია - საშაშულო გამოგონებათა გამოყენების უფლებით უცხოეთის ფირმებზე ლიცენზიების მიყიდვის საუკეთესო პირობებით უზრუნყელყოფა. ამ მიზნით დაპატენტება წარმოებს იმ შემთხვევაში, როცა გამოგონების გამოყენებით შექმნილი ნაწარმი ფლობს ძალალ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩყენებლებს და შეიძლება ყარაუდი - ლიცენზიებზე ითხოვნა საზღვარგარეთის ფირმების მხრიდან, ან სახეზე გვაქვს წინადადებები ამ გამოგონებების ლიცენზიების ყიდვაზე. პერსპექტიული მიზანი შეიძლება იყოს საზღვარგარეთ ერთობლივი საწარმოს შექმნა, რომელშიც ანაბარის სახით ჩვენი

მხრიდან შეტანილი იქნება უფლებები გამოგონებაზე ან სხვა მიღწევებზე.

საყურადღებო მნიშვნელობა აქვს გამოგონებათა დაპატენტებას, - რომლებიც წარმოებულია საშეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განხორციელებისას ერთობლივი გამოკვლევათა შედეგების დაცვისათვის.

დაპატენტებას აქვს კიდევ ერთი მიზანი - აუცილებლობის შემთხვევაში დაიცვას გამოგონება, რომელიც გამოყენებულია ნაწარმში. ამასთან, ეს ნაწარმი მონაწილეობს საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე.

საქართველოში შექმნილ გამოგონებაზე განაცხადის შეტანა საზღვარგარეთ, როგორც წესი, მიზანშეწონილია მას შემდეგ; როცა ამ გამოგონებაზე განაცხადი რეგისტრირებული იქნება საქართველოში. საქართველოში შექმნილი გამოგონების, სასარგებლო მოდელების და სამრეწველო ნიმუშების დაპატენტება საზღვარგარეთის ქვეყნებში ხორციელდება ჩვენს საპატენტო უწყებაში განაცხადის შეტანიდან სამი თვის შემდეგ. აუცილებლობის შემთხვევებში ჩვენს საპატენტო უწყებას შეუძლია გამოგონების დაპატენტებაზე ნება დართოს საზღვარგარეთის ქვეყნებში ამ ვადაზე ადრე (სამი თვის ვადამდე).

საზღვარგარეთული პატენტის მისაღებად საჭირო მასალების გაფორმება რთული პროცესია. საზღვარგარეთ პატენტი გაითხოვება საწარმოს სახელზე, ან გამოგონების ნამდვილი ავტორის (ავტორების) სახელზე, ამასთან, განაცხადშიც და პატენტშიც აღინიშნება ნამდვილი გამომგონებლის სახელი. ამგვარად, გამომგონებლის პირადი უფლებები დაცულია საზღვარგარეთ გამოგონების დაპატენტების დროსაც. პატენტი შეიძლება მიღებული იქნეს სამართალმემკვიდრის სახელზეც, ე.ი. პირისა, რომელსაც ავტორმა გადასცა შესაბამისი უფლებები.

საზღვარგარეთ გამოგონებათა დაპატენტება წარმოებს იმ ქვეყნის კანონების დაცვის მოთხოვნით, რომელშიც ხდება დაცვის გამოთხოვა. ძრავალ სახელმწიფოში განაცხადები აუცილებელია შეტანილ იქნეს საპატენტო რწმუნებულის შეშვეობით. ასეთ

საპატენტო რწმუნებულებს წარმოადგენენ სპეციალური ფირმები.

საერთაშორისო საკუთრების საერთლებრივი დაცვის სახელმწიფოთაშორისო სისტემის შექმნისათვის გადაუდებელ ღონისძიებათა მიღების მიზნით 1993 წ. 12 მარტს მიღებული იქნა შეთანხმება საერთაშორისო საკუთრების დაცვისა და სახელმწიფოთაშორისო საბჭოს შექმნის თაობაზე.

12.4.3 ლიცენზიები გამოგონებებზე და „ნოუ-ჰაუ"

ლიცენზია - ეს არის ნებართვა გამოგონების გამოყენებაზე, ტექნიკურ გამოცდილებაზე ან წარმოების საიდუმლოებაზე (ნოუ-ჰაუ). თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ლიცენზიებით ვაჭრობა უფრო სწრაფად ყოთარდება, ვიდრე მზა პროდუქციით ვაჭრობა. ლიცენზიებით ურთიერთმოშვებიანი ვაჭრობა ხელს უწყობს საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებას.

პრაქტიკაში ლიცენზიები გადაეცემა მარტივი ლიცენზიის პირობებზე ან განსაკუთრებული ლიცენზიის პირობებზე. მარტივი ლიცენზიის დროს ლიცენზიის გამყიდველი (ლიცენზიარი) აძლევს უფლებას მყიდველს (ლიცენზიატს) გამოგონების გამოყენებაზე, თაყისთვის იტოყებს უფლებას გამოიყენოს გამოგონება აქავე ტერიტორიაზე ან მისცეს ლიცენზია ასეთივე პირობებით სხვა პირებს. განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებით ლიცენზიარი აძლევს ლიცენზიატს განსაკუთრებულ უფლებას გამოგონების გამოყენებაზე ან სხვა სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევაზე („ნოუ-ჰაუ") შეთანხმებაში აღნიშნულ ფარგლებში. მას არ შეუძლია გასცეს ანალოგიური უფლება ლიცენზიის პირობებით სხვა პირებს. ლიცენზიის მყიდველის გარდა, არაყის არ შეუძლია გამოიყენოს გამოგონება მოცემულ ტერიტორიაზე.

სალიცენზიო შეთანხმებები, როგორც წესი, ფორმდება ხანგრძლივი ვადით (5-10 წელი). მოქმედების მთელი ვადის განმაყლობაში მხარეებს უწეყთ შეასრულონ არა მარტო ხელშეკრულების პირობები, რომელიც ახასიათებს ჩყეულებრივ

საქონლის ყიდვა-გაყიდვაზე გარიგებებს, არამედ სპეციფიკური პირობები, რომლებიც ქმნიან შუდშივი სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისათვის საფუძველს ლიცენზიარსა და ლიცენზიატს შორის.

სალიცენზიო ხელშეკრულება წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების ძირითად სახეს ტექნოლოგიის გადაცემაზე. ხელშეკრულების საგანს შეადგენს უფლების მიცემა გამოგონების გამოყენებაზე და „ნოუ-ჰაუ".

პირველად ტერმინი „ნოუ-ჰაუ" გაჩნდა ინგლისსა და აშშ-ში, ხოლო შემდეგ სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა და მისი ცნებაც გაფართოვდა. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობაში „ნოუ-ჰაუ" აღნიშნავს ტექნიკურ ცოდნას, რომელიც გამოხატულია, პირველ ყოვლისა, ტექნიკური დოკუმენტაციის, საწარმოო გამოცდილებისა და პროფესიული ჩვეულების ფორმით; სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში „ნოუ-ჰაუს გაცვლაში" იგულისხმება სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის გაცვლა, საწარმოო კადრების ურთიერთგაგზავნა მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად და სხვ.

საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება ასეთი ხელშეკრულებების დაყოფა საპატენტო ლიცენზიის ხელშეკრულებად და უპატენტო ლიცენზიის ხელშეკრულებად. 70-იანი წლების შუა ხანებში დაახლოებით ლიცენზიების 25% ეფუძნებოდა საპატენტო უფლებების გადაცემას, ხოლო ხელშეკრულებების 50% საპატენტო უფლებების გადაცემა შერწყმული იყო „ნოუ-ჰაუს" გადაცემასთან. ხელშეკრულების 25-30% საგანი იყო მხოლოდ და მხოლოდ „ნოუ-ჰაუ".

80-იანი წლების ბოლოს ხელშეკრულებათა სახეების თანაფარდობა მკვეთრად შეიცვალა. შერეული სალიცენზიო შეთანხმებათა წილი ორჯერ შემცირდა, მათ შეადგინეს 25%, ხოლო „ნოუ-ჰაუ"-ზე ლიცენზიების წილი 50%-მდე გაიზარდა. ტექნოლოგიების გადაცემის პირობები შეიძლება განისაზღვრონ ასევე მზა ნაწარმის (მანქანები, მოწყობილობა) ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტებში; ტექნიკური დახმარების აღმოჩენა საწარმოების მშენებლობის დროს; საწარმოო კოოპერაციის ხელშეკრულებებში;

სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობაზე შეთანხმებებში; ერთობლივი გამოკვლევების ჩატარების შეთანხმებებში.

განსაზღვრული სპეციფიკით განსხვავდებიან პირობები ტექნოლოგიების გადაცემაზე, რომელიც ჩართულია შეთანხმებაში ერთობლივი საწარმოების შექმნაზე. რიგ შემთხვევაში ტექნოლოგიების გამოყენებაზე უფლებების მიცემა განიხილება, როგორც პარტნიორის წვლილი წარმოების საწესდებო ფონდში.

გამოგონების გამოყენებაზე სალიცენზიო ხელშეკრულება, რომლის მიმართებითაც ქვეყანაში ვაიცა პატენტი რეგისტრაციას ექვემდებარება საპატენტო ეწყებაში და რეგისტრაციის გარეშე ძალადაკარგულად ითვლება.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს შორის, ნოუ-ჰაუ პირდაპირ არ ფიგურირებს. მისი არსებობის მართლზომიერება იგულისხმება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დაფუძნების კონვენციის 2 (VIII) მუხლის ჩამონათვალში. ამ მუხლის მიხედვით, სხვა უფლებებთან ერთად, ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს ყველა უფლებას, რომელიც დაკავშირებულია სამეწარმეო და სამეცნიერო საქმიანობის სფეროსთან.

ნოუ-ჰაუს დაცვას ეხება TRIPS-ი, რომელიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრებისაგან მოითხოვს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის აუცილებლობას. მისი მოთხოვნები პარიზის კავშირის წევრ ქვეყნებს ავალებს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას.

თანამედროვე სამართლის თეორიით, ცალსახად არ არის გადაწყვეტილი, შეიძლება თუ არა ნოუ-ჰაუ მიაკუთვნოს საკუთრებას. ნოუ-ჰაუ უფრო მეტად არის არამატერიალური, ვიდრე ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტი. ამ ობიექტის დაცვის აუცილებლობა ნაკარნახევია პრაქტიკით.

ნოუ-ჰაუს არამართლზომიერად გამოყენებასთან დაკავშირებით შეფასებულია, რომ ამერიკელი მეწარმეები და ბიზნესმენები ყოველწლიურად განიცდიან 4-5 მლრდ. აშშ-ის დოლარის ოდენობის ზიანს.

საიდუმლო ინფორმაციის დაცვას ყურადღება ექცეოდა ჯერ კიდევ რიმის იმპერიის დროს . . . როგორც ცნობილია, მონას ხშირად აიძულებდნენ მისი პატრონის საიდუმლოების გამჟღავნებას. ასეთი ქმედების აღსაკვეთად რომში შემოღებული იქნა სპეციალური კანონი - სერვი ცორრუპტი. იგი ითვალისწინებდა კანონსაწინააღმდეგოდ მოქმედი იმ პირის დაჯარიმებას, რომელიც მონას რაიმე ქმედებით მისი პატრონის საიდუმლოებას დასტყუებდა. ჯარიმა წარმოადგენდა მიყენებული ზიანის შესაბამის გაორმაგებულ თანხას.

სპეციალისტთა ერთი ჯგუფი ნოუ-ჰაუს მოიხსენიებს ფაქტიურ კუთვნილებათა რიცხვში და ამ ობიექტს საქართველოში დაცვის განსაკუთრებულ ობიექტად გამოყოფენ.

აშშ-ის სამოსამართლო პრაქტიკამ დაამკვიდრა მხარეთა შორის კონფიდენციალური, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობების არსებობის მიზანშეწონილობა. თუ ასეთი ურთიერთობანი არ არსებობს, მაშინ შეიძლება საქმე არც იქნეს განხილული. სხვა შემთხვევაში, სასამართლო კომერციული საიდუმლოების მფლობელის მხარეს აქართლებს. მაგალითად, 1984 წელს აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე გარემოს დაცვის სააგენტოს მოთხოვნა უსაფუძვლოდ ცნო. იგი ქიმიური პროდუქტების მწარმოებელი კომპანიისაგან მოითხოვდა - გაეხსნა კომერციული საიდუმლოება (ქიმიური ფორმულა). უსაფუძვლობის არგუმენტად მხარეთა შორის კონფიდენციალური ურთიერთობების არარსებობა იყო მოყვანილი. აშშ-ის სასამართლოები საქმწარმეო - კომერციულ საიდუმლოებას ოდითგანვე განიხილავენ ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთ ფორმად.

კომერციული საიდუმლოება კონტინენტური ევროპის საქართველოში განიხილება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ობიექტად მხოლოდ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის იდენტურად, რამდენადაც ის საშრეწველო საკუთრებას უკავშირდება.

საბჭოთა კავშირში „კომერციული საიდუმლოება“ პირველად 1990 წელს კანონმა „საწარმოთა და საქმეწარმეო საქმიანობის

შესახებ“ შემოიტანა. კანონმა აღიარა, რომ კომერციული საიდუმლოების გამომჟღავნებამ შეიძლება ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუარესოს. **სპეციალისტების შეფასებით, თუ საწარმოს კუთვნილი საიდუმლო ინფორმაციის 20% გამჟღავნდება, ასეთ საწარმოთა 60% კოტრდება.**

საქართველოს კანონმდებლობით, პირველად საიდუმლო ინფორმაციის დაცვა ეროვნულმა სამოქალაქო კოდექსმა დააწესა. ამიტომ ძალზე მცირეა ნოუ-ჰაუს დაცვის პრაქტიკული გამოყენების ფაქტები. კოდექსის თანახმად:

„მუხლი 1105. საწარმოო-კომერციული საიდუმლოს დაცვა.

1. მეწარმეს, რომელიც ფლობს საწარმოო-კომერციულ საიდუმლოებას (ნოუ-ჰაუს), რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ ან კომერციულ ინფორმაციას, რაც დასტურდება მისი საიდუმლოდ შენახვისათვის გაწეული აუცილებელი და საკმარისი ღონისძიებებით, განსაკუთრებული უფლება აქვს ამ ინფორმაციაზე.

2. ნოუ-ჰაუზე განსაკუთრებული უფლების დაცვა ხორციელდება ამ კოდექსითა და სამრეწველო საკუთრების შესახებ სხვა საკანონმდებლო აქტებით“.

ამ მუხლით დამკვიდრდა „საწამროო-კომერციული საიდუმლოებისა“ და „ნოუ-ჰაუს“ ცნებები, როგორც თანაბარუფლებიანი ტერმინები.

ამჟამად კოდექსია ნოუ-ჰაუ უფრო ფართო მნიშვნელობით წარმოადგინა. გარდა სამრეწველო საკუთრებასთან დაკავშირებული საიდუმლო ინფორმაციისა, ნოუ-ჰაუ გავრცელდა სავაჭრო და სხვა სახის კომერციულ საიდუმლოებებზე. ნოუ-ჰაუ შეიძლება იყოს პოტენციური პატენტუნარიანი გამოგონება, რომლის დაპატენტება აუტორს არ სურს.

არაყოითარ შემთხვევაში არ შეიძლება ნოუ-ჰაუდ ჩაითვალოს ის ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის ხელშემშლელ პირობას წარმოადგენს, იქნება ეს გადასახადების დაფარვა თუ სხვა რამ.

საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისობის საილუსტრაციოდ გამოდგება TRIPS-ის მოთხოვნები. მათი შესრულება სავალდებულოა. ამ მოთხოვნების თანახმად, ყოველმა ქვეყანამ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უნდა მისცეს შესაძლებლობა - წინ აღუდგნენ მათი კონტროლსდაქვემდებარებული ინფორმაციის თანხმობის გარეშე გამჟღავნებას, მიღებას ან გამოყენებას, თუ აღნიშნული ქმედებები ეწინააღმდეგება კომერციული საქმიანობის კეთილსინდისიერ ჩვეულებს.

საქართველოს კანონმდებლობით, საწარმოო კომერციულ საიდუმლოებად ითვლება ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა: ტექნოლოგიური რეგლამენტი, ინსტრუქცია, ნახაზები, ლაბორატორიული და სხვაგვარი ცდების მოსაცემები, ქიმიური ფორმულები, ინფორმაცია კლიენტურის შესახებ, გამოგონების, სასარგებლო მოდელის აღწერილობა გამოქვეყნებამდე, ნეგატიური ხასიათის სამეცნიერო კვლევის შედეგები, სხვაგვარი ტექნიკური და კომერციული მონაცემები, ცხადია, ეს ჩამოთვალი ამომწურავი არ იქნება.

ნოუ-ჰაუს მფლობელი სუბიექტები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. **ნოუ-ჰაუს საიდუმლოების დაცვა გულისხმობს - გარკვეული პირების გარდა არავინ არ უნდა ფლობდეს ამ ინფორმაციას.**

ნოუ-ჰაუს ერთ-ერთი განსაკუთრებულობა, ინტელექტუალური საკუთრების სხვა იბიექტებისაგან განსხვავებით, ის არის რომ მისი დაცვის ვადა განსაზღვრული არ არის, არ მოითხოვს დაცვით - უსარიანობის ოფიციალურად აღიარებას, სახელმწიფო რეგისტრაციას ან სხვა ფორმალობების შესრულებას. დაცვითუსარიანობის შემოწმება ხერხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საიდუმლოება გამჟღავნებულია და აღარ წარმოადგენს საწარმოო-კომერციულ საიდუმლოებას.

საწარმოო-კომერციულ საიდუმლოებაზე უფლების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო-სამართლებრივი და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. აშასთან, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, ისეთივე ზომები, როგორიც არაკეთილ-

სინდისიერი კონკურენციის აღკვეთისას გამოიყენება - არაკეთილსინდისიერი საქმიანობის შედეგად წამოწყებული საქმიანობის შეწყვეტა და პროდუქციის ჩამორთმევა დაზიანებული მხარის სასარგებლოდ. კომპენსაცია შეიძლება მოთხოვნილ იქნეს და დაკმაყოფილდეს მიყენებული ზიანის და მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით.

საქართველოს სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა გაითვალისწინა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მიდგომა აღნიშნული საკითხებისადმი და ეკონომიკური დანაშაულის კარით მოაწესრიგა კომერციული საიდუმლოების დაცვა უკანონო ხელყოფისაგან.

12.4.4 გამოგონების, საშრეწველო ნიმუშების და სასაქონლო ნიშნების დაცვის უფლებებზე საერთაშორისო შეთანხმებები

ძირითად საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც არეგულირებს გამოგონებისა და სასაქონლო ნიშნების დაცვის საკითხებს, წარმოადგენს საშრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია, რომელიც შედგა პარიზში 1883 წ. 20 მარტს. კონვენციის მონაწილეებმა შექმნეს საერთაშორისო კავშირი საშრეწველო საკუთრებაზე (პარიზის კავშირი). მასში 160 სახელმწიფო მონაწილეობს. ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან კავშირის წევრები არიან აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსია, საქართველო, ყირგიზეთი, მოლდოვა, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა და სხვ.

პარიზის კონვენცია არ ითვალისწინებს საერთაშორისო პატენტის შექმნას, რომელიც კონვენციაში მონაწილე ერთ ქვეყანაში გაცემული - მოქმედი იქნება ყველა სხვა ქვეყანაში. საერთაშორისო კავშირის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში გამოგონება შეიძლება თავისუფლად იქნეს გამოყენებული გასამრჯელოს გადაუხდელად, თუ იგი იქ არის დაპატენტებული. ზუსტად ასევე

კონვენცია არ სვამს თავის აძოცანად საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის შექმნას.

პარიზის კონვენციის ერთ-ერთი ძთავარი პრინციპია ეროვნული რეჟიმის პრინციპი. კონვენცია ითვალისწინებს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეებს და ფირმებს მისცეს სამრეწველო საკუთრების ისეთივე დაცვა, როგორიც ეძლევა, ან ძიეცემა ძომავალში, თავის მოქალაქეებს მოცემული სახელმწიფოსი (მუხლი 2).

პრაქტიკულად, პარიზის კონვენციის ყველაზე მნიშვნელოვან წესს წარმოადგენს საკონვენციო პრიორიტეტის წესი. კონვენციაში პრიორიტეტის წესის შეტანა აიხსნება შემდეგით: პატენტს იღებს ის, ვინც პირველად შეიტანა განაცხადი გამოგონებაზე. განაცხადის მიცემაში პირველობა უზრუნველყოფს გამოგონების სიახლეს, რომელიც წარმოადგენს პატენტის გაცემის აუცილებელ პირობას. გამოგონების საზღვარგარეთ დაპატენტების დროს საკითხი სიახლეზე რთულდება იმით, რომ გამოგონება უკვე დაპატენტებულია ერთ სახელმწიფოში, არ წარმოადგენს „ახალს" და, მაშასადამე, არაპატენტუნარიანია სხვა ქვეყანაში. გამოგონების დაპატენტება ერთდროულად რიგ ქვეყნებში ძალზე რთულია. ძდგომარეობა მსუბუქდება კონვენციაში მონაწილე ქვეყნების განმცხადებელთათვის.

კონვენციაში მონაწილე ერთ რომელიმე ქვეყანაში გამოგონებაზე განაცხადის შემტანი პირი ერთი წლის განმავლობაში პირველი განაცხადის შეტანის დღიდან სარგებლობს პრიორიტეტის უფლებით სხვა მონაწილე-სახელმწიფოში განაცხადის შეტანისათვის. ასეთი გამოგონების გამოქვეყნება, მასზე განაცხადის შეტანა მესამე პირის მიერ ამ ვადის განმავლობაში და სხვა მსგავსი გარემოებანი ხელს არ უშლიან პატენტის გაცემას, რამდენადაც პრიორიტეტი და სიახლე განსაზღვრული იქნება სხვა ქვეყანაში არა განაცხადის ფაქტიური შეტანის დღეზე, არამედ პირველი განაცხადის შეტანის მომენტზე.

სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია საზღვარგარეთ ხორციელდება როგორც ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, ასევე საერთაშორისო შეთანხმებების დებულებებით. პარიზის

კონვენცია სასაქონლო ნიშნების მიმართებით ეყრდნობა იმავე პრინციპებს, რასაც გამოგონებაზე უფლების მიმართებით (ეროვნული რეჟიმი, საკონვენციო პრიორიტეტის წესი). ამასთან ერთად, პარიზის კონვენცია ადგენს განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომელიც უნდა წაეყენოს სასაქონლო ნიშნებს კონვენციაში მონაწილე ქვეყანაში მათი რეგისტრაციის დროს. აღსანიშნავია, რომ გამოგონების მიმართებით კონვენცია რაიმე მოთხოვნებს არ შეიცავს.

1989 წელს ხელმოწერილი იქნა მადრიდის კონვენციის ოქმი. კონვენციის შესაბამისად, საერთაშორისო ბიუროში, ჟენევაში, ქვეყნის უწყების გავლით, სადაც შეტანილი იქნა ეროვნული განაცხადი, შევიდა განაცხადი სასაქონლო ნიშანზე.

განაცხადში მითითებულია კონვენციის მონაწილე ის ქვეყნები, რომელთა მიმართ უფლების დაცვის გამოთხოვა მოხდება. საერთაშორისო ბიუროში განაცხადის შეტანიდან ერთი წლის განმავლობაში ყოველ სახელმწიფოს შეუძლია შედავება საერთაშორისო რეგისტრაციის მიცემის წინააღმდეგ იმ საფუძველზე, რომ განცხადებული აღნიშვნა ვერ პასუხობს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს. თუ უარყოფა არ იქნა მიღებული, სასაქონლო ნიშანი გახდება დაცვადი ყველა ქვეყანაში, რომელთა მიმართ შეტანილი იქნა განაცხადი საერთაშორისო რეგისტრაციაზე. ოქმის თანახმად, საერთაშორისო რეგისტრაცია ხორციელდება ეროვნული განაცხადის საფუძველზე. 1996 წ. 1 აპრილიდან შესაძლებელი გახდა ერთიანი დამცავი დოკუმენტის მიღება.

მადრიდის კონვენციის მონაწილეთათვის სავალდებულოა საქონლის და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის გამოყენება.

1994 წ. მიღებული იქნა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) ხელშეკრულება „კანონები სასაქონლო ნიშნებზე". მასში 26 ქვეყანა მონაწილეობს. ხელშეკრულების მიზანია ეროვნული კანონმდებლობის გამარტივება და ჰარმონიზაცია ზედმეტი ფორმალურობების

თავიდან აცილების გზით განაცხადის შეტანის და სასაქონლო ნიშნების ძალაში შენარჩუნების დროს.

ევროპის კავშირში განხორციელდა რიგი ღონისძიებებისა ერთიანი სასაქონლო ნიშნის შექმნაზე; შეიქმნა უწყება სასაქონლო ნიშნებზე. იგი ღებულობს განცხადებებს ერთიანი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე. ერთიანი სასაქონლო ნიშანი იქნება ევროპის კავშირის ყველა წევრი სახელმწიფოსათვის.

12.4.5 საქართველოს საპატენტო საქართველო

საავტორო უფლებისაგან განსხვავებით, გამოგონების ავტორი ვალდებულია კანონით დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“ პატენტის მისაღებად. თუ „საქპატენტი“ განცხადებულ ობიექტს ცნობს გამოგონებად, გასცემს პატენტს. პირი ხდება საგამოგონებლო იდეის მესაკუთრე და აღიარებული იქნება გამოგონებლად. ამგვარად, **პატენტის გაცემის ფაქტი წარმოშობს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს.**

პატენტი შეიძლება განხილული იქნეს როგორც ხელშეკრულება გამოგონებელსა და სახელმწიფოს შორის. ხელშეკრულების მიხედვით გამოგონებელი ვალდებულია საქვეყნოდ გახსნას თავისი იდეა. მხოლოდ ამის შემდეგ სახელმწიფო გასცემს მის სახელზე პატენტს. **პატენტი საგამოგონებლო იდეაზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტია.**

საქართველოს საპატენტო კანონი ცნობს გამოგონების პატენტს, სასარგებლო მოდელის პატენტს და საძრეწველო ნიმუშის პატენტს. გამოგონების პატენტი ორი სახისაა: ძირითადი და „შემოტანილი პატენტი“. ეს უკანასკნელი ემსახურება ინვესტიციების მოზიდვას. საქართველოში შემოტანილი პატენტი გაიცემა მხოლოდ ისეთი პატენტის საფუძველზე, რომელსაც უცხო ქვეყანაში რაუტარდა შემოწმება პატენტუნარიანობის ყველა

კრიტერიუმის - სიახლის, საგამომგონებლო დონისა და სამრეწველო გამოყენებადობის მიხედვით.

საპატენტო კანონებით გამოგონება არ განიმარტება. გამოგონება შეიძლება განიმარტოს, როგორც განსახიერებადი ახალი იდეა, რომელსაც ახასიათებს საგამომგონებლო დონე და სამრეწველო გამოყენებადობა. იდეის განსახიერებადობა უნდა იყოს დადასტურებული ავტორის მიერ თავისი საგანაცხადო მასალებით. მაგალითად, „კოსმოსური ხომალდი განსხვავდება იმით, რომ ის უნდა შეიცავდეს კოსმოსში საფრენად საჭირო ძრავებს და კორპუსი უნდა იყოს შესრულებული შესაბამისი ფორმით". ასეთი სახის იდეა განუხორციელებელია. მასში რაღაც მიზნის მისაღწევი ამოცანაა დასმული. გამოგონების აღიარებისათვის არ არის აუცილებელი იდეის მატერიალიზება. ავტორმა იდეა აღწერილობაში ისე უნდა გამოსახოს, რომ „საშუალო ცოდნის მქონე სპეციალისტისათვის" ცხადი იყოს მისი განხორციელების შესაძლებლობა. ეს პრინციპი ნებისმიერი ქვეყნის საპატენტო კანონის მოთხოვნაა.

გამოგონების განმარტების მიზნით „იდეად" გვესახება შემდეგი: **„იდეა არის ჭეშმარიტებათა გონებრივი გაერთმთლიანება, რომელიც მზადაა პრაქტიკული ხორცშესხმისათვის".**

საქართველოს კანონმდებლობის შემუშავების დროს „სასარგებლო მოდელი" გადმოტანილი იქნა პარიზის კონვენციის ტექსტიდან. სასარგებლო მოდელის დაცვამ საყოველთაო გავრცელება მიიღო გერმანიის კანონმდებლობიდან. გერმანიის კანონი სასარგებლო მოდელების დაცვის შესახებ მიღებული იქნა 1891 წ. საიმპერიო სასამართლოს მითითების შემდეგ.

„სამრეწველო ნიმუში" გადმოსცემს სამრეწველო საკუთრების ამ ობიექტის ძირითად არსს და, ამდენად, სხვა ახალი ტერმინის შემოტანა არ იქნა მიჩნეული მართებულად. ისევ საბჭოური ტერმინი დარჩა უცვლელად.

თანამედროვე შეხედულებით, სამრეწველო ნიმუში არის ნაწარმის დეკორაციული ან ესთეტიკური შთაბეჭდილების გამომწვევი გარეგანი სახე. სამრეწველო ნიმუში შეიძლება

მიეკუთვნოს როგორც სამრეწველო საკუთრების სამართალს, ისე საავტორო სამართალს. პირველ შემთხვევაში გამოიყენება საპატენტო კანონმდებლობა.

საქართველოს კანონმდებლობით: სამრეწველო ნიმუში საქართველოს საპატენტო კანონით განიმარტება, როგორც სამრეწველო წესით დამზადებული ნაკეთობის (ნივთის) მხატვრულ-კონსტრუქციული გარეგნული სახე. როგორც ვხედავთ, ამ განმარტებით მინიშნებულია საავტორო სამართლის (მხატვრული ღირსებანი) და საპატენტო სამართლის (კონსტრუქციული ხასიათი) გამოყენების შესაძლებლობაზე ერთდროულად.

საკანონმდებლო ნორმების მიხედვით, საპატენტო დაცვის სამივე ობიექტს -გამოგონებას, სასარგებლო მოდელს და სამრეწველო ნიმუშს ახასიათებთ პატენტუნარიანობის ორი საერთო კრიტერიუმი: „სიახლე" და „სამრეწველო გამოყენებადობა". ამასთან, მხოლოდ გამოგონებას ახასიათებს კრიტერიუმი - „საგამომგონებლო დონე". სასარგებლო მოდელის კრიტერიუმია - არსებული ობიექტის გაუმჯობესება, ხოლო სამრეწველო ნიმუშისა - ორიგინალური მხატვრულ-კონსტრუქციული შესრულება.

ისეთ გამოგონებებს, სასარგებლო მოდელებსა და სამრეწველო ნიმუშებს, რომლებიც აკმაყოფილებენ პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს და იცავს საპატენტო კანონი, „დაცვითუნარიანი", ანუ „პატენტუნარიანი" ეწოდება.

ამასთან, არსებობს ისეთი სამრეწველო საკუთრების ობიექტები, რომლებიც აკმაყოფილებენ პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს, მაგრამ მათზე კანონი არ იძლევა პატენტის გაცემის ნებას.

საერთაშორისო გამოცდილებასთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით გამოგონებად და შესაბამისად სასარგებლო მოდელად არ ითვლება:

მეცნიერული, გეოგრაფიული და სხვა ხასიათის აღმოჩენა; სამეცნიერო თეორია ან მათემატიკური გათვლები და მეთოდები; ალგორითმები და პროგრამები გამომთვლელი მანქანებისათვის; აღზრდის და სწავლების მეთოდები და სისტემა; ენის გრამატიკული

სისტემა; გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდები; მეურნეობრიობის ორგანიზაციისა და მართვის მეთოდები; ნაგებობების, შენობების, ტერიტორიების დაგეგმარების პროექტები და სქემები; პირობითი ნიშნები (მაგ საგზაო), განრიგი, წესები (მაგ. მოძრაობის); ინფორმაციის წარდგენის ხერხები (მაგ. ცხრილების, ფორმულარების, გეგმების, გრაფიკების, დიაგრამების მეშვეობით); მხატვრული შემოქმედება-კონსტრუირების შედეგები (მაგ. დიზაინური ხასიათის, მ.შ. სამრეწველო ნიმუშები).

როგორც ჩამონათვალიდან ირკვევა, გამოგონებად და სასარგებლო მოდელად არ მიიჩნევა არატექნიკური ხასიათის მიღწევები.

გამოგონების, სასარგებლო მოდელის და სამრეწველო ნიმუშის ობიექტებია:

ა) მოწყობილობა საპატენტო დაცვის ყველაზე გავრცელებული ობიექტია. მოწყობილობას განეკუთვნებიან: მანქანა-მექანიზმები; დანადგარები, ნაგებობები; ხელსაწყოები; იარაღები; გუქტროტექნიკური და ელექტრონული სქემები; უწყვეტ-ნაკადური ხაზები; კომბაინები, აგრეგატები და სხვ.

ბ) ხერხი განიმარტება, როგორც ურთიერთ-დაკავშირებულ მოქმედებათა შესრულების პროცესი, რის შედეგადაც მიიღება დასახული ტექნიკური შედეგი. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

ნედლეულის და სხვა მასალის დამზადების და მოპოვებისპროცესი; ცდების ჩატარების (მ.შ. მეცნიერული, გაზომვის, კონტროლის, საიმედოობის განსაზღვრის) პროცესი; ნაკეთობათა აწყობის, მონტაჟის, შესრულების პროცესი, ავტომატიზებული მართვისა და რეგულირების პროცესების განხორციელება; საწარმოო ნარჩენების უტილიზაციის, გარემოს გაბინძურების საწინააღმდეგო პროცესების განხორციელება; ღვარცოფის საწინააღმდეგო, ზღვის სანაპიროს დაცვის, მცენარეთა და ცხოველთა ზრდის სტიმულირების, სელექციისა და ჰიბრიდიზაციისათვის საჭირო ოპერაციების, პროცესების განხორციელება.

ბ) ნივთიერებას, როგორც დაცვის ობიექტს, განეკუთვნება ქიმიური ან არაქიმიური წესით მიღებული ნაერთები, შენადნობები, ნარევები ან სხვაგვარი კომპოზიციები;

დ) ბიოტექნოლოგიურ ობიექტებს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, განეკუთვნებიან: დადგენილი სტრუქტურის მქონე ბიოტექნოლოგიური ნაერთები, საკვები არეები; ტრადიციული მიკრობიორგანიზმები; მცენარეთა და ცხოველთა კულტივირებული სომატური უჯრედები; მაკრობსკოპური სოკოების სომატური სტრუქტურები; მალალმოლეკულური ანტიბიოტიკები; მოლეკულურ-გენეტიკური სტრუქტურები; მიკრობორგანიზმთა შტამები.

ე) ცნობილი ობიექტების ახალი დანიშნულებით გამოყენება გულისხმობს ცნობილი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების, შტამის გამოყენებას ახალი, უჩვეულო დანიშნულებით, აქამდე უცნობი ფუნქციის გამოვლენის საფუძველზე. პატენტის საგანს წარმოადგენს, უმეტეს შემთხვევაში, შედეგამენტების ძორადი დანიშნულებით გამოყენება.

საპატენტო უფლება-მოყალეობანი

საპატენტო უფლება-მოყალეობანი ოთხ კატეგორიად იყოფა:

1. ობიექტის შექმნიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობანი;
2. განაცხადის მიწოდებიდან გამომდინარე;
3. პატენტის გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილებიდან და განაცხადის გამოქვეყნებიდან გამომდინარე;
4. პატენტიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობანი.

იმ მოპენტიდან, როდესაც გამომგონებელი დარწმუნდება პატენტის აღების შესაძლებლობაში, უნდა განისაზღვროს ის სუბიექტი, რომელიც უფლებამოსილია მიაწოდოს განაცხადი და მოითხოვოს პატენტი. უფლება გამოგონების საპატენტო დაცვაზე - საერთლის ბუნებითი თეორიიდან გამომდინარე - ეკუთვნის გამომგონებელს, რაც შესაბამისადაა ასახული საქართველოს საპატენტო კანონის მე-19 მუხლში. უფლებას თან სდევს გარკვეული ხასიათის მოყალეობანი. როცა გამომგონებელი შრომით

ურთიერთობებს ასრულებს, პატენტის მიღების საკითხს აწესრიგებს საპატენტო კანონის მე-20 და 21-ე მუხლები.

მუშაკი ჩვეულებრივად მოყალეა აცნობოს დამქირავებელს გამოგონების შექმნის ფაქტი. ამის შემდეგ ხელშეკრულება აწესრიგებს მათ ურთიერთობებს გამოგონების (სასარგებლო მოდელის, საშრეწველო ნიმუშის) შექმნის შემთხვევაში.

როცა მუშაკის სამსახურებრივი მოვალეობა არ ითვალისწინებს საგამომგონებლო საქმიანობის შესრულებას, პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის გამომგონებელს. ამავე დროს დამქირავებლისა და გამომგონებლის სურვილით, შეიძლება დაიდოს სპეციალური შეთანხმება, რომლითაც გამომგონებელი გარკვეული პირობებით დაუთმობს დამქირავებელს პატენტის მიღების უფლებას, როგორც მის უფლებამონაცვლეს. ამ შემთხვევაში განაცხადს პატენტის მიღებაზე მიაწყდის დამქირაყებელი.

პატენტი შეიძლება ეკუთვნოდეს დამქირავებელს კანონის ძალით, თუ მუშაკს დაკისრებული აქვს საგამომგონებლო მისია.

იმის შემდეგ, როცა ზუსტად გაირკვევა პატენტის მიმღები სუბიექტი, განმცხადებელმა უნდა შეადგინოს „სწორად გაფორმებული" განაცხადი და მიაწოდოს საპატენტო უწყებას, იმისათვის, რომ დაიმკვიდროს პრიორიტეტი განაცხადის მიწოდების თარიღით.

საგანაცხადო მასალების მიწოდება თავად წარმოქმნის უფლებამოყალეობებს. აშგვარად, დგინდება განაცხადის წარდგენის თარიღი, ანუ პრიორიტეტი. საპატენტო უწყება ვალდებულია გასცეს ცნობა საგანაცხადო მასალების მიღების შესახებ, ანუ დაადგინოს ამ მასალების მიწოდების იურიდიული ფაქტი.

საგანაცხადო მასალების მიწოდების ფაქტით წარმოიქმნება, აგრეთვე, სააყტორო უფლებები, რაც იმას ნიშნავს, რომ აყტორის ნებართვის გარეშე განაცხადის გამოქვეყნება გარკვეული პროცესუალური ქმედებების განხორციელებამდე დაუშვებელია.

განმცხადებელი ვალდებულია მიაწოდოს უწყებას საჭირო მონაცემები, დაიცვას განაცხადის გაფორმების ყველა ფორმალური მოთხოვნა, მ.შ. განცხადებული ობიექტის სრულად აღწერის

შესახებ. საპატენტო პროცედურის პირველი სტადია - ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა გრძელდება ორ თვეს საგანაცხადო მასალების მიწოდების თარიღიდან საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად.

ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის შედეგად პრიორიტეტის მინიჭების ფაქტი წარმოშობს ახალ უფლება-მოყალეობებს. მათგან მთავარია საკონვენციო პრიორიტეტის მოთხოვნა. მისი განხორციელება რეალურია საპრიორიტეტო ცნობის მიღების ფაქტზე დაყრდნობით.

განმცხადებელს უფლება აქვს საქპატენტს მოსთხოვოს ნებართვა საზღვარგარეთ დაპატენტების შესახებ. საქპატენტი ვალდებულია დადგენილ ვადაში აცნობოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილება. თუ იგი დროულად არ ეცნობა განმცხადებელს, მას უფლება აქვს წარადგინოს განაცხადი საზღვარგარეთ დასაპატენტებლად.

სათანადო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ მიიღება პატენტის გაცემაზე წინასწარი გადაწყვეტილება და განაცხადი ქვეყნდება. განმცხადებელს წარმოექმნება მთელი სპექტრი პირადი არაქონებრივი უფლებებისა. ქონებრივი უფლებები, მთელი სისრულით, განხორციელდება პატენტის გაცემის შემდეგ. გამოქვეყნებიდან 3 თვის განმავლობაში განმცხადებელს მინიჭებული აქვს დროებითი დაცვა, რაც არ იყო გათვალისწინებული 1992 წ. დებულებით გამოგონების შესახებ. სამრეწველო ნიმუშის, სასარგებლო მოდელისა და შემოტანილი პატენტის გაცემის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტი წარმოშობს იგივე უფლება-მოვალეობებს, ოღონდ დროებითი დაცვით აღნიშნული ობიექტები ვერ ისარგებლებენ, რადგან პატენტი გამოქვეყნებისთანავე გაიცემა.

პატენტმფლობელს ძირითადი პატენტით ენიჭება განსაკუთრებული უფლება გამოგონებაზე 20 წლის ვადით, სასარგებლო მოდელზე - 8 წლით, სამრეწველო ნიმუშის პატენტი მოქმედებს 15 წელი. შემოტანილი პატენტის მოქმედება არ შეიძლება აღემატებოდეს 10 წელს.

პატენტის მოქმედების ვადა აითვლება განაცხადის საქპატენტში შეტანის თარიღიდან; აშშ-ში პატენტის გაცემის დღიდან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ პატენტის მოქმედება შეშოფარგლულია იმ ქვეყნის ტერიტორიით, რომელშიც გაიცა დამცავი დოკუმენტი.

პატენტი ადასტურებს ავტორობას და პრიორიტეტს, ანიჭებს პატენტმფლობელს განსაკუთრებულ უფლებას: პატენტმფლობელს გააჩნია უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს და განკარგოს დაპატენტებული ობიექტი. მესამე პირთა მოვალეობაა აკრძალულ ქმედობაზე თავის შეკავება.

თუ პატენტის მფლობელი რამდენიმე პირია, პატენტ-მფლობელობის უფლება მათ თანაბრად ეკუთვნით. გასხვისებისას ან საპატენტო უფლების გადაცემისას საჭიროა ყველა თანამფლობელის თანხმობა.

კანონმდებლობით არის აღიარებული, რომ ავტორობის უფლება უვადოდ არის დაცული და იგი განუსხვისებელია.

ზოგჯერ ერთი ობიექტის გამომგონებელი რამდენიმე პირია. ასეთ შემთხვევაში ყოველი პირი თანაბარუფლებიანი თანააავტორია და მათი მითითებაგანაცხადში აუცილებელია.

პატენტიდან გამომდინარე, უფლება-მოვალეობების განხორ-ციელებისას ცენტრალური ფიგურა არის პატენტმფლობელი.

განსაკუთრებული უფლების შინაარსს, აგრეთვე მოქმედებას დროსა და სივრცეში განსაზღვრავს საპატენტო კანონმდებლობა, დასაცავი ობიექტის კონკრეტულ ფარგლებს ფორმულა განსაზღვრავს გამოგონების და სასარგებლო მოდელის შემთხვევაში, ხოლო საძრეწველო ნიმუშისათვის - მისი ფოტო.

პატენტმფლობელის უფლებათაგან ძირითადი ეკონომიკური ხასიათის მატარებელია - განსაკუთრებული უფლება გამოყენებაზე და განკარგვაზე. მხოლოდ პატენტმფლობელს შეუძლია დააშზადოს, გაყიდოს, შესთავაზოს გასაყიდად, გასწიოს რეკლამა, შემოიტანოს საზღვარგარეთიდან, შეინახოს, გადაზიდოს და სხვა, - პატენტმფლობელს შეუძლია აკრძალოს ყოველი აღნიშნული ქმედობა. პატენტმფლობელს შეუძლია დამოუკიდებლად

განახორციელოს ნებისმიერი ზემოთაღნიშნული ქმედობა, ან დაუთმოს სხვა პირს, ანუ განკარგოს პატენტით დაცული ობიექტი. განკარგვა მას შეუძლია განსაკუთრებული უფლების დათმობით (ლიცენზიის გაცემით) ან პატენტის გასხვისებით.

ლიცენზიას რომელიც გაცემულია პატენტით დაცული ობიექტის გამოყენებაზე, საპატენტო ლიცენზია ეწოდება. თუ ლიცენზიის გაცემა მოხდა პატენტის მიღებამდე, მაშინ საქმე გვაქვს უპატენტო ლიცენზიასთან. ამ შემთხვევაში ლიცენზია გაიცემა ნოუ-ჰაუს საფუძველზე.

არსებობს მარტივი, განსაკუთრებული და სრული ლიცენზია.

მარტივი ლიცენზიის გამცემი (ლიცენზიარი) მყიდველს (ლიცენზიატს) გადასცემს უფლებას ობიექტის გამოყენებაზე ამასთან, ლიცენზიარს აქვს უფლება სხვა პირზე გასცეს ლიცენზია.

განსაკუთრებული ლიცენზიისას ობიექტის გამოყენების განსაკუთრებული უფლება გადაეცემა ლიცენზიატს შეთანხმების პირობებით. ლიცენზიის სხვა პირზე გაცემის უფლება იგივე პირობებით ლიცენზიარს არა აქვს.

სრული ლიცენზიის შემთხვევაში პატენტის მოქმედების მთელი ვადით გადაეცემა ლიცენზიატს განსაკუთრებული უფლება გამოყენებაზე. ლიცენზიარს ფაქტობრივად ერთმევა პატენტის გამოყენების და განკარგვის უფლება. მას რჩება მხოლოდ პატენტის ფლობის უფლება, ანუ ტიტული.

როდესაც პატენტმფლობელი თავად ვერ ახერხებს გამოყენებას, ხდება ღია ლიცენზიის შეთავაზება საჯარო გამოცხადებით საპატენტო უწყების მიერ. ნებისმიერ მსურველს შეუძლია მიიღოს მარტივი ლიცენზიის სახით.

საქართველოში პატენტის ჩამორთმევა დაშვებულია მხოლოდ "შემოტანილი პატენტის შემთხვევაში.

პატენტმფლობელს ეკისრება ორი ძირითადი მოვალეობა: საპატენტო საფასურების დროული გადახდა და დაპატენტებული ობიექტის გამოყენება. საქართველოში მოსწავლეებს, სტუდენტებს,

ასპირანტებს და პენსიონერებს ყველა სახის გადასახადი 50%-ით უმცირდებათ.

პატენტმფლობელი მოვალეა აუცილებლად გამოიყენოს დაპატენტებული ობიექტი. თუ ეს მოვალეობა არ სრულდება, პატენტმფლობელი მოვალეა გასცეს იძულებითი ან ოფიციალური ლიცენზია. აქ მთავარია - დაპატენტებული ობიექტი მზადდებოდეს და ქვეყნის შიდა ბაზრის მოთხოვნილება კმაყოფილდებოდეს. ამიტომ, მნიშვნელობა არა აქვს, თვითონ ამზადებს პატენტმფლობელი დაპატენტებულ ობიექტს, თუ სხვას გადასცემს ამის უფლებას - სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე.

პატენტმფლობელს ენიჭება განსაკუთრებული უფლება, დაამზადოს დაპატენტებული ობიექტი, ჩართოს იგი სამოქალაქო ბრუნვაში და მიიღოს შემოსავალი, ან მოგება; თავის შეხედულებისამებრ განკარგოს პატენტი; გაყიდოს ან სხვა გზით გაასხვისოს პატენტი, გასცეს ლიცენზია. ასეა გადმოცემული განსაკუთრებული უფლება საქართველოს საპატენტო კანონმდებლობით.

გამოგონების და სასარგებლო მოდელის აღწერილობა უნდა შეიცავდეს დასახელებას, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრავს ობიექტს. იგი უნდა იყოს, რაც შეიძლება მოკლე. მაგალითად, ჩაის დამქუცმაცებელი, ჩაის ფრაქციებად დაყოფის ხერხი, ფილტრ-პრესი ღვინის გასაწურად და სხვ. შემდეგ: რომელ სფეროში გამოიყენება გამოგონება ან სასარგებლო მოდელი და სხვ.

აღწერილობასთან ერთად უნდა იყოს წარდგენილი გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ფორმულა. ყველა ქვეყანაში კანონმდებლობა ადგენს გამოგონების და სასარგებლო მოდელის არსს და სამართლებრივი დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს ფორმულა, აღწერილობა, ნახაზები, სქემები. დაცვის თვალსაზრისით იურიდიული მნიშვნელობა მხოლოდ ფორმულას გააჩნია ისევე, როგორც სამრეწველო ნიმუშისთვის - ფოტოგრაფიას, ნახატს, ან თვით ნაკეთობას.

გამოგონების ფორმულა ინგლისურად - Claims, გერმანულად nrecht. ორივე ენაზე მოთხოვნის უფლებას ნიშნავს. მასში

ჩადებულია აზრი, რომელის მიხედვითაც განმცხადებელი მოითხოვს საქართველოს დაცვის ფარგლებს ფორმულაში მოყვანილი არსებითი ნიშნების ერთობლიობით.

ფორმულის მთავარი დანიშნულება ყველა ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით არის საქართველოს. ის განსაზღვრავს, თუ რა რეალური ობიექტი შეესაბამება პატენტით დაცულ გამოგონებას თუ სასარგებლო მოდელს.

ფორმულა უნდა იყოს ლაკონიური, გააჩნდეს სისრულე, კონკრეტულობა, ახასიათებდეს განზოგადების უნარი, პასუხობდეს გამოგონების ერთიანობის კრიტერიუმს.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამოგონების ფორმულის სტრუქტურა იმეორებს გერმანული ტიპის გამოგონების ფორმულის სტრუქტურას. მასში არსებითი ნიშნების ერთობლიობა უნდა იყოს წარმოდგენილი ლოგიკური თანმიმდევრობით და კავშირით, ისე რომ ობიექტი იყოს დახასიათებული დასრულებული სახით.

ფორმულის შემომფარგვლელ ნაწილში გადმოიცემა ტექნიკის დონისათვის ცნობილი არსებითი ნიშნები, რომელიც ემთხვევა გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ნიშნებს. მეორე, ანუ განმასხვავებელი ნაწილი შედგება განმასხვავებელი არსებითი ნიშნებისაგან. დასაშვებია ფორმულის წარდგენა ორ ნაწილად გაყოფის გარეშე. ასეთი ფორმულა ოპტიმალურია, მაგალითად, ახალი ქიმიური ხერხით მიღებული ნივთიერების დაპატენტებისას.

განყოფილება III.

12.5 საერეწველო საკუთრების უფლება საერთაშორისო კერძო სამართალში

12.5.1 საერეწველო საკუთრების ცნება

ყოველი სახელმწიფო დაინტერესებულია მეცნიერების და ტექნიკის ახალი მსოფლიო მიღწევები გამოიყენოს და დანერგოს ეროვნულ წარმოებაში, ვაჭრობაში და ეკონომიკის სხვა სფეროში. აქედან არის განპირობებული საერთაშორისო ტექნიკური თანამშრომლობის მასშტაბების ზრდა და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის მუდმივი სრულყოფა.

1967 წელს დაფუძნდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (ისმო), რომელმაც მიიღო კონვენცია. მის შესაბამისად საერეწველო საკუთრება ძირითადი შემადგენელი ნაწილია ინტელექტუალური საკუთრებისა. იგი მოიცავს მეცნიერულ აღმოჩენებს, გამოგონებებს-ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, საერეწველო ნიმუშებს, სასაქონლო ნიშნებს, საფირმო სახელწოდებებს, მომსახურების ნიშნებს და კომერციულ აღნიშვნებს, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას და სხვ. ეს ნუსხა ამომწურავს არ წარმოადგენს და ეროვნულ კანონმდებლობაში იგი უფრო ფართოა.

საერეწველო საკუთრების თაყისებურებას წარმოადგენს ის, რომ ისინი არამატერიალური ობიექტებია, ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებია, უშუალოდ არ არიან დაკავშირებული მატერიალური ობიექტის სამართალთან. მათ მფლობელებს კანონი აძლევს განსაკუთრებულ უფლებებს გამოგონების, საერეწველო ნიმუშების და სხვა ობიექტების გამოყენებაზე. ამ ობიექტების გამოყენება სხვა პირების მიერ შესაძლებელია მხოლოდ უფლებამოსილი პირის თანხმობით.

მაშასადამე, ერთი მხრივ, გამოგონებელს აქვს ქონებრივი უფლება გამოგონების გამოყენებაზე. ეს უფლება შეიძლება სხვა პირებს გადაეცეს ხელშეკრულებით, მეორე მხრივ, ავტორი ფლობს საავტორო უფლებების მთელ კომპლექსს, საავტორო სახელს და

ა.შ. მათი განსხვავება არ შეიძლება მოხდეს ამ უფლებების ბუნების ძალით. ქონებრივ და პირად უფლებებს შორის გადაულახავი ზღვარი არ არსებობს. ისინი ეჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

საავტორო უფლება იცავს საწარმოების არა იდეას, ჩანაფიქრს და სილუეტს, არამედ მის ობიექტურ ფორმას (ენას, სახეებს და ა.შ.). სამრეწველო საკუთრების უფლება, პირიქით, იცავს მხოლოდ იდეას, გამოგონების, სასაქონლო ნიშნის ჩანაფიქრს, ამ იდეის რეალიზაციის ფორმებზე დამოუკიდებლად. ამის მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ: გერმანელი ინჟინრის დიზელის ძრავის იდეები (1892 წ.); შვედი გამომგონებლის ნ. ბოგლიკის უსაფრთხოების ღვედების იდეა (1952 წ.) და ა.შ. ასეთი ძრავების და ღვედების სახეები და ფორმები სამართლით არ არიან დაცულნი.

სამრეწველო საკუთრება დაცულია სპეციფიკური ფორმით: სახელმწიფო გასცემს დიპლომებს, პატენტებს, მოწმობებს და სხვა დამცავ დოკუმენტებს. ისინი მოქმედებენ მკაცრად დადგენილ ვადებში. მათი მოქმედების ვადები, კანონმდებლობით, შეიძლება გახანგრძლივდეს.

გამოგონების, სამრეწველო ან სასაქონლო ნიშნის შექმნის ყოველი ფაქტი აუცილებლად უნდა გაფორმდეს სახელმწიფო საპატენტო უწყების გადაწყვეტილებით, გადახდილი იქნეს დადგენილი ბაჟი და მიღებული იქნეს დამცავი დოკუმენტი. იგი მოქმედებს მხოლოდ მისი გამცემი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. სხვა ქვეყნებში ასეთი გამოგონება კანონით დაცული არ არის და თავისუფლად შეიძლება მისი გამოყენება წარმოებაში. ამგვარად, გამოგონებაზე სხვა სახელმწიფოში თავისი უფლებების დასაცავად ავტორმა აუცილებლად უნდა მიიღოს დამცავი დოკუმენტი ამ სახელმწიფოს კანონების შესაბამისად და დროდადრო გადაიხადოს ბაჟი. ამის შედეგად წარმოიქმნება გამოგონებაზე ახალი სუბიექტური უფლება ამ სახელმწიფოში. იგი ტერიტორიულ ხასიათს იძენს და დაცულია ადგილობრივი კანონებით.

სხვადასხვა ქვეყანაში სამრეწველო საკუთრების ობიექტების მიმართ წაყენებულია სხვადასხვა მოთხოვნები სიახლის, სარგებლიანობის, პრიორიტეტის და სხვა მიმართებით.

შემოთავაზებული გადაწყვეტილებები უნდა იყვნენ მსოფლიოში ახლები, ადრე უცნობები. **მათ მსოფლიო სიახლეები ეწოდება. გადაწყვეტილება შეიძლება მოცემულ ქვეყანაში წარმოადგენდეს სიახლეს, რასაც ლოკალური სიახლე ეწოდება.** სიახლეს ადგენს სპეციალური ექსპერტიზა.

განსახილველი უფლებების დაცვის საქმეს ემსახურება ე.წ. „საპატენტო სიწმინდე". თუ მსგავსი ტექნიკური გადაწყვეტა უკვე დაპატენტებულია სხვა ქვეყანაში, აუცილებელია უარი ეთქვას მის გამოყენებას, ან ლიცენზიის ყიდვას პატენტის მფლობელისაგან და მიღებული იქნეს უფლება ამ გამოგონების გამოყენებაზე. **„საპატენტო სიწმინდის" წესების შეუსრულებლობამ შეიძლება დიდი მატერიალური ზარალი გამოიწვიოს.** მაგალითი: „რუსეთის სამხედრო შეიარაღების" ერთ-ერთმა ფირმამ გააფორმა გარიგება, რის საფუძველზეც ინდონეზიას მიჰყიდა „МИГ"-ის მარკის ახალი ავიაგამანადგურებელი. ამ თვითმფრინავში აღმოჩნდა 14 დაუპატენტებელი გამოგონება. თვითმფრინავის გაყიდვის შემდეგ მათზე პრიორიტეტი დაიკარგა. დაიკარგა დიდი მოგება იმის გამო, რომ დროზე არ იქნა გაყიდული პატენტები. იგი „МИГ" თვითმფრინავის ფასს აღემატებოდა.

იტალიის საპატენტო კანონმდებლობაში ეროვნულ გამომგონებელთათვის და სამრეწველო საკუთრების სხვა მფლობელთათვის სამართლებრივი დაცვის გაცილებით უფრო ხანგრძლივი ვადებია დადგენილი უცხოელებთან შედარებით. ყოველივე ეს ხელს უწყობს უცხოელების დაპატენტებული გამოგონებების ეფექტიანობის აშაღლებას ამ ქვეყანაში.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში აუტორის გარეშე მისი სამრეწველო საკუთრების გამოცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით ისჯება. **ასეთ საავტორო უფლების დარღვევას კონტრაფაქციას უწოდებენ.**

მაგალითი: ჩინეთში სხვისი სასაქონლო ნიშნით ბიზნესმენმა 40 ათასი ბოთლი არაყი გაყიდა, რისთვისაც სასამართლომ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა.

აშშ-ში ელექტრონულ გამოქთყლელი მანქანების პროგრამულ უზრუნველყოფაზე უფლების დარღვევისათვის გათვალისწინებულია 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მოსოპოლური პატენტების დარღვეყისათვის - 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 500 ათას დოლარამდე. **შედარებისათვის: რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსით ესგავსი ქმედებებისათვის სანქცია ითვალისწინებს 1,5 ათას აშშ-ის $-ს.**

12.5.2 საძრეწველო საკუთრების საერთაშორისო სამართლებრივი დაცვა

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო სამართლის სფეროდან ორ ფუძემდებლურ საერთაშორისო ხელშეკრულებას განსაკუთრებული ადგილი უკავია: 1. საძრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციას („პარიზის კონვენცია"); 2. ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციას („ბერნის კონვენცია"). საქართველო პარიზის კონვენციას 1994 წ. 18 იანვრიდან შეუერთდა, ხოლო ბერნის კონვენციას - 1995 წლის მაისიდან. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (ისმო) სწორედ ამ ორი კონვენციის ეგიდით დაფუძნდა.

გასული საუკუნის II ნახევარში ინტენსიური გახდა ტექნოლოგიების გაცვლა. საერთაშორისო ვაჭრობამ მაღალ საფეხურს მიაღწია. ამ დროისათვის მეწარმეები და გამომგონებლები იძულებულნი იყვნენ განაცხადები გამოგონების დაპატენტებაზე ერთდროულად წარედგინათ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც სურდათ უფლებების დაცვა. აშკარად საჭირო გახდა საძრეწველო საკუთრების სფეროში კანონშდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო დონეზე. საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა 1873 წელს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის მთავრობის მიერ ვენაში საერთაშორისო გამოგონებების გამოფენის მოწყობის დროს. იმავე წელს ვენაში

მოწყეული იქნა კონგრესი საპატენტო დაცვის რეფორმასთან დაკავშირებით.

1883 წელს პარიზში ჩატარდა დიპლომატიური კონფერენცია, რომელმაც დააგვირგვინა 10 წლიანი მოსამზადებელი ციკლი სამრეწველო საკუთრების დაცვის თაობაზე. იგი დასრულდა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის დამტკიცებით. მასში მონაწილეობდა 11 ქვეყანა: ბელგია, ბრაზილია, გვატემალა, ესპანეთი, იტალია, ნიდერლანდები, პორტუგალია, სალვადორი, საფრანგეთი, სერბია და შვეიცარია. შემდეგში მას მიუერთდნენ დიდი ბრიტანეთი, ეკვადორი და ტუნისი.

მომდევნო კონფერენციებიდან უნდა აღინიშნოს ჰააგის 1925 წ., ლონდონის 1934 წ., ლისაბონის 1958 წ., სტოკჰოლმის 1967 წ. კონფერენციები.

სტოკჰოლმის კონფერენციის რედაქციით მიღებული პარიზის კონვენციის მონაწილეა მისი წევრი ქვეყნების უმეტესობა. 2001 წ. 1 იანვრისათვის პარიზის კავშირში შედიოდა 145 ქვეყანა. სამრეწველო საკუთრების შესახებ ინფორმაციას ჩვენს ქვეყანაში აქვეყნებს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“.

ტერმინი „სამრეწველო საკუთრება“ ფართოდ დამკვიდრდა მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში (მ.შ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში). „სამრეწველო საკუთრება“ გამოიყენება განსაკუთრებულ უფლებათა აღსანიშნავად შემოქმედებითი ხასიათის იდეების, განმასხვავებელი თვისებების მქონე ნიშნებისა და აღნიშვნების სფეროში. სამრეწველო საკუთრება არის უფლება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს არამატერიალური ქონებრივი სიკეთის, ანუ უსხეულო (res incorporales), ან სხეულებრივი ნივთების (res corporales) მიმართ.

მაგალითად, შეიძლება კონკრეტულმა სახელმწიფომ თავისი შეხედულებისამებრ თვითონ გადაწყვიტოს - განეკუთვნება თუ არა მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვა „სამრეწველო საკუთრებას“. სასელექციო მიღწევა საქართველოში სამრეწველო საკუთრების ობიექტია.

12.5.3 სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია

პარიზის კონვენციის მიხედვით სამრეწველო საკუთრების ობიექტებია: პატენტი გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები, მოპასახურების ნიშნები, საფირმო სახელწოდება, წარმოშობის ადგილის აღნიშვნა (მონიშნება), აგრეთვე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა. „სამრეწველო საკუთრება", გარდა მრეწველობისა და ვაჭრობისა, ვრცელდება სოფლის მეურნეობაზე, საძთო მრეწველობასა და სამრეწველო წესით დამზადებულ, ან ბუნებრივი წარმოშობის ყველა სახის პროდუქტზე. განმარტება არ ვრცელდება მედიცინაზე. 1999 წელს მიღებული კანონი მკურნალობისა და დიაგნოსტიკის ხერხებზე პატენტის გაცემას აღარ ითვალისწინებს.

პარიზის კონვენციით, პატენტების რიცხვში დასახელებულია შემოტანილი პატენტიც. საქართველოს საპატენტო კანონით, იგი გაიცემა უცხო ქვეყანაში მოქმედი პატენტის საფუძველზე. პატენტის ეს ნაირსახეობა შემოღებულია უცხოეთიდან ინვესტიციების მოზიდვის წასახალისებლად.

პატენტი უნდა განიმარტოს, როგორც სამრეწ-ველო განხორციელებადობის მქონე გამოგონების განსაკუთ-რებული უფლება.

სასარგებლო მოდელი განიხილება, როგორც „მცირე პატენტი". მასზე განსაკუთრებული უფლება დაცულია უფრო ნაკლები ვადით, ვიდრე გამოგონების პატენტზე.

სამრეწველო ნიმუში უნდა გამოხატავდეს ნივთის გარეგან სახეს. ასეთი ნივთის აეტორს (მფლობელს) ენიჭება განსაკუთრებული უფლება მის წარმოებასა და გამოყენებაზე.

სასაქონლო ნიშანი განიმარტება, როგორც სპეციალური აღნიშვნა, ერთი საწარმოს პროდუქციის განსასხვავებლად სხვა საწარმოს პროდუქციისაგან. მის მფლობელს ენიჭება განსაკუთრებული უფლება ნიშნის, ან მისი ვარიანტების

გამოყენებაზე ერთგვაროვანი ან მსგავსი პროდუქციისათვის. საქონლო ნიშნის მფლობელი, გამოიგონებისაგან განსხვავებით, ვერ იქნება მის მიერ რეგისტრირებული აღნიშვნის, მაგალითად, სიტყვის, აბსოლუტური მესაკუთრე.

მომსახურების ნიშანი ორი სხვადასხვა საწარმოს მომსახურების განსასხვავებლადაა განკუთვნილი. პარიზის კონვენციის ეს ნორმა მოქმედი ნორმაა და მასზე დაყრდნობით ყველას შეუძლია კონვენციის წევრ ქვეყანაში მოითხოვოს მომსახურების ნიშნის დაცვა. თუ ქვეყანას არა აქვს მიღებული სპეციალური კანონი, მას ვერ დააყალდებულებენ რეგისტრაციაში გაატაროს მომსახურების ნიშნები. აბეაბად სულ უფრო ნაკლებია იმ ქვეყანათა რიცხვი, რომლებსაც არა აქვთ მოქმედი სპეციალური კანონი მომსახურების ნიშნების დაცვის შესახებ.

საქონლის წარმოშობის აღნიშვნა მოიცავს ნებისმიერ სახელწოდებას, მითითებას, ან აღნიშვნას (ნიშანს, სიმბოლოს), რაც მიუთითებს ქვეყანაზე ან ქვეყნის სხვადასხვა ადგილზე იმ მიზნით, რომ მომხმარებელს აუწყოს საქონლის წარმოშობის კავშირი ამ ქვეყანასთან, ან იქაურობასთან. მაგალითად, „ნაწარმოებია საქართველოში", „ქართული ღვინო", ან უბრალოდ, „ჩინეთი", „ჰოლივუდი", „პარიზი", ან „იმერული ყველი", „აჭარული ხაჭაპური" და სხვ.

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება კი უფრო ვიწრო შინაარსისაა. იგი აუცილებლად გულისხმობს მოცემული ქვეყნის კონკრეტული ადგილის გეოგრაფიულ-კლიმატურ და ადამიანურ ფაქტორებთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ თვისებებს, რასაც იგივე სახის საქონელი ვერ შეიძენს, თუ სხვა ადგილზე იქნა ნაწარმოები. პარიზის კონვენცია ითვალისწინებს, აგრეთვე, საქონლის დაყადაღების მოთხოვნასაც.

არსებობს ერიოვნული ტრადიციებით წარმოებული პროდუქტები, რომლებსაც საკუთარი სახელი გააჩნიათ; იგი საშუალებას იძლევა კონკრეტული პროდუქციის წარმოშობა დაყაკაკშიროთ ამა თუ იმ ქვეყანასთან. მაგალითად, „ჩურჩხელა" ან „სულუგუნი" ისეთი აღნიშვნებია, რომლებიც მიანიშნებენ მათ ქართული წარმოშობაზე.

პარიზის კონვენციის თანახმად, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია ნებისმიერი ისეთი ქმედობის ჩადენაა, რომელიც ეწინააღმდეგება (ან უპირისპირდება) კომერციულ ან სამეწარმეო საქმიანობით დაკავდრებული პატიოსან ჩვეულებს.

პარიზის კონვენციით უნდა აიკრძალოს ქმედობები:

რომლებიც იწვევენ კონკურენტების ნაწარმის, საქონლის ან სამეწარმეო, ან კომერციული საქმიანობის აღრევას;

რომლებიც შეიცავენ მოტყუებითი ხასიათის განცხადებებს. ამათ შეიძლება გამოიწვიონ კონკურენტის სახელისა და საქმიანობის დისკრედიტაცია, ჩირქი მოსცხონ მისი ნაწარმის თვისებებს და რეპუტაციას და სხვ;

რომლებიც შეიცავენ შეცდომაში შემყვან მითითებებს, ან განცხადებებს საქონლის წარმოების ტექნოლოგიის შესახებ, მახასიათებლების შესახებ და ა.შ.

პარიზის კონვენციის თანახმად, საფირმო სახელწოდება დაცულია მესამე პირის არაკეთილსინდისიერი ქმედობებისაგან, რაც შეიძლება მოგვევლინოს იგივე სახელწოდების ან მისი მიმსგავსების გამოყენებით. საფირმო სახელწოდების დაცვაზე, როგორც სხვა ობიექტებზე, ვრცელდება კონვენციით დადგენილი ეროვნული რეჟიმის პირობები.

ეროვნული რეჟიმის პრინციპი, პარიზის კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების თანახმად, უარყოფს დისკრიმინაციას. კონვენციის მონაწილე ქვეყნებმა იკისრეს ვალდებულებები სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით კონვენციით გაერთიანებულ სახელმწიფოთა მოქალაქეებს მისცენ ისეთივე უფლებები, რაც გააჩნიათ საკუთარ მოქალაქეებს. ეს პრინციპი ვრცელდება პარიზის კავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეებზეც, თუ მათ გააჩნიათ საცხოვრებელი ადგილი, ან „ნამდვილი სამეწარმეო, ან სავაჭრო საწარმო“ მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ პრინციპის განხორციელებითაა შესაძლებელი სამრეწველო საკუთრებაზე ადეკვატური უფლებების მოპოვება საზღვარგარეთ.

ეროვნული რეჟიმი გამოიყენება კონვენციის მონაწილე ქვეყნების მოქალაქეთათვის. ტერმინი „მოქალაქე“ მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს.

საკუთარ ქვეყანაში, საშრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით, მოქალაქეს არ მოეთხოვება აუცილებლად გააჩნდეს მოქმედი საწარმო ან შუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ქვეყნის ტერიტორიაზე აქა თუმ ადგილზე ჩვეულებრივად ცხოვრება საკმარისია „საცხოვრებელი ადგილის“ რეკვიზიტის დასაკმაყოფილებლად. ამასთან, მოცემულ ადგილზე იურიდიული გაფორმება სრულიადაც არ არის აუცილებელი.

„ნამდვილი საშეწარმეო, ან სავაჭრო საწარმო“ ნიშნავს: პირს გააჩნია ასეთი საწარმო და ახორციელებს საშეწარმეო ან კომერციულ საქმიანობას.

ეროვნული რეჟიმის პრინციპი ვრცელდება ყველა იმ შელავათებზე, რაც გათვალისწინებულია ქვეყნის კანონმდებლობით საკუთარ მოქალაქეთათვის. ეროვნული კანონმდებლობა უნდა იქნეს გამოყენებული კონკენციის მონაწილე სხვა ქვეყნის მოქალაქეთათვის იმ სახით, რა სახითაც გამოიყენება საკუთარი მოქალაქისათვის.

პრიორიტეტის უფლება

პარიზის კონკენციის IV მუხლის თანახმად, სწორად გაფორმებული და საშრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლებების მოსაპოვებლად ერთ-ერთ მონაწილე ქვეყანაში წარდგენილი განაცხადის საფუძველზე განმცხადებელს (ან უფლებამონაცვლეს) უფლება აქვს 6 ან 12 თვის მანძილზე მოითხოვოს გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან საშრეწველო ნიმუშის დაცვა კონვენციის ნებისმიერ პირველ ქვეყანაში მოპოვებული პრიორიტეტის უფლების გამოყენებით. ამასთან, სხვა ქვეყნებში განაცხადები განიხილება იმავე თარიღით, რა თარიღიც გააჩნდა პირველად მოწოდებულ განაცხადს.

პრიორიტეტის უფლების მაგალითი: საქართველოს საპატენტო უწყებაში სწორად გაფორმებული განაცხადი შეტანილი იქნა 1999 წ. 3 იანვარს. ქარხაველმა განმცხადებელმა იგივე გამოგონებაზე განაცხადი მიაწოდა ავსტრალიის საპატენტო უწყებას 2000 წ. 2 იანვარს. მისთვის უცნობი იყო, რომ იგივე გამოგონებაზე ავსტრალიაში მიწოდებული იქნა ადგილობრივი

განაცხადი - 1999 წ. 4 იანვარს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა განმცხადებელმა ავსტრალიის საპატენტო უწყებას განაცხადი ადგილობრივთან შედარებით თითქმის 1 წლის დაგვიანებით მიაწოდა, პატენტს მაინც ქართველი განმცხადებელი მიიღებს. ამის შესაძლებლობას მას „საქპატენტში" შეტანილი განაცხადის პრიორიტეტი - 1999 წ. 3 იანვარი აძლევს, რომელიც უფრო ადრინდელია, ვიდრე ავსტრალიელის მიერ განაცხადის შეტანის თარიღი - 1999 წ. 4 იანვარი.

პრიორიტეტის უფლების მოთხოვნის 6-თვიანი ვადა ერცელდება საერეწველო ნიმუშებსა და სასაქონლო ნიშნებზე, ხოლო 12-თვიანი - გამოგონებებსა და სასარგებლო მოდელებზე.

„სწორად გაფორმებული განაცხადის" ქვეშ იგულისხმება: განაცხადი ისე უნდა იყოს გაფორმებული, რომ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის შედეგად მას დაუდგინდეს განაცხადის შეტანის თარიღი პირველი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

საკონვენციო პრიორიტეტის უფლებით შეიძლება ისარგებლოს ნებისმიერმა პირმა, რომელზეც ვრცელდება ეროვნული რეჟიმის პრინციპი. ამასთან, ეს უფლება შეიძლება გადაეცეს სხვა პირს ისე, რომ იმავდროულად არ გადაეცეს მას თავად „პირველი განაცხადი". განმცხადებელს შეუძლია პრიორიტეტით სარგებლობის უფლება მრავალ პირს დაუთმოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოსაყენებლად.

პარიზის კონვენციის დაფუძნების ერთ-ერთი მიზეზი იყო გამოფენაზე წარმოდგენილი საერეწველო საკუთრების შემცველი ექსპონატების დაცვის საჭიროება. ეს დებულება 1883 წლიდანვე მოქმედებს. ქვეყნებს უფლება აქვთ დაადგინონ, რომ ექსპონირება არ აბათილებს გამოგონების სიახლეს. ამასთან, ექსპონირებული ობიექტის უნებართვოდ გამოყენება აკრძალულია.

ექსპონატის მფლობელს შეიძლება დაუწესდეს პირველი მოსარგებლის უფლება, რაც დაუპირისპირდება მესამე პირთა შესაძლო უფლებებს. საქართველოს საპატენტო კანონის 30-ე მუხლით დაწესდა საგამოფენო პრიორიტეტით სარგებლობის

უფლება. მისი გამოყენება დაშეებულია ობიექტის ექსპონირების დღიდან 6 თვის განმავლობაში.

1928 წლის 22 ნოემბრის პარიზის კონვენციით, გამოფენა ოფიციალურადაა მიჩნეული, თუ იგი ასეთად მიიჩნია სახელმწიფომ ან საჯარო ხელისუფლების სხვა ორგანომ. დროებითი დაცვის უფლებით სარგებლობისათვის გამოფენა საერთაშორისო უნდა იყოს.

პარიზის კონვენციის IVbis მუხლით განსაზღვრულია პატენტების დამოუკიდებლობის პრინციპი, ხოლო VI მუხლით - ნიშნებისათვის. ამ პრინციპის თანახმად, უფლებების გაფორმებისას და დამცავი დოკუმენტების ძალაში შენარჩუნებისას გამოიყენება მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობა. თუ ერთმა ქვეყანამ უარი თქვა პატენტის გაცემაზე, ან ნიშნის რეგისტრაციაზე, ეს არ ავალდებულებს სხვა მონაწილე ქვეყანას იგივე გადაწყვეტილება მიიღოს. ამდენად, სხვადასხვა ქვეყანაში ერთ გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა ან სამრეწველო ნიმუშზე გაცემული პატენტები ისევე, როგორც რეგისტრირებული ნიშნები, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელნი არიან.

არ შეიძლება გაბათილდეს პატენტი ან ნიშნის რეგისტრაცია სხვა ქვეყანაში გაბათილების გამო.

1934 წლის კონფერენციაზე დაფიქსირდა გამომგონებლის უფლება - მოითხოვოს მისი სახელის მითითება პატენტში. ეს წესი ეფუძნება ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს: **პირადი არაქონებრივი უფლებები, კერძოდ, აუტორობისა და სახელის უფლება, განუსხვისებელი უფლებებია და ქონებრივი უფლებების გადაცემა პირადი არაქონებრივი უფლებების გადაცემას ვერ გამოიწვევს.**

გამომგონებელს, მწერალს, კომპოზიტორს უფლება აქვს მოითხოვოს მის სახელთან დაკავშირებული ყველა უფლების გამოყენება.

ბერნის კონვენციის ანალოგიურად, პარიზის კონვენცია უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ გამომგონებელი ანონიმად დარჩეს. ეს კი მის სურვილზეა დამოკიდებული.

სახელის მოხსენიების უფლება ვრცელდება სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზეც.

თუ პატენტი არ გამოიყენება, ან არასაკმარისად გამოიყენება, შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს უფლება აქვს დააწესოს ლიცენზიის იძულებითი გაცემის რეჟიმი - განაცხადის მიწოდებიდან არაუგვიანეს 4 წლისა, ან პატენტის გაცემიდან 3 წლისა. ამასთან, პატენტმფლობელს უნდა მიეცეს კონივრული გასამრჯელო. ასეთი წესით გაცემული იძულებითი ლიცენზია არ შეიძლება იყოს განსაკუთრებული. დაუშვებელია ლიცენზიატის მიერ მისი გადაცემა ან სუბლიცენზიის გაცემა. კონვენცია ერთ გამონაკლისს უშვებს: იძულებითი ლიცენზია შეიძლება იქნეს გადაცემული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაცემა ხდება საწარმოსთან, ან მოდელთან ერთად.

პარიზის კონვენცია ითვალისწინებს, აგრეთვე, საპატენტო უფლებებით სარგებლობის პრინციპს საერთაშორისო ტრანსპორტზე, ნიშნების გამოყენების, გადაცემისა და დაცვის პრინციპებს; გათვალისწინებულია, აგრეთვე, ფალსიფიცირებული პროდუქციის დაყადაღების პრინციპი ქვეყნის საზღვარზე ან ტერიტორიაზე და ა.შ.

განყოფილება IV.

12.6 ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია

ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვა საერთაშორისო დონეზე გასული საუკუნიდან იკრებს ძალას ორმხრივი სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე. ბერნის კონვენციის მიღებას წინ უსწრებდა 1878 წელს ფრანგი მწერლების ასოციაციის მიერ ჩატარებული კონგრესი, რომელსაც ვიქტორ ჰიუგო თავმჯდომარეობდა. შეიქმნა მწერალთა საერთაშორისო ასოციაცია. ამ ასოციაციამ 1882 წელს რომში და 1883 წელს ბერნში მოიწვია კონგრესები, სადაც გადაწყდა საერთაშორისო დაცვისადმი გამიზნული კავშირის დაარსება.

ავტორთა უფლებების საერთაშორისო დაცვის აუცილებლობამ 1886 წლის 9 სექტემბერს სპეციალური მრავალმხრივი ხელშეკრულების - ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ბერნის კონვენციის მიღება განაპირობა.

საშრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციასთან ერთად, ეს კონვენცია ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დაცვის ფუძემდებლურ ხელშეკრულებას წარმოადგენს და წარმატებით ფუნქციონირებს. კონვენცია ღია ხელშეკრულებაა. საავტორო სამართალი, როგორც ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადია, რადგან მასზე დიდ გავლენას ახდენს ახალი ტექნიკური მიღწევების გამოჩენა და მათი გამოყენება, საჭირო ხდება ახალი კონვენციებისა და პრინციპების შემუშავება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. შესაბამისად, საჭირო ხდება ეროვნული თუ საერთაშორისო ნორმების გადახედვა და ახალი წესების ჩამოყალიბება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბერნის კონვენცია გადასინჯული იქნა არაერთხელ. ცნობილია ბერნის კონვენციის 1908 წლის ბერლინის, 1914 წლის ბერნის, 1928 წლის რომის, 1948 წლის ბრიუსელის, 1967 წ. სტოკჰოლმისა და 1971 წლის პარიზის რევიზიები, რომელთა შედეგადაც იქმნებოდა კონვენციის ახალი რედაქციები.

ბერნის კონვენციისადმი მიერთების ან რატიფიცირების აქტი უნდა ჩაბარდეს ᲝᲡᲛᲝ-ს გენერალურ დირექტორს. 2000 წელს ბერნის კონვენციის მონაწილე ქვეყანათა რიცხვი 120-ს აღემატებოდა. საქართველო ბერნის კონვენციის პარიზის რედაქციას მიუერთდა 1995 წლის მაისში.

მონაწილე ქვეყნების მიერ შექმნილია ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის საერთაშორისო კავშირი. ბერნის კონვენცია ეყრდნობა ეროვნული რეჟიმის, ავტომატური დაცვისა და დაცვის დამოუკიდებლობის ძირითად პრინციპებს.

ეროვნული რეჟიმის პრინციპის თანახმად, ნაწარმოების ავტორები ან მათი წარმომადგენლები სხვა მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე ისეთივე დაცვით უნდა სარგებლობდნენ, როგორც

ამ სხვა ქვეყნის მოქალაქესი საკუთარ ქვეყანაში. ეს პრინციპი პარიზის კონვენციის ეროვნული რეჟიმის ანალოგიურია.

აუტომატური დაცვის პრინციპის თანახმად, ეროვნული რეჟიმის განხორციელება არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე ფორმალობების შესრულებაზე, როგორც ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში, ასევე სხვა მონაწილე ქვეყანაში.

დაცვის დამოუკიდებლობის პრინციპის თანახმად, ბერნის კონვენციის მონაწილე ქვეყანაში ნაწარმოების დაცვა დამოკიდებული არ არის წარმოშობის ქვეყანაში იმაყე ნაწარმოების დაცვაზე. აქ ერთი გამონაკლისია გასათვალისწინებელი: თუ ქვეყანა დაცვის ხანგრძლივობას ითვალისწინებს ბერნის კონვენციით დადგენილ მინიმალურ ვადაზე მეტს, ხოლო ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში საავტორო უფლებათა მოქმედების ვადა უფრო ადრე იწურება, მაშინ მოცემული ქვეყნის კანონმდებლობამ უნდა გათვალისწინოს საავტორო უფლებათა დაცვის ამოწურვა წარმოშობის ქვეყანაში ამ ვადის გასვლასთან ერთად, ანუ დაცვის ხანგრძლივობა გაუთანაბროს ნაწარმოების წარმოშობის ვადას.

ბერნის კონვენციის თანახმად, მონაწილე ქვეყნები ვალდებულნი არიან დაიცვან ორიგინალური ხასიათის ლიტერატურული, მეცნიერული და მხატვრული ნაწარმოებები მათი დანიშნულების, ავკარგიანობისა და გამოხატვის ფორმის მიუხედავად. კონვენციის თანახმად, გადამუშავებული ნაწარმოები ისეთივე დაცვის უფლებით სარგებლობს, როგორი დაცვაც ორიგინალურ ნაწარმოებს აქვს მინიჭებული. გადამუშავებულს განეკუთვნება არსებული ნაწარმოების საფუძველზე შექმნილი თარგმანი, ადაპტაცია, მუსიკალური არანჟირება და სხვა ნაწარმოებები. ბერნის კონვენცია ეროვნულ კანონმდებლობას ანდობს ისეთი ნაწარმოებების დაცვის საკითხის გადაწყვეტას, როგორიცაა: კანონი, სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული და სხვა ნორმატიული ხასიათის დოკუმენტი, გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები, ლექცია, ქადაგება, საჯაროდ გამოთქმული სიტყვები და სხვა, აგრეთვე ფოლკლორული (ხალხური) ნაწარმოები.

კონვენცია ითვალისწინებს ფოლკლორული ნაწარმოების დაცვას მაშინაც, როდესაც ავტორის ვინაობა უცნობია, მაგრამ

არსებობს საფუძველი ყარაუდისა, რომ ავტორი მოცემული ქვეყნის მოქალაქეა. ეროვნულმა კანონმა უნდა დაასახელოს ის კომპეტენტური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს უცნობი ავტორის წარმომადგენლობას საავტორო უფლებების დაცვის მიზნით. ბერნის კონვენციის ამ ნორმის გამოყენებით შესაძლებელია ფოლკლორული ნაწარმოების დაცვის განხორციელება.

ბერნის კონვენციამ დააწესა ავტორთა განსაკუთრებული (ქონებრივი) უფლებები და მორალური (პირადი არაქონებრივი) უფლებების დაცვა. მათგან პირველი მოიცავს თარგმანის უფლებას, ლიტერატურული ნაწარმოების საჯარო დეკლამირების უფლებას, საჯაროდ გასაცნობად ნაწარმოების გადაცემის უფლებას, ეთერში გადაცემის უფლებას, კვლავწარმოების უფლებას, ნაწარმოების აუდიოვიზუალური გამოყენების უფლებასა და ასეთი აუდიოვიზუალური ნაწარმოების კვლავწარმოების, გავრცელების, საჯარო შესრულების უფლებას.

კონვენციის 6bis მუხლის თანახმად მორალური უფლებების დაცვა ავტორის ქონებრივ უფლებებზე დამოკიდებული არ არის. ავტორს შეუძლია მოითხოვოს ავტორობის უფლების დაცვა და წინ აღუდგეს ნაწარმოებში ნებისმიერი ცვლილების შეტანას, ან დამახინჯებას, ნაწარმოების შინაარსზე ან ფორმაზე ისეთ ზეგავლენას, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ავტორის რეპუტაციას.

კონვენციის მიხედვით, უფლებათა მფლობელი შეიძლება იყოს ავტორი ან მისი უფლებამონაცვლე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორის დეფინიციას კონვენცია არ იძლევა.

ავტორად იგულისხმება ნაწარმოებზე მითითებული პირი (ავტორობის პრეზუმფცია - juris tantum). კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლებათა სუბიექტი შეიძლება განისაზღვროს შესაბამისი ქვეყნის კანონით.

საავტორო უფლებათა დაცვას ახორციელებენ ნაწარმოებია ავტორები, თუ ისინი კონვენციის მონაწილე ქვეყნის მოქალაქენი ან რეზიდენტები არიან (მოქალაქეობის პრინციპი). თუ ავტორს არცერთი არ გააჩნია, მაშინ ნაწარმოები პირველად უნდა

გამოქვეყნდეს რომელიმე მონაწილე ქვეყანაში (ტერიტორიული პრინციპი).

აშდაგვარად, კონვენციის მიხედვით, საავტორო უფლებათა დაცვით შეიძლება ისარგებლოს:

ა) კონვენციის მონაწილე ქვეყნის მოქალაქემ;

ბ) სხვა ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მონაწილე ქვეყანაში საცხოვრებელი ადგილი აქვს;

გ) მოქალაქეობის არმქონე პირმა (აპოლიდი, აპატრიდი), რომელსაც მონაწილე ქვეყანაში საცხოვრებელი ადგილი გააჩნია;

დ) სხვა ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მონაწილე ქვეყანაში საცხოვრებელი ადგილი არ აქვს, მაგრამ მისი ნაწარმოები მონაწილე ქვეყანაში გამოქვეყნდა პირველად.

რას შეადგენს საავტორო უფლებათა დაცვის ხანგრძლივობა?

ბერნის კონვენციის თანახმად, საავტორო განსაკუთრებული უფლებები უნდა მოქმედებდეს 50 წლის განმავლობაში post mortem autoris - ავტორის გარდაცვალების შემდეგ. თუ ნაწარმოების ავტორი ანონიმურია, ან ავტორის სახელის მაგივრად ნაწარმოებზე ფსევდონიმია მინიშნებული, რომელიც საზოგადოებისათვის ამოუცნობია, მაშინ საავტორო უფლებები მოქმედებს 50 წლის განმავლობაში - ნაწარმოების საზოგადოებისათვის საჯაროდ ხელმისაწვდომად გახდომის შემდეგ. თუ აღნიშნული ავტორი თავის სახელს გააცხადებს, მაშინ ავტორობის დაცვის უფლების ვადა ზოგადი პრინციპის თანახმად განისაზღვრება.

აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებები მოქმედებს 50 წლის განმავლობაში მათი საჯაროდ ხელმისაწვდომად გახდომის მომენტიდან.

გამოყენებითი ხელოვნების და ფოტოგრაფიულ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა მოქმედების ვადა 25 წლით განისაზღვრება - ნაწარმოების შექმნის მომენტიდან. თარგმანის უფლება დაცულია 10 წლით რომელიმე მონაწილე ქვეყანაში ორიგინალური ნაწარმოების გამოქვეყნების დღიდან.

პარიზის 1971 წლის რევიზიის შემდეგ, ბერნის კონვენცია განყოფილებადი ქვეყნებისათვის შეიცავს ზოგიერთ შეღავათს. ასე, მაგალითად, მათ შეუძლიათ თარგმანთან და კულავწარმოებასთან დაკავშირებით დაიცვან საავტორო უფლებათა დაცვის მინიმალური ნორმები და დააწესონ გამონაკლისები - იძულებითი ლიცენზიის ჩათვლით.

რა ცვლილებები განიცადა ბერნის კონვენციამ დღემდე?

1908 წელს ჩატარდა ბერლინის რევიზია, რომლის შედეგად კონვენცია გამდიდრდა დღემდე ძალაში არსებული ფუძემდებლური პრინციპებით. კერძოდ, დაცვის ობიექტებად დამატებით აღიარებული იქნა პანტომიმისა და ქორეოგრაფიის, კინემატოგრაფიის, არქიტექტურის, ფოტოგრაფიისა და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები. საავტორო უფლებათა დაცვა გათავისუფლდა რაიმე ფორმალობების შესრულებისაგან. აღიარებული იქნა დაცვის დამოუკიდებლობის რეჟიმი. ეს დებულება არ გავრცელდა საავტორო უფლებათა მოქმედების ხანგრძლივობაზე. ამგვარად, ნაწარმოების დაცვა მთლიანად დაექვემდებარა ეროვნულ კანონმდებლობას. მთარგმნელის საავტორო უფლებები აღიარებული იქნა ორიგინალური ნაწარმოებისგან დამოუკიდებელ უფლებებად. ამასთან, მთარგმნელი ვალდებული გახდა ორიგინალური ნაწარმოების აუტორისაგან ნებართვა აეღო თარგმანზე. საავტორო უფლებათა დაცვის ხანგრძლივობა განისაზღვრა 50 წლით post mortem autoris.

1914 წელს ბერნში მიღებული იქნა კონვენციის დამატებითი პროტოკოლი. მის თანახმად, საავტორო უფლებათა დაცვა გავრცელდა იმ ავტორებზე, რომლებიც არ იყვნენ კონვენციის მონაწილე ქვეყნების მოქალაქენი.

ამავე წელს მიღებული „რეპრესალიის პრინციპის" შესაბამისად, მონაწილე ქვეყანას ნება დაერთო უფლება შეეზღუდა ისეთი ავტორისათვის, რომელსაც მოცემულ ქვეყანაში არც მოქალაქეობა და არც საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნდა.

1928 წელს რომის კონფერენციაზე შეძლებული იქნა ავტორთა უფლებების დაცვა მათი ნაწარმოებების რადიოთი ტრანსლირების დროს. ამგვარად, დაცვის ობიექტებს მიემატა ზეპირი ნაწარმოებებიც.

კონფერენციაზე აღიარებული იქნა პირადი არაქონებრივი (მორალური) უფლებების დაცვა. ანგლო-ამერიკული სამართალი ამ უფლებებს არ იცავდა, რაც არასწორად მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, მორალური უფლებების დაცვის აღიარება ბერნის კონვენციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევათაგანია.

რომის კონფერენციაზე მონაწილე ქვეყნებს მიეცათ იძულებითი ლიცენზიის გაცემის დაწესების უფლება.

1948 წელს ბრიუსელის კონფერენციაზე დაწესდა აუცილებლობა, ნაწარმოები დაცული იყოს არანაკლები 50 წლით.

გარდა ამისა:

1. ავტორს მიეცა შესაძლებლობა ეროვნული რეჟიმით ისარგებლოს კონვენციის მონაწილე ქვეყანაში, თუკი მისი ნაწარმოები პირველად საკუთარ ქვეყანაში გამოქვეყნდებოდა (რომელიც კონვენციის მონაწილე ქვეყანა უნდა იყოს);

2. კონვენციის მონაწილე ქვეყნის ავტორს ამ ქვეყნის ავტორებისათვის დადგენილი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცა კონვენციაზე მითითების გარეშე;

3. კონვენციაში არმონაწილე ქვეყნის ავტორის ნაწარმოები თუ რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე გამოქვეყნდა, ამ (გამოქვეყნების) ქვეყანაში ადგილობრივი ავტორებისათვის დადგენილი ყველა უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცა, ხოლო სხვა მონაწილე ქვეყანაში - კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა.

ბრიუსელში დაზუსტდა, რომ ნაწარმოების გამოცემად ჩაითვლება, თუ ეგზემპლარები ხელმისაწვდომია ყველასათვის.

კონფერენციაზე ერთი მნიშვნელოვანი სიახლე droit de suite პრინციპის დამკვიდრებაა. ქართულად ეს პრინციპი „ნაწარმოების თან მიდევნების" პრინციპად შეიძლება გადმოიცეს: ავტორს უფლება აქვს მიიღოს წილობრივი მონაწილეობა ამ ნაწარმოების პირველად

გაყიდვის შემდეგ ხელახალი გაყიდვის შემთხვევაში. ასეთი წესის არსებობის საჭიროება აქტუალურია იმისამადაც, როდესაც გამოჩენილი მხატვართა თუ სხვა ავტორთა ნაწარმოებები ხშირად ათეულობით მილიონ აშშ-ის დოლარად იყიდება. არ იქნებოდა საშართლიანი, რომ ავტორმა ან მისმა ოჯახმა გარკვეული სარგებელი არა ნახონ ნაწარმოების ამგვარი გაყიდვის შედეგად. უფლება მონაცვლეს ამ უფლებით სარგებლობა ძალუძს მხოლოდ ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

კონვენციის ბრიუსელის რედაქციით დაშვებული იქნა, ცალკეულ შემთხვევებში ნაწარმოების გამოყენება ავტორის თანხმობის გარეშე, რასაც „ნაწარმოების თავისუფლად გამოყენების პრინციპს" უწოდებენ.

„თან მიდევნების პრინციპითა" და „ნაწარმოების თავისუფლად გამოყენების პრინციპით" დაწესებული უფლებების გამოყენება შესაძლებელია, თუ ამას ეროვნული კანონმდებლობა გაითვალისწინებს.

ბერნის კონვენცია სიახლეებით გამოირჩეოდა 1967 წლის სტოკ-ჰოლმის დიპლომატიური კონფერენციის მიხედვით. გამოქვეყნებული ნაწარმოების დაცვის ტერიტორიალურ პრინციპს დაემატა „მოქალაქეობის პრინციპი". მის თანახმად, ავტორს მიეცა საავტორო უფლებათა დაცვის შესაძლებლობა, თუ მას გააჩნია კონვენციის მონაწილე ქვეყნის მოქალაქეობა, განურჩევლად იმისა, რომელ ქვეყანაში გამოქვეყნდა ნაწარმოები. ამით ავტორებმა მიიღეს საკუთარი ნაწარმოებების კონვენციაში არ მონაწილე ქვეყანაში გამოქვეყნების უფლება ისე, რომ არ დაეკარგათ საავტორო უფლებათა jure conventionis დაცვის შესაძლებლობა.

გარდა ამისა, კონვენციაში არ მონაწილე ქვეყნების მოქალაქე-ავტორებმა მიიღეს ბერნის კონვენციის სივრცეში საავტორო უფლებათა დაცვის შესაძლებლობა, თუ მათი ნაწარმოები პირველად კონვენციის მონაწილე ქვეყანაში გამოქვეყნდება, ან წარმოშობის ქვეყანაში გამოქვეყნებასთან ერთდროულად გამოქვეყნდებოდა. ავტორი კონვენციის სხვა მონაწილე ქვეყანაშიც ეროვნული რეჟიმით ისარგებლებს. ამასთან, ავტორს არ სჭირდება

უშუალოდ კონვენციაზე მითითება, ანუ ეროვნული რეჟიმით სარგებლობისათვის jure conventionis გამოყენება აღარ მოეთხოვება.

ნაწარმოების წარმოშობის ქვეყნად იგულისხმება, სადაც ნაწარმოები პირველად გამოქვეყნდა. თუ ნაწარმოები ერთდროულად სხვადასხვა ქვეყანაში გამოქვეყნდა, მაშინ წარმოშობის ქვეყანა ის არის, რომლის კანონმდებლობაც ითვალისწინებს ნაწარმოების დაცვის უმოკლეს ვადას.

სტოკჰოლმის კონფერენციის გადაწყვეტილებით მოიხსნა ქორეოგრაფიული და პანტომიმის ნაწარმოების დაცვისათვის რაიმე მატერიალური ფორმით დაფიქსირების მოთხოვნა. მაგრამ ადგილობრივი კანონმდებლობის გადასაწყვეტი დარჩა ეროვნულ დონეზე ამ გადაწყვეტილების შესრულების მიზანშეწონილობა.

კონფერეციაზე კინემატოგრაფიული ნაწარმოები გათანაბრებული იქნა სატელევიზიო ნაწარმოებთან. აღინიშნა, რომ გამოქვეყნებას ადგილი აქვს მაშინაც, როდესაც ნაწარმოების შეზღუდული რაოდენობა ვრცელდება. კინოფილმის ან აუდიოვიზუალური სხვა ნაწარმოების თუნდაც ერთადერთი ასლის დემონსტრაცია ამ ნაწარმოების გამოქვეყნებად უნდა ჩაითვალოს ავტორთა აზრით.

ბერნის კონვენციის ახალი რედაქციით, უფრო გამოკვეთილად დაფიქსირდა ავტორთა განსაკუთრებული უფლება მათი ნაწარმოებების რეპროდუცირებაზე.

თავისუფლად შეიძლება:

სხვისი ნაწარმოების ფრაგმენტის გამოყენება იმ მოცულობით, რაც საკმარისი იქნება მიზნის მისაღწევად (ციტირების უფლება);

ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების გამოყენება სწავლებისათვის, საილუსტრაციო მასალად. მაგრამ, თუ საავტორო უფლებათა მფლობელი პირდაპირ კრძალავს ნაწარმოების თავისუფლად გამოყენებას, მაშინ ასეთი ქმედება კანონსაწინააღმდეგო იქნება.

კინემატოგრაფიული ნაწარმოების დაცვა გაუთანაბრდა ორიგინალური ნაწარმოების დაცვას. დადგინდა, რომ იგი

დამოუკიდებელ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება. ეროვნული კანონმდებლობის კომპეტენციით განისაზღვრება ნაწარმოების საავტორო უფლებათა სუბიექტი. ამასთან, კინემატოგრაფიული ნაწარმოების ავტორები წინ ვერ აღუდგებიან მათი ნაწარმოების კვლავწარმოებას, გავრცელებას, საჯარო ჩვენებას, შესრულებას, ეთერში გადაცემას, სუბტიტრირებასა და დუბლირებას, თუ აღნიშნული ქმედებები ბერნის კონვენციის სიყრცის ქვეყნებში ხდება. დადგინდა, რომ საავტორო უფლებათა ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წლით - კინემატოგრაფიული ნაწარმოების საჯაროდ ჩვენების დღიდან.

სტოკჰოლმის კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მორალური უფლებები დამოკიდებულია ქონებრივ უფლებებზე. ის გულისხმობს უფლებებს ავტორობაზე, ნაწარმოების დამახინჯების ან სხვაგვარი ცვლილების დაუშვებლობაზე, თუ ასეთი ქმედებებით ავტორის ბატივსა და რეპუტაციას შეიძლება ზიანი მიადგეს. მორალური უფლებების დაცვის ხანგრძლიყობა არ უნდა იყოს ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადაზე ნაკლები.

ნაწარმოების პირველი პუბლიკაციიდან 10 წლის შემდეგ ავტორი კარგავს თარგმანის აკრძალვის უფლებას. გარდა ამისა, ნაწარმოების პირველად გამოქვეყნებიდან 3 წლის გასვლის შემდეგ განყითარებადი ქვეყნის ნებისმიერ პირს უფლება აქვს საკუთარი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოსგან მიიღოს მარტივი ლიცენზია თარგმანზე და მის გამოქვეყნებაზე. იგი იძულებითი ლიცენზიების რიცხვს განეკუთვნება. მის მისაღებად მოქმედებს დადგენილი ტრადიციული წესები. ამასთან, დაცული უნდა იქნეს ავტორის მორალური უფლებები. თარგმანზე უნდა იყოს მითითებული ავტორი და ნაწარმოების ორიგინალური დასახელება. ავტორს შეუძლია ბრუნვიდან ამოიღოს თავისი ნაწარმოები. აქ შემთხვევაში თარგმანის იძულებითი ლიცენზია ვერ გაიცემა. გარდა ამისა, თუ ავტორმა თარგმანის უფლება გამოიყენა ნაწარმოების პირველად გამოქვეყნების დღიდან 10 წლის გასვლამდე ლიცენზიის გაცემით, მაშინ ეს ლიცენზიაც უქმდება.

განვითარებად ქვეყნებს მიეცათ უფლება ნაწარმოების გამოყენებაზე სწავლებისა და კვლევითი საქმიანობისათვის.

დღეისათვის მოქმედებს ბერნის კონვენციის 1971 წლის პარიზის რედაქცია. შეჯერებული იქნა უნივერსალური (ჟენევის) კონვენციის ცალკეული დებულებები ბერნის კონვენციის დებულებებთან. ორივე კონვენციის ტექსტში შევიდა დებულებები განვითარებადი ქვეყნების მიერ იძულებითი ლიცენზიების გაცემის თაობაზე. განვითარებადი ქვეყნები იძულებითი ლიცენზირების რეჟიმის გამოყენების თაობაზე ატყობინებენ იუნესკოს გენერალურ დირექტორს; ამ შეტყობინების დღიდან მოქმედებს 10 წლის განმავლობაში.

ფოლკლორული ნაწარმოების დაცვისათვის სახელდება მოცემული ქვეყნის მოქალაქე - ნაწარმოების ავტორი. ამასთან მიეთითება სახელმწიფო ორგანო, რომელიც უფლებამოსილია დაიცვას უფლებები ფოლკლორულ ნაწარმოებზე კონვენციის მონაწილე ქვეყნებში.

პარიზის კონფერენციაზე მიღებული იქნა ერთდროულად გამოქვეყნების ნორმა. ამის მიხედვით ერთდროულად გამოქვეყნებულად ითვლება ორ ან მეტ ქვეყანაში 30 დღის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაწარმოები.

ქვეყანა, რომელშიც პირველად გამოქვეყნდა ნაწარმოები, ითვლება ნაწარმოების წარმოშობის ქვეყნად. ერთდროული გამოქვეყნების შემთხვევაში, ასეთ ქვეყანას წარმოადგენს ის, რომელიც ითვალისწინებს ნაწარმოების დაცვის უმოკლეს ვადას.

გამოქვეყნებული ნაწარმოების, მ.შ. კონვენციის მონაწილე ქვეყნებს გარეთ გამოქვეყნებული ნაწარმოების შემთხვევაში, წარმოშობის ქვეყნად იგულისხმება ქვეყანა, რომლის მოყალაქეც არის ავტორი. კინემატოგრაფიული ნაწარმოების შემთხვევაში მხედველობაში მიიღება - რომელი ქვეყნის მოქალაქეა ფილმის დამდგმელი, ან რომელ ქვეყანაში აქვს მას შტაბ-ბინა.

ბერნის კონვენციის პარიზის აქტმა დაამუსტა ან უცვლელად დატოვა სხვა ფუძემდებლური დებულებები.

თავი XIII. საოჯახო სამართალი

13.1 კოლიზიური საკითხები საოჯახო სამართალში

სხვადასხვა სახელმწიფოს საოჯახო სამართლის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. პრაქტიკაში ეს იწვევს კოლიზიათა წარმოშობას სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტის დროს, რომლებიც დაკავშირებულია უცხოური ელემენტის სამართალწარმოებასთან. საოჯახო ურთიერთობათა რეგულირებაზე არსებით გავლენას ახდენენ ეროვნული, სოციალურ-ცხოვრებო, რელიგიური თავისებურებები და ტრადიციები. რიგ ქვეყნებში აღიარებულია როგორც საეკლესიო, ისე სამოქალაქო ქორწინება (საქართველო, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი და სხვ.); ზოგიერთ ქვეყანაში ქორწინება შეიძლება მხოლოდ საეკლესიო ფორმით (მაგალითად საბერძნეთში).

რიგი ქვეყნების საოჯახო სამართლისათვის დამახასიათებელია ქმრის ბატონობა; მრავალ ქვეყანაში დღემდე შემორჩენილია ქმრის და ცოლის უთანასწორო მდგომარეობა ოჯახში. ამ სახელმწიფოთა სამოქალაქო კოდექსებმა დაადგინეს ე.წ. საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც იდება ქორწინებამდე. ხელშეკრულება ქმრის უფლებას ამტკიცებს (ამაგრებს) ცოლის ქონებაზე.

სახელმწიფოთა უმრავლესობის კანონმდებლობა აღიარებს ერთ ქორწინებას (ერთცოლიანობას, ერთქმრიანობას), რასაც სხვაგვარად მონოგამია ეწოდება. მაგრამ აზიისა და აფრიკის ცალკეულ ქვეყნებში აღიარებულია მრავალცოლიანობა (პოლიგამია); შემორჩენილია არქაული წესი პატარძლის გამოსყიდვის თაობაზე; დადგენილია ქორწინების უკიდურესი დაბალი ასაკი ქალისათვის. ყოველივე ეს მოწმობს ქალის დისკრიმინაციას საოჯახო სამართალში. რიგი ქვეყნების კანონმდებლობას და პრაქტიკას ახასიათებს რასობრივი შეზღუდულობა; არ არის დაშვებული ქორწინება სხვადასხვა რასის, ან სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანთა შორის.

ცალკეული მაგალითები ცხადყოფენ, რომ სხვადასხვა საოჯახო კანონმდებლობის შემთხვევაში, როცა ქორწინდებიან სხვადასხვა

სახელმწიფოს მოქალაქეები, კოლიზიური საკითხის გადაწყვეტას დიდი ძნიშვნელობა აქვს. დასავლეთის სახელმწიფოებში საოჯახო საქართველოს კოლიზიური ნორმები დიდი სხვადასხვაობით გამოირჩევიან. საქორწინო უფლებაუნარიანობა რიგ ქვეყნებში განისაზღვრება მეუღლეთა პირადი კანონით. განქორწინების შემთხვევაში სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა შორის, რიგ ქვეყნებში, გამოიყენება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეც ქმარია.

ერთ სახელმწიფოში გაფორმებული ქორწინება შეიძლება არ ცნოს სხვა სახელმწიფომ; რიგ ქვეყნებში მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობა განისაზღვრება ქმრის პირადი კანონით. რაც შეეხება კოლიზიურ საკითხთა რეგულირებას, ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი ნორმები შესულია საერთაშორისო კერძო სამართლის ახალ კანონებში (ავსტრიაში, უნგრეთში, თურქეთში, შვეიცარიაში და სხვაგან), სხვა ქვეყნებში კი საოჯახო ან საშოქალაქო კოდექსებში.

უნგრეთის საერთაშორისო კერძო საქართველოს კანონის პარაგრაფ 31-ის თანახმად, ქორწინების ნაშდვილობის რეგულირება ხდება ქორწინებაში მყოფ პირთა „ზოგადი პირადი კანონით". თუ ამ პირთა პირადი კანონები სხვადასხვაა, მაშინ ქორწინება ნაშდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნაშდვილობის პირობები „არსებობენ ორივე მხარის კანონების თანახმად".

უნგრეთში ქორწინების ფორმად გამოიყენება ქორწინების გაფორმების ადგილის საქართველო. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უცხოელთან ჩინელის ქორწინების შემთხვევაში გამოიყენება ქორწინების გაფორმების ადგილის კანონი, ხოლო განქორწინების შემთხვევაში იმ სასამართლოს ადგილსამყოფელის კანონი, რომელმაც განსახილველად მიიღო საქმე (1986 წ. საშოქალაბო სამართლის 147-ე მუხლი).

ქორწინების ხელისშემშლელ გარემოებათა ნუსხა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. პრაქტიკაში ყველაზე ხშირია შემთხვევები უცხოელზე ქორწინების არა სრული აკრძალვის თაობაზე, არამედ უცხოელზე ქორწინების შემთხვევაში ზოგჯერ დგინდება კომპეტენტური ორგანოს მიერ სპეციალური

ნებართვის დაშვების აუცილებლობა. ასე, მაგალითად, უცხოელთან ქორწინების ნებართვა მოეთხოვებათ უნგრეთის, ინდოეთის, ერაყის, იტალიის, ნორვეგიის, რუმინეთის, პოლონეთის, შვეიცარიის და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს.

საკონსულო კონვენციები კონსულის მეშვეობით ახდენენ თავისი ქვეყნის მოქალაქეების ქორწინებითა რეგისტრაციას. კონვენციების უმრავლესობაში (ბულგარეთი, რუმინეთი, გფრ, შვეიცარია და სხვ.) კონსულს აქვს უფლება გაატაროს რეგისტრაციაში ქორწინება, როცა ორივე პირი წარმომადგენელი სახელმწიფოს მოქალაქეებია. მხოლოდ ცალკეულ შეთანხმებებში ეს წესი ფორმულირებულია რამდენადმე განსხვავებით. მაგალითად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან არსებული საკონსულო კონვენციის თანახმად, კონსულს უფლება აქვს ქორწინება გაატაროს რეგისტრაციაში „წარმომადგენელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად და თუ ეს არ ეწინააღმდეგება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობას". კუბასთან და ფინეთთან საკონსულო კონვენციებში მითითებულია, რომ კონსული ახდენს ქორწინების რეგისტრაციას ისეთ შემთხვევებში, როცა იგი უფლებამოსილია ამაზე წარმომადგენელი სახელმწიფოს მიერ და ეს პირობა დაცულია ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობით.

აშშ-თან საკონსულო კონვენციის თანახმად, კონსულებს შეუძლიათ ქორწინების და განქორწინების რეგისტრირება, როდესაც ორივე პირი წარმომადგენელი სახელმწიფოს მოქალაქეებია; ასევე, მიიღონ განცხადებები, რომლებიც ეხება წარმომადგენელი სახელმწიფოს მოქალაქის საოჯახო ურთიერთობას, თუ ეს არ იკრძალება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობით.

თურქეთთან საკონსულო კონვენციის შესაბამისად, კონსული არეგისტრირებს ქორწინებას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ნებადართულ ჩარჩოებში იმ პირობით, რომ უკიდურეს შემთხვევაში მეუღლეებიდან ერთ-ერთი წარმომადგენელი სახელმწიფოს მოქალაქეა.

საბჭოთა მოქალაქემ ლ-მ 1937 წელს თეირანში იქორწინა ირანის ქვეშევრდომზე აშალია პ-ზე. ქორწინება შესრულდა რუსულ

მართლმადიდებელ ეკლესიაში - თეირანში. ქორწინების რელიგიური ფორმა დაშვებული იყო ირანის კანონმდებლობით. 1958 წელს ლ-მ, რომელიც იმ დროს თბილისში ცხოვრობდა, იქორწინა რაისა შ-ზე. 1960 წელს ლ. გარდაიცვალა. მეუკვიდრეობაზე პრეტენზიას აცხადებდა აშალია ბ. მან აღძრა საქმე საქართველოს სასამართლოში ლ-ს მეორე ქორწინების ბათილად ცნობის თაობაზე. საქმე განიხილა სხვადასხვა სასამართლო ინსტანციამ და საბოლოო გადაწყვეტილება მოსარჩელის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი. ამასთან, აღიარებული იქნა საზღვარგარეთ (ირანში) ქორწინების ნამდვილობა მისი შესრულების ადგილის კანონმდებლობის დაცვით.

ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია სახელმწიფო ორგანოში (საოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი).

საოჯახო სამართალში, როდესაც ხდება სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა დაქორწინება, საკოლიზიო საკითხების სწორად გადაწყვეტა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

საქართველოში საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი განსაზღვრავს საოჯახო სამართლის ისეთ საკოლიზიო საკითხებს, როგორიცაა ქორწინების პირობები, ქორწინების შედეგები, ქორწინების შეწყვეტა, რჩენის მოყალეობა, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობები, ბავშვის წარმოშობასთან დაკავშირებული ურთიერთობები, შვილად აყვანის პირობები, მეურვეობა და მზრუნველობა.

საქართველოს კანონმდებლობით არ არსებობს რაიმე აკრძალვა საქართველოს მოქალაქეების დაქორწინებაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან.

44-ე მუხლის I ნაწილის თანახმად ქორწინების პირობები თითოეული დასაქორწინებელი პირისათვის ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება. იგივე წესი მოქმედებს, როდესაც დასაქორწინებელი პირებიდან არცერთი არ არის საქართველოს მოქალაქე, მათ მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს თავიანთი ქვეყნების სამართალი.

44-ე მუხლის II ნაწილი ითვალისწინებს გამონაკლისებს I ნაწილში ჩამოყალიბებული ძირითადი საკოლიზიო პრინციპიდან:

ა) თუ დაქორწინება ხდება საქართველოში და ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეა, რომელიც რელიგიური მოსაზრებით ზღუდავს დაქორწინების თავისუფლებას საქართველოს სამართალთან შედარებით, მაშინ გამოიყენება საქართველოს სამართალი.

ბ) თუ წინა ქორწინება ხელს არ უშლის ხელახალ ქორწინებას, შესაძლებელია საქართველოს სამართლის გამოყენება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლით არ დაიშვება ქორწინება იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთი დაქორწინებულია სხვასთან. მაგრამ არის ისეთი ქვეყნები, სადაც დასაშვებია განმეორებით დაქორწინება. როდესაც საქართველოს მოქალაქეს სურს დაქორწინდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, რომელიც უკვე იმყოფება ქორწინებაში, გამოყენებული უნდა იქნეს არა ამ უცხო ქვეყნის სამართალი, რომელიც დასაშვებად თვლის მეორე ქორწინებას, არამედ საქართველოს სამართალი და, აქედან გამომდინარე, ასეთ პირს უარი უნდა ეთქვას ქორწინებაზე.

გ) თუ წინა ქორწინება საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებით, ან საქართველოში ცნობილი (აღიარებული) გადაწყვეტილებით შეწყვეტილი ან გაბათილებულია. ხელმეორედ დაქორწინების შემთხვევაში პირი ვალდებულია წარმოადგინოს მოწმობა წინა ქორწინების შეწყვეტის თაობაზე ქორწინების რეგისტრაციის დროს, ხოლო თუ ქორწინება სასამართლომ ბათილად ცნო, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად უნდა დადასტურდეს, რომ აღარ არსებობს საფუძველი, რის გამოც ქორწინება გაბათილდა (საქალაქო კოდექსის 1150-ე მუხლი).

დ) თუ დასაქორწინებელი პირის ყოფილი მეუღლე გამოცხადებულია გარდაცვლილად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 320-ე მუხლის II ნაწილის მიხედვით, „სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე გამოცხადებულია გარდაცვლილად, წარმოშობს

საფუძველს იმისათვის, რომ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანომ შეიტანოს ჩანაწერი ამ მოქალაქის გარდაცვალების შესახებ რეგისტრაციის წიგნში“.

ამრიგად, 1124-ე მუხლის II ნაწილით, მეუღლის გარდაცვალების მოწმობაა საჭირო ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ხელმეორედ დაქორწინების დროს.

თუ სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადებული მეუღლე გამოჩნდება, 1135-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, „ქორწინება არ შეიძლება აღდგეს, თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის მეუღლე უკვე დაქორწინებულია სხვა პირზე“.

თითოეული დასაქორწინებელი პირისათვის ქორწინების პირობები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება. თუ ქორწინების ამ პირობებიდან რომელიმე არ არსებობს და ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს, შესაძლებელია საქართველოს სამართლის გამოყენება, თუ არსებობს ზემოთჩამოთვლილი ოთხი გარემოებიდან ერთ-ერთი მაინც.

13.2 ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი. ქორწინების გაფორმება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის თანახმად, მოცემულია ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები. ამ გარემოებათა ჩამონათვალს შეიძლება შეიცავდეს იმ უცხო ქვეყნის სამართალი, რომელსაც დასაქორწინებელი პირი განეკუთვნება.

ქორწინებამდე მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანომ (მომრ-ომ) უნდა შეამოწმოს ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებათა შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 1113-ე მუხლის შესაბამისად, მომრ-ომ უნდა გააფრთხილოს დასაქორწინებელი პირები, რომ ისინი „პასუხისმგებელნი არიან დაქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებათა დაფარვისათვის“.

სამოქალაქო კოდექსის 1110-ე მუხლის თანახმად „საქართველოში უცხოელთა დაქორწინებისათვის აუცილებელია მათი ქვეყნის სათანადო ორგანოების ცნობა, რომ არ არსებობს ამ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები. ეს წესი არ ვრცელდება მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ და იმ სახელმწიფოს მოქალაქეების მიმართ, რომლებიც არ გასცემენ ასეთ ცნობას.

საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირებზე ვრცელდება დაქორწინების იგივე წესები, რაც საქართველოს მოქალაქეებზე.

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 44-ე მუხლის III ნაწილის მიხედვით „ქორწინების ფორმის საკითხი განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც განხორციელდა ქორწინება. თუ დასაქორწინებელი პირთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქე არ არის, ქორწინება საქართველოში შეიძლება განხორციელდეს იმ ქვეყანაში მოქმედი ქორწინების ფორმის შესაბამისად, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება“.

დასკვნები შეიძლება ასეთი გაკეთდეს:

ა) თუ დასაქორწინებელ პირთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქეა და ქორწინება საქართველოში ფორმდება, დაქორწინება უნდა მოხდეს საქართველოს სამართლით განსაზღვრული ფორმის დაცვით;

ბ) თუ დაქორწინება ხდება უცხო ქვეყანაში, მაშინ ქორწინების გაფორმება წარმოებს ამ უცხო ქვეყნის სამართლის მიხედვით, თუგინდ ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი საქართველოს მოქალაქე იყოს;

გ) თუ დასაქორწინებელი პირები უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან, მათი ქორწინება საქართველოში შეიძლება განხორციელდეს ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირის ქვეყნის სამართლის მიხედვით.

ქორწინება წარმოშობს ქალისა და მამაკაცის ურთიერთ პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, თუ ქორწინება შემდგარია კანონით განსაზღვრული წესით.

საქართველოში ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს,

თუ იგი რეგისტრირებულია მოქრო-ში. ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო ქორწინებასთან გვაქვს საქმე. ასეთი ქორწინება მიღებულია გერმანიაში, იაპონიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში და ა.შ.

ქორწინება შეიძლება განხორციელდეს როგორც სამოქალაქო, ისე რელიგიური ფორმით (ინგლისი, იტალია, ესპანეთი და ა.შ.).

რელიგიური ფორმით ხორციელდება ქორწინება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ერაყი, ისრაელი, ირანი და ა.შ.

კანონით შემდგარი ქორწინება წარმოშობს მეუღლეების მიმართ ისეთ უფლებებსა და მოვალეობებს, როგორიცაა გვარის არჩევის უფლება, საოჯახო საკითხების ერთობლივი გადაწყვეტა, საქმიანობის არჩევის თავისუფლება, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა, საერთო საკუთრების უფლება ქონებაზე, რომელიც შეძენილია მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში, თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა ურთიერთ შეთანხმებით, მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, საქორწინო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა და ა.შ.

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 45-ე მუხლის თანახმად, ქორწინების ზოგადი შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს:

ა) რომელსაც ორივე მეუღლე ცალკ-ცალკე განეკუთვნება, ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში განეკუთვნებოდა. სიტყვა „განეკუთვნება" გაგებული უნდა იქნეს, როგორც მოქალაქეობა - მეუღლეები განეკუთვნებიან იმ ქვეყანას, რომლის მოქალაქეებიც არიან.

ბ) სადაც ორივე მეუღლეს ცალკ-ცალკე აქვს, ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

გ) რომელთანაც მეუღლეები ერთობლივად ყველაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. ასეთად შეიძლება მიჩნეული იქნეს ქვეყანა, სადაც მათ გააფორმეს ქორწინება.

ამრიგად, ქორწინების შედეგების მიმართ უპირატესად გამოიყენება მეუღლეთა ერთობლივი „განკუთვნადობა“ (მოქალაქეობა), მაგრამ როცა ასეთი არ გვაქვს, მაშინ გამოიყენება ერთობლივი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის პრინციპი.

ამგვარად, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს მათ მიერ არჩეული ქვეყნის სამართალი (45-ე მუხლის II ნაწილი), მაგრამ ეს მუხლი ზღუდავს მეუღლეთა ნების ავტონომიის გამოყენების ფარგლებს. სამართლის ასარჩევად მეუღლეებმა უნდა მიუთითონ იმ ქვეყნის სამართალზე: 1. რომელსაც ერთ-ერთი მეუღლე განეკუთვნება; 2. სადაც ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი; 3. სადაც უძრავი ქონება იმყოფება. ამ შეზღუდვების ფარგლებს იქით მეუღლეთა ნების ავტონომიას, ანუ მათ მიერ ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის არჩევას იურიდიული ძალმოსილება არ გააჩნია.

ყველა შემთხვევაში სამართლის არჩევა უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით (45-ე მუხლის IV ნაწილი).

13.3 რჩენის მოვალეობა

საერთაშორისო კერძო სამართალი ითვალისწინებს როგორც მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობას, ისე მშობლებისა და შვილების საალიმენტო მოვალეობებს. მეუღლეები მოვალენი არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს (სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლი). ასეთ დახმარებაზე მეუღლეთა შორის შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს წესით სარჩოს ძიების უფლება აქვთ:

ა) შრომის უუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს. იგი სარჩოს მიღების უფლებას ინარჩუნებს განქორწინების შემდეგაც, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე, ან ერთი წლის განმავლობაში - განქორწინების დღიდან (1183-ე მუხლი).

მშობლების, შვილების და ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობებს განსაზღვრავენ სამოქალაქო კოდექსის 1212-ე და

1231-ე მუხლები.სხვადასხვა ქვეყნის საქართლის მიხედვით რჩენის მოვალეობის სუბიექტური წრე, საფუძვლები, მოცულობა და ა.შ. შეიძლება არ იყოს ერთგვაროვანი. რჩენის მოვალეობის საკოლიზიო საკითხებს ეძღვნება საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 48-ე მუხლი. ამ მუხლის I ნაწილი განსაზღვრავს რჩენის მოვალეობის საკოლიზიო საკითხებს პირდაპირი ხაზით ნათესავებს შორის. რჩენის მოვალეობის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც პირს, რომელსაც რჩენა ესაჭიროება, აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. თუ სარჩენ პირს თავისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართლით არ შეუძლია სარჩოს მიღება მარჩენალისაგან, მაშინ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ისინი ერთობლივად განეკუთვნებიან. მაგრამ თუ სარჩენ პირს მარჩენალისაგან სარჩოს მიღება არ შეუძლია არც ერთი ამ ქვეყნის სამართლის მიხედვით, გამოიყენება საქართველოს სამართალი.

არაპირდაპირი ხაზით ნათესავებს შორის რჩენის მოვალეობის არსებობისას, მარჩენალს შეუძლია სარჩენი პირის მიმართ გამოიყენოს იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ისინი ერთობლივად განეკუთვნებიან, მაგრამ თუ მათ არ აქვთ საერთო მოქალაქეობა, გამოიყენება მარჩენალის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალი (საერთაშორისო კერძო სამართლის 49-ე მუხლის ნაწილი).

განქორწინებულ მეუღლეთა მიმართ რჩენის მოვალეობის საკოლიზიო საკითხების განსაზღვრისათვის გამოიყენება განქორწინების შესახებ საქმის გადაწყვეტისას გამოყენებული ქვეყნის სამართალი. იგივე წესი გამოიყენება ქორწინების ბათილობის შემთხვევაში (სკსკ 48-ე მუხლის III ნაწილი).

თუ სარჩენი პირი და მარჩენალი საქართველოს მოქალაქეები არიან და ამ უკანასკნელს ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში აქვს, გამოიყენება საქართველოს სამართალი (სკსკ 48-ე მუხლის IV ნაწილი);

სამართალი, რომელიც გამოიყენება რჩენის მოვალეობის მიმართ, გინასღვრავს:

ა) შეუძლია თუ არა, რა მოცულობით და ვისგან შეუძლია სარჩენ პირს სარჩოს მოთხოვნა;

ბ) ვინ არის უფლებამოსილი საალიმენტო საქმის წარმოებაზე და რა ვადა გამოიყენება ამ საქმის წარმოებისათვის;

გ) მარჩენალის მიერ სახელმწიფო ორგანოებისათვის გადასახდელი ანაზღაურების ოდენობას (სკსკ 48-ე მუხლის V ნაწილი);

სკს კანონის 48-ე მუხლის VI ნაწილის მიხედვით, სარჩოს ოდენობის განსაზღვრისას ორი ფაქტორი უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში: სარჩენი პირის მოთხოვნილება და მარჩენალის ეკონომიკური მდგომარეობა, - დამოუკიდებლად იმისა, ითვალისწინებს თუ არა აპას საამართალი რჩენის მოვალეობის მიმართ.

13.4 ქორწინების შეწყვეტა

ქორწინების შეწყვეტის საფუძვლებია ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება ან გარდაცვლილად გამოცხადება და განქორწინება (საქოქალაქო კოდექსის 1122-ე მუხლი). ამ მუხლში მითითებული არ არის ქორწინების ბათილობა, რომელიც მხოლოდ სასამართლოს შეუძლია, მაშინ ქორწინება შეწყდება.

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 47-ე მუხლით, ქორწინების შეწყვეტა ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც გამოიყენება ქორწინების ზოგადი შედეგების მიმართ. 47-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, თუ განქორწინებისას მეუღლე საქართველოს მოქალაქეა, ან ქორწინებისას საქართველოს მოქალაქე იყო და შემდეგ გახდა უცხო ქვეყნის მოქალაქე, განქორწინება შეიძლება მოხდეს საქართველოს სამართლის შესაბამისად, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობის არსებობისას: თუ უცხო ქვეყნის სამართლის მიხედვით განქორწინება შეუძლებელია.

მთელი რიგი ქვეყნების სამართალში ზუსტად არის განსაზღვრული განქორწინების კონკრეტული საფუძვლები.

განქორწინებაზე. სპეციალური წესებია ფიქსირებული ბულგარეთთან, უნგრეთთან, ყიეტნამთან, პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან დადებულ ხელშეკრულებებში. ისინი ადგენენ: 1. გაყრა წარმოებს იმ სახელმწიფოს ორგანოების მიერ, რომლის მოქალაქეებს წარმოადგენენ მეუღლეები; 2. თუ მეუღლეები სხვა ქვეყანაში ცხოვრობენ, მათ შეუძლიათ მიმართონ ამ ქვეყნის სასამართლოს; მაშასადამე, აღნიშნული ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ თავიანთი შეხედულებისამებრ აღძრან საქმე განქორწინებაზე სასამართლოში თავის საშობლოში, ან იმ ქვეყნის სასამართლოში, სადაც ისინი ცხოვრობენ; 3. განქორწინებისას გამოიყენება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეები მეუღლები არიან; 4. როცა მეუღლეებს არა აქვთ საერთო მოქალაქეობა და ცხოვრობენ სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, განქორწინებაზე საქმე შეიძლება აღიძრას ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს სასამართლოში. ამასთან, ყოველი სასამართლო გამოიყენებს თავისი ქვეყნის კანონმდებლობას.

სასამართლო პრაქტიკიდან:

ა) 1996 წელს აზერბაიჯანის მოქალაქე მ. და რუსეთის მოქალაქე ქალმა ს. მოახდინეს ქორწინების რეგისტრაცია მოსკოვის მმაჩის ერთ-ერთ ორგანოში. შემდეგ ისინი მუდმივ საცხოვრებლად გადაყიდნენ ბაქოში, მაგრამ ოჯახური ცხოვრება მათ არ აეწყოთ. მეუღლეებს შვილები არ შეეძინათ. ს-მ გადაწყვიტა მ-სთან განქორწინება და მოსკოვში დაბრუნება, მაგრამ განქორწინებაზე ქმარმა თანხმობა არ მისცა. ს. დაბრუნდა მშობლებთან მოსკოვში და შეიტანა განცხადება მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მ-სთან განქორწინების თაობაზე. მ-ს საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს დავის განხილვის თაობაზე მოსკოვის სასამართლოში. თავის განცხადებაში მ-ს ადვოკატი იმოწმებს რუსეთ-აზერბაიჯანის ხელშეკრულების 28-ე მუხლის დებულებას სამართლებრივი დახმარების თაობაზე და მინსკის კონვენციის 29-ე მუხლის სამართლებრივი დახმარების შესახებ (1993 წ. 22 იანვარი).

რუსეთ-აზერბაიჯანის ხელშეკრულების 28-ე მუხლის თანახმად, მეუღლეებიდან თუ ქმარი მოქალაქეა აზერბაიჯანის, ხოლო ცოლი

მოქალაქეა რუსეთის და ერთი მათგანი ცხოვრობს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ხოლო მეორე რუსეთის ტერიტორიაზე, ორივე სახელმწიფოს დაწესებულებები კომპეტენტურები არიან.

ანალოგიურ დებულებას შეიცავს მინსკის კონვენციაც დსთ ქვეყნების სამართლებრივი დახმარების შესახებ: განქორწინების საქმესთან დაკავშირებით გამოიყენება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეებსაც წარმოადგენენ მეუღლეები განცხადების შეტანის მომენტში. სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობის დროს გამოიყენება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომლის შესაბამისი დაწესებულებაც განიხილაეს განქორწინების საქმეს.

ბ) 1970 წელს საბჭოთა მოქალაქე ქალი დაქორწინდა ანგოლის მოქალაქეზე ლვოვში (უსსრ). ამ ქორწინებიდან 2 ბავშვი დაიბადა. 1972 წლიდან მეუღლეები ცხოვრობდნენ გფრ-ში. 1979 წლიდან (ოქტომბერში) ქმარი საცხოვრებლად გადავიდა ანგოლაში. ცოლი დარჩა გფრ-ში და აღძრა სარჩელი განქორწინებაზე, რაზედაც მოპასუხე წინააღმდეგი იყო და დაჟინებით მოითხოვდა მას დაკისრებოდა ბავშვებზე მზრუნველობა. საქმე განიხილებოდა რამდენიმე სასაქართლო ინსტანციაში. განსაზღვრული სირთულე გამოიწვია სამართლის გამოყენებამ იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელი გადაწყვეტილება საქმეზე გამოტანილი იყო 1984 წ. იანვარში, ე.ი. საერთაშორისო კერძო სამართალში გერმანიის ახალი კანონის გამოსვლამდე 1986 წ. იულისში (თაეი 2), რომელმაც შეცვალა შესავალი კანონი. პირველი ინსტანციის სასამართლოში შესავალი კანონის მე-17 მუხლის საფუძველზე, მხარეთა მიმართებით გამოყენებული იქნა ანგოლის, როგორც ქმრის ქვეყნის, სამართალი. ამ საქმის შემდგომი განხილვისას აღიარებული იქნა, რომ მე-17 მუხლი ეწინააღმდეგება გფრ-ის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-3 მუხლს (აბზაცი 2), რომელიც ადგენს ქალისა და მამაკაცის თანასწორ-უფლებიანობას. საქმის გადაწყვეტილებებში გადასინჯული იქნა სამართლის სხვადასხვა ვარიანტი, მ.შ. საბჭოთა, როგორც მოსარჩელის ქვეყნის და გფრ, როგორც მეუღლეთა უკანასკნელი ერთად საცხოვრებელი ქვეყნის, სამართალი.

ბ) საბჭოთა მობალაქე ქალმა ბ-მ წარადგინა სარჩელი ქ. მოსკოვის ერთ-ერთ რაიონში ირანის მოქალაქე აბდულ ხ-სთან განქორწინებაზე და შვილზე (იურიზე) ალიმენტის დანიშვნის თაობაზე. მათი ქორწინება რეგისტრირებული იყო 1965 წელს. ვაჟი დაიბადა 1967 წელს. ოჯახი თაყვანისცემელად მოსკოვში ცხოვრობდა, შემდეგ ირანში. ავადმყოფობის გამო ბ. იძულებული გახდა საბჭოთა კავშირში დაბრუნებულიყო. ქმარი ირანში დარჩა. საქმის მასალებზე დაყრდნობით სასამართლომ დაადგინა, რომ მეუღლეებს შორის ურთიერთობა 1971 წლიდან შეწყდა. საერთო საოჯახო მეურნეობას ისინი არ ეწეოდნენ, არც შერიგებას ცდილობდნენ. მოსარჩელემ ფაქტობრივად ახალი ოჯახი შექმნა. ჰყავს მეორე შვილი. ქორწინების განახლება შეუძლებელი გახდა. სასამართლომ მოახდინა განქორწინება და მიმასუხეს დააკისრა ყაჟზე ალიმენტის გადახდა სრულწლოვანი ასაკის მიღწევამდე ყველა გამომუშავებული თანხის 1/4-ის მოცულობით.

განქორწინება წარმოებს სასამართლო წესით, ან მმაჩის ორგანოებში. როცა მეუღლეებს არა ჰყავთ საერთო არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, განქორწინება ხორციელდება მმაჩის ორგანოებში მეუღლეთა ურთიერთთანხმობით. არასრულწლოვანი შვილების შემთხვევაში, ან ერთ-ერთი მეუღლის უთანხმოების შემთხვევაში, განქორწინება ხორციელდება სასამართლოს წესით. ჩვეულებრივ, ასეთი საქმეები განიხილება ორივე მეუღლის თანდასწრებით.

გამონაკლის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვა ისეთ შემთხვევაშიც, როცა საზღვარგარეთ მცხოვრები მეუღლე არ ესწრება სხდომას. საქმე შეიძლება განხილული იქნეს უცხოელი მოპასუხის სასამართლო სხდომაზე არ ყოფნის შემთხვევაში, იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება მისი პროცესუალური უფლებების დაცვა. მოპასუხეს ეგზავნება საქმის მოსმენაზე დასწრების შეტყობინება და სხვა დოკუმენტები, რაც უცხოელს აძლევს თავისი ინტერესების დაცვის გარანტიას.

ზოგიერთ ქვეყანაში საჭიროდ თვლიან განქორწინებაზე სასამართლოს გადაწყვეტილება შემდეგში რეგისტრირებული იქნეს მმაჩის ორგანოებში, მერიაში და ა.შ. მხოლოდ ასეთი რეგისტრაციის შემდეგ ქორწინება ითვლება შეწყვეტილად. საზღვარგარეთის სახელმწიფოების უმრავლესობაში განქორწინებაზე სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მმაჩის ორგანოებში მისი რეგისტრაცია საჭირო არაა. აშშ-ში, მაგალითად, სასამართლო იძლევა მოწმობას განქორწინების თაობაზე.

უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული კონვენციები კონსულებს უფლებას აძლევენ მოახდინონ განქორწინება. ასე, მაგალითად, აშშ-თან საკონსულო კონვენცია განქორწინებას აწარმოებს, როცა ორივე პირი კონსულის წარმომადგენელი ქვეყნის მოქალაქეა. ანალოგიური უფლება ეძლევა კონსულებს ბულგარეთთან, საბერძნეთთან და სხვა ქვეყნებთან დადებული კონვენციებით.

სხვა საკონსულო კონვენციები ითვალისწინებენ მხოლოდ კონსულის ადგილსამყოფელ ქვეყანაში სასამართლოთი მომხდარი განქორწინების აღრიცხვის რეგისტრაციას. ფინეთთან დადებული საკონსულო კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, კონსულებს აქვთ უფლება აწარმოონ განქორწინებათა რეგისტრაცია ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად თუ, უკიდურეს შემთხვევაში, ერთ-ერთი მეუღლე კონსულის წარმომადგენელი სახელმწიფოს მოქალაქეა.

13.5 შვილად აყვანა

ბავშვის უფლებების და ინტერესების რეალურად დაცვის მიზნით მრავალი საერთაშორისო კონვენცია იქნა მიღებული. მათ შორის აღსანიშნავია გაეროს 1989 წ. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ; 1993 წ. კონვენცია ბავშვთა დაცვისა და შვილად აყვანის თაობაზე თანამშრომლობის შესახებ, ევროპის 1967 წლის კონვენცია შვილად აყვანის შესახებ და ა.შ.

გაეროს 1989 წ. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ მოუწოდებს კონვენციაში მონაწილე სახელმწიფოებს უზრუნველყონ ბავშვის უფლებების და ინტერესების დაცვა შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) ბავშვის შვილება ნებადართული იყოს მხოლოდ კომპეტენტური ხელისუფლების მიერ; განისაზღვროს, რომ გამოყენებული კანონით და საქმესთან დაკავშირებული სარწმუნო ინფორმაციის საფუძველზე შვილად აყვანა დასაშვებია ბავშვის სტატუსით მშობლებთან, ნათესავებთან და კანონიერ მეურვეებთან მიმართებით; თუ საჭიროება მოითხოვს, დაინტერესებულმა პირებმა მისცენ შვილებაზე თანხმობა სათანადო კონსულტაციის საფუძველზე;

ბ) კონვენციაში მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ სხვა ქვეყანაში შვილება შეიძლება მივიჩნიოთ ბავშვის მოვლის ალტერნატიულ სახედ, თუ ბავშვი არ შეიძლება გადაეცეს აღსაზრდელად ისეთ ოჯახს, რომელმაც შეიძლება უზრუნველყოს მისი აღზრდა ან შვილად აყვანა და თუ შესაბამისი მოვლა ბავშვის წარმოშობის ქვეყანაში შეუძლებელია;

გ) უზრუნველყოფენ სხვა ქვეყანაში ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებით ისეთი გარანტიების და ნორმების გამოყენებას, რომლებიც გამოიყენებიან შვილებასთან მიმართებით ქვეყნის შიგნით;

დ) იყენებენ ყველა აუცილებელ ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სხვა ქვეყანაში შვილად აყვანა არ იწვევდეს გაუმართლებელი ფინანსური მოგების მიღებას (მუხლი 21).

როგორც წესი, უცხოელ მშვილებელს ბავშვი თავის ქვეყანაში მიჰყავს. მაგალითად, თუ მშვილებლები აშშ-ის მოქალაქეები არიან, ისინი შტატის შესაბამისი კანონის მოთხოვნებს უნდა დაექვემდებარონ, რადგანაც ამ ქვეყანაში არ არსებობს ფედერალური კანონი შვილებაზე.

დაცული უნდა იქნეს კანონის მოთხოვნები იმის შესახებ, რომ შვილად აყვანა დასაშვებია არასრულწლოვანი ბავშვისა, მხოლოდ მისი ინტერესების სრული დაცვის მიზნით.

უცხოელი მოქალაქეების მიერ ბავშვის შვილება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა შეუძლებელია ასეთი ბავშვის გადაცემა მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ ნათესავებზე, ან მოქალაქეებზე.

სასამართლოთა პრაქტიკაში ხშირად არ არის დაცული ეს წესები.

მაგალითი: რუსეთის მოქალაქე ბ. დაღესტნიდანაა, პროფესიით პედაგოგია, აქვს უმაღლესი განათლება. ზრდის ორ ბავშვს ქმრის გარეშე. მესამე - გოგონა აიზანატი დაიბადა ქორწინების გარეშე. ამიტომ, ვიდრე ამ გოგონას შვილად აყვანა დადასტურდებოდა, დედამ გადაწყვიტა ბავშვი მოეთავსებინა სანკტ-პეტერბურგის ბავშვთა სახლში. ამ გარემოებაზე მან მიუთითა სასამართლოს სახელზე გაგზავნილ თავის განცხადებაში.

სანკ-პეტერბურგის საქალაქო სასამართლომ 1998 წ. 5 იანისს გაპოიტანა გადაწყვეტილება აშშ-ის მოქალაქეების, ცოლ-ქმრის, მიერ აიზანატის შვილად აყვანის თაობაზე მისი დედის თანხმობის გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქე ბ-ს არ ჰქონდა ჩამორთმეული დედის უფლებები და მისი ადგილსამყოფელიც სასამართლომ კარგად იცოდა. დედამ თავისი ბავშვის შვილად აყვანის თაობაზე შეიტყო მხოლოდ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გამოგზავნილი დეპეშით.

გაეროს კონვენციის შესაბამისად, შვილად აყვანის შემთხვევაში პრიორიტეტი მშვილებელს ეძლეყა. უცხოელი მოქალაქეების მიერ ბავშვის შვილად აყვანა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია ბავშვის გადაცემა საქართველოს ოჯახებზე შვილად ასაყვანად, ან მეურვეობის (მზრუნველობის) ქყეშ. ამასთან, ბავშვები შეიძლება უცხო ქვეყნის მშვილებლებს გადაეცეთ, თუ გავიდა სამ თვეზე მეტი ცენტრალიზებულ აღრიცხვაზე აყვანიდან და ბავშვები დარჩნენ მშობლების მეურყეობის გარეშე.

შვილებაზე ხშირად ირღვევა გაეროს კონყენცია ბავშვის უფლებებზე; ადგილი აქვს შვილად აყვანას კომერციული მოგების მიღების მიზნით; ფალსიფიცირებულია ბავშვის ავადმყოფობის დიაგნოზი და სხვ. შვილებაზე საერთაშორისო კანონის მიღების

შემდეგ, 77%-ით გაიზარდა უცხოელი მოქალაქეების მიერ ბავშვების შვილად აყვანის შემთხვევები.

მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოებმა, შვილებაზე საკითხის გადაწყვეტის დროს, მხედველობაში უნდა მიიღონ ბავშვის ეთნიკური წარმოშავლობა, მისი რელიგიური და კულტურული კუთვნილება, მშობლიური ენა, აღზრდის მეშკვიდრეობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა და ა.შ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1242-ე მუხლის თანახმად, შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას მშვილებლის განცხადების საფუძველზე იღებს სასამართლო მშვილებლის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

„შვილად აყვანის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოში მცხოვრები ბავშვის გაშვილება სხვა სახელმწიფოს მოქალაქეზე დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში არ მოიძებნება მშვილებელი, რაც სარწმუნოდ უნდა იქნეს დადასტურებული.

საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ შეიცავს შვილად აყვანის ძირითად საკოლიზიო პრინციპს, რომლის თანახმად შვილად აყვანა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც განეკუთვნება მშვილებელი ბავშვის შვილად აყვანის დროს (52-ე მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ თუ იტალიის მოქალაქეს სურს საქართველოში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე ბავშვის შვილად აყვანა, გამოიყენება იტალიის კანონმდებლობა შვილად აყვანის შესახებ და, პირიქით: როცა მშვილებელი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო შვილად ასაყვანი სხვა ქვეყნის მოქალაქეა, გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა. შვილად აყვანასთან დაკავშირებული საკითხები დამატებით წესრიგდება შვილად ასაყვანი ბავშვის ქვეყნის სამართლითაც, ხოლო თუ ამას ბავშვის ინტერესები მოითხოვს - საქართველოს სამართლით (საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 53-ე მუხლი): **„თუ ბავშვის ინტერესებისათვის აუცილებელია, გამოიყენება საქართველოს სამართალი“.**

13.6 მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმები

სამოქალაქო კოდექსი დაწვრილებით აწესრიგებს მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობებს, წარმოშობის საფუძვლებს, დაქორწინებულ და დაუქორწინებელ მშობლებთან შვილის წარმოშობის დადგენას, მშობლების უფლებებსა და მოვალეობებს შვილების მიმართ, მშობლის უფლების ჩამორთმევას, მშობლებისა და შვილების ურთიერთ საალიმენტო მოვალეობებს და ა.შ.

უცხოური ელემენტით დატვირთული ასეთი ურთიერთობების დროს წარმოიშვება საკითხი იმის შესახებ, რომელი ქვეყნის - საქართველოს თუ უცხო ქვეყნის, სამართალი იქნეს გამოყენებული. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 49-ე მუხლის მითითება: მშობლებსა და შვილებს შორის არსებული პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, მშობლების მზრუნველობის ჩათვლით, ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ბავშვს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. ამგვარად, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობების მოწესრიგებისათვის გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ბავშვი ცხოვრობს და აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

ამ ძირითადი საკოლიზიო პრინციპიდან გადახვევა იმ შემთხვევაში დაიშვება, როდესაც ბავშვის ინტერესებს უფრო შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალი, რომლის მოქალაქეც არის ბავშვი და არა მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალი. ბავშვის მოქალაქეობა დაწვრილებით წესრიგდება საქართველოს კანონით „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" (მუხლი მე-10-22-ე).

ბავშვის წარმოშობის დადგენა შეიძლება საჭირო გახდეს ერთ-ერთი მშობლის მიხედვით - როგორც დაქორწინებული, ისე დაუქორწინებელი მშობლების მიმართ. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1159-ე მუხლის თანახმად, „შვილის წარმოშობა დაუქორწინებელი მშობლებისაგან დასტურდება ჩანაწერით მშობელთა ქორწინების შესახებ".

„მამის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვი დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობილად ჩაითვლება, თუ იგი დაიბადა მამის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 10 თვისა“ (1191-ე მუხლი).

ისეთ შემთხვევაში, როცა საჭირო ხდება ბავშვის წარმოძაყლობის დადგენა ერთ-ერთი მშობლის მიხედვით, ან იმის გამო, რომ სადავო გახდა ბავშვის დაბადების ჩანაწერის წიგნში, ან ბავშვის მამა გარდაიცვალა, გამოიყენება იმ ქვეყნის საკანონმდებლო, რომელსაც ეს მშობელი განეკუთვნება.

შვილის წარმოშობა დაუქორწინებელი მშობლებისაგან დადგინდება მშობლების ერთობლივი განცხადებით. ასეთი ერთობლიური განცხადების არარსებობის დროს, მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით.

ბავშვის წარმოშობის დადგენა ერთ-ერთი (დაუქორწინებელი) მშობლის მიხედვით ექვემდებარება იმ ქვეყნის საკანონმდებლოს, რომელსაც ეს მშობელი განეკუთვნება.

ერთ-ერთი მშობლის მიხედვით ბავშვის წარმოშობის დადგენის დროს, არსებობს იმ ქვეყნების ფართო არჩევანი, რომელთა საკანონმდებლოს მიხედვით უნდა იქნეს განხილული და გადაწყვეტილი დავა. მოსამართლის ან მოსარჩელის მიერ გაკეთებული არჩევანის დროს ისინი ბავშვის ინტერესებით ხელმძღვანელობენ.

13.7 მეურვეობა და მზრუნველობა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვან ბავშვებს უწესდებათ მეურვეობა და მზრუნველობა პირადი და ქონებრივი უფლებების დასაცავად. მეურვეობა და მზრუნველობა წესდება აგრეთვე იმ სრულწლოვანი პირის დასაცავად, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები (სკ 1275-ე მუხლი).

მეურვეობა უწესდება 7 წლამდე ასაკის ბავშვს, ან პირს, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუუნაროდ სულიერი აშლილობის ან ჭკუასუსტობის გამო (სკ 1276-ე მუხლი).

მზრუნველობა უწესდება არასრულწლოვანს 7-დან 18 წლის ასაკამდე; აგრეთვე სრულწლოვან ქმედუნარიან პირს - მისი თხოვნით, თუ მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები.

მეურვეობისა და მზრუნველობის შეწყვეტის საფუძვლები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 1302-ე და 1304-ე მუხლებით.

მეურვეობისა და მზრუნველობის ძირითად საკოლიზიო ნორმად (სკ 54-ე მუხლი) აღიარებულია სამეურვეო პირის მოქალაქეობა: მეურვეობის, მზრუნველობის ან მოვლის სხვა ფორმების წარმოშობა, შინაარსის შეცვლა და შეწყვეტა ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც განეკუთვნება სამეურვეო პირი.

ამგვარად, მხოლოდ საქართველოს სამართლის მიხედვით შეიძლება დაენიშნოს მეურვე (მზრუნველი) საქართველოს მოქალაქეს, დამოუკიდებლად იმისა, სად ცხოვრობს იგი - საქართველოში თუ საზღვარგარეთ.

უცხოელებისა და ლტოლვილების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომლის მოქალაქეებიც არიან. თუ ისინი საქართველოში ცხოვრობენ, მათ მიმართ დასაშვებია საქართველოს სამართლის გამოყენება (სკ 54-ე მუხლის I ნაწილი).

მეურვეობის და მზრუნველობის კიდევ ერთ საკოლიზიო პრინციპს ეხება 54-ე მუხლის მე-2 ნაწილი: თუ მეურვეობის ღონისძიების გატარება აუცილებელია, მაგრამ არ არის დადგენილი, თუ ვინ მონაწილეობს მეურვეობაში, ან თუ მონაწილე ცნობილია, მაგრამ იგი სხვა ქვეყანაში იმყოფება, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც ყველაზე ხელსაყრელია სამეურვეო პირისათვის.

მეურვეობისა და მზრუნველობის არასათანადო შესრულების საილუსტრაციოდ გამოდგება სკ-ის 1300-ე მუხლი, რომლის თანახმად: მეურვის (მზრუნველის) მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, მეურვეობის ან მზრუნველობის ორგანო გადააყენებს ან გაათავისუფლებს მას ასეთი მოვალეობის შესრულებისაგან.

მეურვეობის, მზრუნველობის ან მოვლის სხვა ფორმების განხორციელების ლონისძიებები ექვემდებარება მეურვეობის (მზრუნველობის) დამწესებელი ქვეყნის საქართველოს.

მეურვეობის და მზრუნველობის დაწესებასთან დაკავშირებული დაწვრილებითი წესები გუხვდება ხელშეკრულებებში საქარიოლებრივი დახმარების თაობაზე. ეს ხელშეკრულებები ადგენენ შემდეგ წესებს:

1. მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეებზე კომპეტენტურია იმ სახელმწიფოს დაწესებულებები, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი;

2. მეურვეობისა და მზრუნველობის დადგენის დროს გამოიყენება იმ სახელმწიფოს კანონები, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს პირი, რომელიც აყვანილი უნდა იქნეს მეურვეობის ქვეშ არ რომელზედაც უნდა დადგინდეს მზრუნველობა;

3. თუ ეს პირი ცხოვრობს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მაშინ მეურვეობის ან მზრუნველობის განხორციელება იმ ქვეყნის ორგანოს მიერ, რომლის მოქალაქეც მეურვეობის ქვეშ უნდა იქნეს აყვანილი, შეიძლება გადაეცეს იმ ქვეყნის ორგანოს, სადაც იგი ცხოვრობს.

თავი XIV. შრომითი ურთიერთობები საერთაშორისო კერძო სამართალში

14.1 კოლიზიური საკითხები საერთაშორისო შრომითი ურთიერთობების სფეროში

XX საუკუნეში წარმოების ინტერნაციონალიზაციამ მკვეთრად გააძლიერა მოსახლეობის მიგრაცია. მის საბოლოო შედეგს წარმოადგენს საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ფენის წარმოქმნა, რომლებიც მუდმივად ან დროებით იმყოფებიან შესაბამისი ქვეყნის ტერიტორიაზე, ისინი შრომით ურთიერთობას ამყარებენ ადგილობრივ სამუშაოსმიმცემ პირებთან.

შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი საერთაშორისო ორმაგ ხასიათს ატარებს: კერძო-სამართლებრივი ელემენტის გარდა, იგი ატარებს საჯარო-სამართლებრივ ხასიათს. საზღვარგარეთული ელემენტის მონაწილე შრომითი ურთიერთობების ნორმების სისტემა ქმნის ქვედარგს: მატერიალურ-სამართლებრივ და კოლიზიური დანიშნულების საერთაშორისო კერძო სამართალს.

შრომით ურთიერთობებს საფუძვლად დაედო შემდეგი ძირითადი კოლიზიური პრინციპები:

1. სამართლის არჩევის თავისუფლება (ნების ავტონომია - lex voluntatis). ეს პრინციპი მოქმედებს დიდ ბრიტანეთში, კანადაში, იტალიაში, გერ-ში, პოლონეთში. მაგალითად, პოლონეთის ᲬᲘᲜ წ. საერთაშორისო კერძო სამართლის 32-ე მუხლის თანახმად: „მხარეებს შეუძლიათ შრომითი სამართალურთიერთობა დაუქვემდებარონ მათ მიერ ამორჩეულ კანონს, თუ ის კავშირში იმყოფება ამ სამართალურთიერთობასთან";

2. სამუშაოს მიმცემის ადგილსამყოფელის კანონი. ამ პრინციპის შესაბამისად, თუ შრომითი ხელშეკრულების თანახმად სამუშაო უნდა "შესრულდეს რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მაშინ შრომით ურთიერთობებში შეიძლება გამოყენებული იქნეს სამუშაოს მიმცემის ადგილსამყოფელის, საცხოვრებელი ადგილის, ან კომერციული საქმიანობის კანონი;

3. სამუშაო ადგილის კანონი (lex loci laboris). ამ პრინციპის თანახმად, უცხოელებზე გამოიყენება სამუშაო ადგილის ქვეყნის კანონი. იგი მოქმედებს ალბანეთში, ავსტრიაში, უნგრეთში, ესპანეთში, რუსეთში, შვეიცარია და სხვა ქვეყნებში. მაგალითად, უნგრეთის 1979 წ. საერთაშორისო კერძო სამართლის პარაგრაფ 51-ის თანახმად, თუ ნორმატიული აქტი სხვას არ ითვალისწინებს, გამოიყენება იმ სახელმწიფოს კანონი, რომლის ტერიტორიაზეც უნდა შესრულდეს სამუშაო;

4. სამუშაოს მიმცემის მოქალაქეობის კანონი (lex patriae, lex nationalis). თუ უნგრეთის სამუშაოს მიმცემის მუშაკები საზღვარგარეთ მივლინებით ან ხანგრძლივი სამსახურით ასრულებენ სამუშაოს, მაშინ სამართლებრივ ურთიერთობაში გამოყენებული უნდა იქნეს უნგრეთის კანონი. მოცემული პრინციპი გამოიყენება იმ შემთხვევებშიც, როცა სამუშაოს ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია, ან სამუშაო სრულდება ორ ან მეტ ქვეყანაში.

5. გემის ალმის კანონი (lex flagi). წყლის ან საჰაერო ტრანსპორტზე სამუშაოს შემსრულებელი მუშაკის შრომითი შეთანხმება რეგლამენტირებულია იმ ქვეყნის კანონით, სადაც რეგისტრირებულია სატრანსპორტო საშუალება.

6. შრომითი კონტრაქტის დამდები ქვეყნის კანონი (lex loci contractus). ინგლისის და აშშ-ის კანონმდებლობით, შრომით ურთიერთობებში გამოიყენება ადგილობრივი სამართალი.

ნებისმიერი სახელმწიფო უფლებამოსილია თავის ტერიტორიაზე აკრძალოს უცხოური შრომითი სამართლის გამოყენება, თუ იგი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

რიგი სახელმწიფოები ისწრაფვიან გააფართოონ თავისი შრომითი კანონმდებლობის ექსტრატერიტორიალური ქმედება. ასეთ აქტებს განეკუთვნებიან აშშ-ის კანონები შრომის სამართლიან პირობებზე, ინვალიდებზე, ხანდაზმული მუშაკების მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვაზე. ეს კანონები მოქმედებენ არა მარტო აშშ-ის ტერიტორიაზე, არამედ ვრცელდებიან საზღვარგარეთ მცხოვრები ამერიკელების შრომით ურთიერთობებზე.

უცხოეთის სახელმწიფოში შესვლის წესი რეგულირდება ამ ქვეყნის კანონით. მრავალი სახელმწიფო ზღუდავს შესვლას. ქვეყანაში უცხოელის დაშვება დამოკიდებულია სამუშაოზე მიღების ნებართვაზე. ასეთი ნებართვებია საჭირო გფრ-ის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის, ავსტრიის და სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობით.

ასე, მაგალითად, საფრანგეთის შრომის კოდექსში გვაქვს სპეციალური განყოფილება, ასეთი სახელწოდებით: „უცხო ქვეყნის სამუშაო ძალა და ეროვნული სამუშაო ძალის ინტერესების დაცვა". ამ განყოფილების ნორმები ეხება სამუშაოზე უცხოელთა დაშვებას საფრანგეთში. 1941-2 მუხლის თანახმად, უცხოელის სამუშაოზე დაქირავების მიზნით მან ქვეყანაში შესასყლელად, მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და წესების შესაბამისად, უნდაწარადგინოს ადმინისტრაციული ხელისუფალის ვიზადასმული შრომითი ხელშეკრულება, ან სამუშაოზე ნებართვა და სამედიცინო სერტიფიკატი. განყოფილებაში გათვალისწინებულია: დადგენილი წესების დარღვევით დაქირავებული უცხოელის უფლებების დაცვა; დაქირავებლისაგან ჯარიმის აღების წესი, როცა უცხოელის მიღების დადგენილი წესი დარღვეულია; უცხოელი მუშაკებისაგან დამქირავებლის სასარგებლოდ უკანონო ჯარიმების აღების აკრძალვა.

აშშ-ში, შვეიცარიაში, ავსტრიაში და რიგ სხვა ქვეყნებში დადგენილია უცხოელთა შესასვლელი ყოველწლიური ქვოტები, მათ შორის, იმ პირთათვის, რომლებიც სპეციალურად მიემგზავრებიან სამუშაოდ შესაბამის ქვეყანაში.

ევროპაში მუშა-მიგრანტების და მათი ოჯახების მდგომარეობა იყო განხილვის საგანი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე. 1989 წ. იანვარში ვენის შეხვედრის დასკვნით დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ მუშა-მიგრანტების და მათი ოჯახების ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა პირობები, სასურველია გაუმჯობესდეს შემდგომში. იგულისხმება მუშა-მიგრანტები და მათი ოჯახები, რომლებიც „კანონიერად ცხოვრობენ მათ მიმღებ ქვეყნებში". ვენის შეხვედრაში მონაწილე

ქვეყნებმა გამოთქვეს მზადყოფნა - მიიღონ ლონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია მუშა-მიგრანტების ბავშვთა განათლების მიღების შესაძლებლობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

14.2 უცხოელთა შრომის პირობების საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირება

1948 წ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ყოველი ადამიანისათვის ცნობს შრომის უფლებას, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლებებს (მუხლი 23).

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას. იგი მოიცავს ყოველი ადამიანის უფლებას, მიიღოს შესაძლებლობა შრომით გამოიმუშაოს სასიცოცხლოდ აუცილებელი სიკეთე. ადამიანს აქვს სამუშაოს არჩევის, ან შეთანხმების უფლება (მუხლი 6). პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი ადამიანის უფლებას შრომის სამართლიან და ხელსაყრელ პირობებზე, რომელიც მოიცავს, კერძოდ: ა) გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მინიმუმს ყველა მშრომელისათვის სამართლიან ხელფასს და თანაბარ გასამრჯელოს თანაბარი შრომისათვის; გარდა ამისა, გარანტირებული უნდა იყოს შრომის პირობები; იგი უნდა პასუხობდეს უსაფრთხოების და ჰიგიენის მოთხოვნებს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (შსო) წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთ უძველეს სპეციალიზირებულ დაწესებულებას. იგი შეიქმნა 1919 წელს ვერსალის საშვიდობო ხელშეკრულების შესაბამისად.

ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, მოამზადოს და მიიღოს რეკომენდაციები მშრომელთა შრომის პირობების საკითხებზე.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები და რეკომენდაციები მიგრანტებს იცავენ ყველა სტადიაზე.

მიგრანტების შეკრებაზე ზედამხედველობა და უფლებამოსილების პრიორიტეტი უნდა იყოს ხელისუფლების კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების ხელში (კონვენცია № 97). № 100 რეკომენდაციის შესაბამისად, მიგრანტებმა არ უნდა გადაიხადონ დამქირაველი ქვეყანაში მგზავრობის ხარჯები. № 97 რეკომენდაცია მუშაკებს ათავისუფლებს საბაჟოს გადასახადისაგან საჭუშაო ადგილზე გამოცხადებისას. მიგრანტებს უნდა აღმოუჩინონ დახმარება შესაბამის სამუშაოზე მოწყობაში. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რიგი კონვენციები განსაზღვრავენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ხელფასის მინიმალური მოცულობა და მისი გაცემის ფორმა, შრომის პირობები, უსაფრთხოების ტექნიკა, წახალისება, სოციალური უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიული კავშირების უფლებები, გადაადგილების თავისუფლება და სასამართლოს მიმართვის უფლება.

№ 151 რეკომენდაციის შესაბამისად, მიგრანტებს აქვთ უფლება გაასაჩივრონ მათი დასაქმების ყადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში; მიგრანტები ადმინისტრაციულ ან იურიდიულ პროცედურებზე ხარჯებს არ იღებენ, თუ ისინი გამოაძევეს ქვეყნიდან.

შრომის პირობებთან დაკავშირებული საკითხებია მოცემული კონვენციებში „შრომითი ურთიერთობების შეწყვეტაზე" 1982 წ., „ფასიან ანაზღაურებად შვებულებებზე" 1970 წ., „ქვეყნის მოქალაქეების, უცხოელების და მოქალაქეობის არმქონე პირების თანასწორუფლებიანობაზე სოციალური უზრუნველყოფის დარგში", „სოციალური უზრუნველყოფის დარგში უფლებათა შენარჩუნებაზე" 1982წ.[1]

1990 წლის დეკემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო საერთაშორისო კონვენცია მიგრანტების და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვაზე. კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, შუშა-მიგრანტებს და მათი

1. შსო (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის) კონვენციების და რეკომენდაციების ტექსტები იხილეთ: Международная организация труда. Конвенции и рекомендации. 1919-1956 (Т.1) и 1957-1990 (Т.2). Женева, 1991.

ოჯახების წევრებს თავისუფლად შეუძლიათ დატოვონ (მიატოვონ) ნებისმიერი სახელმწიფო - თაყისი წარმოშობი სახელმწიფოს ჩათვლით.

დამქარაყებელ სახელმწიფოში საშუშაოს დამთავრების შემდეგ, მუშა-მიგრანტებს უფლება აქვთ გადაიტანონ თავისი შრომითი საშუალებები და დანაზოგები შესაბამის სახელმწიფოში, მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად, გადაიტანონ თაყიანთი პირადი ქონება და ნივთები.

მიგრანტების დაცვაზე საერთაშორისო ნორმებია მოცემული ორმხრივ ხელშეკრულებებში, კონვენციებში, რომლებიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და სხვა ორგანიზაციების ჩარჩოებში.

ორმხრივი ხელშეკრულებები დიდი ოდენობით იდებოდა ვასული საუკუნის 60-იან წლებში. დასავლეთ ევროპის რიგი ქვეყნები განიცდიდნენ სამუშაო ძალის მწყავე დეფიციტს, კერძოდ, გფრ, ნიდერლანდები, ბელგია, საფრანგეთი, შვეიცარია; მათ დადეს ორმხრივი ხელშეკრულებები სამუშაო ძალის იმპორტზე ალჟირთან, საბერძნეთთან, ესპანეთთან, პორტუგალიასთან, თურქეთთან, მაროკოსთან და ტუნისთან.

70-იან წლებში განყოთარებადმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მუშების დაქირავებაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ. მაგალითის სახით შეიძლება მოყიყვანოთ შეთანხმება ბანგლადეშსა და ლიბიას შორის; ომანსა და ირანს შორის; იორდანიასა და გაბონს შორის.

ორმხრივ ხელშეკრულებებში წყდება შემდეგი საკითხები:

სახელმწიფოს იმ კომპეტენტური ორგანოს სტატუსი, რომელსაც ევალება საზღვარგარეთის ქვეყნებში გაგზავნოს მშრომელები; ინფორმაციის გაცვლის წესი და ვაკანსიების შეტყობინება. ვალდებულია თუ არა ემიგრაციის ქვეყანა ინფორმაციები მიაწოდოს იმიგრაციის ქვეყანას? რა სახით შეიძლება მიიღონ მუშებმა ემიგრაციის ქვეყნიდან ინფორმაცია ინდივიდუალურ

ვაკანსიების ან ერთპროფილიან ჯგუფურ ვაკანსიების არსებობაზე?

არალეგალური მიგრანტები. როგორია მიგრანტების სტატუსის რეგულირების წესი, თუ მათი შესვლა, ყოფნა და დასაქმება არაკანონიერს წარმოადგენს? უკან უნდა გაიგზავნონ თუ არა ისინი? ყალდებულია თუ არა ემიგრაციის ქვეყანა მიიღოს ისინი უკან?

კანდიდატების სია. ემიგრაციის ქვეყანამ როგორი სახით უნდა შეადგინოს საზღვარგარეთ სამუშაოს მიღების მსურველთა სია? მუშებზე როგორი ცნობაა აუცილებელი ჩაირთოს სიებში?

წინასწარი შერჩევა. გამგზავნი მხარე აგებს თუ არ პასუხს სიიდან იმ კანდიდატთა წინასწარ შერჩევაზე, რომლებიც შეთავაზებული ვაკანსიების შესაფერის პირებად შეიძლება ჩაითვალონ?

სამედიცინო მომსახურება. კანდიდატებმა შერჩევამდე უნდა გაიარონ თუ არ სამედიცინო გამოკვლევა? თუ უნდა გაიარონ შემოწმება, რომელი ქვეყნის ექიმმა უნდა ჩაატაროს გამოკვლევა?

შესასვლელი დოკუმენტები. პირადობის როგორი მოწმობები, ვიზები, პასპორტები და სხვა დოკუმენტებია საჭირო შესასვლელად?

საცხოვრებლის სახე და სამუშაოზე მოწყობის ნებართვა. ყალდებულნი არიან თუ არა მუშა-მიგრანტები მიიღონ ცხოვრების და შრომითი მოწყობის ნებართვა მიმღებ ქვეყანაში? ვინ გასცემს მათ? რამდენი უნდა იყოს ნებართვა?

შრომითი ხელშეკრულება. უნდა დაერთოს თუ არა ხელშეკრულებას ძირითადი ხელშეკრულება ან ხელშეკრულების ნიმუში? იგი რამდენიმე ენაზე უნდა შედგეს თუ არა?

საცხოვრებელი. ვინ ეწევა ხარჯებს საცხოვრებელზე, როდესაც მუშა ჩამოდის მიგრაციის ქვეყანაში?

იურისდიქცია. ხელშეკრულების მხარეებს შორის დაეის წარმოშობის შემთხვევაში, საკითხი უნდა გადაწყდეს თუ არა იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც წარმოიშვა ეს დავა?

14.3 მიგრანტების და უცხოელების შრომითი უფლებები

სხვა ქვეყნებში მცხოვრებ უცხოელთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. სპეციალისტების აზრით, ამჟამად სხვა ქვეყნებში დაახლოებით 80 მლნ ადამიანი ცხოვრობს, თუ არ ჩაუთვლით ყოფილ საბჭოთა კავშირს და იუგოსლავიას. ყოველ წელს ემიგრირებს დაახლოებით 1 მლნ ადამიანი; 1 მლნ ეძებს პოლიტიკურ თავშესაფარს სხვადასხვა ქვეყანაში. ამას უნდა დაემატოს კიდევ 18 მლნ ლტოლვილი, რომლებმაც თაყისი სახლ-კარი მიატოვეს ბუნებრივი კატასტროფების, ან პოლიტიკური მოტივით დევნის გამო.

მუშა-მიგრანტები - ეს ისეთი პირებია, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ, დასაქმებულნი არიან, ან დასაქმდებიან ანაზღაურებადი საქმიანობით სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეებს ისინი არ წარმოადგენენ.

მიგრაცია - თავისი ბუნებით მოსახლეობის ტერი-ტორიული გადაადგილების ერთობლიობაა, რომელსაც თან ახლავს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. მიგრაცია შეიძლება განვასხვავოთ მისი წარმოშობის მიზეზებით: ნებაყოფლობითი ან იძულებითი; ტიპის მიხედვით: საგარეო ან შინაგანი; სახის მიხედვით: დაბრუნებადი, ან დაბრუნების გარეშე; იძულებითი შეიძლება იყოს: საგარეო - პირები, რომლებიც თავშესაფარს ეძებენ, მ.შ. ლტოლვილები და შინაგანი - იძულებით გადაადგილებული პირები და სხვ.

საგარეო შრომითი მიგრაცია განეკუთვნება ნებაყოფლობით დაბრუნებადს, აქასთან, შეიძლება იყოს არაკანონიერი, გადასახლება განეკუთვნება არდაბრუნებად მიგრაციას.

საგარეო მიგრაციის სუბიექტებს წარმოადგენენ: ა) ემიგრანტები, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც მისი ტერიტორიიდან გადასახლდნენ სხვა ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური და ეთნიკური ხასიათის მიზეზებით, აგრეთვე პირადი მოტივებით - ოჯახების შეერთება, დაქორწინება. ბ) პირები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მოყიდნენ

ლტოლვილების სტატუსით, ან იძულებითი გადაადგილებული პირები; ტოვებენსაქართველოს ტერიტორიას; ბ) უცხოელი - იმიგრანტები (უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები), რომლებიც ჩამოვიდნენ საქართველოში თავშესაფრის მოტივით, მ.შ. შუამდგომლობას აღძრავს ქვეყნის ხელისუფლების წინაშე წარადგინონ ლტოლვილის სტატუსი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1951 წ. კონვენციის და მასზე დართული 1967 წ. ოქმთან შესაბამისად. დ) ტრანზიტული იმიგრანტები - უცხოელები, რომლებიც ჩამოვიდნენ ქვეყანაში იმ მიზნით, რომ მესამე ქვეყანაში მოხვდნენ პროცედურის ვაიოლება-გამარტივებით.

იძულებითი მიგრაციის სუბიექტებს წარმოადგენენ პირები, რომლებიც თავშესაფარს ეძებენ ქვეყნის ტერიტორიაზე. მათ განეკუთვნებიან უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები (აპატრიდები), აგრეთვე, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები (ბიპატრიდები).

არაკანონიერი მიგრაციის სუბიექტებია: ქვეყნის არაკონტროლირებადი მოქალაქე-ემიგრანტები, რომლებიც სხვა უცხო სახელმწიფოში შედიან; არალეგალური ემიგრანტები, რომლებიც არალეგალურად გადიან საზღვარგარეთ ან კვეთენ უცხოეთის სახელმწიფოებთან ქვეყნის სახელმწიფო საზღვარს; არაკანონიერი იმიგრანტები - ქვეყანაში მუდმივად თუ ხანგრძლივად მცხოვრები უცხოელები, რომელთა მიზანი სხვა სახელმწიფოში შესვლისა მათ განხრახვას ან შეესაბამება; უცხოელები, რომლებიც ყალბი დოკუმენტებით აპირებენ სხვა ქვეყანაში შესვლას; არალეგალურად, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით, შემოსული უცხოელები.

დროებითი იმიგრანტები ისეთი პირებია, რომელთაც აქვთ განსაზღვრული პერიოდით მუშაობის ვიზა და ნებართვა. არიან პირები, რომლებიც ყოველდღე გადიან ქვეყნიდან საზღვრის გადაკვეთით. სეზონური მუშები ჩამოდიან რამდენიმე კვირით, ან თვით; დროებით მუშაკებს, ჩვეულებრივ, აქვთ სოციალური დაცვის ძალზე დაბალი დონე, რამდენადაც ისინი ქვეყანაში არ ცხოვრობენ ისეთი ყადით, რომ თავისი წილი შეიტანონ სოციალური დაზღვევის

სისტემაში. აშშ-ში დროებით მუშაკებს არ ძალუძთ მიიღონ ინვალიდობის დახმარება გადასახადების გადაუხდელობის გამო. გარდა ამისა, ისინი ვერ იღებენ დახმარებას უმუშევრობაზე. სპარსეთის ყურეს უმეტესი ქვეყნები, რომლებმაც უფასო საშედიცინო მომსახურება აღმოუჩინეს თავის მოქალაქეებს, იმიგრანტებზე ამას არ ავრცელებენ.

არალეგალური იმიგრანტები უფრო უიმედო მდგომარეობაში იმყოფებიან. ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს მათი დეპორტირება - **იძულებითი გადასახლება სხვა** სახელმწიფოში ან სხვა ტერიტორიაზე. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი სრულიად უუფლებონი არიან. მაგალითად, 1982 წ. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ არალეგალური იმიგრანტების ბავშვებისათვის თავისუფლად მისაწვდომი უნდა იყოს განათლების მიღება; აშშ-ის კონსტიტუციის მიხედვით, კანონი ყველა ადამიანს თანაბრად იცავს, მიუხედავად იმისა, წარმოადგენენ ისინი ქვეყნის მოქალაქეებს თუ უცხოელებს. იაპონიაში არალეგალური მუშები კომპენსაციას იღებენ საშუშაოზე უბედური შემთხვევების დროს.

იმიგრანტი შეიძლება იყოს კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქე, რომელსაც აქვს „მუდმივად მცხოვრების" სტატუსი. მათ შეუძლიათ შევიდნენ ისეთ საზოგადოებრივ ინსტიტუტებში, როგორიცაა: სოციალური დაზღვევა, განათლება, საბინაო და ჯანმრთელობის დაცვა. არ უნდა იქნეს დაშვებული, - იძულებით დატოვონ ქვეყანა, თუ ისინი უმუშევრები აღმოჩნდებიან. რიგ ქვეყნებში იმიგრანტებს აქვთ ხმის მიცემის უფლება, თუმცა ამ მიმართებით ხშირად გარკვეული შეზღუდვებია დადგენილი. მაგალითად, ნიდერლანდებში - მინიმუმ 5 წლის ვადით მცხოვრებ უცხოელს უფლება აქვს ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი შეიძლება არჩეული იქნენ: 1988 წელს შვეიცარიაში 100 უცხოელი იქნა არჩეული მუნიციპალურ საბჭოებში. მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს ხშირად არ აქვთ უფლება დაიკავონ სახელმწიფო მოხელის თანამდებობები. მაგალითად, ავსტრალიაში მათ არ შეუძლიათ გახდნენ სახელმწიფო მოსამსახურეები.

14.4 მოქალაქეთა შრომითი უფლებები საზღვარგარეთ

საზღვარგარეთ დროებით სამუშაოს მსურველთა რიცხვი საქართველოდან 2 მლნ-ზე მეტია. საგარეო შრომითი მიგრაციის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს: ადამიანის და მოქალაქის თავისუფალი გადაადგილების, ქვეყნის და სამუშაო ადგილის თავისუფალი არჩევანი, ასევე, სამშობლოში თავისუფალი დაბრუნება; მიგრანტებისა და მიმღები ქვეყნის მოქალაქეთა თანაბარი შრომითი უფლებების უზრუნველყოფა; საქართველოს მოქალაქეთა სამოქალაქო, შრომითი და სოციალურ უფლებათა თანასწორობის უზრუნველყოფა - დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში ეწევიან ისინი პროფესიულ საქმიანობას.

რუსეთის ფედერაციის, ფილიპინების, პაკისტანის, პორტუგალიის, ინდოეთის და რიგი სხვა ქვეყნების კანონმდებლობა მუშებს ავალდებულებს საზღვარგარეთ გამგზავრების წინ, წარადგინონ დასაქმტკიცებლად თავისი შრომითი ხელშეკრულებები მიგრაციის სამსახურში ან საგარეო საქმეთა ორგანოში. მხოლოდ მას შემდეგ, როცა გაირკვა, რომ ხელშეკრულების პირობები პასუხობენ დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს, მუშებს ეძლევათ მიგრაციის ნებართვა. მინიმალურ სტანდარტებს განეკუთვნებიან არა მარტო ხელფასი და სოციალური შეღავათების კომპლექსი, არამედ, ჩვეულებრივ, უფასო მგზავრობა ორივე მიმართულებით, სამუშაო და ზეგანაკვეთური დრო, გადაყვანის ფულადი ხარჯები და საბინაო საშუალებები, მკურნალობა, უქმე დღეები, ყოველწლიური შვებულება, საწარმოო ტრავმასთან დაკავშირებული კომპენსაციები, ხარჯები სოციალურ უზრუნველყოფაზე, ხარჯები სიკვდილის შემთხვევაში, ასევე დამატებით შესწორება შრომითი ხელშეკრულების ვადამდე დასაბუთებული შეწყვეტის ან განახლების შემთხვევაში.

შრომითი ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) № 04 კონვენციის შესაბამისად: „ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების მიერ დაღებული ხელშეკრულებში შრომით მუხლებზე“, 1949 წ.

ხელშეკრულებაში უნდა შედიოდეს შემდეგი დებულებები: სამუშაოს აღწერა, სამუშაო ადგილი და ხელშეკრულების მოქმედების ხანგრძლივობა; ძირითადი თვიური ხელფასის მოცულობა და ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების მოცულობა; ძირითადი სამუშაო დროის ხანგრძლივობა; სადღესასწაულო და გამოსასვლელი დღეები; საწარმოო ტრამვეები და ბიულეტენი, სასწრაფო სამედიცინო დახმარება და სტომატოლოგიური მკურნალობა; შრომითი ხელშეკრულების გაუქმების საფუძვლები; უნაღდო კომპენსაცია და შეღავათები[1].

14.5 საერთაშორისო ორგანიზაციების პერსონალის შრომის საერთლებრივი რეგულირება

საერთაშორისო ადმინისტრაციული ტრიბუნალები, ისევე როგორც ეროვნული სასამართლოები, არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების და მის პერსონალს შორის შრომითი ურთიერთობები, არ ექცევიან სახელმწიფო სამართლის მოქმედების სფეროს ქვეშ, არამედ ექცევიან შესაბამისი ორგანიზაციის მოქმედების სფეროს ქვეშ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და მისი სპეციალიზირებული დაწესებულებების შრომითი დავები თავის პერსონალთან განიხილება ადმინისტრაციული ტრიბუნალების მიერ.

თავისი სტატუტის შესაბამისად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადმინისტრაციული ტრიბუნალი უფლებამოსილია მოისმინოს და გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომელიც ეხება გაერის სამდივნოს პერსონალის კონტრაქტზე დარღვევებს, ან ასეთი პერსონალის დაქირავების პირობებს.

დავასახელებთ რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლებმაც აღიარეს ტრიბუნალის უფლებამოსილება: ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია; იუნესკო -

1. Маноло И., Абелла. Направление трудящихся в зарубежные страны. Тбилиси, 1997. С. 96-97.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში 1946 წლიდან (შტაბ-ბინა პარიზშია); ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო კავშირი; საერთაშორისო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია; სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია; საერთაშორისო საფოსტო კავშირი და სხვ.

ტრიბუნალს შეიძლება მიმართოს საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის ბიუროს ნებისმიერმა მოსამსახურემ, რომლებიც აღიარებენ მის იურისდიქციას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ თავის იურიდიულ დასკვნაში 26.02.1976 წ. აღნიშნა: გაეროს პერსონალის დაქირავებაზე ხელშეკრულებები ორგანიზაციის საერთაშორისო ადმინისტრაციული საშართლის სისტემის ერთი ნაწილია, რომელიც დამოუკიდებელი არ არის შიგა სახელმწიფო საშართლის კონკრეტულ სისტემაზე.

გაეროს ადმინისტრაციული ტრიბუნალი, მომუშავეთა დაქირავების თაობაზე, ხელშეკრულების განმარტებისას მიუთითებს, რომ იგი ორგანიზაციის შინაგანი უფლებაა ისე, როგორც საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები. აშგვარად, ტრიბუნალი, ძირითადად, გაეროს პერსონალის განმარტებისას თავიდან იცილებს შიგასახელმწიფოებრივ სისტემაზე მითითებას.[1]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პერსონალის წევრები წარმოადგენენ საერთაშორისო საშოქალაქო მოსამსახურეებს. მათი პასუხისმგებლობა საერთაშორისო ხასიათს ატარებს. ამგვარად, გაეროს პერსონალი არავითარ შიგა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს არ წარმოადგენს.

სპეციალურ დებულებაში გათვალისწინებულია პერსონალის დაქირავების; ხელფასის, მიღლინებების და სხვა ფულადი გასამრჯელოს გაცემის წესი, ასევე, საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი.

გაეროს წესდების მე-8 მუხლის თანახმად, ორგანიზაცია არავითარ შეზღუდვებს არ ადგენს ქალისა და შამაკაცის

1. Юридический ежегодник ООН, 1976 г. Нью-Йорк, 1978. с. 219.

უფლებებში, მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერი სახით მისი ორგანოების საქმიანობაში.

სამდივნო შედგება გენერალური მდივნისა და სათანადო პერსონალისაგან. თავისი მოვალეობების შესრულების დროს, გენერალურმა მდივანმა და სამდივნოს პერსონალმა არ უნდა გამოითხოვონ, ან მიიღონ მითითება ორგანიზაციის უცხო რომელიმე მთავრობის ან ხელისუფლებისაგან (მუხლი 100). სამსახურში მიღების დროს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს იმ პრინციპით, რომ უზრუნველყოს პერსონალის შრომისუნარიანობის მაღალი დონე, კომპეტენტურობა და კეთილსინდისიერება. სათანადო ყურადღება მიექცეს პერსონალის შერჩევას, შეძლებისდაგვარად, ფართო გეოგრაფიული ნიშნით (მუხლი 101). გაეროს სამდივნოს მომსახურეთა სამართლებრივი სტატუსი და მათი შრომითი უფლებები დეტალურადაა რეგლამენტირებული პერსონალის დებულებებით და წესებით (Staff Rules and Staff Regulations)[1].

გაეროს პერსონალზე დებულება რეგლამენტს უქმნიდებარებს მოსამსახურეების სამუშაოზე შეზღუდული და შეუზღუდავი ვადით დანიშვნის პროცედურას.

1998 წ. 1 მარტის რედაქციით მიღებული დებულება განსაზღვრავს სამსახურის ძირითად პირობებს, აგრეთვე, გაეროს სამდივნოს თანამშრომელთა ძირითად უფლებებს, მოვალეობებს და ყალდებულებებს. ისინი საკადრო პოლიტიკის ზოგად პრინციპებს წარმოადგენენ სამდივნოს შტატებით დაკომპლექტებასა და მართვის საკითხებზე. გენერალური მდივანი, როგორც მთავარი ადმინისტრაციული თანამდებობრივი პირი, ადგენს და ცხოვრებაში ატარებს პერსონალზე ისეთ წესებს, რომლებიც პასუხობენ ამ პრინციპებს.

სამდივნოს თანამშრომლები წარმოადგენენ საერთაშორისო საქმოქალაქო მოსამსახურეებს. მათ აქვთ არა ეროვნული, არამედ განსაკუთრებული საერთაშორისო ვალდებულებები. დაინიშნენ რა

2.Митрофанов М.В. Служащие международных организаций. М., 1981. С. 58.

გარკვეულ სამუშაოზე, ისინი ვალდებულებას იღებენ შეასრულონ თავიანთი ფუნქციები და ააგონ თავისი ქცევები მხოლოდ გაეროს ინტერესების შესაბამისად.

თანამშრომლები ექვემდებარებიან გენერალურ მდივანს. ისინი ინიშნებიან გენერალური მდივნის მიერ გაეროს ნებისმიერ სამუშაოზე და ნებისმიერ განყოფილებაში. ისინი მის წინაშე პასუხისმგებელნი არიან თავიანთი ფუნქციების შესრულებისათვის. მდივანი ადგენს ჩვეულებრივი სამუშაო კვირის ხანგრძლივობას; სამდივნოს თანამშრომლები ხელს აწერენ ფიცზე და საზეიმო განცხადებაზე.

შესაბამისი სკალის მიხედვით, გენერალური მდივანი ადგენს თანამშრომელთა სარგოებს.

სამსახურში დანიშვნის დროს, ყოველი თანამშრომელი იღებს წერილს დანიშვნაზე. მას ხელს აწერს გენერალური მდივანი, ან მისი სახელით - სხვა თანამდებობის პირი.

გაეროს წესდების პრინციპების შესაბამისად, თანამშრომელთა შერჩევა წარმოებს რასის, სქესის ან რელიგიის განურჩევლად. შესაძლებლობის ფარგლებში, შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე.

გენერალური მდივანი ადგენს, რომელ თანამშრომლებს აქვთ უფლება მუდმივი კონტრაქტის მიღებაზე. საგამოცდო ვადა აუცილებლად უნდა გაიაროს თანამშრომელმა მუდმივი კონტრაქტის დამტკიცებისათვის. როგორც წესი, ვადა 2 წლით განისაზღვრება, გამონაკლის შემთხვევაში დამატებითი ვადა ერთ წლამდეა.

დებულების 5-ე მუხლის შესაბამისად, თანამშრომლებს ეძლევათ სათანადო ყოველწლიური შვებულება. მათგან ყოველ ორ წელიწადში შვებულების უფლება სამშობლოში.

მდივნის თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ გაეროს პერსონალის საპენსიო ფონდში დებულების შესაბამისად.

გენერალურ მდივანს შეუძლია გაათავისუფლოს სამსახურიდან თანამშრომელი, რომელიც მუშაობს მუდმივი კონტრაქტით, ან

რომელსაც დაუმიავრდა გამოსაცდელი ვადა, თუ თანამშრომლის ინტერესები დაუკმაყოფილებელი აღმოჩნდა, ან თაყისი ჯანმრთელობით თანამშრომელს არ შეუძლია მუშაობის გაგრძელება. გარდა ამისა, გენერალურ მდივანს შეუძლია გაათავისუფლოს მუდმივ კონტრაქტზე მომუშაყე თანამშრომელი: ა) თუ ამ თანამშრომლის ყოფაქცევა ვერ პასუხობს კეთილსინდისიერების მაღალ მოთხოვნებს; ბ) თუ ამ თანამშრომლის შესახებ მეღავნდება მანამდე უცნობი ფაქტები, რომლებიც შეუძლებელს ხდის სამსახურში მის დატოყებას;

გენერალურ მდივანს შეუძლია გაათავისუფლოს სასწრაფო (ვადიანი) კონტრაქტით მომუშავე თანამშრომელი კონტრაქტის ვადის დამთავრებამდე ზემოთჩამოთვლილი მიზეზებით, რომელიც შეიძლება მიეთითოს წერილში მის დანიშვნაზე. გენერალური მდივნის მიერ თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში თანამშრომელი ღებულობს მესაბამის შეტყობინებას და გამოსასყლელ შემწეობას (დახმარებას), რომელიც გათვალისწინებულია პერსონალის დებულებით.

გენერალურ მდივანს შეუძლია მიიღოს დისციპლინარული ღონისძიება თანამშრომლის მიმართ, როცა მისი ყოფა-ქცევა არადამაკმაყოფილებელია. სერიოზული გადაცდომისათვის მას შეუძლია დაითხოყოს თანამშრომელი დისციპლინარული წესით.

დებულებას პერსონალზე დართული აქვს სარგოების სკალა, წერილის ნიმუში დანიშვნაზე, გამოსასვლელი დახმარების გამოანგარიშების წესი თანამშრომლისა ყველა კატეგორიისათვის, რეპატრიაციაზე სუბსიდიების გაცემის წესი.

გაეროს გენერალური მდივანი ადგენს მუშაობის ჩვეულებრივ საათებს. აცნობებს ამის შესახებ თანამშრომლებს. გენერალური მდივანი ადგენს ოფიციალურ დღესასწაულებს სამსახურის ყოველი ადგილისათვის და აწყდის ცნობებს მათ შესახებ თანამშრომლებს.

301.3 წესების შესაბამისად, არც ერთმა თანამშრომელმა არ უნდა მიიღოს გაეროს გარეშე რომელიღაც ორგანოსაგან რაიმე საპატიო წოდება, ჯილდო, მომსახურება, საჩუქარი ან გასამრჯელო, თუ წინასწარი ნებართვა არ მიიღო გენერალური მდივნისაგან.

წესებით დაწვრილებითაა რეგლამენტირებული სარგოების დადგენის საკითხები, დღეშაგიერის და ყოველწლიური შვებულების მიცემა, დანიშვნა დროებითი კონტრაქტით, სამედიცინო შემოწმება, კომპენსაციები სიკვდილის, დასახიჩრების ან შრომისუნარიანობის დაკარგვის სხვა შემთხვევებში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

ამგვარად, გაეროს პერსონალის და სხვა სამთავრობათშორისო ორგანიზაციების შრომის სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება მხოლოდ პერსონალის შესახებ დებულების საფუძველზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ელექტროკავშირი და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციები ამას ასრულებენ დეტალურად, ზოგიერთები კი განსაზღვრავენ მხოლოდ შრომის ზოგად პირობებს. თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის კონკრეტულ საკითხებს განსაზღვრავს ორგანიზაციის უმაღლესი თანამდებობის პირი. ამ ორგანიზაციების პერსონალზე წესები არ ითვალისწინებენ შიგასახელმწიფოებრიული სამართლის ნორმების გამოყენებას.

დანართი

საქართველოს საერთაშორისო კერძო საქართველოს კანონი

თავი I.
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. გამოყენების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი საქართველოებრივი წესრიგი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, აგრეთვე, საპროცესო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება ასეთი საქმის წარმოებისას.

მუხლი 2. საერთაშორისო ხელშეკრულებები

საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით.

მუხლი 3. უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების არსის დადგენა

1. უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენებისას საქართველოს სასამართლო იღებს საჭირო ზომებს მისი ნორმების არსის დასადგენად, შესაბამის ქვეყანაში მათი ოფიციალური განმარტების, გამოყენების პრაქტიკისა და დოქტრინის გათვალისწინებით.

2. თუ უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების არსის დადგენა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების მიუხედავად უშედეგოა ან მოითხოვს გაუმართლებელ ხარჯებს, ხოლო პროცესის არც ერთ მხარეს არ შეუძლია ნორმების არსის დადგენა და მათი გამოყენების დასაბუთება, სასამართლო იყენებს საქართველოს სამართალს.

მუხლი 4. მითითება

1. სხვა ქვეყნის (იგულისხმება მესამე ქვეყანაც) სამართალზე მითითება გულისხმობს ამ ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის გამოყენებასაც, თუ ეს მითითება მითითების აზრს არ ეწინააღმდეგება ან თუ ეს მითითება არ გულისხმობს მხოლოდ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ნორმების გამოყენებას.

2. საქართველოს სამართალზე უკუმითითებისას გამოიყენება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული საქართველოს სამართლის ნორმები.

3. თუ მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი ქვეყნის სამართალი, ასეთი არჩევანი გულისხმობს მხოლოდ ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ნორმების გამოყენებას.

მუხლი 5. საჯარო წესრიგი

საქართველოში უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები არ გამოიყენება, თუ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

მუხლი 6. იმპერატიული ნორმების გამოყენება

ამ კანონის დებულებები არ ვრცელდება საქართველოს სამართლის იმპერატიული ნორმების მოქმედებაზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის სამართალი გამოიყენება ურთიერთობათა მიწესრიგებისას.

მუხლი 7. რამდენიმე სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოს სამართლის გამოყენება

იმ ქვეყნის სამართლის გამოყენებისას, სადაც მოქმედებს რამდენიმე ტერიტორიული ან განსხვავებული სამართლებრივი სისტემა, გამოიყენება ის სამართლებრივი სისტემა, რომლის გამოყენებასაც მოცემულ შემთხვევაში ითვალისწინებს ამ ქვეყნის სამართალი. თუ ასეთი წესი არ არსებობს, გამოიყენება იმ ტერიტორიის სამართალი. თუ ასეთი წესი არ არსებობს, გამოიყენება იმ ტერიტორიის სამართალი , რომელთანაც კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული.

თავი II.

საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია

მუხლი 8. საერთაშორისო კომპეტენციის პრინციპი

საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

მუხლი 9. საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევები

საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა;

გ) სარჩელი ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა;

დ) დავა ეხება იმ საწარმოს ფილიალს, რომლის რეზიდენციაც საქართველოშია;

ე) მამობის დადგენის ან ალიმენტის გადახდის საქმეებზე ბავშვის ან ალიმენტის მიმღების საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია;

ვ) სარჩელის საგანია სამემკვიდრეო უფლების დადგენა, სამკვიდრო ქონების გაყოფა და მამკვიდრებელს გარდაცვალებისას საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან სამკვიდრო ქონება საქართველოში ჰქონდა.

მუხლი 10. განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია

საქართველოს სასამართლოებს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მხოლოდ იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება:

ა) უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია;

ბ) იურიდიული პირის ან მისი ორგანოს გადაწყვეტილებათა სამდვილობას ან შეწყვეტას, როცა ამ იურიდიული პირის ან მისი ორგანოს რეზიდენცია საქართველოშია;

გ) საქართველოს სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ იურიდიული პირების რეგისტრაციას;

დ) პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაციას, როცა ამ უფლებათა რეგისტრაცია ან რეგისტრაციის მოთხოვნა საქართველოში განხორციელდა;

ე) იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, როცა მათი მოთხოვნა ან განხორციელება საქართველოში მოხდა.

მუხლი 11. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და მათი გარდაცვლილად გამოცხადება

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და გარდაცვლილად გამოცხადების საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ:

ა) უგზო-უკვლოდ დაკარგული საქართველოს მოქალაქეა;

ბ) უგზო-უკვლოდ დაკარგულს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს;

გ) უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და გარდაცვლილად გამოცხადებისათვის შუამდგომლობის აღმძვრელ მხარეს აქვს დასაბუთებული ინტერესი.

მუხლი 12. ქორწინებასთან დაკავშირებული საქმეები

1. ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ:

ა) ერთ-ერთი მეუღლე საქართველოს მოქალაქეა ან ქორწინებისას საქართველოს მოქალაქე იყო;

ბ) მეუღლეს, რომლის წინააღმდეგ აღძრულია საქმე, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს;

გ) ერთ-ერთი მეუღლე მოქალაქეობის არამქონე პირია და ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს;

2. ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებში იგულისხმება განქორწინება, ქორწინების შეწყვეტა ან ბათილად ცნობა, ქორწინების ან მეულლეთა თანაცხოვრების ფაქტის დადგენა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენცია ვრცელდება განქორწინების დამატებით შედეგებზეც.

მუხლი 13. მშობელსა და შვილებს შორის პირადი ურთიერთობები.

შვილების წარმოშობა, მამობის დადგენა და
მათთან დაკავშირებული დავები.

მშობლებსა და შვილებს შორის პირადი ურთიერთობების, შვილების წარმოშობის, მამობის დადგენის და მათთან დაკავშირებული დავების საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ პროცესის ერთ-ერთი მხარე საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

მუხლი 14. შვილად აყვანა

შვილად აყვანის საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ მშვილებლები, ერთ-ერთი მშვილებელი ან ბავშვი საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

მუხლი 15. ქმედუნარიანობის შეზღუდვა

პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ ეს პირი საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

მუხლი 16. მეურვეობა და მზრუნველობა

1. მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ მეურვე, მზრუნველი ან პირი, რომელსაც მეურვეობა ან მზრუნველობა

ესაჭიროება, საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

2. საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაშიც, თუ მეურვე, მზრუნველი ან მეურვეობის, ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი ამას საქართველოს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვს.

მუხლი 17. უცხო ქვეყანაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები

თუ საქართველოს კანონმდებლობა საქმის წარმოების შიდა კომპეტენციას არ ითვალისწინებს და ამავე დროს შეუძლებელია საქმის აღძვრა უცხო ქვეყანაში, ან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე პროცესის იქ წარმოებას აზრი არა აქვს, კომპეტენტურია საქართველოს იმ ტერიტორიაზე არსებული სასამართლო, სადც უცხო ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს ჰქონდა საბოლოო საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

მუხლი 18. შეთანხმებები საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე

1. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე იმ შემთხვევაშიც, როცა ამ კანონის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლების მიხედვით იგი კომპეტენტური არ არის. ასეთი შეთანხმება უნდა დაიდოს:

ა) წერილობით ან სიტყვიერად, წერილობითი დადასტურებით;

ბ) საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობისას იმ ფორმით, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებებს და რაც მხარეებისათვის ცნობილია ან ცნობილი უნდა ყოფილიყო.

2. საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხე სასამართლოს კომპეტენტურობაზე პროტესტის გარეშე თანხმდება პროცესში მონაწილეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ:

ა) მოპასუხე წარმოდგენილია ადვოკატის მიერ;

ბ) მოსამართლემ შეატყობინა მოპასუხეს პროტესტის განხორციელების შესაძლებლობაზე და ეს შეტყობინება დაფიქსირებულია საქმის წარმოების იქმში.

ყ. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე, თუ ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი უცხო ქვეყანაში აქვს. ასეთ შეთანხმებაზე შესაბამისად ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტი.

4. შეთანხმებები ამ კანონის მე-10-16 მუხლებით გათვალისწინებული კომპეტენციის თაობაზე ბათილია. ასეთ შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტი არ გამოიყენება.

მუხლი 19. საერთაშორისო წარმოება ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში

1. თუ ერთი და იმავე სარჩელის თაობაზე ერთსა და იმავე მხარეებს შორის მიმდინარეობს საერთაშორისო წარმოება საქართველოსა და უცხო ქვეყანაში და ეს სარჩელი პირველად უცხო ქვეყნის სასამართლოს ექვემდებარებოდა, საქართველოს სასამართლო აჩერებს საქმის წარმოებას. საქმის წარმოება არ შეჩერდება, თუ არსებობს შესაძლებლობა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო შესაბამის ვადაში გადაწყვეტილებას არ მიიღებს ან საქართველოში ასეთი გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება.

2. საქართველოს სასამართლო საქმეს წარმოებაში არ მიიღებს, თუ არსებობს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება ცნობილ იქნეს საქართველოში.

მუხლი 20. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

სარჩელის უზრუნველყოფისას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი ან საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.

თავი III.
პირები

მუხლი 21. კანონის წინაშე თანასწორობა

უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, მოქალაქეობის არმქონე პირებს ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა აქვთ, როგორიც საქართველოს მოქალაქეებს. ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება, თუ უცხო ქვეყანაში მოქმედებს საქართველოს ფიზიკური ან იურიდიული პირების უფლებების შემზღუდველი ნორმები. ამისათვის საჭიროა კანონით ნათლად განსაზღვრული ნორმა.

მუხლი 22. პიროვნული სტატუსი

1. თუ პირი რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეა, მის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელთანაც იგი ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული, აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ეწევა ძირითად საქმიანობას.

2. თუ ფიზიკური პირი მოქალაქეობის არქონეა ან შეუძლებელია მისი მოქალაქეობის დადგენა, მის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მას აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ეწევა ძირითად საქმიანობას, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს - საქართველოს სამართალი.

მუხლი 23. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

1. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება. ეს წესი ვრცელდება ქორწინების შედეგად ქმედუნარიანობის გაფართოების შემთხვევებზეც.

2. საქართველოს მოქალაქის სამართლებრივი სტატუსის ცვლილება არ იწვევს ერთხელ შეძენილი ქმედუნარიანობისა და უფლებაუნარიანობის შეზღუდვას.

მუხლი 24. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტიური ადგილსამყოფელი. ეს წესი ვრცელდება იურიდიული პირის ფილიალის მიმართაც.

მუხლი 25. სამართლის გამოყენება უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისას და გარდაცვლილად გამოცხადებისას

1. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც უგზოუკვლოდ დაკარგული ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი განეკუთვნებოდა მისი სიცოცხლის შესახებ უკანასკნელი ინფორმაციის მიხედვით. მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ გამოიყენება მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალი, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს - საქართველოს სამართალი.

2. თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი საქმის განხილვის პერიოდში, უცხო ქვეყნის მოქალაქეა, იგი შეიძლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული იქნეს საქართველოს სამართლის მიხედვითაც, თუ ამისათვის არსებობს დასაბუთებული ინტერესი.

მუხლი 26. სახელი

1. ფიზიკური პირის სახელთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება.

2. იურიდიული პირის საფირმო სახელწოდების საკითხი წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ეს წესი ვრცელდება იურიდიული პირის ფილიალის მიმართაც.

თავი IV
გარიგებანი

მუხლი 27. გარიგების ნამდვილობა

1. გარიგების ან მისი ცალკეული დებულების ძალაში შესვლა და ნამდვილობა განისაზღვრება იმ ქვეყნის საკანონმდებლო, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო გარიგების ან მისი რომელიმე დებულების ნამდვილობისათვის.

2. თუ არსებობს ისეთი გარემოებები, რომელთა მიხედვითაც სახელშეკრულებო მოლაპარაკებების დროს ერთ-ერთი მხარის მოქმედების შედეგების განსაზღვრა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სამართლის მიხედვით შეიძლება გაუმართლებელი ყოფილიყო, პირს იმის დასამტკიცებლად, რომ არ მიუცია თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე, შეუძლია მიმართოს თავისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის საკანონმდებლოს.

მუხლი 28. გარიგებაში წარმომადგენლობა

თუ გარიგებაში წარმომადგენლობისას რომელიმე ქვეყნის სამართლის გამოყენება შეთანხმებული არ არის, გამოიყენება იმ ქვეყნის საკანონმდებლო, სადაც წარმომადგენელი ეწევა საქმიანობას. წარმომადგენლის საქმიანობის ადგილის არარსებობისას გამოიყენება მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის საკანონმდებლო. თუ არსებობს მჭიდრო კავშირი იმ ქვეყანასთან, სადაც წარმომადგენელმა განახორციელა მოქმედება, განსაკუთრებით, თუ წარმომადგენელს ან მესამე პირს იქ აქვს საქმიანობის ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, გამოიყენება იმ ქვეყნის საკანონმდებლო, სადაც წარმომადგენელმა განახორციელა საქმიანობა.

მუხლი 29. გარიგების ფორმა

1. გარიგების ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც დაიდო ეს გარიგება ან იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოიყენება გარიგების საგნის მიმართ. გარიგების ფორმა დაცულად ითვლება, თუ ხელშეკრულება დაიდო სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ

პირებს შორის და იგი შეესაბამება ერთ-ერთი ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს გარიგების ფორმის შესახებ.

2. თუ ხელშეკრულება დადებულია წარმომადგენლის მეშვეობით, მაშინ ამ მუხლის პირველი პუნქტის გამოყენებისას იგულისხმება ის ქვეყანა, სადაც იმყოფება წარმომადგენელი.

3. გარიგებათა მიმართ, რომელთა საგანია მიწის ნაკვეთზე უფლება, მიუხედავად ხელშეკრულების დადების ადგილისა და ამ ადგილას მოქმედი სამართლისა, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართლის იმპერატიული ნორმები გარიგების ფორმის შესახებ, სადაც არის მიწის ნაკვეთი.

4. გარიგება, რომლითაც წარმოიშობა უფლება ნივთზე ან რომლითაც ხდება ამ უფლების განკარგვა, ითვლება ფორმის დაცვით დადებულად, თუ იგი შეესაბამება გარიგების ფორმის შესახებ იმ ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს, რომელიც გამოიყენება გარიგების საგნის წარმოშობი სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ.

მუხლი 30. მოთხოვნის ხანდაზმულობა

მოთხოვნის ხანდაზმულობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც ამ მოთხოვნის მიმართ გამოიყენება.

მუხლი 31. კეთილსინდისიერების დაცვა

1. თუ ხელშეკრულება დაიდო ერთ ქვეყანაში მყოფ პირებს შორის, მაშინ იმ ფიზიკურ პირს, რომელიც კონკრეტული საქმის გარემოებებთან დაკავშირებული სამართლის ნორმების მიხედვით უფლებაუუნარო და ქმედუუნაროა, მხოლოდ მაშინ შეუძლია მიუთითოს უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების მიხედვით თავის უუნარობაზე, თუ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარემ ხელშეკრულების დადებისას იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამის შესახებ.

2. თუ ხელშეკრულების დადებაში მონაწილეობს იერიდიული პირი, მას არ შეუძლია მიუთითოს თავისი ორგანოების ან წარმომადგენლების იმ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების

შეზღუდვაზე, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის საქმიანობის ადგილას ან ჩვეულებრივ ადგილსამყოფელ ქვეყანაში არ არსებობს და რომელთა შესახებაც ხელშეკრულების მხარეს არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა.

თავი V
სანივთო სამართალი

მუხლი 32. უფლებები ნივთზე

1. ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა, გადაცემა და შეწყვეტა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება. ამ ქვეყნის სანიკუთო-სამართლებრივი ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა ამ კანონის მითითებითი (კოლიზიური) ნორმის მიხედვით სხვა ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული.

2. თუ სხვა ქვეყანაში აღმოჩნდა ნივთი, რომელზედაც წარმოიშვა უფლება, მაშინ ამ უფლების შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც გადაიტანეს ნივთი.

მუხლი 33. უფლებები სატრანსპორტო საშუალებებზე და მათში მოთავსებულ ნივთებზე

1. უფლებები საჰაერო, წყლის და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებებზე ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ისინი ეკუთვნის.

2. უფლებები ამ მუხლის პირველი მუხლით გათვალისწინებულ სატრანსპორტო საშუალებებში მოთავსებულ ნივთებზე ექვემდებარება მისი საბოლოო დანიშნულების ადგილის სამართალს.

მუხლი 34. არაქონებრივი უფლებები

არაქონებრივი უფლებები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ისინი უნდა იქნეს გამოყენებული.

თავი VI

ვალდებულებითი სამართალი. სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები

მუხლი 35. საქართველოს არჩეული მხარეების მიერ

1. სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ, ხელშეკრულებათა განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, აგრეთვე ბათილობის შედეგები, ყალდებულებათა დარღვევა, წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით, წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით.

2. არჩეული ქვეყნის სამართალი მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს სხვა ქვეყნის სამართლით ხელშეკრულების დადების შემდეგაც.

3. სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს.

მუხლი 36. სამართლის გამოყენება, როცა მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი

1. თუ მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი, ხელშეკრულება დაექვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს. იგარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც მხარეს, რომელსაც დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შეესრულებინა, ხელშეკრულების დადებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია.

2. თუ ხელშეკრულების საგანია მიწის ნაკვეთზე უფლება ან მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება, იგარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც არის მიწის ნაკვეთი.

3. ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებისას იგარაუდება, რომ იგი ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც ხელშეკრულების დადებისას გადამზიდველს აქვს ადმინისტრაციის ძირითადი ადგილსამყოფელი, თუ ამავე ქვეყანაშია დატვირთვის, გადმოტვირთვის ან გაჩვენის ძირითადი ადგილსამყოფელი. სხვა შემთხვევებში მოქმედებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობები.

4. დაზღვევის ხელშეკრულებისას იგარაუდება, რომ იგი ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც დასაზღვევი რისკის ძირითადი ნაწილი არსებობს.

მუხლი 37. მოთხოვნის გადასვლა სხვა პირზე

1. ძველ და ახალ კრედიტორებს შორის ვალდებულებების მიმართ მოთხოვნის დათმობისას გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ექვემდებარება მათ შორის დადებული ხელშეკრულება.

2. სამართალი, რომელსაც ექვემდებარება გადაცემული მოთხოვნა, განსაზღვრავს შეიძლება თუ არა ამ მოთხოვნის გადაცემა, აგრეთვე მოვალის უფლება-მოვალეობებს ძველი და ახლი კრედიტორების მიმართ.

მუხლი 38. სოციალური დაცვის იმპერატიული ნორმები

სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს იმ იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც მიღებულია მომხმარებელთა და მუშა-მომსახურეთა დისკრიმინაციისაგან დასაცავად. ეს წესი აგრეთვე გამოიყენება მოძრავი ნივთების მიწოდების, დაფინანსების, შრომის ან მომსახურების ხელშეკრულებების მიმართ, თუ ისინი იმ ქვეყანაში იქნა შეთანხმებული ან დადებული, სადაც მომხმარებლებსა და მუშა-მოსამსახურეებს აქვთ საცხოვრებელი ადგილი და სადაც ასეთი დამცავი ნორმები მოქმედებს.

მუხლი 39. საზიარო უფლებები

მოწილეთა საზიარო უფლებები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს უფლებები არსებობს.

მუხლი 40. დაკალების გარეშე სხვისი საქმის შესრულება

1. სხვისი საქმის შესრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს მოქმედება განხორციელდა.

2. საზღვაო კატასტროფისას დახმარების გაწევიდან წარმოშობილი პრეტენზიების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომლის ალმითაც დაცურავს გემი და რომელსაც ეს დახმარება ეთაჭირება.

3. სხვისი ვალდებულებების დაფარვიდან წარმოშობილი პრეტენზიების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს ამ ვალდებულებების მიმართ.

მუხლი 41. უსაფუძვლო გამდიდრება

1. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი პრეტენზიები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც გამოიყენება პრეტენზიების წარმოშობ ქმედებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ.

2. უცხო ქვეყნის სამართლით დაცული სიკეთის ხელყოფის გზით უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებული პრეტენზიები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ეს ხელყოფა მოხდა.

3. სხვა შემთხვევებში უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებული პრეტენზიები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც გამდიდრების შედეგები დადგა.

მუხლი 42. დელიქტები

1. ზიანის ანაზღაურების ყალდებულება ექვემდებარება:

ა) დაზარალებულისათვის უფრო ხელსაყრელი ქვეყნის სამართალს;

ბ) იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ადგილი ჰქონდა იმ მოქმედებას

ან გარეშეიებას, რომელიც საფუძვლად დაედო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას;

ბ) იმ ქვეყნის საქართველს, სადაც საქართველით დაცულ ინტერესს ზიანი მიადგა;

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საქართველოს ნაცვლად გამოიყენება:

ა) იმ ქვეყნის საქართველი, სადაც ზიანის ანაზღაურებაზე ყალდებულ პირს და დაზარალებულს ზიანის მიყენებისას ჰქონდათ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

ბ) არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული მოთხოვნებისათვის იმ ქვეყნის საქართველი, რომლის ბაზარზეც ასეთი კონკურენცია გაყლენას ახდენს, თუ ეს კონკურენცია არ შეეოიფარგლება ბაზრის ცალკეულ მონაწილეთა ინტერესებისათვის სრული ან ნაწილობრივი ზიანის მიყენებით;

3. დაზარალებულს შეუძლია თავისი პრეტენზია წარუდგინოს უშუალოდ პასუხისმგებლობის დამზღვევს, თუ ამას ითვალისწინებს იმ ქვეყნის საქართველი, რომელიც გამოიყენება ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობის მიმართ, ან იმ ქვეყნის საქართველი, რომელსაც დაზღვევის ხელშეკრულება ექვემდებარება.

მუხლი 43. საქართველოს არჩევა კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებისას

კანონისმიერი ყალდებულებითი ურთიერთობების წარმოშობის შემდეგ მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ საქართველი, რომელსაც ეს ურთიერთობები დაექვემდებარება. ამ შემთხვევაში მესამე პირთა უფლებები ხელშეუხებელი რჩება.

თავი VII
საოჯახო სამართალი

მუხლი 44. ქორწინების პირობები.

1. ქორწინების პირობები თითოეული დასაქორწინებელი პირისათვის ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება.

2. თუ ქორწინების პირობებიდან რომელიმე არ არსებობს და ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს, შესაძლებელია საქართველოს სამართლის გამოყენება, თუ:

ა) სხვა ქვეყნის სამართალი ქართულ ჩვეულებებთან შეადარებით ზღუდავს ქორწინების თავისუფლებას;

ბ) წინა ქორწინება ხელს არ უშლის ხელახალ ქორწინებას;

გ) წინა ქორწინება საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან საქართველოში ცნობილი გადაწყვეტილებით შეწყვეტილი ან ბათილია;

დ) დასაქორწინებელი პირის ყოფილი მეუღლე გამოცხადებულია გარდაცვლილად.

3. ქორწინების ფორმის საკითხი განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც განხორციელდა ქორწინება, თუ დასაქორწინებელ პირთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქე არ არის, ქორწინება საქართველოში შეიძლება განხორციელდეს იმ ქვეყანაში მოქმედი ქორწინების ფორმის შესაბამისად, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება.

მუხლი 45. ქორწინების შედეგები

1. ქორწინების ზოგადი შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს:

ა) რომელსაც ორივე მეუღლე ცალ-ცალკე განეკუთვნება ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში განეკუთვნებოდა;

ბ) სადაც ორივე მეუღლეს ცალ-ცალკე აქვს ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში ჰქონდათ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

ბ) რომელთანაც მეუღლეები ერთობლივად ყველაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი გამოიყენება აგრეთვე მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მიმართ თუ მათ სხვა ქვეყნის სამართალი არ აურჩევიათ. სამართლის არჩევა შესაძლებელია, თუ იგი მიუთითებს იმ ქვეყნის სამართალზე:

ა) რომელსაც ერთ-ერთი მეუღლე განეკუთვნება;

ბ) სადაც ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

გ) სადაც უძრავი ქონება იმყოფება.

3. ქონებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ლტოლვილებს შეუძლიათ აირჩიონ იმ ქვეყნის სამართალიც, სადაც მათ აქვთ ახალი ერთობლივი ადგილსამყოფელი.

4. სამართლის არჩევა უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით.

მუხლი 46. მესამე პირთა კეთილი ნების დაცვა

თუ მეუღლეების ქონებრივი ურთიერთობები ექვემდებარება უცხო ქვეყნის სამართალს და ერთ-ერთ მეუღლეს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს ან სამეწარმეო საქმიანობას საქართველოში ეწევა, მაშინ მესამე პირთან დადებული გარიგებების მიმართ პრეტენზიები მხედველობაში არ მიიღება, თუ ამ პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა მეუღლეთა ქონების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 47. ქორწინების შეწყვეტა

1. ქორწინების შეწყვეტა ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც გამოიყენება ქორწინების ზოგადი შედეგების მიმართ.

2. როდესაც უცხო ქვეყნის სამართლის მიხედვით განქორწინება შეუძლებელია, იგი შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სამართლის შესაბამისად, თუ განქორწინების მსურველი მეუღლე საქართველოს მოქალაქეა ან ქორწინებისას საქართველოს მოქალაქე იყო.

მუხლი 48. რჩენის მოვალეობა

1. რჩენის მოვალეობის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც პირს, რომელსაც რჩენა ესაჭიროება, აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. თუ სარჩენ პირს ამ ქვეყნის სამართლით მარჩენალისაგან სარჩოს მიღება არ შეუძლია, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ისინი ერთობლივად განეკუთვნებიან. თუ სარჩენ პირს მარჩენალისაგან სარჩოს მიღება არ შეუძლია არცერთი ამ საკანონმდებლო მოქმედებით, გამოიყენება საქართველოს სამართალი.

2. არაპირდაპირი ხასიათის სათესაოებს შორის რჩენის მოვალეობის არსებობისას მარჩენალს შეუძლია სარჩენი პირის მიმართ გამოიყენოს იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ისინი ერთობლივად განეკუთვნებიან. საერთო მოქალაქეობის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება მარჩენალის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალი.

3. თუ განქორწინება მოხდა საქართველოში, მაშინ განქორწინებულ მეუღლეთა რჩენის მოვალეობის მიმართ გამოიყენება განქორწინების მიმართ გამოყენებული ქვეყნის სამართალი. ეს წესი გამოიყენება ქორწინების შეწყვეტისა და მეუღლეთა დაშორების სხვა ფორმების მიმართაც.

4. თუ სარჩენი პირი და მარჩენალი საქართველოს მოქალაქეები არიან და ამ უკანასკნელს ჩვეულებრივი საცხოვრებელი საქართველოში აქვს, გამოიყენება საქართველოს სამართალი.

5. სამართალი, რომელიც გამოიყენება რჩენის მოვალეობის მიმართ, განსაზღვრავს:

ა) შეუძლია თუ არა, რა მოცულობით და ვისგან შეუძლია სარჩენ პირს სარჩოს მოთხოვნა;

ბ) ვინ არის უფლებამოსილი საალიმენტო საქმის წარმოების წარმართვაზე და რა ვადა გამოიყენება ამ საქმის წარმოებისათვის;

გ) მარჩენალის მიერ სახელმწიფო ორგანოებისათვის გადასახდელი ანაზღაურების ოდენობას.

6. სარჩოს ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სარჩენი პირის მოთხოვნილება და მარჩენალის

ეკონომიური მდგომარეობა, მაშინაც კი, როცა სამართალი, რომელიც ამ შეთხვევაში გამოიყენება, სხვა რამეს განსაზღვრავს.

მუხლი 49. მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობები

მშობლებსა და შვილებს შორის არსებული პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, მშობლის მზრუნველობის ჩათვლით, ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ბავშვს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. ამავე დროს, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ბავშვი განეკუთვნება.

მუხლი 50. ბავშვის წარმოშობასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობები

1. ბავშვის წარმოშობასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ბავშვს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. ბავშვის წარმოშობის დადგენა ერთ-ერთი მშობლის მიხედვით ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს მშობელი განეკუთვნება. თუ დედა დაქორწინებულია, ბავშვის წარმოშობა შეიძლება დადგინდეს იმ ქვეყნის სამართლითაც, რომელსაც ამ კანონის 45 მუხლის თანახმად ბავშვის დაბადებისას ქორწინების ზოგადი შედეგები ეფუძნებოდა. თუ ქორწინება შეწყდა ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების გამო, ქორწინების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

2. თუ მშობლები დაქორწინებულები არ არიან, მამის ვალდებულებები ფეხმძიმე მეუღლის მიმართ ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც დედას აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

მუხლი 51. ბავშვის წარმოშობასთან დაკავშირებული დავა

1. ბავშვის წარმოშობა შეიძლება სადავო გახდეს იმ ქვეყნის სამართლის მიხედვით, სადაც ამ დავის წინაპირობა წარმოიშვა. ბავშვის წარმოშობა ყველა შემთხვევაში შეიძლება სადავო

გახდეს იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ბავშვს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

მუხლი 52. სამართლის გამოყენება შვილად აყვანისას

შვილად აყვანა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც განეკუთვნება მშვილებელი შვილად აყვანის დროს. შვილად აყვანა ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მიერ ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც ქორწინების ზოგადი შედეგების მიმართ გამოიყენება.

მუხლი 53. თანხმობის პირობები

ბავშვის და მასთან საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში მყოფი პირის მიერ თანხმობის მიცემის საკითხი შვილად აყვანაზე, აგრეთვე მამობის აღიარებასა და სახელის დარქმევაზე დამატებით ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალსაც, რომელსაც ეს ბავშვი განეკუთვნება. თუ ბავშვის ინტერესებისათვის აუცილებელია, ამ ქვეყნის სამართლის ნაცვლად გამოიყენება საქართველოს სამართალი.

მუხლი 54. მეურვეობა და მზრუნველობა

1. მეურვეობის, მზრუნველობის ან მოვლის სხვა ფორმების წარმოშობა, შინაარსის შეცვლა და შეწყვეტა ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც სამეურვეო პირი განეკუთვნება. უცხოელებს ან ლტოლვილებს, რომლებსაც საცხოვრებელი ადგილი საქართველოში აქვთ, შეიძლება დაენიშნოთ მეურვე ან მზრუნველი საქართველოს სამართლის მიხედვით.

2. თუ მეურვეობის ღონისძიებების გატარება აუცილებელია, მაგრამ დადგენილი არ არის, ვინ მონაწილეობს მეურვეობაში, ან თუ მონაწილე სხვა ქვეყანაში იმყოფება, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც ყველაზე ხელსაყრელია მეურვეო პირისათვის.

3. მეურვეობის, მზრუნველობის ან მოვლის დროებითი ღონისძიებები ექვემდებარება მეურვეობის დამწესებელი ქვეყნის სამართალს.

თავი VIII
საშემკვიდრეო სამართალი

მუხლი 55. მემკვიდრეობითი ურთიერთობები

მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა. მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მას ჰქონდა უკანასკნელი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სამართალი.

მუხლი 56. ანდერძის ფორმა

ანდერძი ითვლება ფორმის დაცვით შედგენილად, თუ იგი შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალს:

ა) რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა;

ბ) სადაც მამკვიდრებელს გარდაცვალებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

გ) სადაც იმყოფება უძრავი ქონება, რომელსაც ეხება ანდერძი.

თავი IX
საპროცესო ნორმები

მუხლი 57. ძირითადი პრინციპი

უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები, სამოქალაქო პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი გარანტიებით, როგორითაც საქართველოს მოქალაქეები და იურიდიული პირები.

მუხლი 58. სასამართლო ხარჯების ანაზღაურების გარანტიის მიცემა

1. თუ მოსარჩელე უცხო ქვეყნის მოქალაქე, იურიდიული პირი ან მოქალაქეობის არმქონე პირია და საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან რეზიდენცია საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვს, მას მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს დადგენილებით შეიძლება დაეკისროს დადგენილ ვადაში სასამართლო ხარჯების ანაზღაურების გარანტიის მიცემა.

2. გარანტია საჭირო არ არის, თუ:

ა) ქვეყანა, რომლის მოქალაქეცაა მოსარჩელე, საქართველოს იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან გარანტიებს არ ითხოვს;

ბ) მოპასუხეს არ შეუძლია დაასაბუთოს მოთხოვნა გარანტიის მიცემის თაობაზე.

3. გარანტიის მოთხოვნის თაობაზე მოპასუხეს შეამდგომლობა შეაქვს საქმის ზეპირი განხილვისას, რომელზეც მას განემარტა ასეთი შუამდგომლობის უფლების შესახებ.

4. გადაწყვეტილება გარანტიის მიცემის თაობაზე მიღებული უნდა იქნეს განჩინებით. შუამდგომლობის დაკმაყოფილებად გადაწყვეტის შემთხვევაში, საქმე განიხილება მხოლოდ გარანტიების ჩაბარების შემდეგ.

მუხლი 59. დიპლომატიური მისიის წევრების იმუნიტეტი

საქართველოში მოქმედი დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე მისიების მომსახურე პერსონალი თავისუფლდებიან საქართველოს სასამართლოების განსჯადობისაგან „დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ“ ვენის 1961 წლის 18 აპრილის კონვენციის მიხედვით. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ მომვლინებელი ქვეყანა ამ კონვენციის მონაწილე მხარე არ არის.

მუხლი 60. საკონსულო წარმომადგენლობის წევრების იმუნიტეტი

საქართველოში მოქმედი საკონსულო წარმომადგენლობების თანამდებობის პირები და საკონსულოს მოსამსახურეები თავისუფლდებიან საქართველოს სასამართლოების განსჯადობისაგან „საკონსულო ურთიერთობათა შესახებ“ ვენის 1963 წ. 24.04 კონვენციის მიხედვით. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ მომყლინებელი ქვეყანა ამ კონვენციის მონაწილე მხარე არ არის.

მუხლი 61. ექსტერიტორიალობის სხვა შემთხვევები

1. საქართველოს სასამართლოების განსჯადობა არ ვრცელდება საქართველოში მოწვევით მყოფ უცხო ქვეყნების წარმომადგენლებზე და მათ თანმხლებ პირებზე.

27 საქართველოს სასამართლოების განსჯადობა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესების ან სამართლის სხვა ნორმების შესაბამისად თავისუფლდებიან საქართველოს განსჯადობისაგან.

მუხლი 62. შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარებისათვის

1. თუ საქმის გარემოებების გასარკვევად, ფაქტების დასადგენად, დოკუმენტების გადაცემის ან სხვა მიზნით აუცილებელია სასამართლო მოქმედებების განხორციელება საქართველოს ფარგლებს გარეთ, შესაძლებელია აღიძრას შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სათანადო დაწესებულების მიმართ.

2. თუ მოქმედება ხორციელდება საქართველოს დიპლომატიური მისიის ან საკონსულო წარმომადგენლობის მეშვეობით, შუამდგომლობა უნდა აიღძრას მათ მიმართ.

3. შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარებისათვის დასაბუთებული უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს მისი შესრულებისათვის საჭირო მონაცემებს.

მუხლი 63. სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობის დაკმაყოფილება

1. საქართველოს სასამართლოები აკმაყოფილებენ უცხო ქვეყნის სასამართლოების შუამდგომლობებს სამართლებრივი დახმარების შესახებ.

2. უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარებისათვის ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. თუ შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების შესახებ ქართულ ენაზე არ არის შედგენილი ან არ ერთვის დამოწმებული ქართული თარგმანი, მისი დაკმაყოფილება დამოკიდებული იქნება იმაზე, გაიღებს თუ არა დაინტერესებული მხარე შესაბამის აკანსს ქართული ენაზე თარგმანის შესასრულებლად და დასამოწმებლად.

4. შუამდგომლობის აღმძვრელი სასამართლოს თხოვნით, საპროცესო მოქმედების შესრულებისას შეიძლება გამოყენებული იქნეს უცხო ქვეყნის სამართლის საპროცესო ნორმები, თუ ისინი საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

მუხლი 64. უარი სამართლებრივი დახმარების შუამდ-გომლობის დაკმაყოფილებაზე

სამართლებრივი დახმარება არ გაიწევა, თუ:

ა) შუამდგომლობის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს;

ბ) შუამდგომლობით გათვალისწინებული მოქმედება არ განეკუთვნება საქართველოს სასამართლოების კომპეტენციას.

მუხლი 65. დოკუმენტების სხვა ქვეყნისათვის გადაცემა

1. დოკუმენტების სხვა ქვეყნისათვის გადაცემა ხორციელდება ამ კანონით განსაზღვრული სამართლებრივი დახმარების ნორმების შესაბამისად.

2. დოკუმენტების გადაცემა დამოწმებული უნდა იქნეს შუამდგომლობის მიმღები დაწესებულების მიერ.

3. თუ დოკუმენტების გადაცემა სამართლებრივი დახმარების ნორმების ფარგლებში ვერ ხერხდება, იგი შეიძლება განხორციელდეს და დაზღვეული წერილით. საერთაშორისო სატრანსპორტო საშართლის შესაბამისად გადაცემა შესრულებულად ითვლება დოკუმენტების ჩაბარების მომენტიდან.

მუხლი 66. დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა

1. თუ ერთ-ერთ მხარეს, რომელსაც საცხოვრებელი ადგილი ან რეზიდენცია საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვს და არ პყავს საქართველოში მცხოვრები წარმომადგენელი, მას შეიძლება სასამართლოს განჩინებით დაეყალოს განსაზღვრულ ვადაში დანიშნოს საქართველოში მცხოვრები, დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილი პირი.

2. თუ მხარე ამ ვადის განმავლობაში არ დანიშნავს დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილ პირს, დოკუმენტების ყველა შემდგომი გადაცემა დაზღვეული წერილის მეშვეობით განხორციელებულად ჩაითვლება მისი ფოსტისათვის გადაცემიდან ერთი თვის შემდეგ. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა ადრესატისთვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განჩინებით მხარეს უნდა განემარტოს ის შედეგები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამავე მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენების შემთხვევაში.

მუხლი 67. უცხო ქვეყნის დოკუმენტების საქართველოსათვის გადაცემა

1. უცხო ქვეყნის დოკუმენტების საქართველოსათვის გადაცემა ხორციელდება ამ კანონით განსაზღვრული საშართლებრივი დახმარების ნორმების შესაბამისად.

2. თუ გადასაცემი დოკუმენტი ქართულ ენაზე არ არის შედგენილი ან არ ერთვის დამოწმებული ქართული თარგმანი, ადრესატს შეუძლია უარი თქვას დოკუმენტის მიღებაზე. ამ შემთხვევაში დოკუმენტი უნდა დაუბრუნდეს შუამდგომლობის

აღმძვრელ ორგანოს დაბრუნების საფუძვლის მითითებით. ადრესატს უნდა განემარტოს, რომ მას უფლება აქვს უარი თქვას დოკუმენტის მიღებაზე.

მუხლი 68. უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა

1. საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს.

2. გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ:

ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება;

ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები;

გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დაყაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში;

დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება;

ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს;

ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი;

ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად საქართლებრივ პრინციპებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, თუ იგი ქონებრივ უფლებებს არ ეხება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის მათი ადგილობრივი განსჯადობა.

4. თუ სამართალწარმოება მიმდინარეობს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა შესაძლებელია საქართველოში ამ საქმის დამთავრების შემდეგ.

5. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს ინილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

მუხლი 69. გადაწყვეტილება ქორწინების საქმეებზე

1. გადაწყვეტილების ცნობა საჭირო არ არის თუ გადაწყვეტილების გამოტანისას მეუღლეები იმ ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ, რომლის დაწესებულებამაც ეს გადაწყვეტილება მიიღო.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ საბოლოოა.

მუხლი 70. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

1. სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეწინააღმდეგებარება აღსრულებას.

2. აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ.

3. შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.

მუხლი 71. გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურა

1. შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და დამოწმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, თუ ეს შუამდგომლობის ტექსტიდან არ გამომდინარეობს.

2. შუამდგომლობის განხილვის პროცესში უნდა დადგინდეს, დაცულია თუ არა ამ კანონის 68-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები.

3. საქმის ზეპირი განხილვა არ მოხდება, თუ მხარეები ამას მოითხოვენ. მოპასუხეს შუამდგომლობის გადაცემისას უნდა განემარტოს, რომ მას აქვს აზრის გამოთქმის უფლება. მას აგრეთვე უნდა განემარტოს რომ საქმის ზეპირი განხილვა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ის ამას მოითხოვს.

4. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე გადაწყვეტილებას საქართველოს სასამართლო იღებს დადგენილების ფორმით.

მუხლი 72. სასამართლოს მიერ მხარეთა მორიგება და საჯარო ხასიათის დოკუმენტები

1. სასამართლოს მიერ მხარეთა მორიგება და უცხო ქვეყნის საჯარო ხასიათის დოკუმენტები, რომლებიც ექვემდებარება აღსრულებას, შუამდგომლობის საფუძველზე ამ კანონის 70-ე და 71-ე მუხლების შესაბამისად აღსრულდება.

2. შუამდგომლობა შეიძლება დაკმაყოფილებული არ იქნეს, თუ აღსრულება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

მუხლი 73. გასაჩივრება

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ამ თავის დებულებათა შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებები (განჩინებები და დადგენილებები) ექვემდებარება გასაჩივრებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი X
დასკვნითი დებულება

მუხლი 74. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 1998 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე
თბილისი, 1998 წლის 29 აპრილი.